გ. თოგოშვილი

საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს.

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო
თბილისი — 1969

29 (С4 I)
9(47 . 922 + 47 913 . 4) „14 : 17“
თ 67

მონოგრაფიაში წერილობითი წყაროებისა და საარქივო მასალების საფუძველზე განხილულია ორი მოძმე და მეზობელი ხალხის — ქართველებისა და ოსების მრავალმხრივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა.

ისტორიული წყაროები ნათლად გვიჩვენებენ ოსი და ქართველი ხალხების ერთობლივ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ნაშრომში ნაჩვენებია აგრეთვე ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობა, ქართული კულტურის ცხოველმყოფელი გავლენა ოსი ხალხის კულტურის განვითარებაზე.

1 — 6 — 1
125—69 ადგ.

წინასიტყვაობა

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების უშრეტი წყაროა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმური სულისკვეთების შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობას დიდი წარსული აქვს. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები ცარიზმის მხრივ სოციალური და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრისაგან, შექმნა არნახული პირობები მათი მეგობრული ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების ისტორიის შესწავლა საბჭოთა ისტორიკოსების საპატიო ამოცანაა. ქართველმა ისტორიკოსებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის მეზობელ ხალხებთან და სახელმწიფოებთან ურთიერთობის შესწავლის საქმეში. ამ საკითხებზე გამოიცა მრავალი მეცნიერული გამოკვლევა.

ოსი ხალხი ქართველი ხალხის უძველესი ჩრდილოელი მეზობელია. თავიდანვე მათ შორის მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა არსებობდა. ეს ურთიერთობა მეგობრული და ორივე ხალხისათვის სასარგებლო იყო. სხვადასხვა ისტორიული პირობების გავლენით ეს ურთიერთობა ხან მტკიცდებოდა, ხანაც სუსტდებოდა, მაგრამ საესებით არასოდეს წყდებოდა. წინამდებარე შრომაში შეძლებისდაგვარად ნაჩვენები და ახსნილია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ან აფერხებდნენ ამ ურთიერთობის განვითარებას.

ნაშრომი „საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV —

XVIII სს.“ გაგრძელებაა მონოგრაფიისა „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე)“, რომელიც გამოიცა 1958 წელს სამხრეთ-ოსეთის სახელგამის მიერ. ამ მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი შეიცავდა წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც ძირითადად ეხება წინამდებარე ნაშრომსაც.

ნაშრომი ქართველ-ოსთა ურთიერთობის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. ეს გარემოება, წყაროების სიმცირესთან ერთად, ქმნის გარკვეულ სიძნელეებს დასახელებული თემის დამუშავების საქმეში.

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ნაშრომში დასმული ყველა საკითხი სათანადო სიღრმითა და სისრულითაა გაშუქებული. ყველა წინადადება თუ შენიშვნა, რომლებიც მიმართული იქნება ნაშრომის გაუმჯობესებისაკენ, გულწრფელი მადლობის გრძნობით იქნება მიღებული ავტორის მიერ.

თავი I

ოსთა ტერიტორიული განსახლება და საქართველოსთან დამაკავშირებელი გზები

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიისათვის ჩვენ მიერ აღებული პერიოდი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. საქართველო ამ პერიოდში არ წარმოადგენს ერთიან, ცენტრალიზებულ, სახელმწიფოს. იგი დაქუცმაცებულია ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, რომელთაგანაც თითოეული მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში თავის ვიწრო კუთხური ინტერესებით ხელმძღვანელობს. ამ სამეფო-სამთავროებს, თავის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყველას არ შეეძლო ოსებთან ურთიერთობის დამყარება. ასეთი ურთიერთობა ოსებთან ქართლის, ნაწილობრივ კახეთის და იმერეთის სამეფოებს ჰქონდათ.

განსახილველ პერიოდში ოსეთი არ წარმოადგენდა გამოკვეთილ პოლიტიკურ ერთეულს. მონღოლთა შემოსევების დროიდან (XIII ს. პირველი ნახევარი) იგი დაშლილ-დაქსაქსული აღმოჩნდა ცალკეულ თემებად, ხეობებად, რომელთა შორის ნორმალური ურთიერთობა შეწყდა და მან შემთხვევითი ხასიათი მიიღო. არ არსებობდა პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც გააერთიანებდა ოსთა დაქსაქსულ ძალებს ერთიანი პოლიტიკის საწარმოებლად მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საქმეში. დომინიკანელი ბერის იულიანეს განცხადება (XIII ს. პირვ. ნახ.), რომ ოსეთში რამდენი ხევიცაა, იმდენი ბატონია და მათგან არც ერთი არ ფიქრობს მეორეს

დამორჩილებას[1], ძალაში რჩება ჩვენ მიერ განსახილველად აღებული მთელი პერიოდისათვის.

უფრო მეტიც, აღებულ პერიოდში ოსეთი, (გარდა იმისა, რომ ცალკეულ თემებად (საზოგადოებებად) იყო დაქუცმაცებული, სხვა მხრივაც, ორ ნაწილად გათიშული აღმოჩნდა. მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევებისა და თარეშების შედეგად ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ველებზე მოსახლე ოსებმა უდიდესი ზარალი განიცადეს, დამარცხდნენ უთანასწორო, მაგრამ თავგანწირულ ბრძოლაში, მიატოვეს ველის რაიონები და კავკასიის მთების ხეობებს შეეხიზნენ. ოსთა ნაწილი უკვე მაშინვე გადავიდა კავკასიის მთიანეთის მთავარ ქედზე და მის სამხრეთ კალთებზე დასახლდა. აქედან ოსები ქართლის რაიონებშიც აღწევენ. კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსული ოსები საქართველოს, ხოლო მისი ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქართლის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

ბერი ეგნატაშვილი იძლევა ცნობას ქართლისა და იმერეთის საზღვრების შესახებ: „ძესა კონსტანტინესასა, შეფესა დავითს ეპყრა: აჯი-სუს ზეით უდაბნონი, და სამგორს-ქუემოთი, ლილო და ლილოს-ქუემოთი, და ჭევძმორას-ქუემოთი, და არაგუს-აქათი, და ფშავისწყალს-აქათი, გუდამაყარი, და ჭევხილაკას-აქათი, და კასრისჭევს-აქათი; და წედისის მთის გადმოღმართი, და კუდარო, და ჭალის მთის გარდმოღმართი...

ხოლო მპყრობელსა იმერეთისასა: წედისის მთის-აქათი, დიგორის მთის-აქათი“[2].

ამ ცნობის მიხედვით აშკარაა, რომ კასრისხევს აქეთი—გადმოღმართი ტერიტორია, რომელიც კონკრეტულად მოიცავს ნარ-მამისონის ტაფობს ნარის, ზახას, ზრუგის და მამისონის ხეობებით, დიდი და პატარა ლიახვის აუზის დიდ ნაწილს,

---

[1] Рассказ доминиканца Юльяна о путешествии в страну приволжских венгерцев.. Записки Одесского общества истории и древностей, т. V, 1863, გვ. 999.

[2] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 349.

ქსნისა და არაგვის ხეობათა აუზების ნაწილს, სადაც ოსები დამკვიდრდნენ, — ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ რაიონების ოსებით დასახლების დროსა და პირობებზე ჩვენ ფართოდ სხვაგან შევჩერდით[1], ამიტომაც აქ ბერი ეგნატაშვილის მხოლოდ ერთ ცნობას მოვიყვანთ, რომელიც XIII—XIV სს. ქართლის მთიანეთში ოსთა მოსახლეობას ნათლად ადასტურებს. XIV ს. 90-იან წლებში თემურლენგის მიერ შეპყრობილი ბაგრატ მეფე, თავის დასახსნელად, მოჩვენებით მაჰმადიანობას ღებულობს და ჰპირდება ამ რჯულზე თავის ქვეშევრდომთა მოქცევასაც. იგი უცხადებს: „ვინაიდან ესცან კეთილად სიმტკიცე რჯულისა შენისა, აწ მეცა მოქენე ვარ, რათამცა სრულიად მორჩილ ვყვე რჯულისა თქუენისა მკჳდრნი საქართველოსანი სრულიად. უკეთუ გნებავს მოქცევა მათი სჯულსა თქუენსა ზედა, აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი, და წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა, და მოვხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა, ოვსთა, დუალთა, სუანთა, აფხაზთა და ყოველთავე მუნ მყოფთა და მე დავარწმუნებ სჯულსა თქუენსა“[2].

როგორც ეხედავთ, ბერი ეგნატაშვილს ოსები დასახელებული ჰყავს კავკასიის ქედის გადმოღმა მცხოვრებ სხვა ხალხთა შორის და მათთან ერთად საქართველოს მკვიდრ მოსახლეობად მიაჩნია. ამ ადგილებში ოსები, სულ მცირე, საუკუნის განმავლობაში მოსახლეობენ (საქართველოს ტერიტორიაზე ოსები, არსებული მასალების მიხედვით, XIII ს. 60 — 80-იან წლებიდან სახლდებიან) და, გიორგი ბრწყინვალის ღონისძიებათა შედეგად, XIV ს. პირველ ნახევარშივე საქართველოს ქვეშევრდომობაში ითვლებიან.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ბაგრატი მთიანეთის მოსახლეობას ცალკე გამოყოფს და მათ მაჰმადიანობაზე მოსაქცევად თემურის წინაშე რაღაც დამატებითი ღონისძიებების („მოვხადო“) გატარებას ვარაუდობს, ჩვენის აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საქართველოს მთიანეთი სამეფო

---

[1] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალინირი, 1958, თავი V, § 3.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 329—330.

ხელისუფლების პოლიტიკის უყოყმანო შემსრულებელი არ ყოფილა, წინააღმდეგობას უწევდა მის ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც იწვევდნენ მთიანეთის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის დამძიმებას, სამეფო ხელისუფლებაზე მისი დამოკიდებულების გაძლიერებას. ეს მდგომარეობა თემურ-ლენგისათვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო და, რათა ბაგრატ მეფის დიპლომატიურ ფანდს მეტი დამაჯერებლობა მოეპოვებინა თემურის თვალში, მას მთიელთა მოქცევის რეალური ღონისძიებები დაუსახა. იარაღით იყო საჭირო მთიელთა კონსერვატიზმის გატეხვა და ახალ რელიგიაზე შეყენება. იმის მიუხედავად, რომ ბაგრატის ეს გეგმა თემურის შეცდომაში შესაყვანად გათვალისწინებული ფანდი იყო, მაინც კარგად გვიხასიათებს მთიანეთის მოსახლეობის სამეფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას.

ისეთი პირობები, როცა ოსთა ერთი ნაწილი უშუალოდ ქართლის სამეფოში შემოდიოდა ტერიტორიული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ხოლო მეორე ნაწილი უშუალოდ ესაზღვრებოდა მას, ქართველ-ოსთა ურთიერთობას თავისებურ ხასიათს აძლევდა. ამ ურთიერთობის განხილვისას ცნება „ოსეთი“ ნახმარი იქნება ეთნიკურ-ტერიტორიული აზრით და მოკლებული იქნება პოლიტიკურ აზრს. ამასთან, ურთიერთობის კონკრეტული ფაქტების მოყვანის დროს, ჩვენ დაგვჭირდება იმის ხაზგასმა, თუ ოსთა რომელი ნაწილი იგულისხმება ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით — კავკასიის ქედს გადმოღმა მცხოვრები ოსები, ანუ **სამხრეთის ოსები** თუ ქედს გადაღმა, ანუ **ჩრდილოეთის ოსები.**

ვახუშტი ბატონიშვილი თავის თანამედროვე ოსეთის საზღვრებს ასე განსაზღვრავს: „აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: აღმოსავლით თრუსოსა და ჭევის საზღვარი. მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამხრიდან ჩრდილოდ, და დასწყდების ჭევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე (თერგი—გ. თ.), ვიდრე ხეთაძე-ჩერქეზის თამდე: სამჭრით მზღვრის კავკასი, ჭევის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუცსაბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანს შორისი კავკასნი; ხოლო ჩრდილოეთ ჩერქეზსა და მას შორის

მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერ-ძოდ უტყეო, არამედ ღელეებთა შინა მცირეტყიანი; და დასავლით მზღვრის კავკასიავ რაჭასა და ჟღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი... სიგრძე ამის ქვეყნისა არს ჭევიდან სვანეთის კავკასამდის და განი ქართლის კავკასი-დამ ჩერქეზის მთამდე"[1].

ვახუშტი ზუსტად გადმოგვცემს ოსეთის საზღვრებს მისი იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც ქართლის სამეფოში შემო-დიოდა. ოსეთის სამხრეთ საზღვრად დადებულია ქართლის კავკასი და არ ემთხვევა ბერი ეგნატაშვილის მიერ მოცემულ ქართლის ჩრდილოეთ საზღვარს — „კასრის-ჯევს აქათს" (კასა-რის გადმოღმა — სამხრეთით). ვახუშტის ლოკალიზაციით ნარ-მამისონის ტაფობი მასში შემავალი ხეობებით — კასრის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარი, ზრუგი და ზახა ოსეთში შედიან. ეგნატაშვილის ლოკალიზაციით ისინი ქართლში იგულისხმე-ბიან. სწორია როგორც ერთი ისე მეორე. ეგნატაშვილს ლოკა-ლიზაციის საფუძვლად პოლიტიკური პრინციპი აქვს აღებული, ხოლო ვახუშტის მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური. ვახუშტის ცნობა ოსეთის სამხრეთი საზღვრის შესახებ არ ნიშნავს, რომ უფრო სამხრეთით, ქართლში ნაგულისხმევ რაიონებში, ოსუ-რი მოსახლეობა არ ყოფილა. ოსეთში ვახუშტი გულისხმობს ქართლის მთიანეთის იმ ნაწილს, სადაც კომპაქტური ოსური მოსახლეობა არსებობდა. რაიონები, სადაც ოსები ქართვე-ლებს შორის, მათთან შერეულად ცხოვრობდნენ, ქართლს არიან მიკუთვნებული ვახუშტის ლოკალიზაციით.

ვახუშტი, ქართლის მთიანეთის რიგი რაიონების აღწერი-სას, ზუსტად მიუთითებს ამა თუ იმ ხეობაში არსებულ ეთნი-კურ ფაქტებზე.

აღწერს რა ქსნის ხეობას, იგი გვაწვდის ცნობას, რომ „ქარჩოხის დასავლით არს ქსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლო-ბელნი არიან ოსნი"[2]. როგორც ჩანს, ვახუშტის რაღაც ცნობა გააჩნდა, რომ ჟამურის მოსახლეობა თავიდანვე ოსური არ

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 107 — 108.

[2] ვახუშტი, აღწერა... გვ. 69.

ყოფილა. ჭურთის ხეობა, ჟამურის უშუალო მეზობლად მდებარე, ვახუშტის დროს ჯერ კიდევ ოსებით დასახლებული არ ყოფილა. ოსები იქ ვახუშტის შემდგომ პერიოდში მკვიდრდებიან.

პატარა ლიახვის ზემო წელი, ვახუშტის მიხედვით, ოსებითვეა დასახლებული (გერის ხევი, შუაცხვირის მთა და სხვ.). ვანათს ზემოთ პატარა ლიახვს ერთვის აწერის ხევი. „აწერის ჭევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად"[1].

დიდი ლიახვის ხეობაშიც „სვერს ზეით რომელი ლიახვის ჭეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო; მსახლობელნი არიან ოსნი, დვალნი"[2].

მაღრანდვალეთის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „არს მაღრანდვალეთი სამ ჭეობა, მოსაელით, ვითარცა ამ მჯრის მთის ადგილნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა, ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყვავილითა და ბალახითა, კაცნი ჰგონე, ვითარცა არაგვისანი, არამედ ისინი უმჯობესნი. ამ მთის ადგილებთა შინა, რომელნი აღვსწერენით, დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომნდობნი და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი: უწოდებენ ვეძას, პირუტყვთ შემრგო და გამასუქებელი. ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან"[3].

ვახუშტის წარმოდგენით, „ქართლის ბარში მტრის გამუდმებული თარეშების შედეგად მწარმოებელი მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა. ქართლის მთიანეთის მოსახლეობამ ბარისაკენ გადანაცვლება იწყო, ხოლო მათ ადგილებში ქართველი ფეოდალები ოსებს ასახლებდნენ. ოსთა ამ სახით გადმოსახლება ქართველ ფეოდალთა მამულებზე მათთან გარკვეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა. ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების ორ ადრინდელ

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 71.
[2] იქვე, გვ. 78.
[3] იქვე, გვ. 71.

სახელთან (შეიარაღებულ ოსთა მიერ ქართლის რიგი რაიონების თვითნებური დაკავება ან ქართველ მეფეთა მიერ ოსთა დიდი ჯგუფების გადმოყვანა და დასახლება საქართველოში) შედარებით ეს სახე, როგორც ეს პროფ. დ. გვრიტიშვილს აქვს გამორკვეული[1], გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს.

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულება შეიცავს ცნობებს ისტორიული დვალეთისა და დვალების შესახებ. დვალები კავკასიის მთავარი ქედის ორივე მხარეზე, მაღალმთიანი ზონის ძველ მოსახლეობას ეწოდებოდა, რომელიც ოდითგანვე საქართველოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. იმის გამო, რომ ისტორიული წყაროები არ გვაძლევენ არავითარ კონკრეტულ მითითებებს დვალთა ეთნიკური ვინაობის დასადგენად, ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს[2]. ვახუშტის ცნობები დვალეთის შესახებ საშუალებას იძლევიან მის თანამედროვე ეპოქისათვის დვალ-ოსთა ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობისათვის.

ვახუშტის კონცეფციით ისტორიული დვალეთის ტერიტორია ჩრდილო კავკასიიდან მოსულმა ოსებმა დაიკავეს. მართალია, იგი საგანგებოდ არ ეხება დვალების შემდგომ ბედს, მაგრამ, მისი ცნობებიდან გამომდინარე, დასკვნები ისეთია, რომ დვალები ასიმილირებულ იქნენ ოსთაგან. ვახუშტის დროს ეს პროცესი დასრულებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტრადიცია მათი ეთნიკური ინდივიდუალობის შესახებ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. კასარის კარის სამხრეთით მცხოვრებ ოსთა სარწმუნოების შესახებ ვახუშტი წერს: „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი

---

[1] დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, 1, თბ., 1949, გვ. 119.

[2] ამ საკითხზე ვრცლად იხ. დ. გვრიტიშვილის სტატია „დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის", მიმომხილველი, 1, გვ. 109—121; В. Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I—XV вв. п. э. Тб., 1961; Г. Ахвледиани, Историческая справка о Двалети и двалах. Сборник избранных работ по осетинскому языку, 1, Тб., 1960, გვ. 65—79; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 177—185.

ნიქოზლისანი, და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდ-მარხვასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა და თაყვანსსცემენ, და სხვისა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღვდელი, და უნათლისღებონი არიან, თუნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათლეიან"[1].

სამხრეთელ ოსთა და დვალთა სარწმუნოების შესახებ ვახუშტის ამ ცნობიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ვახუშტის წარმოდგენით, გარკვეულ ისტორიულ პირობებში დვალები მოსწყდნენ ქართულ კულტურულ სამყაროს, დაქვეითდა ქრისტიანობა. ოსური ელემენტის შეჭრამ დვალურ გარემოში, ქართულ სამყაროსთან მისი ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური კავშირის დასუსტებამ, რასაც შესაბამად თან სდევდა მათზე ჩრდილო ოსური ეთნიკური ელემენტის კულ-ტურულ-პოლიტიკური გავლენის ზრდა, განაპირობა დვალთა ეთნიკური ინდივიდუალობის თანდათანობითი გაქრობა და მათი თითქმის მთლიანად ასიმილაცია ოსთა მიერ. ოსთა მიერ დვალთა ეთნიკური ასიმილაციის პროცესი იწყება უკანასკ-ნელთა სოციალური დამორჩილებით. ვახუშტი, სამხრეთელ ოსების სოციალური ვითარების დახასიათებისას, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა"[2].

ნარ-მამისონის აუზი, მაღრან-დვალეთი, ვახუშტის განმარ-ტებით, დვალეთია. „დიდის-ლიახვისა, პატარას-ლიახვისა, ქსნის-ჯევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა"[3]. დასახელე-ბული ადგილების დაწვრილებით აღწერისას ვახუშტი ყოველ-თვის მიუთითებს აქ ოსური მოსახლეობის არსებობაზე, მოყვანილ ადგილში კი იგი მათ დვალებად თვლის. მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობისა და თრუსოს ხეობის მოსახლეობის შესახებ იგი შენიშნავს, რომ „მსახლობელნი არიან ოვსნი, დვალნი"[4]. ვახუშტის გეოგრაფიული თხზულების ავტოგრაფ-

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 110.
[2] იქვე, გვ. 111.
[3] იქვე, გვ. 115.
[4] იქვე, გვ. 66, 78.

ში „ოვსნი, დვალნი“ მძიმის გარეშეა დაწერილი. თუ მას ასე მძიმის გარეშე წავიკითხავთ, მივიღებთ „ოვსნი დვალნი“, ე. ი. გაოსებული დვალები, ოსი დვალები. ასეთი წაკითხვა ვახუშტის დროისათვის შექმნილი რეალური ვითარების საუკეთესო ამსახველი იქნებოდა. მართლაც დვალებს XVIII ს-ში დვალობისა უკვე აღარაფერი შერჩენიათ გარდა ბუნდოვანი მოგონებისა მათი წარსული ეთნიკური ინდივიდუალობის შესახებ. შორეული წარსულის გამოძახილია ცნობა მათი განსაკუთრებული ენის შესახებაც. ვახუშტი წერს დვალებზე: „ენა აქუსთ ძველი დვალური და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინაიდგან ჩერქეზთა ენა სხვა არს“[1]. თუ დვალები იმქამად ოსურ ენაზე მეტყველებდნენ, ცხადია, მათთვის არავითარი სხვა ენა მაშინ არ არსებობდა. რამდენადაც დვალებს დამწერლობა არ ჰქონიათ, მათი ენის შესახებ დამწერლობის ძეგლების მონაცემების გამოყენება გამორიცხული იყო. ვახუშტის რაიმე კონკრეტულის თქმა ამ ენის შესახებ არ შეეძლო და დასჯერდა ზემომოყვანილ ზოგად განცხადებას, რომლითაც თანამედროვე მკვლევარი დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვახუშტის და ზოგიერთი სხვა ავტორის მიერაც დვალების კანტიკუნტად მოხსენიება უფრო ტრადიციული ვითარების გადმონაშთია, ვიდრე ისტორიული რეალობის ასახვა. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ წიგნური გავლენის შედეგი უნდა იყოს XVIII ს. პირველი ნახევრის ავტორთათვის.

განსახილველ პერიოდში ჩრდილო ოსეთი რამდენიმე მთიანი ხეობისაგან შედგებოდა: აღმოსავლეთიდან დასავლეთით მას ერტყა თაგაურის, ქურთაულის, ალაგირის და დიგორის ხეობები: ჩრდილოეთით ისინი ყაბარდოელებს ესაზღვრებოდნენ, აღმოსავლეთით თერგის აუზის ზემო წელს იკავებდნენ და დასავლეთით ბალყარეთს ემეზობლებოდნენ. სამხრეთის მხრით, თავის თანამოძმე სამხრეთელ ოსთა მეშვეობით, ჩრდილო ოსები ქართველ ხალხს უკავშირდებოდნენ.

ამრიგად, თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს მიერ განსახილველად აღებულ პერიოდში ოსების განსახლების შესახებ მონა-

---

[1] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 110.

ცემებს, აშკარად დავინახავთ, რომ საქართველოსა და ოსეთს შორის სტაბილური ეთნიკური საზღვარი აღარ არსებობს. მონღოლებამდე პერიოდში (XIII ს-მდე) მათ შორის პოლიტიკური საზღვარი ერთდროულად ეთნიკური საზღვარიც იყო. ასეთ საზღვარს მაშინ კავკასიონის ქედი წარმოადგენდა. ახლა ოსები არამარტო კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გვხვდებიან, არამედ ქართლის მთიანეთის უმრავლეს რაიონებშიც.

აღნიშნულ პირობებში, იმის მიუხედავად, რომ ოსთა ნაწილი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებსა და ქართლის მთიანეთის რიგ რაიონებში მოსახლეობდა, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საქმეში ძველებურად დიდ როლს ასრულებდნენ ის საუღელტეხილო გზები და ბილიკები, რომლებიც ოდითგანვე ამიერკავკასიას იმიერკავკასიის ქვეყნებთან და პირიქით, ოსეთის სხვადასხვა ნაწილებს ქართლისა და იმერეთის რაიონებთან აკავშირებდა.

ამიტომაც ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის შესწავლისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში მომავალი გზების საკითხზე რამდენადმე ვრცელი შეჩერება, და ეს მით უფრო, რომ იგივე გზები ორ მეზობელ ხალხს შორის არამარტო უშუალო ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენენ, არამედ ამ გზებითვე ხორციელდებოდა მათი ურთიერთობა დიდ ჩრდილოურ სახელმწიფოსთან — რუსეთთან.

ცენტრალური კავკასიის ფარგლებში ჩრდილო კავკასიის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არტერიად კვლავ საქართველოს სამხედრო გზა — ისტორიული „არაგვის კარი", „ოვსთა კარი", „დარიალანი" რჩებოდა. ამ მაგისტრალს, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, უდიდესი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ[1].

დარიალის ხეობაზე გამავალი გზა მიჰყვებოდა სამხრეთი-

---

[1] ხსენებული გზის აღწერა და მნიშვნელობის დახასიათება უძველესი დროიდან XIV ს-მდე მოცემულია ჩვენს შრომაში „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე)".

დან ჩრდილოეთით არაგვის ხეობას, გადაჰკვეთდა კავკასიის მთიანეთის მთავარ ქედს და ეშვებოდა მდ. თერგის ხეობაში. მდ. თერგს ძველი ქართული წყაროები ლომეკს ანდა „ოვსეთიხ არაგვს“ უწოდებდნენ. ყაზბეგის (ყოფ. სტეფანწმინდის) ჩრდილოეთით გზა დარიალის ვიწრო, ფრიალო კლდეებით შემოზღუდულ ხეობაზე გაივლიდა. ხეობის სივიწროვე ამ ადგილას შესაძლებლობას იძლეოდა გზის საგულდაგულო გამაგრებისათვის. გზის დაცვა-ჩაკეტვის მიზნით ამ ადგილებში არის სხვადასხვა დროს აგებული ციხე-სიმაგრეები. დავითის ციხე ყაზბეგიდან ჩრდილოეთით 10 კმ-ზე, თერგის მარჯვენა შენაკად ქისტინკას შესართავთან; უფრო ჩრდილოეთით, თერგის მარცხენა ნაპირზე, ციცაბო კლდის თავზე, დარიალის ციხე, რომელსაც შეცდომით თამარის ციხესაც უწოდებდნენ. ეს გზა, როგორც ამას სტრაბონის (I ს.), პლინიუს სეკუნდის, (I ს.) იოსებ ფლავიუსის (I ს.) და სხვ. ცნობები მოწმობენ, ანტიკურ დროიდანვე საკმაოდ მტკიცედ ყოფილა გამაგრებული.

ცნობილია, დარიალის გზა, რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობის საქმეში, რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონედ მიაჩნდა კ. მარქსს. „კავკასიის მთები, — აღნიშნავდა იგი, — ჰყოფენ სამხრეთ რუსეთს საქართველოს მდიდარი პროვინციებისაგან... ერთადერთი სამხედრო გზა, რომელიც ამ სახელწოდებას იმსახურებს, მიიკლაკნება მოზდოკიდან თბილისში დარიალის ვიწრო ხეობით. ის დაცულია სიმაგრეთა უწყვეტი ჯაჭვით“[1]. მარქსის მიერ XIX ს-სათვის აღნიშნული მნიშვნელობა დარიალის გზისა თამამად შეიძლება გავავრცელოთ მთელი წინა საუკუნეების ისტორიაზეც.

დარიალის გზის შესახებ XV — XVI სს. ცნობები არ მოგვეპოვება. აღნიშნული პერიოდისათვის ჩრდილო და ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება გარკვეულად გვიხსნის ამ ფაქტს. XIV ს. დამლევს მრისხანე დამპყრობელი თემური მრავალგზის ცდილა გზის ხელში ჩაგდებას, მიაჩნდა რა იგი საქართველოს მიერ ჩრდილო კავკასიიდან მხარდაჭერის მიღების საშუალებად. არაგვის ხეობაში შეჭრის გზით ამ ამოცანის განხორციელება მას ვერ მოუხერხებია. მაშინ, ვახუშტის ცნობით, ბარდავს მდგარმა თემურმა „წარავლინნა სპანი ოვსეთად. განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და მოვიდ-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, М., 1933, გვ. 533.

ნენ ოვსეთს, მოსწყვიდნეს, ტყვე-ჰყვეს და მოიქცნენ წინაშე თემურისავე. ესე ჰყო თემურმან, რამეთუ უწყოდა, რამეთუ მეფე ძალს იცემს მუნიდამ"[1]. თემურის არც ამ შემოვლითს ლაშქრობას მოჰყოლია სასურველი შედეგი, იმის მიუხედავად, რომ ქართველთა მოკავშირე ოსები მას სასტიკად გაუნადგურებია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ XIV — XV სს. გზა კვლავ კარგად გამაგრებული იყო და, რაკი მის დაცვაზე ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოს პოლიტიკური ძლიერება, მას ყურადღებას არ აკლებდნენ. შემდეგში, როცა საქართველოს მთლიანობას ძირი გამოეთხარა და ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, სანაპირო მხარეთა გამგებლები—ერისთავებიც დამოუკიდებლობის მოპოვებას ახერხებენ. ამ დროიდან დარიალის გზა არაგვის ძლიერ ერისთავთა განკარგულებაში ექცევა და ქართლის თუ კახეთის სამეფოთა მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობა ამ ფეოდალთა ნება-სურვილზე ხდება დამოკიდებული.

დარიალის გზა ჩრდილო კავკასიიდან დაქირავებული ჯარის გადმოყვანის საქმეში, XV — XVII სს. ნაკლებ როლს თამაშობდა. ქართულ სამეფოებს, რომლებიც ამ პერიოდში თავდაცვით ომებს აწარმოებდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ, ჯარის დაქირავების საშუალება სათანადო მატერიალური სახსრების უქონლობის გამო არც ჰქონიათ.

XVI ს. დარიალის გზამ პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა. ამ დროს კახეთის სამეფო დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს სწრაფად მზარდ რუსეთის სახელმწიფოსთან. ხდება ელჩობათა ხშირი ცვლა. ელჩები დარიალის გზით მგზავრობდნენ. პროფ. ფ. პოლიევქტოვი აღნიშნავს, რომ XVI ს. რუსეთიდან კახეთს მიმავალი ელჩობები თერგის ქალაქიდან აჰყვებოდნენ მდ. თერგს და სუნჯას მცირე ყაბარდოს მფლობელთა მიწების გავლით იმ პუნქტამდე, სადაც სუნჯას სათავე ახლო ადგება თერგს. აქედან იწყებოდა გზის მთიანი მონაკვეთი. ლარსის გვერდის ავლით დიდის გაჭირვებით გაივლიდნენ დარიალს და შედიოდნენ „სონის მიწებში", ანუ

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, დ. ბაქრაძის რედ., ტფილისი, 1885, გვ. 293.

სონში. აქ იწყებოდა „სონთა ერისთავის“, ანუ არაგვის ერისთავის სამფლობელო[1].

დარიალის კარების გავლის სიძნელე სავსებით გასაგებია. დიდი ხნის მანძილზე მისი გამოყენება აღარ ხდებოდა. გზა დაზიანდა, ჩაირეცხა, ხიდები დაინგრა და ახლა ყოველი კონკრეტული მგზავრობის გასახორციელებლად, ისიც დატვირთული ელჩებისათვის, საჭირო ხდებოდა ხიდების გადება. გზის გამოყენების გასაძნელებლად, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდა ხელოვნურ ზომებსაც ამა თუ იმ მხრიდან (მბედველობაში გვაქვს არა მხოლოდ გამაგრება, არამედ გზის საექსპლოატაციო თვისებების გაუარესება მისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, ანდა მასზე კონტროლის გასაადვილებლად).

XVI ს. დამლევისათვის დარიალის გზის გამოყენება ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მესვეურთათვის საკმაოდ მძიმე ამოცანას წარმოადგენდა. არაგვის ხეობა და ხევის ნაწილი ნუგზარ არაგვის ერისთავის მფლობელობაში იყო. რომელიც სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის ტენდენციებს ავლენდა. რაც შეეხება ხევის ჩრდილოეთ ნაპირს. იგი მეფის სახასო ადგილი იყო, მაგრამ მას ყაბარდოელი ბატონი დაეუფლა. 1597 წელს ალექსანდრე კახთა მეფემ, ნუგზარ ერისთავის მეშვეობით, ისევ შემოიმტკიცა ხევის ეს ნაწილი. ამას მოჰყვა ყაბარდოელი ბატონების სოლუღისა და აიტეკმურზას მიერ ხევის დარბევა. ქართველთა ლაშქარი დადევნებია მათ და დიდი ზარალიც მიუყენებია[2].

ცხადია, ისეთ ვითარებაში, როცა დარიალის გზის გარშემო იბრძოდნენ ერთი მხრით, ყაბარდოელი ბატონები, მეორე მხრით კი, ნუგზარ ერისთავი და კახეთის მეფე. გზის მიდამოებში — თაგაურის ხეობაში (თერგის ზემო წელი დარიალის კარების ჩრდილოეთით და მისი დასავლეთი გვერდითი ხეობები) მცხოვრები ოსები მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ და გზაზე კონტროლის არავითარი საშუალება აღარ ჰქონდათ.

---

[1] М. А. Полиевктов, Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, Тифлис, 1932, გვ. 29.

[2] С. Белокуров, Сношения России с Кавказом, Материалы..., I, М., 1889, стр. 286, 289, 304 — 305. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, XVII ს., ნაკ. I, თბ. 1944, გვ. 75—76.

მათი მთავარი საზრუნავი ყაბარდოელ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო, რომელთა ხელქვეითაც მოექცნენ ისინი ამ პერიოდში. ასეთი მდგომარეობა მყარი არ იყო და გზის გარშემო ბრძოლა შემდეგშიც გრძელდებოდა. 1601 წ. დავით ალექსანდრეს ძეს ნუგზარ ერისთავთან ბრძოლა ჰქონია და დაუმარცხებია. ნუგზარის ამ დამარცხებას მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივაც, რომ კახეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობისათვის დარიალის გზის გამოყენების შესაძლებლობა ეძლეოდა.

1604 წ. რუსეთის ელჩები მიხეილ ტატიშჩევი და ანდრია ივანოვი დარიალის კარებით გამოსვლას ლამობდნენ. ლარსში მათ შეიტყვეს, რომ ყაბარდოელ ბატონ სოლოღსა და ერისთავს შორის მტრობა გრძელდებოდა. ამ წელს სოლოღის ძმა დაეცა მთიულეთს და ალექსანდრეს სახასო სოფელი ხადა დაარბია. თვით ელჩებსაც ხევში აიტეკ-მურზას ხელქვეითი მოხევეები დაეცნენ, ოღონდ უშედეგოდ[1].

ხსენებული ელჩები კახეთიდან ქართლის მეფე გიორგისთან მივიდნენ. მეფის რწმუნებულები სთხოვდნენ ელჩებს მათთან მყოფი ჯარის რაზმი ქართლში დაეტოვებინათ. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ჩერქეზებს (ყაბარდოელებს) და გიორგის სამფლობელოს შორის მცხოვრები ოსები აწუხებენ ქართლს. ისინი ითხოვენ თერგიდან ჯარის გამოგზავნას ოსების დასასჯელად და ქართლში გზის უზრუნველსაყოფად. ელჩები აღუთქვამდნენ, რომ თერგს მისვლის უმალ 150 მეთოფეს გამოგზავნიდნენ, ოღონდ ისინი მხოლოდ ოსთა წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინათ. გიორგი მეფე პირობას იძლეოდა რომ «Сии 150 человек останутся в сонской земле, где они будут снабжены припасами»[2].

ერთი სიტყვით, გიორგი ქართლის მეფე რუსთა ჯარის მეშვეობით ვარაუდობდა დარიალის გზის კონტროლის თავის ხელში აღებას. თუკი მეთოფენი „სონთა“ მიწაზე — არაგვის

---

[1] С. Белокуров, Сношения... გვ. 454; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[2] М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., СПб, 1861, გვ. XX.

საერისთაოში იქნებოდნენ დაბანაკებული, მათი ძირითადი დანიშნულება სწორედ ის იქნებოდა, რომ უზრუნველეყოთ არაგვის ერისთავის ერთგულება ახალი სიუზერენის—ქართლის მეფის მიმართ და ამდენად გზაზე კონტროლიც. მეთოფეთა თხოვნის ოსთა დასჯის აუცილებლობით დასაბუთება, ჩვენის აზრით, უფრო დიპლომატიური მოსაზრებებით უნდა აიხსნებოდეს, რათა მეფეს არაგვის ძლიერი ერისთავი ნაადრევად არ განეწყო თავის წინააღმდეგ. ნუგზარი ის-ის იყო (1604 — 1605 წწ.) ქართლის მეფის ვასალი გახდა და ქართლის მეფის გაუფრთხილებელ ნაბიჯს შეიძლებოდა მისი ეს წარმატება სავსებით გაექარწყლებინა. ეს გარემოება, იმავე გზის კონტროლის საკითხთან დაკავშირებით, არ გამორიცხავს გზის მიდამოებში ოსთა აქტივობის ზრდას ქართლის მმართველი წრეების საზიანოდ. ამის გარეშე რუსთა ჯარის თხოვნის ხსენებული მოტივი ზოგიერთების თვალში (თუნდაც ნუგზარის) ძალიან საეჭვო გამოჩნდებოდა და სათანადო რეაქციასაც გამოიწვევდა. ოსთა დაწყნარებას ქართლის მეფე საკუთარი ძალებითაც მოახერხებდა, მას რომ ნუგზარის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა.

წყაროები არ გვაძლევენ საშუალებას გავარკვიოთ დარიალის გზის როლი XVII ს. 10—20-იან წლებში, როცა ქართლ-კახეთი ძძვინვარე შაჰ-აბასის შემოსევების არენად იქცა. თუ გავითვალისწინებთ ქართლსა და კახეთში სამეფო ხელისუფლების დასუსტებას შაჰ-აბასის პოლიტიკის შედეგად და არაგვის ერისთავთა გაძლიერებას (ზურაბ არაგვის ერისთავის დიდ როლს იმდროინდელი ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში), უნდა დავუშვათ, რომ გზაზე კონტროლიც ერისთავთა ხელში გადავიდა.

თეიმურაზ I-ის ელჩ ნიკიფორეს მიერ მოსკოვის მეფისადმი 1635 წ. 17 სექტემბრით დათარიღებული წერილის შინაარსიდან ვგებულობთ, რომ დარიალის გზაზე მცხოვრები ოსები და ქისტები თეიმურაზის ქვეშევრდომები არიან. «Он (თეიმურაზ. — გ. თ.) — ნათქვამია წერილში — имеет в подданстве близ каракалканцев (მოხევეები. —გ. თ.), между черкесскими мурзами, народы, называемые кистинцами и осетинцами, также и многие другие, которые

пред сим, под державою Иверии, были христианами, но теперь ни христиане, ни турки (მაჰმადიანი. — გ. თ.). Их число превышает 80000 домов».[1]

თუ თეიმურაზის ელჩის განცხადება ოს-ქისტების და სხვა მთიელ ხალხთა თეიმურაზისადმი მორჩილების შესახებ უბრალო დიპლომატიური ფორმულა არ არის, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მისმა ბრძოლამ დარიალის გზაზე კონტროლის დასამყარებლად გარკვეული შედეგი გამოიღო. ეს მას უეჭველად სჭირდებოდა რუსეთთან ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მტკიცე მაინც ვერ იქნებოდა. ვერც არაგვის ერისთავი, ვერც ყაბარდოელი ფეოდალები, ოსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვერ შეელეოდნენ გზის დაკარგვას, მის გარშემო მცხოვრებ ხალხებზე ბატონობის განზრახვას. უკვე 1638 წელს თეიმურაზს არაგვის ერისთავზე ახალი ლაშქრობის მოწყობა აუცილებლად მიუჩნევია. „შემდეგში რუსეთის ელჩებმა შეიტყვეს, — ნათქვამია ერთ მიმოხილვაში,—რომ თეიმურაზმა და მისმა დიდებულმა რევაზბეიმ ჯარით გაილაშქრეს მორჩილებიდან გამოსული ერისთავის წინააღმდეგ და, ვერ მიაღწიეს რა გამარჯვებას, დაეზავნენ“[2].

1637 წ. მაისიდან 1640 წ. იანვრამდე გრძელდებოდა ვოლკონსკისა და დიაკ ხვატოვის ელჩობა თეიმურაზ I-თან. ჩრდილოეთიდან მომავალ რუს ელჩებს ყაბარდოელი მფლობელი მუნდარ-მურზა უცხადებს, რომ მზადაა გააცილოს ისინი იქამდე, სადამდისაც მამამისი რუსთა სხვა ელჩობებს აცილებდა. «А хаживали преж сего царского величества послы в Грузи на Сони и на архидьякона Степана (ყაზბეგი. — გ. თ.) да Теймураза царя послушника на Аристопа князя»[3] — ასე უზუსტებს ელჩებს თავის ნათქვამს მუნდარ-მურზა. იგი განაგრძობს, რომ «преж сего государевы послы хаживали в Грузии на Аристопа князя. А тот Аристоп был преж сего Теймуразом не в миру, и

---

[1] Броссе, Переписка... გვ. XXVIII.

[2] იქვე, გვ. XXXV.

[3] М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615 — 1640), Тб., 1937, გვ. 234.

того сотника Григория (წინასწარ გზის დასაზვერავად გაავზავნეს. — გ. თ.) к Теймуразу не отпустит и у себя задержит» და თეიმურაზი «чает от Аристопа всякого дурна».[1] ამას ასე დაწვრილებით იმიტომ უხსნის ელჩებს. რომ დაარწმუნოს დარიალის გზით სარგებლობის შეუძლებლობაში. ამასთან ეფიცება, რომ მთებში გაიზარდა და საქართველოში (კახეთში) მიმავალი სხვა გზა არ იცის. ის ურჩევს მათ მოიცადონ, ვიდრე თეიმურაზი და ერისთავი მორიგდებიან დარიალის გზაზე ელჩობის გატარების თაობაზე. ხოლო თუ არ მოიცდიან, მაშინ ის თავისთავზე ღებულობს მათ გაცილებას. თავის მამის მსგავსად, ერისთავის სამფლობელოს საზღვრამდე: «только проводя до сонских щелей, поворотитца. а вы-де послы как хотите»[2].

მთელი ეს ამბები კარგად მოწმობენ, რომ თეიმურაზ-ერისთავის ბრძოლა პირველისათვის უშედეგო აღმოჩნდა და დარიალის გზაც არაგვის ერისთავის განკარგულებაში დარჩა. 1639 წ. 25 აპრილის სიგელში თეიმურაზი რუსთა მეფეს მიხეილ თეოდორეს ძეს ატყობინებს, რომ «с Эриставом Каракалканским (ასეც უწოდებდნენ არაგვის ერისთავს — გ. თ.) я в то время не мог помириться»[3]. ამის გამო იყო. რომ რუსთა ელჩები მან დარიალის გზით კი არა. მანამდე უვალი ქისტეთ-თუშეთ-ფშავის მთებით გადმოიყვანა.

თეიმურაზ I და არაგვის ერისთავის ურთიერთობის სიმწვავე შეპირობებული იყო ერთის მხრივ. მეფის მისწრაფებით მტკიცე მორჩილებაში მოეყვანა ურჩი ერისთავი და ჩრდილოეთთან თავისუფალი ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონოდა, მეორეს მხრივ, კი ერისთავების თავგამოდებული ცდებით — სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, უფრო ჰეტიც, თავისზე დამოკიდებული გაეხადათ მეფე. ამ ნიადაგზე დატრიალდა სისხლიანი ამბები, რამაც მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. თეიმურაზმა თავის სიძე ზურაბ არაგვის ერისთავი მოაკვლევინა, ხოლო მისი ძმისათვის

---

[1] М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), Тб., 1937, გვ. 235, 236.

[2] იქვე. გვ. 238.

[3] М. Броссе, Переписка... გვ. 28.

თვალები დაათხრევინა. მათი გადარჩენილი ძმა გაერისთავდა და, აღნიშნული რეპრესიებით დაშინებული, უფრო მწვავეღ დაუპირისპირდა თეიმურაზს.

არაგვის ერისთავთა ცდები ხელი შეეშალათა კახეთ-რუსეთის ურთიერთობისათვის იმითაც იყო შეპირობებული, რომ ეშინოდათ — თუ კახეთის მეფე რუსეთიდან დახმარებას მიიღებდა, პირველ რიგში იგი შეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის იქნებოდა გამოყენებული. ეს ცალკეულ ფეოდალთა სეპარატიზმის ალაგმვისა და დამორჩილების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ერთი სიტყვით, წყალში უნდა ჩაყრილიყო მთელი ის მონაპოვარი, რასაც ერისთავებმა სამეფო ხელისუფლებასთან მძიმე ბრძოლით მიაღწიეს.

როცა გაირკვა, რომ დარიალის გზით რუსთა ელჩების კახეთში ჩასვლა შეუძლებელი გახდა, დაიწყო ახალი მარშრუტის ძიება. 1639—40 წწ. იქით-აქეთ გავლილ იქნა კახეთთან დამაკავშირებელი გზის ახალი ვარიანტი. ადვილი არ იყო ამ ახალი გზის გადალახვა. საჭირო ხდებოდა ხევსურეთისა და თუშეთის გავლა. რუსთა ელჩები აჰყვნენ მდ. ქისტინკას, რომელიღაც უღელტეხილით (საძელის ან არხოტის) გავიდნენ ხევსურეთის არაგვზე და იქიდან კი ბორბალოს ქედით — ალაზანზე.

რუსი ელჩები დარიალის გზის გავლისას ჯამაგირებს ურიგებდნენ გზის გარშემო მცხოვრებ ხალხთა თავკაცებს, რათა მათ თერგზე ხიდები გაედოთ, გზები გაეწმინდათ და მათი მგზავრობის უშიშროება უზრუნველეყოთ. ვინმე „ჩერქეზი" (ყაბარდოელი) მფლობელი ხავსა რუსთა ელჩებს ვოლკონსკისა და დიაკ ხვატოვს ეუბნება, რომ უწინ ელჩები საქართველოში ერისთავის სამფლობელოთი მიდიოდნენ, ხოლო „ის და სხვა მთიელი მფლობელები გვერდზე რჩებოდნენ. მაგრამ მათ ხელმწიფის ჯამაგირი ეძლეოდათ იმის გამო, რომ წინა ელჩობათათვის ისინი თერგზე ხიდებს სდებდნენ და გზებს სწმენდნენ. ახლაც, ხელმწიფის ელჩები, გზის გაწმენდის გარეშე ვერ შესძლებთ ბარგის თანხლებით გავლას. ხავსა გაცილებასა და გზის გაწმენდას მარტო თავისთავზე ვერ მიიღებს, რადგან თავადი ერისთავი (არაგვის ერისთავი. — გ. თ.) თეიმურაზ მეფესთან მტრულ დამოკიდებულებაშია და

მრავალი მთის ხალხიც შეგროვილია. ეშინიათ ერისთავისა და სხვა მთიელი მფლობელების თავდასხმისა"[1].

ამ ამბებზე შეჩერება შესაძლებელია უშუალოდ ჩვენი ამოცანა არც კი იყოს, მაგრამ მას შეუძლია, ჩვენს საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთი მომენტის გაგება-გათვალისწინება გაგვიადვილოს. კერძოდ, ცხადი ხდება გზის გარშემო დიდი შეხლა-შემოხლის ატეხვა. მის ხელში ჩაგდებას ცდილობენ კახეთის თუ ქართლის მმართველი წრეები, არაგვის ერისთავები თუ უაბარდოელი ფეოდალები. გზის ხელში ჩასაგდებად ბრძოლა იყო ამავე დროს ბრძოლა თაგაურელ ოსთა დასამორჩილებლადაც, რის გარეშეც, გზაზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელი იყო. ჩანს ისიც, რომ ხშირად უაბარდოელ ფეოდალებსაც მოუხერხებიათ ოსთა დამორჩილება. 1604 წ. საქართველოში მოშავალმა რუსთა ელჩობამ მიიღო ცნობა, რომ ოსები უაბარდოელ მფლობელ აიტეკ-მურზას მორჩილებაში არიან. აიტეკ-მურზა სთხოვდა თერგის ვოევოდას, რათა მას დახმარება აღმოეჩინა მისთვის გამდგარი ოსების ხელახლად მორჩილებაში მოსაყვანად. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში დარიალის გზით მიმოსვლა გაძნელდებაო[2]. აშკარაა, რომ საქმე თაგაურის ოსებს ეხება და მათი მორჩილების გარეშე არც ერთ მხარეს გზაზე მიმოსვლის უზრუნველყოფა არ შეუძლია. ოსები არ იჩენენ უაბარდოელ ფეოდალთადმი მორჩილების ხალისს და განაგრძობენ თავგანწირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა რომ უპერსპექტივო არა ყოფილა, მტკიცდება აიტეკ-მურზას, ძლიერი უაბარდოელი ფეოდალის, ცდით, რუსეთის მხედრობის დახმარებით, უზრუნველჰყოს თავის ბატონობა ოსებზე.

1651 წელს მოსკოვის ხელმწიფემ თავისი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი გამოგზავნა იმერეთში იმერეთის მეფის ალექსანდრე III (1639 — 1660) 1649 წლის ელჩობის პასუხად. ელჩები ვარაუდობდნენ დარიალის გზით ქართლში და იქიდან იმერეთში გადასვლას. თეიმურაზისა და არაგვის ერისთავის მტრობამ შეუძლებელი გახადა ამ გზაზე ელჩობის

---

[1] М. Полиевктов, Материалы..., зд. 248—249.

[2] С. Белокуров, Сношения..., вып. 1,зд. 508.

გადმოსვლა. მათ გეზი იცვალეს, დასავლეთისაკენ გაუხვიეს და, დიდი ყაბარდოს გავლით, მდ. ურუხის აუზში გავიდნენ. აქედან, რომელიმე უღელტეხილის გადალახვით, შესაძლებელი იყო იმერეთში გადასვლა.

ასე რომ, დარიალის გზის გამოყენებას XVI — XVII სს. თან მრავალი სიძნელე ახლდა. ეს სიძნელეები, როგორც დავინახეთ, გზის მფლობელობის საკითხთან იყო დაკავშირებული.

დარიალის გზის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნეში. ქართლის მეფე ვახტანგ VI (1703 — 1724) ცხოველი ურთიერთობა გააჩაღა რუსეთთან. მართალია, მისი ურთიერთობა რუსეთთან უპირატესად სამხედრო-ოსეთის (ალაგირის ხეობით) და მის დასავლეთით მდებარე რაჭა-დიგორის გზებით ხორციელდებოდა, მაგრამ ამ ამბებიდან არც დარიალის გზა იყო გამორიცხული. უკანასკნელის გამოყენება არაგვის ერისთავთა მეფის ხელისუფლებასთან კეთილგანწყობილებას გულისხმობდა, რაც ხშირად დარღვეული იყო. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა გზის გასავლელად ერისთავთა ნება-სურვილს, ჩანს არაგვის ერისთავის ბარძიმის წერილიდან, რომელსაც ის სწერს თერგის გუბერნატორს 1728 წ. 14 ოქტომბერს: „თუ ქვეყნის შველა გინდათ, ნუღარ გვიანობთ, თუ გეპრიანებოდესთ, გზა ეს ჩვენი მაშული არის, თერგიდამ მესამეს დღეს ჩვენს ალაგში მოვა... რაც სიმაგრე არის საქრისტიანოში, ყველას კელთ დავაჭერინებთ ქვეყანასა და ციხესა. ასეთი ალაგები გვაქვს, მტრისაგან მიჟამში არ გატეხილა, აგების ქვეყანა არ გაურჯულოვდეს“[1].

დარიალის გზა რუსეთთან კავშირისა და რუსების მოსაყვან გზად იყო აღიარებული. ამიტომაც ქართლის და კახეთის სამეფოების ურთიერთობაში არაგვის საერისთავოსთან ეს მომენტი უეჭველად თავს იჩენდა. იგივე ბარძიმ ერისთავი 1731 წ. სწერდა რუსეთში მყოფ ვახტანგ VI: „...როსტომ, ფაშის მუსალიმი, ქალაქში იჯდა. კახმა ბატონმა ასე დამაბიზღა: „ბარძიმი ვახტანგ მეფის გამოგზავნილი არის. ჩემი ჭოყვარე პაპუა კელშეკრული ვახტანგ მეფეს მოსკოვში გაუ-

[1] М. Броссе, Переписка..., გვ. 153—154.

გზავნაო და სახლის კაცებიც გაუგზავნაო. რუსეთის გზა მაგას უჭირავსო, თუ ეგ არ მოჰკალით, იმათაც (რუსებს — თ. გ.) მოიყვანსო, ამ ქვეყნებსაც აგირევსო"[1]. „კახთ ბატონის ფიქრი ეს არის. რევაზ ყელში ჰყავს, იმის მიზეზით ქვეყანას წამართმევს, თვითონ დაიჭერს. თუ ეს ქვეყანა დაიჭირა, ლეკისა პირი აქვს მიცემული, ამ გზას ის დაიჭერს... მანამდე მე ეს გზა მიჭირავს მობძანდით, ხონთქარი, ყეენი თქვენ შემოგეხვეწებათ, ეს ქვეყანაც მუქთათ თქვენ დაგრჩებათ"[2].

ბარძიმის წერილების შინაარსი შემდეგია: რუსეთთან ურთიერთობის გზა ჩემს მამულზე გადის. ამის ეშინიათ და მემტერებიან კახთ ბატონიც და ქართლში გაბატონებული თურქებიც. სანამ საერისთავო არ ჩამომართვეს, მოდი ჯარით, გზას ჰოგცემ, დიდებულთა მხარდაჭერას გაგინაღდებ და ქვეყანას ხელში ჩაიგდებო. შემდეგში, გზის შენს კონტროლის ქვეშ არსებობა თურქებსა და სპარსელებს აიძულებს დათმობაზე წავიდნენ შენს მიმართო.

ასეთსავე წინადადებას აძლევს ვახტანგ VI კათალიკოსი ბესარიონი 1733 წლით დათარიღებულ წერილში. იგი წერს. რომ ყაენმა მთის ადგილების დაჭერას მიჰყო ხელი და ეს თუ მოახერხა, მერე შენი ცდიდან — დაიბრუნო ქვეყანა, აღარაფერი გამოვაო. ან შვილი გამოგზავნე, ან შენ ჩამოდი, ანდა ორივეენი ერთადო: „წინააღმდეგი აღარავინ არის, ეგ მთის ადგილი დაიჭირეთ, იქიდან მთა და ბარი ყელთ დაგრჩებათ, ვერც რას ყეენი დაგაკლებთ, ვერც არას ხვანთქარი და მაგათთანაც (რუსებთან. — გ. თ.) პირნათლად დარჩებით, სამიდღეშიოდ ეგენი ზურგად გეყოლებიან"[3].

ბარძიმ ერისთავის და კათალიკოს ბესარიონის წერილებში ზედმიწევნითაა დახასიათებული დარიალის გზის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. მისი კონტროლი მთიანეთის შემომტკიცების საშუალებას იძლეოდა, აქედან კი ქართლის ტახტის დაჭერა და ქვეყნის შემომტკიცება ადვილად მოსახერხებელი საქმე იყო. გზაზე კონტროლი თურქ და სპარსელ

---

[1] М. Броссе, Переписка..., გვ. 190—191.
[2] იქვე, გვ. 192.
[3] იქვე, გვ. 199.

დამპყრობლებს რუსთა შემოყვანის მუდმივი საფრთხის წინაშე დააყენებდა და აიძულებდა დათმობაზე წასულიყვნენ.

(დარიალის გზის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება XVIII ს. მეორე ნახევრიდან. ქართლის მეფე თეიმურაზ II და კახეთის მეფე ერეკლე II ჩრდილოეთით რუსეთთან ურთიერთობას აფართოებენ. არაგვის საერისთავოს დამორჩილებით XVIII ს. 40-იან წლებში ისინი გზის კონტროლს თავის ხელში იღებენ, აწესრიგებენ ურთიერთობას გზის ჩრდილო მონაკვეთზე მცხოვრებ ოსებთან და, ამავე დროს, ღებულობენ საგანგებო ზომებს მის კეთილმოსაწყობად, სავაჭრო-საქარავნო მიმოსვლისათვის მოსამზადებლად.

და მართლაც, თუ მანამდე გზა ელჩობათა გასატარებლად და სამხედრო მიზნებით გამოიყენებოდა, ახლა, XVIII ს.-ის 50-იან წლებში, იგი ეკონომიურ მნიშვნელობასაც იძენს.

თეიმურაზ II 1755 წლით დათარიღებულ სიგელში ნათქვამია, რომ „ოსეთის გზით ვაჭარნი და ქარავანნი მოვიდნენ ქალაქში (თბილისში. — გ. თ.)"[1]. ეკონომიური მიზნით გზა დიდხანს გამოუყენებელი რჩებოდა. თეიმურაზისავე სიტყვით, „ამას წინად არას დროსა და ჟამს არა ქმნილიყო, რომ ოსეთზე ქარავნის გზა ყოფილიყოს და ამ მთის გზაზედ ქარავანი, ვაჭარი და სოვდაგარი მოსულიყო და ამ გზიდან ქალაქში სავაჭრო მოეტანათ"[2].

ეს სიტყვები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ოსეთზე გზა ახლად გავიდა. გზა რომ დიდი ხანია არსებობდა და თავის დროზე მას დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა, ამაზე სათანადო ადგილზე აღვნიშნეთ კიდეც, ხოლო XVI—XVIII სს. რომ მას დიპლომატიური და სამხედრო მიზნებით იყენებდნენ, ამას მოწმობენ ზემომოყვანილი მასალები. აქ იგულისხმება გზაზე მიმოსვლის გაადვილება, რომელიც არაგვის საერისთავოს დამორჩილების, ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგებისა და გზის საექსპლოატაციო თვისებების გაუმჯობესების შედეგი იყო. მანამდე ელჩობის გავლაც კი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. სავაჭრო ქარავნის გავლაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

---

[1] Акты Кавказской Археографической Комиссии (Акты), под ред. Берже, т. II, Тифлис, 1868, გვ. 1133.

[2] იქვე.

ამ გზით საქართველოში (ყერძოდ, თბილისში) სავაჭრო ქარავნების მოსაზიდათ თეიმურაზმა შეღავათიანი ბაჟები დააწესა და ამით ხელი შეუწყო ინტენსიურ სავაჭრო-საქარავნო მოძრაობას. ამ გზით საქართველოს იმდენი საქონელი მოაწყდა, რომ 1771 წელს ერეკლემ საჭიროდ აღარ სცნო შეღავათიანი ბაჟი და გააუქმა იგი კიდეც[1].

ერთი სიტყვით, რაღაც 20-მდე წლის მანძილზე დარიალის გზამ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა მოიპოვა. მას „ასტრახნის გზასაც" უწოდებდნენ, რადგან ასტრახნიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან უამრავი საქონელი მოდიოდა.

დარიალის გზით, რუსეთ-თურქეთის 1769 წელს დაწყებულ ომთან დაკავშირებით, ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონ I თხოვნით საქართველოში შემოვიდა რუსთა ჯარი. ოსები ჯერ უწყობდნენ რუსი ჯარის საქართველოში შემოსვლას, ოღონდ გზაზე მათი გამოტარებისათვის გარკვეულ საზღაურს მოითხოვდნენ. 1771 წლის ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დარიალის გზაზე რუსი ჯარის გამოტარებისათვის საჭირო გამხდარა ოსებზე როგორც ძალით ზემოქმედების მოხდენა, ასევე მათთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გამართვა. ამ საქმეში გამოუყენებიათ მცირე ყაბარდოელი მფლობელი არსლამბეგ ტაუსულტანოვი, რომელიც ნებაყოფლობით იმყოფებოდა საქართველოში მიმავალ გზაზე მცხოვრებ ოსთა დასამშვიდებლად გაგზავნილ რაზმში. ამისათვის მას წლიურად 50—100 მანეთი ჯამაგირი დაენიშნა[2].

გრაფ. ნ. პანინისადმი თავად მოურავოვის 1769 წლის 3 სექტემბრის პატაკში ნათქვამია, რომ იგი შეუერთდა გრაფ ტოტლებენს ოსეთის მთებში. 10 ვერსზე ქართლის საზღვრიდან, სადაც ოსებმა ტილოსა და ფულის საზღაურად მდ. თერგზე 6 ხიდი გასდეს. 3 ხიდი გასდეს ქართველებმა, ხოლო 1 თვით რაზმის მოსამსახურეებმა[3].

---

[1] Акты Кавказской Археогр. Комиссии (Акты), под ред. Берже, т. II, Тифлис, 1868, გვ. 1136.

[2] Акты, I, გვ. 85.

[3] А. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т. I (с 1768 по 1774 год), СПб, 1891, გვ. 60.

როგორც ვხედავთ, დარიალის გზაზე რუსის ჯარის შეუფერხებელი მოძრაობისათვის ოსთა მხარდაჭერასა და კეთილგანწყობილებას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. შემდეგში, ზოგიერთი რუსი სამხედრო მოხელის უტაქტობის გამო, გამწვავდა ოსებთან და სხვა მთიელებთან ურთიერთობა და გზაზე მიმოსვლაც შეფერხდა. კაპიტანი იაზიკოვი 1770 წლის სექტემბერში გრაფ პანინს მოახსენებდა, რომ მთებზე მიმოსვლა ძალიან გაძნელდა, რადგან ტომსკის პოლკმა გააბოროტა როგორც ოსები, ასევე ლეკები. ამის გამო ჩვენებს ან ძარცვავენ, ან გატარებისათვის დიდ ფულს მოითხოვენ[1].

ოსთა მისწრაფება დარიალის გზაზე კონტროლისადმი თუ რამდენად ძლიერი ყოფილა, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ 1772 წელს საქართველოდან რუსეთს მიმავალი აკადემიკოსი გიულდენშტედტი დააკავეს და მხოლოდ რუსეთის ადმინისტრაციის ჩარევისა და საჩუქრების გაღების შემდეგ გაათავისუფლეს[2].

რადგან რუსეთის საქართველოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი მოხერხებული გზა დარიალის გზა იყო, ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცება შეუძლებელი იყო ამ გზაზე კონტროლის გარეშე. რუსეთის ხელისუფლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გზის მზადყოფნას და სათანადო სამუშაოებსაც ატარებდნენ; სწმენდნენ მას, მდინარეზე გადასასვლელ ადგილებში აგებდნენ ხიდებს და სხვ. XVIII ს. მთელ მანძილზე რუსეთის ჯარის რაზმების ყოველ გადმოსვლას წინ უსწრებდა რუსი მოხელეების საკმაოდ ვრცელი მიმოწერა ქართველ ხელისუფლებთან დარიალის გზის წესრიგში მოყვანის შესახებ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის საჭირო ხდებოდა გზის გაწმენდა და ხიდების გაკეთება. ამ მხრივ დამახასიათებელია გენ. კნორინგის წერილი გიორგი XII-დმი 1799 წ. 23 ივლისს, რომელშიც აღნიშნავს, რომ მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია დარიალის გზის გაწმენდა და ხიდების მოწყობა მისი სამფლობელოს საზღვრამდე.

---

[1] А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I (с 1768 по 1774 год), СПб, 1891. გვ. 161.

[2] Акты, I, გვ. 86.

რომელიც ყაზბეგთან ახლო გადის. ამისათვის ის ეძიებს ოსებს და სხვა მთის ხალხებს, რომლებიც გზის წესრიგში მოყვანას შესძლებენ[1].

დარიალის გზის გადაკეტვით რუსთა პოზიციები საქართველოში საფუძვლიანად შეირყეოდა. გრაფ მუსინ-პუშკინის 1802 წ. წერილში საგანგებოდაა ხაზგასმული ასეთი შესაძლებლობის დამღუპველობა რუსთა პოზიციებისათვის ამიერკავკასიაში და მითითებულია გზაზე კონტროლის დამყარების აუცილებლობაზე.

მუსინ-პუშკინის აზრით, ოსთა დამორჩილებას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კავკასიელები იფიქრებენ, რომ რუსებს ძალა არ შესწევთ ეს პატარა ხალხი — ათასიოდე სულს რომ ძლივს შეადგენენ, დაიმორჩილონო[2].

მუსინ-პუშკინი ადგენს პროექტს, რომელიც, მისი აზრით, გზაზე რუსეთის კონტროლს და რუსი ჯარის შეუფერხებელ მიმოსვლას უზრუნველყოფს. ამისათვის საჭიროა ხეობის სამ ადგილზე — ბალთასთან, სადაც იწყება მთებში შესავალი და სადაც თერგზე პირველი გადასასვლელია, ლარსთან — ხეობის ყველაზე ვიწრო გასავალთან და დარიალთან — საქართველოს საზღვრის ახლოს, სამხედრო პოსტების მოწყობა, რომლებიც ორ-ორი საველე ზარბაზნით მაინც იქნებიან უზრუნველყოფილი. ამით არამარტო თაგაურელთა თვითნებობას მოეღება ბოლო, არამედ ოსები რუსების ნებართვის გარეშე გზაზე გამოჩენას სულ ვერ გაბედავენო; «дорога же оная составляет теперь единственно возможный путь для проезда на подводах из России в Грузию, следственно и есть предмет первейшей важности для охранения царства сего.[3]

მოყვანილი ამონაწერიდან კარგად ჩანს, თუ რუს მოხელეებს საქართველოსთან კავშირის შესანარჩუნებლად რაოდენ საჭიროდ მიაჩნდათ დარიალის გზის კონტროლის თავის ხელში აღება. ასეთი კონტროლი უზრუნველყოფდა არამარტო საქართველოსთან რუსეთის უწყვეტ კავშირს, არამედ

---

[1] Акты, I, გვ. 97—98.

[2] იქვე, გვ. 398.

[3] იქვე.

რუსეთის მთავრობისადმი დარიალის გზის გარშემო მცხოვრები ხალხების, მათ შორის, პირველ რიგში, თაგაურელი ოსების უსიტყვო მორჩილებასაც. ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა (1801 წ.), დარიალის გზის გამოყენებისათვის რუსეთის მთავრობა მიმართავდა თაგაურელი ალდარების (სოციალურად გაბატონებულ ფენას ეწოდებოდა) მოფერება-მოსყიდვის პოლიტიკას. იგი უხვად ურიგებდა სამხედრო ჩინებსა და მათ შესაბამის ჯამაგირებს გზის გასწვრივ მდებარე ოსური სოფლების ავტორიტეტულ მფლობელებს, აჯილდოებდა მათ ორდენ-მედლებით. პ. პოტიომკინის 1787 წლის ერთ-ერთ მოხსენებაში (რაპორტი) ნათქვამია, რომ თაგაურელ ოს მფლობელებს ნიკოლოზ პავლოვს ახმეტოვის ძეს და პეტრე პავლოვს კაიტუკას პრაპორშჩიკების ჩინები მიენიჭათ. ამათი მაგალითი სხვებსაც წააქეზებს რუსეთისადმი ერთგულების საქმეში[1].

გზის გაწმენდისა და მასზე ხიდების გაკეთების საზღაურად თაგაურელი ოსები ფულად და ნატურალურ გასამრჯელოს ღებულობდნენ. ოსები ყოველმხრივ ცდილობდნენ გზაზე კონტროლი — შეშოსავლის ეს უშრეტი წყარო, არ დაეკარგათ და ამ კონტროლზე ხელყოფის ყოველგვარ ცდას შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. რუსეთის სამხედრო ნაწილების ან ცალკეული რუსი მოხელეების გატარებისათვის ისინი სასყიდელს მოითხოვდნენ. რიგ შემთხვევებში რუსეთის მთავრობა ოსების წინააღმდეგ დამსჯელ ღონისძიებებს მიმართავდა, მაგრამ კავკასიაში პოზიციების სისუსტე მეფის მთავრობას საშუალებას არ აძლევდა ბოლომდე თანმიმდევრული ყოფილიყო ამ საკითხში და უპირატესად ოსებთან მორიგების გზით ცდილობდა ამ პირველხარისხოვანი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გზის საკითხის გადაჭრას.

დარიალის გზაზე თაგაურელ ოსთა „თვითნებობა“ რუსი მოხელეებისათვის ხშირად იმდენად აუტანელი იყო, რომ მათი სამხედრო ძალით დასჯის საქმეს თვით უმაღლესი რანგის სამხედრო მოხელენი უდგებოდნენ სათავეში. გრაფ მუსინ-პუშკინის ცნობით, კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა გენ

---

[1] ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 416, ч. 2, фурц. 24.

კნორინგმა 1802 წელს, თბილისიდან მოზდოკს მიმავალმა, გადაწყვიტა ერთ-ერთი თაგაურელი მფლობელის დუდარუკო ახმეტოვის დასჯა. იგი ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ მის დამორჩილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით კავკასიის ხაზსა და საქართველოს შორის შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა, ფოსტის მიღებაც კი[1].

თვით გენ. კნორინგი წერილში პ. ციციანოვისადმი სხვანაირად გადმოგვცემს მუსინ-პუშკინის მიერ აღწერილ ამბებს. მისი ცნობით, დარიალის გზაზე მცხოვრები ოსები, რომელთა ზედაფენის ზოგ წარმომადგენელს რუსული ჩინ-მედლები აქვთ, საკმაოდ მშვიდობიანნი არიან, მაგრამ გზაზე მიმოსვლას ხელს უშლიან. განსაკუთრებით ეს ეხება დუდარუკო ახმეტოვს. ამიტომ მან მის საცხოვრებელში გაგზავნა 1 ასეული ქვეითი და 2 ასეული კაზაკი და, როგორც თვითონ აღნიშნავს, ფერფლად აქცია იგი. როცა საქართველოში წასასვლელად ვლადიკავკაზში რუსი ჯარი შეგროვდა, ოსებს ეგონათ მათ დასასჯელად მოდიოდნენ და გზა ჩაუკეტეს. როცა აუხსნეს რაშიც იყო საქმე, მაშინ გაატარეს. ის გამოთქვამს აზრს, რომ თუ არ დაარღვევ ოსთა ადათ-ჩვეულებს, მათ შეიძლება ერწმუნოო[2].

კნორინგის წერილიდან ირკვევა, რომ, ტრაბახის მიუხედავად, მან თაგაურელებთან ძალით ვერაფერი გააწყო და მშვიდობიანი მოლაპარაკება არჩია. იგი მოითხოვს, რომ არ გააღიზიანონ თაგაურელი ოსები და მაშინ გზაზე მიმოსვლა არ შეფერხდებაო. რუსეთის მთავრობას სწორედ შეფერხების ასეთი პერსპექტივა აშინებდა. ამ შიშს გამოხატავს გენერალ-მაიორ ტუჩკოვის მოხსენება 1802 წელს ვახტანგ ბატონიშვილის საქმიანობასთან დაკავშირებით. «Вся же опасность состоит в том, чтобы он бросаясь в Казбек, не взбунтовал Осетинцев и Тагаурцев и тем не пересек бы вовсе сию коммуникацию и не затруднил бы путь войскам, идущим с линии, и сие есть вероятнейшее из всех его замислов»[3].

---

[1] Акты 1, გვ. 396 — 397.

[2] იქვე, გვ. 411.

[3] იქვე, გვ. 271.

რასაკვირველია, რუსეთის ხელისუფალთა აღნიშნული შიში უსაფუძვლო არ იყო. თაგაურელ ოსებს, თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობის გამო, ადვილად შეეძლოთ გზის ჩაკეტვა. ძალით მის გახსნას საკმაოდ დიდი ჯარი დასჭირდებოდა, რაც კავკასიაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო ყოველთვის როდი იყო სახეზე.

რა დამოკიდებულებას იჩენდნენ ქართლ-კახეთის პოლიტიკური მესვეურები დარიალის გზისადმი, რა ღონისძიებებს ახორციელებდნენ ისინი რუსეთთან ურთიერთობის შეუფერხებლობისათვის? როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარიალის გზაზე მიმოსვლა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XVIII ს. 50-იან წლებიდან. ქართველი პოლიტიკოსები თაგაურელ ოსებთან კეთილმეზობლური ურთიერთობით, გავლენიანი პირებისათვის ჯამაგირების დანიშვნითა და სხვა მსგავსი ზომებით აღწევდნენ გზაზე თავისუფალ მიმოსვლას.

თაგაურელ ოსს ადლიშვილ ბეზას ერეკლე II მიერ ყოველწლიური ჯამაგირი ჰქონია გაჩენილი. 1785 წლის წყალობის წიგნში ნათქვამია: „ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან, გაგიჩინეთ ჯამაგირი შენ, ჩვენს ერთგულსა და სამსახურის მოწადინეს, თაგაურს ადლიშვილს ბეზას წელიწადში თორმეტის მარჩილის ფარჩა. თუ შენ ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა იქნები, ამ ჩვენს განწესებულს ჯამაგირს ჩვენის კარის მოხელენი ყოველს წელიწადს უკლებლად მოგცემენ და არც მოგეშლება იცოდე“. იმავე საბუთის მინაწერიდან ჩანს, რომ 1799 წელს აღნიშნული ოდენობის ჯამაგირი გიორგი XII-მაც დაუმტკიცა ბეზას[1].

ჯამაგირის გაჩენის შესახებ მსგავსი წყალობის წიგნები სხვა თაგაურელ ოსებსაც ჰქონიათ მიცემული ერეკლე II და გიორგი XII მიერ. გიორგი XII წყალობის წიგნში აცხადებს, რომ „შენ შანაშვილს ბესლანს კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ჯამაგირი გქონდა გაჩენილი და ეს ჯამაგირის წიგნი ერევნის ომში დაგკარგოდა და ახლა ჩვენ გაგიჩინეთ წელიწადში ორმოცი მარჩილის ფარჩა. როცა შენ ჩვენთან ჩამოხვალ, ეს ჩვენგნით განწესებული ჯამაგირი (!) ჩვენის კარის

[1] საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 947.

მოხელენი ჩვენის სალაროდან უკლებლივ მოგცემდნენ და შენც უნდა ჩვენის სამსახურის მცდელი და ერთგული იქმნებოდე და არც შენ დაგაკლდება ყოველს წელიწადს ეს ჩვენი მოცემული ჯამაგირი"[1]. თასულთან დუდარიშვილს ერთგული სამსახურის პირობად გიორგი XII-საგან წლიურად 30 მარჩილის ფარჩა ჰქონდა გაჩენილი[2].

თაგაურელ ოსებთან ურთიერთობის მოგვარება ქართველ ხელისუფალთა მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. ერეკლე II ბრძანებაში ყაზიბეგიშვილ გაბრიელისადმი 1791 წ. 29 აგვისტოს აცხადებს: „შენი წიგნი მოგვიიდა, რაც ეწერა ყველა შევიტყეევით. შენ როგორც ჩვენი სიტყვა გაქვს, ისე ყველას დაუარე და შეატყობინე და მზად იყვნენ. თაგაურებისა რომ მოგეწერა, ზოგიერთს კაცს ცალკე დაჰპირდი რასმეო, ჩვენგან ეგ არ იქნება ამიტომ რომ მაგათ ჩვენი წყალობაც სჭირთ, ჯამაგირებიც აქვსთ. მოვლენ, თავიანთ ჯამაგირსაც აიღებენ ხოლმე და სხვაც მიეცემათ ხოლმე. ნიადაგ ჩვენი მადრიელები წასულან და ახლა მაგგვარი ლაპარაკები რათ უნდათ, როდის უნახავთ, რომ ჩვენ მაგათთვის გვეშტყუნებინოს და თუ მაგათ არ უნდათ, ჩვენ სხვის გზასაც ვიშოვნით და იმაზე მოვიყვანთ ჯარსაც. მძევლების რომ მოგეწერა, როგორც კვლავ მომხდარა, ახლაც ისე უნდა მოხდეს"...[3]

იმავე წლის 19 სექტემბერს ერეკლე II ატყობინებს გაბრიელ ყაზიბეგიშვილს: „...შენი ძმა იოანე მოვიდა და შენი წიგნი და თაგაურების წიგნი მოგვიტანა. რაც ან თაგაურებს და ან შენ მოგეწერა ვიუწყეთ და თაგაურებსაც პასუხი მივწერეთ. როგორც ეგენი დაგვიბარებია თუ ისე ჩამოვიდნენ და მძევლებსაც ჩამოიყვანენ, ხომ ის არის და თუ ისე არ ჩამოვლენ, უფროს უფროსნი კაცნი ასეთნი ჩამოვიდნენ და მძევლებიც ჩამოიყვანონ, რომ რაც იმათთან ლაპარაკი და მორიგება მოხდეს, ის დამტკიცდეს. სხვათ წინააღმდეგობა და მოშლა აღარ შეეძლოსთ. თუ ღთის ნება არის და კარგად რიგიანად მოვრიგდებით, ხომ ის არის და თუ რიგიანათ ვერ მოვრიგდებით, მასუკან მაგათ თავიანთ გზა დარჩებათ და ჩვენს

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 13693.
[2] იქვე, საბ. 4020.
[3] იქვე, საბ. 10276 გ.

ქარავნის კაცთ სხვას გზაზედ ვატარებთ... რომელნიც ჩერქეზები იყვნენ წამოსასვლელნი, თაგაურებისათვის მოგვიწერია. რომ გზა დაანებონ"...[1]

მოყვანილი დოკუმენტები მრავალმხრივაა საინტერესო, ისინი დარიალის გზის მიმართ ქართლ-კახეთის მეფეთა დამოკიდებულებისა და გზით სარგებლობის მრავალ ასპექტს გვიხასიათებენ. პირველ ყოვლისა თვალში გვხვდება ის, რომ მრავალი თაგაურელი ჯამაგირს ღებულობს ქართველი მეფის სალაროდან და მის გარდა სხვა წყალობაც ეძლევათ. ჩანს, თაგაურელები უფრო მეტს მოითხოვენ და საჭირო ხდება მეფესთან ახალი შეთანხმების დადება. შუამავლად ხევის მებატონე გაბრიელ ყაზბეგი გამოდის. იგი ურჩევს მეფეს, რომ თაგაურელ თავკაცებს ცალკე დაჰპირდეს რაიმეს და გაიადვილოს მათთან შეთანხმება. ერეკლე II ასეთი წინადადების პრინციპული მოწინააღმდეგეა, რამდენადაც ამით იგი თაგაურელებთან ურთიერთობაში თავისთვის არასასურველ პრეცედენტს შექმნიდა და გზის შემდგომი გამოყენების პირობებს გაიუარესებდა. ერეკლე თანახმა იყო თაგაურელებთან შეთანხმებისა დარიალის გზაზე ჩრდილო კავკასიაში დაქირავებული ჯარისა და ქარავნების გამოტარების თაობაზე ძველი პირობების საფუძველზე. საბუთები არ გვიჩვენებენ, როგორი იყო, კონკრეტულად, ძველი პირობები. ირკვევა, რომ ძველ პირობებში თაგაურელთადმი წყალობა-ჯამაგირებს ძირითადი ადგილი ეკავათ. თაგაურელები, მეფესთან დადებული ამა თუ იმ კონკრეტული შეთანხმების დაცვის საწინდრად, მძევლებს იძლეოდნენ, რომელთაც, შეთანხმების პირობების შესრულების შემდეგ, უკან აბრუნებდნენ. ახლა თაგაურელები მოითხოვენ შეთანხმების პირობების მათ სასარგებლოდ გადასინჯვას. ერეკლე არ თანხმდება ამაზე, მაგრამ დაქირავებული ჯარის საჭიროება აიძულებს მას კომპრომისზე წავიდეს. ერეკლე აშინებს თაგაურელებს, რომ თუ მის პირობებს არ მიიღებენ, იგი ჯარსა და სავაჭრო ქარავნებს სხვა გზით მოიყვანს. მაგრამ ასეთი მუქარის ფასი კარგად იცოდა როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ. ერეკლეს არც უფრო ადრე და არც მაშინ

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 10276 ბ.

ჩრდილო კავკასიიდან ჯარის თუ ქარავნის გადმოსაყვანად სხვა გზის გამოყენება არ შეეძლო, რამდენადაც ასეთი გზა არ არსებობდა. დოკუმენტებიდან არ ჩანს, რით დამთავრდა მოლაპარაკება. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მხარეთა კომპრომისული შეთანხმებით დამთავრდა. დარიალის გზით ჯარისა და სავაჭრო ქარავნების მიმოსვლა არ შეწყვეტილა.

მტკიცედ დამკვიდრდა წესი, რომ, დარიალის გზაზე ჯარის ნაწილების გადმოყვანის ან დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გატარების შემთხვევაში, მათი უშიშროების უზრუნველსაყოფად, თაგაურელთაგან მძევლები აეყვანათ. ეს წესი ერეკლეს შემდეგაც გრძელდებოდა. გიორგი XII 1800 წლის 24 იანვრის ბრძანებაში თაგაურელებს სწერს: „...ეს ჩვენი ეშიკაღაბაში გარსევან და ჩვენი ოდიევანი ელიაზარ დიდებულის ჯელმწიფის კარზედ გავგზავნეთ და თქვენ უნდა რომ თქვენიდამ როგორც რიგი არის მზევლები მისცეთ სტეფანწმინდას ყაზიბეგიშვილს ბაადურთან უნდა დააყენოთ და ესენი ისე კარგი სიფრთხილით და მშვიდობით უნდა გარდააცილოთ თუ ჩვენი ერთგულნი და ჩვენის სამსახურის მცდელნი ხართ. ახლა გაგიჩნდებათ ჩვენი ერთგულობა და სამსახური როგორც ამაზე გაირჯებით და მშვიდობიანათ გარდააცილებთ. ამ სამსახურს დიდათ დაგიმადლებთ და ჩვენგანაც წყალობა დაგემართებათ“[1].

ბრძანება კარგად მიუთითებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რასაც გიორგი XII რუსეთს გაგზავნილ თავის ელჩობაა აძლევდა. ამით აიხსნება ის დიდი სიფრთხილეც, რაც დარიალის გზაზე მათი გატარების უსაშიშროებისათვის გამოიჩინა მან. თაგაურელ ოსებს არამარტო მძევლები უნდა მიეცათ ბაადურ ყაზბეგისათვის, არამედ თვით ელჩებიც პირადად უნდა გაეცილებინათ. ასეთი სიფრთხილე მით უფრო გასაგებია, რომ ელჩობა ზამთრის პირობებში გაემგზავრა, როდესაც დარიალის გზის გავლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თაგაურელთა მხრივ ელჩობისათვის ხელის შეწყობა მეფისადმი ერთგული სამსახურის გაშოვლინებადაა

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში საქ. ცია), ფ. 1448, საბ. 3613.

მიჩნეული და მის სანაცვლოდ მათ დიდ წყალობას ჰპირდებიან.

ასეთი წყალობა რომ ლიტონი სიტყვა არ იყო, კარგად ჩანს იმ ჯამაგირის წიგნებიდან, რომელთაც ქართველი მეფეები თაგაურელ ოსებს აძლევდნენ. თაგაურელ ოსებს სხვა პრივილეგიებიც ჰქონიათ — ქართლში თავისუფლად დადიოდნენ სავაჭრო-გაცვლითი მიზნით. ამ უფლებას მათთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მარცვლეულს ისინი ქართლიდან და, ჩრდილოეთით, რუსულ ციხე-ქალაქებიდან იღებდნენ. ამ გარემოებას თაგაურელებზე ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებად იყენებდნენ. თუ მათი მოქმედებით უკმაყოფილონი იყვნენ, ბართან მიმოსვლას აუკრძალავდნენ და სურსათის გარეშე დასტოვებდნენ. გენერალ-მაიორ ტუჩკოვს 1802 წელს ვახტანგ ბატონიშვილის ამბოხებაში თაგაურელ ოსთა მონაწილეობის გამოსარიცხად საჭიროდ მიაჩნია სტეფანწმინდას ჩასვლა, საიდანაც დაიბარებდა თაგაურელ ალდარებს და გამოუცხადებდა, რომ თუ ჯარს გზას გადაუღობავდნენ და შიკრიკებს გააჩერებდნენ, მაშინ აკრძალავდა მათთვის პურის გაშვებას და მიყიდვას[1].

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსთა მიერ გზაზე მიმოსვლის შეფერხების თავიდან ასაცილებლად მსგავს ეკონომიურ სანქციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და მიზანსაც ხშირად აღწევდნენ.

ერეკლეს მეფობის პერიოდში თაგაურელი ალდარები გზაზე გატარებულ ქარავნებისა და მგზავრებისაგან გარკვეული ოდენობის ბაჟს იღებდნენ. მათ მიერ ასეთი ბაჟის აღების უფლებას აღიარებდა როგორც ერეკლე II, ასევე რუსეთის ხელისუფლებაც. მაგრამ ბაჟის ოდენობა თავდაპირველად განსაზღვრული, როგორც ჩანს, არ ყოფილა და იგი ოსების სურვილზე იყო დამოკიდებული. პ. პოტიომკინი 1783 წელს აყენებს საკითხს მოაწესრიგონ დარიალის გზაზე მოსიარულე ხალხისაგან ასაღები საზღაურის ოდენობა, რადგან ისინი ხშირად განიცდიან ძალმომრეობას, იღებენ ქვეითი მგზავრი-

---

[1] Акты, 1, გვ. 271.

საგან 10 სახალათე ნაჭერს, თითოეულს 50 კაპ. ღირებულებისას[1].

გენ. პ. ციციანოვი საიმპერიო კარისაღმი 1804 წლის მოხსენებაში ადასტურებს, რომ პოტიომკინის დროს თაგაურელი ოსები დარიალის გზაზე მიმავალ ვაჭრებს ახდევინებდნენ 10 მანეთს, ქვეით მგზავრს 30 კაპიკს, ცხენოსანს 70 კაპიკს. თუ რუსთა მხრიდან ძალას არ გრძნობდნენ, მაშინ სახაზინო მოიჯარადრეებსა და შაკრიკებსაც აჩერებდნენ და გამოსაღებს ახდევინებდნენ[2].

რუსეთის მთავრობა ცდილობდა ბოლო მოეღო ამ მდგომარეობისათვის, აეძულებინა ოსები ეკისრათ გზის წესრიგში მოყვანა, დაცვა, კურიერების გაცილება და სხვ., განსაზღვრული გასამრჯელოს ფასად. პ. პოტიომკინი 1783 წელს გრ. პოტიომკინს ატყობინებდა, რომ, მისი სურვილის შესაბამისად, მოიწვია ოსი მფლობელი ახმედი იმის გამოსარკვევად, იკისრებდა თუ არა კავკასიის მთებში გამავალი გზის დაცვას. ახმედს გზის დაცვისა და შაკრიკების გაცილებისათვის ჯამაგირს ჰპირდებოდნენ. მან ეს წინადადება მიიღო. ოღონდ ჯამაგირის დანიშვნა მოითხოვა გზის გასწვრივ მცხოვრებ სხვა მფლობელთათვისაც, რადგან თუ ჯამაგირი მხოლოდ მას დაენიშნებოდა, ისინი შეურაცხყოფილად იგრძნობდნენ თავს და არამარტო ხელს შეუშლიდნენ გზაზე მიმოსვლას, არამედ მის დაღუპვასაც ეცდებოდნენ[3].

ახმედმა პოტიომკინს წარუდგინა სია, სადაც გათვალისწინებულია ჯამაგირები შვიდი უმთავრესი თაგაურელი მფლობელისათვის, რომელთაგან, მისი აზრით, დამოკიდებული იყო გზის უშიშროება. მთელი მოთხოვნილი თანხა წლიურად 410 მანეთს შეადგენდა. პოტიომკინი აყენებს წინადადებას, რომ ეს თანხა 510 მანეთამდე გაზარდონ[4].

მაგრამ თაგაურელ ალდართა თვითნებობის აღკვეთა დარიალის გზაზე არც ისე ადვილი იყო. რუსეთის ხელისუფლების ცდები მშვიდობიანი საშუალებებით მოეხდინა დარიალის

---

[1] ЦГВИА, ф. 52. оп. 1/194, д. 286, ч. 1, св. 109, фурц. 219.
[2] ЦГВИА, ф. ВУА. д. 6171, фурц. 144.
[3] ЦГВИА, ф. 52. оп. 1/194, д. 286, ч. 1, св. 109, фурц. 219.
[4] იქვე, ფურც. 220.

გზაზე თაგაურელ ალდართა უფლებების რეგლამენტაცია და ისინი თავის ნება-სურვილისათვის დაემორჩილებინა — მიზანს ვერ აღწევდა. ამიტომ დაიბადა იდეა მკაცრი დამსჯელი ზომებით მიეღწიათ ხსენებული მიზნისათვის. პ. ციციანოვი 1804 წელს იმპერატორს მოახსენებდა თაგაურელთა მკაცრად დასჯის აუცილებლობის შესახებ, რათა აიძულონ ისინი, რომ აიღონ თავის თავზე ვლადიკავკაზიდან ყაზბეგამდე და უკან ფოსტის გაცილება, არავითარი ზარალი არ მიაყენონ მათს ქვეშევრდომ მგზავრებს. თუ ამ პირობებს შეასრულებდნენ. მაშინ თითოეული მფლობელი სახლი (რომელთა რიცხვი თაგაურში 11 იყო) მიიღებდა წელიწადში 150 მანეთს ვერცხლით, ხოლო ამ სახლების უფროსები ღირსებით გათანაბრებული იქნებოდნენ კაზაკთა ოფიცრებთან[1].

კარგად ჰქონდა რა შეგნებული ამიერკავკასიაში თავის პოზიციების განსამტკიცებლად დარიალის გზის უდიდესი მნიშვნელობა, რუსეთის მთავრობა თაგაურელ ფეოდალების მოსყიდვის — მათთვის ჩინებისა და ჯამაგირების მიცემით, და ხანაც ძალის გამოყენებით, ცდილობდა თავისთვის დარიალის გზით სარგებლობის უზრუნველყოფას. რამდენადაც ამ პერიოდში რუსეთის მთავრობას ოს ფეოდალთა საბოლოო ალაგმვა არ შეეძლო, მსგავსი კომპრომისი მისთვის აუცილებელი იყო.

საქართველოს პოლიტიკური წრეებიც სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებული დარიალის გზაზე შეუფერხებელი მიმოსვლის არსებობით. 1801 წლის აპრილის ნოტაში ქართველი ელჩები გარსევან ჭავჭავაძე. ავალიშვილი და ფალავანდიშვილი რუსეთის მთავრობას გზაზე სრული . კონტროლის დამყარებას სთხოვდნენ და ამ მიზნით კონკრეტულ სამოქმედო გეგმასაც სთავაზობდნენ. აი მათი გეგმაც: „ვინადგან თანამდებარიან განსრულნი თბილისით, და ეგრეთვე მრავალნი ვაჭარნი მისის დიდებულებისა და აწ ჩვენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისა მონანი რუსნი, ქართველნი, სომეხნი და სხვანი, რომელნიცა გამოიელიან რა ყიზლარსა, მოზდოკსა და სხვათაცა ადგილთა, და მოიწევიან რა ოსთა[2] შორის,

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. I, ფურც. 82.

[2] ტექსტშია „ორთა“.

მაშინ არათუ მხოლოდ აძლევენ მათ განწესებულთა მათთა მოსაცემელთა საქონელთა ზედა. არამედ ეუეცა ხშირად იქმ-ნების, რომელ ისინი მომწყურნობითა ნივთ-მოყვარებისათა მოაკლებენ მათ ყოველსავე ნაქონებსა თვისსა; ამისთვის ვრაცხთ თანამდებად ჩვენდა მოხსენებასა ამას, რომელ პირ-ველსა ამასწინა მოსვლასა რომელსაშე დიდ-შემძლებელობი-სასა, რომელიცა რაოდენსამე ჟამსა დაინიშვნის სამყოფად საქართველოსა შინა მუნებურთა განწესებულებათათვის, მის-დამი სასმარ არს, რათა მუნ განვლასა შინა ჰქმნას მათდამი. ესე იგი ოსთადმი[1] მტკიცე განწესებულება ამა საქმეთათვის. და შემდგომად ამისა მცირესა შინა ჟამსა შესაძლო არს. რათა იგი მცირედ სარაცხნი ერნი, ძველთაგან დამონებულნი საქართველოთა მეფეთაგან, ფრიად სუბუქად მოყვანილ იქნენ კვალადცა თანამდებობითთა მორჩილებასა და ფონებასა შინა: და რათაცე საშვალ მოზდოკისა და საქართველოსა. სადაცა არს საჭირო, განწესდეს რაოდენიმე ფორპოსტნი და დაიყენოს სამეფონი კამანდნი"[2].

ქართველ პოლიტიკოსთა აღნიშნული გეგმა სავსებით მისა-ღები იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის და იგი ამ ფორმით კიდევაც განახორციელეს უფრო მოგვიანო ხანაში.

დარიალის გზით სარგებლობის შეუფერხებლობისათვის საჭირო იყო გზის საექსპლოატაციო თვისებების შესანარჩუ-ნებლად მუდმივი ზრუნვა. საჭირო იყო გზის წმენდა ხშირი ზვავებისა და ღორღისაგან, რიგ ადგილებში ხიდების გაკე-თება. ქართველი მეფეები ერეკლე II და გიორგი XII ამ საკითხებს აგვარებდნენ თაგაურელი ოსებისა და ყოფილი არაგვის საერისთავოს მფლობელის ვახტანგ ბატონიშვილის მეშვეობით. ამათ, დაწესებულ საზღვრებში, ევალებოდათ გზის მზადყოფნაში შენახვა და ხიდების გამართვა. ხიდების გამართვა რეგულარულ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგანაც მთის სწრაფი მდინარე თერგი, წყალდიდობის პირობებში, ადვილად იტაცებდა მაშინდელი პრიმიტიული ტექნიკის საფუძველზე აგებულ ხიდებს. წყალდიდობის დაწყების დროი-

---

[1] ტექსტშია „თვისთა".

[2] А. А. Цагарели, Грамоты..., т. II, ч. I, С.-П., 1898, გვ. 199.

სათვის ხიდებს ხშირად იღებდნენ კიდევაც. განსაკუთრებით ძნელი იყო გზით მგზავრობის უზრუნველყოფა ზამთრის პირობებში.

დარიალის გზის შესანახად გარკვეული ღონისძიებები ტარდებოდა. პირველ ხანებში ისინი უმეტესად კამპანიური ხასიათისა იყო და უკავშირდებოდა რუსეთის ჯარის ნაწილების გადმოყვანას ანდა მნიშვნელოვანი ელჩობების გატარებას. გზაზე მიმოსვლის გაცხოველება გარდუვალად აყენებდა გზის მოსავლელად სისტემატური ზომების მიღებას. ამ მხრივაც აღსანიშნავია ერეკლეს ღვაწლი. იგი ზრუნავდა გზის მთელი ტრასის წესრიგში მოსაყვანად. ყაზბეგსა და ჯვრის უღელტეხილს შორის ერეკლეს დაუსახლებია თრუსოელი ოსი ბათი ბიდაროვი (მისი გვარიდან მიიღო სახელწოდება მდ. ბაიდარკამ). 1794 წლის 27 ნოემბრის სიგელით ერეკლემ ბათი ბიდაროვს ულუფა დაუნიშნა და გარკვეული შეღავათებიც მიანიჭა.

ერეკლე მეორის წყალობის სიგელი ბიდაროვს 1800 წ. იანვარში განუახლა გიორგი მეთორმეტემ. რუსთა ხელისუფლებამაც გენ. კნორინგის სახით ქართველ მეფეთა წყალობა ბიდაროვს 1802 წ. სპეციალური დოკუმენტით უცვლელად დაუმტკიცა. დასახელებული წყალობის წიგნების თანახმად ბიდაროვს დაენიშნა წლიური სარგო 50 — 50 კოდი ხორბალი და ქერი. 25 მანეთი ფულად. ამასთან, მგზავრი, რომელიც მას დახმარებისათვის მიმართავდა, ან მასთან გაჩერდებოდა, ვალდებული იყო ორი აბაზის ბამბის ქსოვილი მიეცა მისთვის[1]. ბიდაროვს ავალებდნენ სხვა ოსებიც მოეზიდა აქ დასასახლებლად. მათ გზის ძნელი მონაკვეთები წესრიგში უნდა ჰქონოდათ და მიეღოთ ყველა მგზავრი, ვინც მათ მიმართავდა და სათანადო დახმარება აღმოეჩინათ მათთვის.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქართველების ოსებთან ურთიერთობაში, დარიალის გზის გარდა, დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ოსეთის გზამ, რომელიც ძველ ქართულ წყაროებში „დვალეთის გზის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს გზა ოსებს, მამისონის და როკის უღელტეხილთა მეშვეობით, აკავში-

---

[1] Акты, 1, გვ. 526 — 527.

რებდა როგორც იმერეთის სამეფოსთან, ასევე ქართლთანაც. ჩრდილოეთიდან სამხრეთით იგი ვადიოდა მდ. არდონის ხეობაზე და ამ ხეობის სათავეში ნარ-მამისონის აუზის ჩრდილო საზღვარზე, სოფ. ქვემო ზარამაგთან, ორად იყოფოდა. გზის ერთი შტო მამისონდონის (ანუ ყელის) ხეობით მამისონის, ანუ ჭანჭახის უღელტეხილს გადაკვეთს და რაჭაში, მდ. რიონის სათავეში ეშვება. აქედან იგი ქუთაისს და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს უკავშირდება. გზის მეორე განშტოება იმავე ქვემო ზარამაგიდან, ნარდონისა და ზაკიდონის ხეობებით, სამხრეთით ეშვება, გადადის როკის უღელტეხილზე და მდ. დიდი ლიახვის ხეობით ქართლის ბარის რაიონებს უკავშირდება.

აღნიშნული გზაც საკმაოდ კარგად ყოფილა გამაგრებული, რასაც კარგად მოწმობს სიმაგრეთა ნაშთები ციხე-კოშკების თუ გადაჭრობი კედლების სახით. ქვემო ზარამაგი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა უმნიშვნელოვანესი გზების შესაყარზე მდებარეობის გამო და, ჩანს, სათანადოდ გამაგრებულიც ყოფილა. ქვემო ზარამაგთან, მაღლობ ადგილზე, ძველი, აწ საფუძვლიანად დანგრეული, ციხე-სიმაგრის ნაშთებია. იგი თავის მდებარეობით მბრძანებლობს გარემოზე და გზების დასაცავად უაღრესად მოხერხებულ ადგილს წარმოადგენს. ვახუშტიც ადასტურებს აქ დიდი ციხე-სიმაგრის არსებობას „ქვემო ზრამაგა არს კასრისა და ყელის-წყლების შესართავს შუა, და ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან, და დაბა კოშკოვანი"[1].

გზის მთელი ტრასა მოფენილია საგზაო საგუშაგოებით და კედლებით. ამათგან უმნიშვნელოვანესია სოფ. ნუზალთან კლდეში ამოშენებული ციხე-კოშკი და ე. წ. „კასრის კარი" მდ. არდონის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილზე. მისი ნაშთები კარგადაა ახლაც შენახული, ვახუშტის დროს კი იგი მძლავრი სიმაგრე ყოფილა. ვახუშტი წერს, რომ „არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა.

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 114.

მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ მათსა ოვსნი, და არს ჯეობა ესე ფრიად მაგარი და შეუალი"[1].

ვახუშტის ხაზგასმა, რომ „კასრის კარი" ქართველ მეფეთგანაა აგებული ოსების თვითნებური მოძრაობის აღსაკვეთად, სწორად გვისახავს ამ სიმაგრის თავდაპირველ დანიშნულებას. იგი ერთ-ერთი საშუალება იყო გზაზე კონტროლის დამყარებისათვის და მასზე ოსთა მიმოსვლის რეგულირებისათვის. განსახილველად აღებულ პერიოდში, ე. ი. XV — XVIII სს. სიმაგრეს ეს ფუნქცია უკვე აღარ ჰქონია. მისი ჩრდილოეთი თუ სამხრეთი ნაწილები მთლიანად ოსებს ეკავათ და ქართველ მეფეთა კონტროლიც გზის ამ რაიონებზე უკვე აღარ არსებობდა. ამ კონტროლმა, ოღონდ არა სამეფო ხელისუფლების, (თუმცა იგი მის მოპოვებას ყოველთვის ცდილობდა), არამედ ცალკეულ მსხვილ ქართველ ფეოდალთა მხრიდან, რამდენადმე სამხრეთით გადმოინაცვლა.

სიმაგრეთა ეს წყება ოსეთის ბუნებრივ მიუვალობას კიდევ უფრო აძლიერებდა: „ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხოს ჰტერთაგან, მაღლის მყინვარისა და თოვლიანის მთის მიერ... კვალად სივიწროვისაგან და მაღლის კლდის ქარაფოვანთაგან, და მდინარეთა დიდთა და ჩქართა მომდინარეთაგან, რამეთუ ძნიად განვალს ცხენნი ფონად თჳნიერ ხიდისა, არამედ მცურავთაგანცა არა ძალიდების ცურვად"[2]. ასეთ პირობებში საქართველოს მხრიდან ოსეთის გზის გამოყენება ოსეთის სხვადასხვა ნაწილებთან, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასა თუ რუსეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობის დამყარების მიზნით, ამ გზაზე მცხოვრებ ოსებთან კეთილსასურველი დამოკიდებულების არსებობასთან ბევრად იყო დაკავშირებული.

XVII საუკუნიდან, რუსეთთან საქართველოს ცალკეული ნაწილების ურთიერთობის გაფართოების კვალობაზე, გახშირდა რუს ელჩთა ქართლ-კახეთ-იმერეთში და პირიქით მიმოსვლა. კავკასიაში პოლიტიკური კონიუნქტურის ხშირი ცვალებადობა ელჩობათა გასატარებლად დარიალის გზას ხშირად

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 114.
[2] იქვე, გვ. 108.

გამოუყენებელს ხდიდა. ამის გამო ელჩობებს ახალი გზების გამონახვა უხდებოდათ ხოლმე.

XVII ს. ქართლის მეფე გიორგი XI (1676—1709) და კახეთის, შემდეგ იმერეთის მეფე არჩილი (ცხოვრობდა 1647—1713 წწ.) მკვეთრად დაუპირისპირდნენ ირანის შაჰების დამპყრობლურ პოლიტიკას საქართველოში. არჩილ მეფე 1679 წელს იძულებული გახადეს იმერეთიდან დვალეთს გადახვეწილიყო — ე. ი. გადასულიყო ნარ-მამისონის რაიონში — გაევლო სამხედრო ოსეთის გზის ტრასის მნიშვნელოვანი ნაწილი. მტერი მას არც იქ უსვენებდა და იქიდან რუსეთს გაემგზავრა[1].

შემდეგშიც, თურქთაგან დევნილი, არჩილ მეფე ხშირად სარგებლობდა დასახელებული გზით და ოსეთს თავს აფარებდა. აქედანვე ამყარებდა ურთიერთობას რუსეთთან და თვითონაც გადადიოდა იქ. როდესაც თავის სამეფოდან განდევნილი არჩილი ცოლ-შვილით ზარამაგში იმყოფებოდა ოსების დაცვის ქვეშ, მტერმა მის შესაპყრობად ძლიერი რაზმი გაგზავნა. ოსმა ელიყანაშვილმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ამ რაზმს, გადაარჩინა არჩილის ცოლ-შვილი და დიგორში გაგზავნა ისინი[2]. ზარამაგიდან დიგორში მოხვედრა შესაძლებელი იყო არდონის, ანუ ალაგირის ხეობიდან კიონის უღელტეხილის გადასვლით.

დვალეთში შეხიზნულ არჩილთან ჩრდილოეთიდან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ჰოდიოდნენ. შემონახულია ცნობა თერგის ციხიდან არჩილთან რუსი თარჯიმნის სიმონ დმიტრიევის მოსვლის შესახებ[3]. მანაც ოსეთის გზის ჩრდილოეთი ნაწილი ზარამაგამდე გაიარა.

ისევე როგორც დარიალის, ოსეთის გზაზეც მიმოსვლა გაცხოველდა XVIII ს. 60-იან წლებში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან რუსეთის ურთიერთობის გაფართოების კვალობაზე. იმერეთის მეფე სოლომონ I ელჩები რუსეთ-

---

[1] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 86—87.

[2] იქვე, გვ. 93.

[3] არჩილიანი, ა. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, 1937, გვ. VII — VIII.

ში და, პირიქით, რუსეთის ელჩები სოლომონთან, უპირატესად ამ გზით მგზავრობდნენ.

„ოსეთის კომისიის“ წევრი, შემდეგ ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი გრიგოლ რომანიშვილი ყიზლარის კომენდანტს ნოახსენებდა, რომ ყიზლარიდან იმერეთში გადასასვლელი გზა ბიდის მცირე ყაბარდოზე, ოსეთზე და სხვა ხალხთა მიწებზე, რომლებიც არავის არ ემორჩილებიან. გზა მაღალ მთებსა და კლდეებზე გადის, რომლებიც ნოემბრიდან თოვლით იფარებიან. მაშინ არათუ ცხენით, ქვეითად გადასვლაც ძნელია[1].

მიტროპოლიტ მაქსიმეს, რუსეთში სოლომონ I ელჩის, 1769 წლით დათარიღებულ ბარათიდან ჩანს, რომ ოსეთის გზა მოზდოკიდან იმერეთამდე 5 დღის სავალად იანგარიშებოდა. აქედან გზის მონაკვეთი, რომელიც ოსეთსა და მცირე ყაბარდოზე გადის, 2 დღის სავალია, მაგრამ იგი ისე ცუდია, რომ მასზე ურმებით მგზავრობა შეუძლებელია. იგი მოსახერხებელია ცხენებით მგზავრობისათვის. გზის მოწყობა ბორბლიანი ტრანსპორტისათვის შეიძლება, ოღონდ ზამთარში იგი მაინც შეფერხდება. ქვეითად მოძრაობა გზაზე წელიწადის ყოველ დროს მოსახერხებელია[2].

ნარელი გავლენიანი პირები 1783 წელს პოტიომკინს წერდნენ, რომ «от Валагирского округа даже до нас удобно сделать хорошую дорогу, по которой свободно арбы проходить будут; а от нас до самой Имеретии такую ж дорогу провести удобно».[3]

1768 წლის იანვარში იმერეთის მეფესთან წარგზავნილმა არქიმანდრიტმა გრიგოლმა, ოსეთის მთებში დიდი თოვლის მოსვლის გამო, ვერ შესძლო ყიზლარიდან უახლოესი გზით იმერეთში გადასვლა და იძულებული იყო ქართლის გზით ჩასულიყო[4].

იმერეთში აღნიშნული გზით გადავიდა კაპიტანი შტედერი 1783 წელს, რომელმაც დაწვრილებით აღწერა თავის მარშრუტი.

---

[1] А. Цагарели, Грамоты..., т. I, გვ. 4.

[2] იქვე. გვ. 30.

[3] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 286, ч. 1, св. 109, ფურც. 153.

[4] Грамоты..., т. 1, გვ. 4.

შტედერი ცნობილია როგორც კარგი დამკვირვებელი. იგი კარგად აგვიწერს სამხედრო ოსეთის გზის მაშინდელ მდგომარეობას. ნუზალამდე არდონის ხეობა ადვილი გასავლელი იყო, მის შემდეგ კი ხეობა ვიწროვდება და ძნელად დასაძლევი უნდა ყოფილიყო იმ ისტორიულ ეპოქაში, როცა გზის გასაკეთებლად რაიმე სამუშაოების ჩატარება აზრადაც არავის მოსდიოდა. ნარიდან მამისონის უღელტეხილით გლოლაში ჩასვლისას საჭირო ხდებოდა ერთი დაღმართის გავლა, რომლის საპირისპირო მიმართულებით დაძლევა შტედერს საძნელოდ სჩვენებია და მისთვის გვერდის ასავლელად, ქუთაისიდან დაბრუნებისას, ნარამდის ახალი მარშრუტის გავლა (ხაკაზე) გადაუწყვეტია.

—გზას ოსები უწევდნენ კონტროლს და ისევე, როგორც დარიალის გზაზე, აქაც მგზავრებს გარკვეულ მოთხოვნას უყენებდნენ. კერძოდ, შტედერს, მამისონის ხეობაში მცხოვრები ოსების ზედაფენებმა, გზაზე გატარების სანაცვლოდ, მოსთხოვეს იმერეთის მეფე სოლომონთან შეერიგებინა ისინი. გაჭირვებიდან ის დაუხსნია ერთგულ ყონაღს მათივე წრიდან, რომელმაც იმერეთამდე მიაცილა იგი[1].

როგორც ნარელთა წერილიდან ჩანდა, გზის ზოგ მონაკვეთზე მცირეოდენი სამუშაოების ჩატარების შედეგად იგი იმერეთიდან ჩრდილო კავკასიის რუსულ ცენტრებამდე საჭაპანო ტრანსპორტისათვის ვარგისი გახდებოდა. რაც შეეხება შტედერის განზრახვას, რომ უკან დაბრუნებისას მამისონის ხეობას ასცდენოდა, ვფიქრობთ, არა იმდენად რაღაც აღმართის გავლის სიძნელით აიხსნება, რამდენადაც მაჭისონელ ოსთა მოთხოვნის — სოლომონ I მათი შერიგების შეუსრულებლობით. სოლომონი შტედერს მძიმე ავადმყოფი დახვდა და, ბუნებრივია, ოსებთან მის შერიგებას იგი ვერ მოახერხებდა. რაც შეეხება ნარის რაიონის სხვა ოსურ მოსახლეობას, ისინი რუსებისადმი დიდ სიმპატიებს ამჟღავნებდნენ და მათ მიმოსვლის საქმეშიც ხელს უწყობდნენ. ხსენებული წერილი ნარელთა პოტიომკინისადმი მადლობის წერილია, რომლის შუამდგომლობითაც იმერეთის მეფემ სოლომონ I ნარელი

---

[1] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 286, ч. 1, св. 109, фурц. 320.

ატაროვი გაანთავისუფლა. შტედერის ხელით გაგზავნილ წერილში პოტიომკინს სთხოვენ: „...წიგნი გიბოძებიათ, კაპიტანის შტედერის შემწეობა გებძანათ, რაც შევძელით ვემსახურენით... წყალობას ვითხოვთ არადონის წყალზე ბოლოდან თავამდისინ ურმის გზაც გააკეთებინოთ და საცა მოგეწონოსო, ყარაულები ზარბაზნებითა დააყენოთ“[1].

ნარელი ოსები კარგად გრძნობდნენ, რომ ამიერკავკასიასთან (სადაც რუსებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ) დასაკავშირებლად მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე გასავალ გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ისინი შეეცადნენ ამ გზით რუსების დაინტერესება მის გასაკეთებლად გამოეყენებინათ. სხვა საკითხია, რამდენად რეალური შეიძლებოდა ყოფილიყო აღებულ ხანაში ასეთი განზრახვა, ოღონდ ფაქტი ისაა, რომ რუსეთ-საქართველოს სულ უფრო მზარდი ურთიერთობის პირობებში ამ გზისადმი ყურადღებაც იზრდება და, შესაბამად იზრდება ოსთა როლიც ამ ორი ქვეყნის ურთიერთისადმი დაკავშირების საქმეში.

ქართლ-კახეთის პოლიტიკური მესვეურები, თავის მხრივ, დიდად აფასებდნენ ნარელ ოსთა ერთგულებას, რაც სჭირდებოდათ არა მხოლოდ მათგან სამხედრო დახმარების მისაღებად, არამედ მათზე რუსეთში მიმავალი გზის თავის ინტერესებისათვის გამოყენების შეუფერხებლობისათვის. მრავალ ნარელ „აზნაურს“ (ასე უწოდებენ ქართველი მეფეები თუ მეფობის პრეტენდენტები მათ მიერ შეწყალებულ ნარელ ოსთა ზედაფენებს) ჯამაგირისა და წყალობის წიგნი ჰქონდა მიღებული ქართველ მეფეთაგან.

იმერეთიდან დიგორიაში გადამყვანი გზაც არსებობდა. ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ბადელიძის-წყლების“ („ბადელიძეები“ — ვახუშტით, „ბადილათა“ — ოსურად, გაბატონებული ფეოდალური გვარი იყო დიგორიაში. — გ. თ.) სათავიდამ გარდავალს გზანი კასრის ჯევში, **ულელის ხეობაში** და ქელ მაჰმადის სოფლიდამ ჩერქეზსა შინა“[2]. დიგორიიდან ერთი გზა პირდაპირ გლოლაში (რაჭაში) ჩადის. ამ გზაზე

---

[1] ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. 3, фурц. 6.

[2] ვახუშტი, აღწერა... გვ. 116.

„კავკასიის ძირში დიდს მაღალს კლდესა შინა ქვაბნი გამოკვეთილნი დიდ-დიდნი. მოგზაური მივალს მას ქვაბსა და დილას წარვლის — ჩავალს გლოლას. ეგრეთვე მუნიდან მოსრული, მუნ განისვენებენ დაშრომისათვს"[1]. დიგორიიდან გზა ღებშიც გადადიოდა, ოღონდ ამ გზაზე ზაფხულში ცხენებით დადიან, ისიც ძნელად, სხვა დროს ქვეითნიც ვერ ახერხებენ გადასვლასო[2].

1650 — 52 წწ. რუსეთის ელჩებმა იმერეთში, ტოლოჩანოვმა და ივლევმა, იმერეთში ჩასვლის მიზნით, გაიარეს დიდი ყაბარდო, აჰყვნენ მდ. ურუხს, რათა პირდაპირ რაჭაში გადასულიყვნენ. ურუხის სათავიდან გოდივცეკის ან გურძიევცეკის უღელტეხილით პირდაპირ გლოლასთან შეიძლებოდა გასვლა. პოლიტიკური ვითარების არახელსაყრელობის გამო („სონთა" ერისთავის მტრობის მიზეზით) მათ გადაწყვიტეს უფრო შორს შემოვლოთ, ბალყარეთში გასულიყვნენ და გუზევცეკის ძნელად გადასალახავი უღელტეხილით რაჭაში გადასულიყვნენ[3].

ე. მაევსკი გოდიევცეკისა და გურძიევცეკის უღელტეხილების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი ძველად კარგად იყვნენ ცნობილნი და ურუხის შენაკადებით დიგორიის ოსეთს იმერეთის რაიონ რაჭასთან აკავშირებდნენ[4].

ამ უღელტეხილებით უნდა მომხდარიყო ვახტანგ VI და მისი ერეკლეოსანი ამალის რუსეთში გადასვლა 1724 წელს. ვახტანგი თვით ასე აღწერდა თავის მარშრუტს: „წამოვედით რაჭის გზით, დიგორს მოვედით და დიგორიდამ ბაყიშვილისას"[5]. მარშრუტი კარგად გვიჩვენებს, რომ ვახტანგის ამალის რუსეთში წასვლას მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ოსებმა და ყაბარდოელებმა.

გარდა ჩამოთვლილი გზებისა, საქართველოს ჩრდილო

---

[1] ვახუშტი. აღწერა... გვ. 116.

[2] იქვე. გვ. 117.

[3] М. А. Полиевктов, Экономические и полит. разведки московского государства XVII в. на Кавказе, გვ. 39—41.

[4] В. Т. Маевский, Кутаисская Губерния. Военно-статистическое описание, Тифлис, 1896, გვ. 108—109.

[5] Броссе, Переписка..., გვ. 161—162.

კავკასიასთან, კერძოდ, ჩრდილო ოსეთთან, დამაკავშირებელ ბევრ სხვა გზასაც ასახელებს ვახუშტი. ჩანს, ამ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზეც ფრიად ინტენსიური მიმოსვლა ყოფილა, რაკი ვახუშტი ამ გზების ჩამოთვლას და საექსპლოატაციო თვისებების გადმოცემას მიმართავს. სწორედ XVIII ს. შესახებ მოგვეპოვება საქართველოსთან ოსების ეკონომიური ურთიერთობის ამსახველი ისეთი ცნობები, რომლებზეც სათანადო ადგილზე გვექნება საუბარი და რომლებიც აშკარად ავლენენ ამ გზების უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობას ამ მეზობელ ხალხთა ცხოვრებაში.

ჩრდილო ოსეთიდან ქართლში გადმომყვანი სხვა, შედარებით მცირე მნიშვნელობის გზებიც იყო. ქურთაულის ხეობიდან, დარიალის გზის ჩაკეტვის შემთხვევაში, შეიძლებოდა ქართლში გადმოსვლა. როცა 1804 წელს, მთიულეთის აჯანყებასთან დაკავშირებით, დარიალის გზა ჩაიკეტა, რუსეთის ჯარი საქართველოში ქურთაულის (ქურთათის) ხეობით და შემდეგ მაღრან-დვალეთით უნდა შემოსულიყო[1]. მას საკურიერო გზას უწოდებდნენ. კაპიტანმა ნიკოლსკიმ 1804 წელს ამ გზაზე ასეული გამოიყვანა და ისეთი ადგილები გამოიარა, რომ, ციციანოვის აზრით, ოსები გაკვირდნენ[2]. გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი 1802 წელს ამ გზის შესახებ იმპერატორს მოახსენებდა, რომ მასზე «в средние месяцы лета следовать без обозов удобно и ...выводит прямо чрез Кавказские горы в Карталинию, к крепости Цхинвальской».[2] ქურთაულის გზით 1802 წელს გენ. ლაზარევს შიკრიკი გაუგზავნია და იმ გზითვე დაბრუნებულა. გზა ძნელი სავალი და იქ მცხოვრებ ოსთა გამო სახიფათო ყოფილა.

მეფის რუსეთის მოხელეები, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ენერგიულად ცდილობდნენ კავკასიის ხაზიდან ქართლის რაიონებში გადმომყვანი გზების გამოვლენას. პოლკ. სიმონოვიჩი 1802 წელს ლაზარევს მოახსენებდა, რომ «сказанный шт. — кап. (Осипов — Т. Г.) узнал три дороги, ведущие отсель чрез жилища разных сел Осетин-

---

[1] Акты, т. II, გვ. 325.

[2] იქვე, გვ. 622.

[3] იქვე, ტ. I, გვ. 377.

цев на Кавказскую линию, — а именно: для пеших только проходимую дорогу на ущелье Кешельту чрез снего́вую гору Зикари в Нару и Куртаули, а для конных способные в летнее время дороги на ущелье Джомагу чрез Заху в Куртаули же, и наконец из Белоти чрез Маглам-довлет в Куртаули же»[1]. აღნიშნული სამი გზა ფაქტიურად ერთი გზის — ქართლიდან ქურთაულში გაშავალი გზის სხვადასხვა ვარიანტებია. მარშრუტი ქეშელთა-ზეკარა-ნარი — ქურთაული ქვეითად მოგზაურობისათვის ყოფილა გამოსაყენებელი, ხოლო დაცარჩენი ორი — ჯომაღი-ზახა-ქურთაული და ბელოთი-მაღრანდვალეთი-ქურთაული ცხენით მოგზაურობისათვისაც. სამივე მარშრუტი ადვილად უკავშირდებოდა ცხინვალს. ქურთაულიდან გადმოსული, თრუსოს ხეობით, საქართველოს სამხეღრო გზაზეც გავიდოდა.

დასახელებული გზების გარდა, ცენტრალური კავკასიის ფარგლებში სხვა გადმოსასვლელი გზა-ბილიკებიც იყო, რომლებიც ქართლ-იმერეთის მრავალ რაიონთან ოსეთის თითქმის ყველა ნაწილს აკავშირებდა. ისინი იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ნაკლებად ფიგურირებდნენ, საშაგიეროდ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში გარკვეულ დადებით როლს ასრულებდნენ. ამ გზა-ბილიკების მარშრუტები შემდეგია:

1. ბახ-ფანდაგის (ოს. ცხენის გზა) გადმოსავალი, რომელიც როკის უღელტეხილის დასავლეთით ლიახვის ხეობაში ჩამოდის;

2. მეორე გზა ზეკარის გადმოსავლით მოემართება ჯინათ-ზრუგის ხეობიდან და სოფ. ბორჯნისთან როკის გზას (ოსეთის გზის აღმოსავლეთ განშტოებას) უერთდება;

3. მესამე გზა ძედოს გადმოსავლით არდონ-ზრუგის აუზიდან ჯოჯორის ხეობაში ეშვება. ჯოჯორის ხეობაში იგი რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი შტო აღმოსავლეთით შიიმართება და, ყემულთის ხეობისა და სოფ. სიხტას გავლით, სოფ. ხველასთან როკის გზას უერთდება. მეორე შტო, სამხრეთით, ჯოჯორის ხეობას მისდევს და ჯავა-ონის ე. წ. „ჩასავლის“ გზას

---

[1] Акты, т. I, зз. 499.

უერთდება. აქედან ის ფაწის ხეობით ჩრდილო-დასავლეთით მიიმართება და ონში გადის;

4. სბის გადმოსავლითაც გადმოდის გზა ზახადან თრუსოს ხეობაში და სოფ. კობთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდება. ამავე გადმოსავლით ზახადან მიემართება სხვა გზაც, რომელიც სოფ. ედისთან რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი განშტოება პატარა ლიახვის ხეობით ვანათს და ქართლის სოფლებს უკავშირდება, მეორე — ერმანდონის ხეობით და ყელის ტბით, ჟამურსა და ქსნის ხეობას უერთდება. მესამე კი ბრიტათის, გუდისის წყლის და ჭიმავდონის ხეობებით როკის გზას უერთდება[1].

უშუალოდ ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმომყვან გადმოსასვლელთა გარდა, რამდენიმე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ ის გზაც, რომელიც დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებს, ნარ-მამისონის, ანუ დვალეთის მეშვეობით, ქართლის ჩრდილო რაიონებსა და კახეთს უკავშირებდა. იგი საქართველოს სამხედრო გზას გადაკვეთდა და ეს გარემოება მას ანგარიშგასაწევს ხდიდა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს გზა ძნელი დასაძლევი იყო და მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიმართავდნენ. მოვიყვანთ რამდენიმე ისტორიულ ცნობას ამ გზის შესახებ. სპარსელების მიერ იმერეთს გაძევებული თეიმურაზ მეფე 1636 წელს დვალეთის გზით გადმოვიდა დუშეთს და იქიდან ცდილობდა როსტომ მეფის ხელიდან ქართლის გამოგლეჯას[2]. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ზაალ არაგვის ერისთავმა იმერეთს მყოფ თეიმურაზს შეუთვალა: „მოდი და გაგაბატონებო“. რა მოუვიდა ბატონს თეიმურაზს კაცი, მაშინ ვერ ძალედვა ქართლზედ და წარვიდა იმერეთიდამე დვალეთზედ, გარდმოიარა და მოვიდა ანანურს“[3].

ამ გზას, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, იმიტომ ვიხსენებთ, რომ იგი ოსებით დასახ-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, 1, გვ. 116 — 117; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 33.

[2] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 72.

[3] ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940 წ., გვ. 172—173.

ლებულ რაიონებზე გადიოდა და თუკი მას იმერეთის ჩრდილო რაიონების ქართლ-კახეთთან დაკავშირება შეეძლო, ეს იმას ნიშნავს, რომ აქაურ ოსებსაც იგივე შესაძლებლობა ჰქონდათ და მას კიდევაც მიმართავდნენ.

ხსენებულ გზას დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების მოსახლეობა ეკონომიური მიზნებით მიმართავდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფეოდალური შინაბრძოლების თუ არეულობების გამო შეუძლებელი ხდებოდა ბართან ტრადიციული გზებით ურთიერთობა. არის ცნობა, რომ სვანები დვალეთის გზით საშოვარზე კახეთს მიდიოდნენ. როგორც თავად ჯაფარიძეთა და ბელას ზემო სვანეთს შორის დადებულ სასისხლო წიგნიდან ჩანს (წიგნი დათარიღებულია 1490—1503 წწ.) ჯაფარიძეებმა სამხრეთიდან ჩაკეტეს სვანები და იმერეთის ბარში საჯამაგიროდ აღარ გაუშვეს. ქვეყნის ბუნებრივი სიმწირით გამოწვეულ საარსებო საშუალებათა ნაკლოვანებას ისინი ბარის რაიონებში საჯამაგიროდ-საშოვარზე გასვლის გზით აღწევდნენ თავს. მოვუსმინოთ თვით წყაროს: „...მრავალი ძტერობა გუიყავით, — ჩივიან სვანები ჯაფარიძეებზე — და ვერსად საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით, ამისი ღონე ვერ დავდევით, რომ გზა გუეშოვნა. ასი სუანი დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდ წავედით. მის წასვლა ვერ შეგუიტყევით, და მერმე შინისკენ რომ შემოვიქეცით, იმავ დვალეთზედ წამოვედით, — დაგუხუდით გლოლას და ჭიორასა შუაზედან და მოგუიჭირეთ კელთა, დაგუძარცუეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშუით, სხუა ყუელა ტყუედ წაგუასხით, ჩვენის მონაგებიანად ონს მიგუასხით“...[1]

ამავე გზით ისარგებლა არჩილ მეფემ 1700 წელს რაჭიდან რუსეთს გასამგზავრებლად. კავკასიონის მთები თოვლით იყო დაფარული და დედა-წულით მისი გადასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის გამო მან გაიარა ლიახვი და იქიდან თაგაურში გადავიდა. იქ დაიზამთრა და 1701 წ. გაზაფხულზე რუსეთს გაემგზავრა[2].

---

[1] ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, გვ. 41.

[2] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 330.

ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნული გზა კარგად იყო ცხობილი და მტრის მიერ საქართველოს ბარის რაიონების დაკავებისას იმერეთის ქართლ-კახეთთან დამაკავშირებელ ძირითად მაგისტრალად რჩებოდა. საქართველოს მთიან რაიონებს მტერი ადვილად ვერ იმორჩილებდა და ისინი დამპყრობლების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის ცენტრებად იქცეოდნენ.

ამრიგად, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საწარმოებლად გამოყენებული იყო რიგი საუღელტეხილო გზებისა, რომლებიც კავკასიონის ქედს გადალახავდნენ და მის ჩრდილო და სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ხალხებს ურთიერთთან აკავშირებდნენ. საუღელტეხილო გზები ქართველების ძიერ გამოყენებული იყო ჩრდილო ოსებთან და სხვა ჩრდილოელ ხალხებთან კავშირისათვის. ამიტომაც შეუმთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ძირითად საუღელტეხილო გზების აუზებში მცხოვრები ოსები გვევლინებიან ქართულ სამყაროსთან ურთიერთობის მამოძრავებელ ძალად. რაც შეეხება სამხრეთელ ოსებს, ისინი ქართველებთან უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული როგორც ეკონომიური, ასევე სოციალური და კულტურული თვალსაზრისით. სამხრეთელი ოსების ძირითადი მასა პოლიტიკურად ქართლისა და, ნაწილობრივ, იმერეთის სამეფოების ქვეშევრდომებათ ითვლებოდა და ბევრგან უშუალოდ ქართველებთან შერეულად ცხოვრობდა. ასეთ პირობებში მათ ქართველ ხალხთან დასაკავშირებლად სპეციალური გზების ძიება საჭირო არ იყო და მათი ურთიერთობაც ერთი მიწა-წყლის მოსახლეობის ურთიერთობის ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარეობდა.

თავი II

XV — XVIII საუკუნეების ოსეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურის მოკლე დახასიათება

ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობის შესწავლისათვის, ამ ურთიერთობის ბუნების გარკვევისთვის აუცილებელია მასში მონაწილე თითოეული მხარის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურის ჩვენება. იგი ის საფუძველია, რომელზეც დამოკიდებულია ამ ურთიერთობის მეტნაკლები სიმტკიცე, ხანგრძლივობა და ხასიათი.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მოკლედ შევეხებით ოსური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას განსახილველ ხანაში. რაც შეეხება საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურას, ჩვენ მას ცალკე არ გამოვყოფთ და შრომაში გზადაგზა, ამ ურთიერთობის კონკრეტული ფაქტების განხილვისას წარმოვადგენთ. ეს გამართლებულია იმით, რომ ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობაში ტონის მიმცემი და ინიციატორი სწორედ საქართველო იყო. იგი თავის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების შესაფერის ურთიერთობას ამყარებდა მეზობელ ხალხებთან, მათ შორის ოსებთანაც.

აღიარებულია, რომ VIII — IX სს. ოსეთში მიმდინარეობდა ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვისა და გაფორმების პროცესი, რომელიც მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების შექმნით დაგვირგვინდა. ეს გაერთიანება IX — XII სს. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა.

ოსთა ამ მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნა

გაპირობებული იყო მათი ეკონომიური და სოციალური განვითარების მთელი მსელელობით და აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის მომენტითაც (ხაზარების, ყივჩაყების და სხვა მომთაბარე ტომთაგან თავდაცვის აუცილებლობით).

XI — XII სს. ოსეთის მმართველი ფეოდალური წრეები აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ. მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს, ბიზანტიისა და კიევის რუსეთის ფეოდალურ ზედაფენებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

უკვე XII საუკუნეში ოსეთში ადგილი ჰქონდა ფეოდალური საზოგადოების დაქუცმაცების პროცესს. ეს პროცესი გაპირობებული იყო ქვეყნის შინაგანი განვითარებით — საზოგადოების ფეოდალიზაციის გაღრმავებით. მონღოლთა შემოსევები ოსეთს სწორედ ასეთ მომენტში დაატყდა თავს. ჩრდილო კავკასიის ფართო ველებზე განსახლებულმა ოსებმა, მონღოლთა გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად, დასტოვეს თავისი საცხოვრებელი და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. ბევრი მათგანი, მოსწყდა რა თავის ხალხს, შეერია სხვა ხალხებს, გაითქვიფა მათში და დაჰკარგა თავის ეთნიკური ინდივიდუალობა.

ოსთა იმ ნაწილმა, რომელიც მონღოლთა შემოსევების შედეგად კავკასიის მთებში შემოვიდა, შეინარჩუნა თავისი ეთნიკური ინდივიდუალობა, მაგრამ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარების თვალსაზრისით დაქვეითდა. მონღოლთა შემოსევებს მოჰყვა ქვეყნის სრული აოხრება, მოსახლეობის ნაწილის ფიზიკური მოსპობა, საწარმოო ძალების მოშლა, ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის პოლიტიკური დეცენტრალიზაცია და, შესაბამად, მისი საგარეო პოლიტიკური როლის დაქვეითებაც.

იმავ დროიდანვე (XIII — XIV სს.) კავკასიის მთებში კონცენტრირებული ოსების ნაწილი გადმოდის ქართლის მთიანეთში და ბარის რაიონებში. საფუძველი ეყრება თანამედროვე სამხრეთ-ოსურ მოსახლეობას.

ასე, რომ XV — XVIII სს. ოსეთი არ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ორგანიზაციას. იგი ცალკეული საზოგადო-

ებებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის მხოლოდ შემთხვევითი ურთიერთობანი მყარდებოდა. ის ფაქტი, რომ XI—XII სს. ოსეთი საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, არ ეწინააღმდეგება მომდევნო საუკუნეებში ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციის გაქრობის ფაქტს. XII ს. ოსეთში მეფე-მთავართა რიცხვის მომრავლება[1] ოსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობის დაწყების აშკარა მაჩვენებელია. ოსეთის ადრეფეოდალურმა საზოგადოებამ ვერ მოასწრო ამ დაქუცმაცებულობის (განვითარების გარკვეულ საფეხურზე კანონზომიერი მოვლენის) გადალახვა და მონღოლთა შემოსევების სიმძიმის ქვეშ შესწყვიტა თავის განვითარების აღმასვლა. აოხრებულ ქვეყანაში განვითარების პერსპექტივების მქონე ველის რაიონები მტერმა დაიკავა, ოსთა ძირითადმა ნაწილმა კი კავკასიის მთების უნაყოფო ხეობებში მოიყარა თავი. აქ ისინი მძიმე მატერიალურ პირობებში აღმოჩნდნენ, ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება შეფერხდა. მთის რაიონები ბარის რაიონებს სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით ყოველთვის ჩამორჩებოდნენ. მთის გავლენით ადგილი უნდა ჰქონოდა პატრიარქალური ტენდენციების გამოცოცხლება-განმტკიცებას. საზოგადოების განვითარება ჩიხში მოექცა, რაც ობიექტური პირობების ლოგიკური შედეგი იყო.

ოსეთში ცენტრალური ხელისუფლების გაქრობამ (მონღოლთა შემოსევების შედეგად) ოსურ საზოგადოებას ღრმა კვალი დააჩნია. შექმნილი ვითარების ბუნებრივი შედეგი იყო ანარქია, რომელმაც XIII ს. შუა ხანებიდან მოიცვა ოსეთი. დომინიკანელი ბერის იულიანეს (XIII ს. შუა ხანები) ცნობით, შინაგანი მდგომარეობა ოსეთში (ალანეთში) ისე დაძაბული იყო, რომ მოსახლეობას სახნავად გამოსვლა მთელი სოფლობით და შეიარაღებულთ შეეძლოთ მხოლოდ[2]. ასეთ

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 356.

[2] Записки Одесского Общества Истории и древностей, т. V. გვ. 999.

პირობებში პიროვნების უშიშროების უზრუნველყოფა თემური ორგანიზაციის მეშვეობით თუ შეიძლებოდა. ამით, აგრეთვე მთებში ცხოვრების სიდუხჭირით, უნდა ავხსნათ თემურ-გვაროვნული ტენდენციების აღორძინება.

მონღოლთა შემოსევების მავნე შედეგები ოსეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისათვის მით უფრო სამძიმო და დამღუპველი იყო, რომ ეს დარტყმა სწორედ მაშინ მიაყენეს, როცა მიმდინარეობდა ცალკეულ ოსურ ტომთა დაახლოების პროცესი, როცა უკვე შეიქმნა წინაპირობები მყარი სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოსაქმნელად, ერთიანი ოსი ხალხის ჩამოსაყალიბებლად[1].

მონღოლთაგან წელში გაწყვეტილ ოსებს უკანასკნელი მახვილი თემურლენგმა ჩასცა. XIV ს. დამლევს ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს ხან თოხთამიშთან გამართულმა ბრძოლამ ოსეთის რიგი რაიონები საბოლოოდ გააჩანაგა. თემური, ფიქრობდა რა, რომ ქართველები ოსებისაგან სამხედრო მხარდაჭერას ღებულობდნენ, ამიერკავკასიის მხრიდანაც შეეცადა ოსებზე ლაშქრობას. იგი შეიჭრა არაგვის ხეობაში, ულაშქრია დარიალის ხეობაშიც, მაგრამ, მთიელთა თავდასხმების შედეგად, იძულებული გამხდარა ხელი აეღო ამ განზრახვაზე. ამის მიუხედავად ოსთა პოლიტიკური გაერთიანება საბოლოოდ დაეცა, დაიღუპა მატერიალური კულტურის ძეგლები, უწყალოდ გაიჟლიტა მოსახლეობა. ისინი მხოლოდ მთიან რაიონებში გადარჩნენ.

XV ს. იტალიელი მოგზაური იოსებ ბარბარო, რომელმაც ჩრდილო კავკასიაში იმოგზაურა, წერდა: «Народ сей (аланы-ясы. — გ. თ.), исповедовавший христианскую веру, был истреблен и выгнан из жилищ своих»[2].

XV — XVIII სს. ოსები ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ. კავკასიის მთიანეთის გადაღმა, ამ მთიანეთის ჩრდ. კალთებსა და ხეობებში აღმოსავლეთიდან დასავლეთით განლაგებული იყო თაგაურის,

---

[1] История Северо-Осетинской АССР, М., 1959, გვ. 84.

[2] Путешествие в Тану. «Библиотека иностранных писателей о России», СПБ, 1836, т. 1, отд. 1, глава 1, გვ. 6.

ქურთათის, ალაგირის. დიგორიის საზოგადოებები; ცენტრალური კავკასიის მაღალმთიან ზონაში — მთავარსა და პირიქითელ ქედს შუა ნარ-მამისონის საზოგადოება იყო. ქედს გადმოღმა ოსები მოსახლეობდნენ დიდი და პატარა ლიახვის სათავის რაიონებში, ჭსნისა და არაგვის ხეობებში. მთიანი რელიეფი აძნელებდა ცალკეულ საზოგადოებათა შორის ურთიერთობას, თითოეულ მათგანს განკერძოებული ცხოვრების პირობებში აქცევდა. ამის მიუხედავად, მტკიცება ამ საზოგადოებათა ურთიერთისაგან სრული იზოლაციის შესახებ, სწორი არ იქნებოდა. მათ ურთიერთთან კავშირი სავსებით არასოდეს არ შეუწყვეტიათ. ასევე არ შეუწყვეტიათ კავშირ-ურთიერთობა ამიერკავკასიასთანაც. ყველა საზოგადოებიდან ამიერკავკასიაში გადმოდიოდა გზა. ამ გზების მეშვეობით ოსები საქართველოს სხვადასხვა რაიონებს უკავშირდებოდნენ. /

ოსეთის ეკონომიკის ვრცლად დახასიათებისათვის საჭირო მასალები არ მოგვეპოვება. მართალია, ეს ჩვენი გამოკვლევის უშუალო საგანი არცაა, მაგრამ მასზე მოკლედ შეჩერებამაც ხელი უნდა შეგვიწყოს ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ეკონომიური მოტივების ახსნაში.

განსახილველი პერიოდის ოსეთის ეკონომიკა სუსტი იყო. მთიანი რელიეფის გამო სახნავ-სათესად ვარგისი მიწა მცირე და უნაყოფო იყო. ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით: „ნაყოფიერება ამ ქვეყნისა (ოსეთისა — გ. თ.) არს მცირედი, ვინათგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თუნიერ ხორბლისა, ქრთილისა (საშემოდგომო ქერი. — გ. თ.) და შვრივისა, სიციცის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათუს. გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკუთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოყმდებიან (დაიმშევიან. — გ. თ.) ძლიერად. კვალად არარაი მოვალს და არა უწყიან მტილისანი ანუ წალკოტნი (ბოსტნეულნი. — გ. თ.) და ხილნი“[1].

ამ მიზეზების გამო, მესაქონლეობა მოსახლეობის ძირი-

---

[1] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 108.

თად საქმიანობას წარმოადგენდა. ჰყავდათ როგორც მსხვილ-ფეხა, ასევე წვრილფეხა საქონელი. სათიბ-საძოვართა სიმ-ცირე არ იძლეოდა საშუალებას ჯოგების გასამრავლებლად. ბთის საძოვრები მთელი წლის მანძილზე ვერ უზრუნველ-ყოფდა საქონელს საკვებით. არც მისთვის საკვების მომარა-გების პირობები იყო. საჭირო ხდებოდა საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებზე საქონლის გადარეკვა. ასეთი სა-ძოვრები ოსებს თვითონ არ ჰქონიათ, ხოლო მეზობელ ხალხ-თაგან ასეთი საძოვრებით სარგებლობის უფლების მიღება ადვილი საქმე არ იყო. ამიტომ მესაქონლეობის მასშტაბიც შეზღუდული იყო. ვახუშტის დახასიათებით ოსეთში „პი-რუტყვნი არიან ცხოვარნი უდუმო კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, არამედ, არიან ფრიად გემოიანნი სხვათა ადგილებთაგან უმეტეს, და ვინადგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთჳს ვერ ინახვენ ცხოვართა, თჳნიერ კ, მ და რ კიდე (ე. ი. 20 — 40 — 100. — გ. თ.), ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი, კ და მ (ე. ი. 10 — 20 — 40. — გ. თ.) და უფროსი არღარა“[1].

მონადირეობა კვლავ რჩებოდა მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დამხმარე დარგად. ოსეთის მთებში მრავლად ყოფი-ლა ირემი, ჯიხვი, არჩვი, შველი, დათვი, კურდღელი და სხვ.[2].

შედარებით განუვითარებელი იყო ხელოსნური წარმოება. ვახუშტის ცნობით, ოსებმა „უწყიან ჭელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედ-ლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთშენება“... „არიან აქა (ოსეთში. — გ. თ.) ლითონნი ვერცხლისა, ბრპენისა (ტყვიისა. — გ. თ.), რკინისა, გოგირდისა, გვარჯილისა და ქვის ბროლისა“... „გამოიღებენ მიწიდან ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა. ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმინდა და კეთილ-ნი“[3]. როგორც ჩანს, მჭედლობა, ზეინკლობა, იარაღის კეთება, ხის დამუშავება, სახლთშენება წარმოადგენდნენ ხელოსნობის განვითარებულ სახეობებს. მთელი რიგი დარგები საოჯახო ხასიათს ატარებდნენ. მეურნეობა ნატურალური ხასიათისა

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 109.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 111.

ყო, თავის მოთხოვნილებებს ძირითადად თვითვე იკმაყოფილებდნენ. არსებობდა გაცვლა-გამოცვლაც როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მეზობელ ქვეყნებთან.

ვახუშტის მიხედვით: „სიმდიდრე მათი (ოსების.—გ. თ.) არს თოფი, ჯრმალი, ჯაჭვი, ჯავშანი, სპილენძი და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით“[1].

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ოსეთში ვაჭრობა გაცვლით ხასიათს ატარებდა, ის ცნობა, რომ ოსებს ფული არ ჰქონდათ და მის მაგივრობას სხვადასხვა საგნები და პირუტყვი ეწეოდა, აბსოლუტური აზრით არ უნდა გავიგოთ, ოსებს, მართალია, საკუთარი ფულადი ერთეული არ ჰქონიათ, მაგრამ მათ ფულადი შემოსავლის წყაროები ჰქონდათ და მეზობელ ხალხებთან ურთიერთობაში ფულს განსაზღვრული ადგილი უნდა სჭეროდა კიდეც. უშუალო გაცვლა-გამოცვლა უპირატესად ქვეყნის შიგნით სწარმოებდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ოსეთში სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. მას ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა განუვითარებლობა, ფეოდალური დაქუცმაცებულობა, პატრიარქალური წყობილების ძლიერი გადმონაშთები.

ოსეთში XV—XVIII სს. მიწა კერძო საკუთრების საგანი იყო. გვაროვნული წყობილების რღვევისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პროცესი მათში გარკვეული თავისებურებებით ხორციელდებოდა. ოსეთის სინამდვილეს სავსებით შეესაბამებოდა ფ. ენგელსის მითითება, რომ მთების ვიწრო ხეობებში გვაროვნული მიწათსაკუთრება ძალიან ადრე იცვლება საოჯახო საკუთრებით და თემის განკარგულებაში მხოლოდ დაუმუშავებელი მიწები რჩება[2].

სახნავ მიწაზე საოჯახო საკუთრების დამყარებას მოჰყვა მიწის გასხვისების უფლება ჯერ გვარის ფარგლებში, ხოლო შემდეგ მის გარეთაც... ამის შედეგი იყო პოლიგენური სოფ-

---

[1] ვახუშტი, აღწერა..... გვ. 111.

[2] К. Маркс, Ф. Энгельс, сочинения, т. XIV, გვ. 633.

ლების წარმოშობა. მიწის ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი ამბავი გახდა[1].

თემის შიგნით, მიწაზე კერძო საკუთრების განმტკიცების პირობებში, იქნებოდა „ძლიერი“, ანუ „წარჩინებული“ გვარები, რომელთა გაძლიერება მთაში საძოვრების, ტყის, სათიბების მითვისების გზით ხდებოდა. შინაურულ არეულობათა და გარედან თავდასხმების საფრთხის გამო მათ მფარველობას ხშირად მიმართავდნენ სუსტი გვარები. დროთა განმავლობაში ეს მფარველობა ფეოდალურ დამოკიდებულებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამ ძლიერ გვარებს ხალხი ჯოგებისა და საძოვრების დაცვისათვის, მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის გარკვეულ საზღაურს აძლევდა „საჩუქრების“ სახით. შემდეგში ეს ძლიერი გვარები სათემო მიწების, საქონლის მითვისებას ახდენენ. ადრინდელი „საჩუქრები“ კი ფეოდალების მიმართ სავალდებულო ხარკის სახეს იძენენ.

ამ პერიოდში ფეოდალიზმმა ოსეთში თავის განვითარებაში დასრულებული სახე ვერ მიიღო. ფეოდალებისა და დამოკიდებული წოდების ურთიერთობა ადათზე იყო დაფუძნებული. კლასობრივი დამოკიდებულება, ექსპლოატაცია და ჩაგვრა გადახლართული იყო პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობის გადმონაშთებთან. თვით ფეოდალური წრეები ოსეთში დაინტერესებული იყვნენ თეშური მიწათსარგებლობის ფორმების შენარჩუნებით, რადგან ეს, თავისუფალი თემის ხარჯზე, ფეოდალურ ურთიერთობათა გაფართოების საშუალებას იძლეოდა.

ხოლო რამდენადაც ფეოდალური საკუთრება სათემო მიწათსარგებლობის სისტემით იყო დაფარული, ფეოდალური ექსპლოატაციაც გვაროვნული ადათებისა და პატრიარქალური ტრადიციების სამოსელში ინიღბებოდა. ატალიკობა (შვილის აღსაზრდელად სხვაზე გადაცემა), გვაროვნული ურთიერთდახმარება და სხვა ფსევდონათესაური ურთიერთობანი ნიღბავდნენ პირადი დამოკიდებულების ფაქტებს[2].

---

[1] История СО АССР, გვ. 91—92.

[2] А. В. Фадеев, Вопрос о социальном строе кавказских горцев XVIII—XIX вв. в новых работах советских историков, журн. «Вопросы истории», № 5. 1958, გვ. 135—136.

განსახილველ პერიოდში ოსური საზოგადოება ორ ძირითად კლასად იყოფოდა: გაბატონებული კლასი, რომელიც ალდარების საერთო სახელწოდებით იყო ცნობილი და დამორჩილებული კლასი, რომელიც შედგებოდა ადამიხატების (ფარსაგლაგების), კუმაიაგების (ქავდასარდების) და ქუსაგებისაგან (მუშა-მონა).

ოსეთის ცალკეულ საზოგადოებებში ფეოდალური წრეები სხვადასხვა სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი. დიგორიაში, სადაც ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონე ყველაზე მაღალი იყო, ისინი ბადელიატების (ლეგენდარული ბადილას ჩამომავლები), სტირ-დიგორიაში — ცარგასატების, დონიფარსში — გაგუატების სახელწოდებით იყვნენ ცნობილი. თაგაურში მათ თაგიათებს უწოდებდნენ. ალაგირში გაბატონებული იყო ცარაზონოვების გვარი, ქურთათის ხეობაში — ცალიკოვები, ესიევები, თეზიევები, გურიევები. ნარმამისონში გაბატონებული სოციალური ძალა იყო სთირ-ძიგგაგები (დიდი გვარები), რომლებიც ეწეოდნენ შედარებით სუსტი გვარების ექსპლოატაციას.

დიგორიაში ბადელიატები 7 გვარად იყოფოდნენ. მათზე იყვნენ დანაწილებული ადამიხატები, რომელთაც ერთი ბატონიდან მეორესთან გადასვლის უფლება ჰქონდათ. მაგრამ ამა თუ იმ ბადელიატისადმი გარკვეული ვალდებულებანი ყოველთვის უნდა შეესრულებინათ. ადამიხატის უძრავ-მოძრავი ქონება ბადელიატის უმაღლესი უფლების ქვეშ იყო. მიწას ის თავისუფლად ფლობდა, მაგრამ, თუ გაყიდვა უნდოდა, ბადელიატისათვის უნდა შეეთავაზებინა. თუ ოჯახი მამაკაცის ხაზით ამოწყდებოდა, მთელი ქონება ბადელიატის ხელში გადადიოდა. თუ ადამიხატი დიგორის გარეთ წავიდოდა, მისი ქონება ბადელიატს რჩებოდა. ბადელიატი თვითნებურად სარგებლობდა მისი საქონლით, მაგ.. ცხენით. ადამიხატი ვალდებული იყო ბადელიატისათვის რიგი გამოსაღებები გაეღო: ქალის გათხოვებისას ხარი, ოჯახის გაყოფისას ხარი, ქელეხის დროს ცხვარი, აგრეთვე მოკლული ნადირის ტყავი. თითოეული კომლი ფეოდალს წლიურად ორ ცხვარს უხდიდა საძოვრების დაცვისათვის — ე. წ. „სასაძოვრო რენტა". ეს გამოსაღებები მეტ-ნაკლებად საერთო იყო ყველა ადამიხატი-

სათვის, ოღონდ სხვადასხვა ადგილებში მათი ვარირება ხდებოდა. მთისწინა ზოლის ბადელიატებმა ადამიხატებს ნატურალური რენტის გარდა შრომითი რენტაც დააკისრეს. თითოეული ოჯახი ვალდებული იყო კვირაში ერთხელ ერთი კაცი გამოეყვანა ხვნაზე. ასევე მოსავლის აღებაზე. მათვე უნდა ეძლიათ გარკვეული ოდენობის მარცვლეული, თივა, შეშა, 2 ცხვარი[1].

დიგორიაში დამოკიდებული ფენების შემდეგ თანრიგს კუმაიაგები (ქავდასარდები) შეადგენდნენ. ისინი იყვნენ ალდარების შთამომავლები „უკანონო", ე. ი. სოციალურად უთანასწორო ქორწინებიდან. ისინი ფეოდალის „კანონიერ" შვილებთან ერთად იზრდებოდნენ და ფორმალურად მათ „უმცროს" ძმებად ითვლებოდნენ. მათ ერთმანეთის სისხლი უნდა აეღოთ. სხვა მხრივ ისინი საოჯახო მონების მდგომარეობაში იყვნენ და ასრულებდნენ ყოველგვარ სამუშაოს ოჯახსა და მინდორში. როცა ამა თუ იმ ფეოდალის „უკანონო" (ოსურად მათ „ნომილუს" ეწოდებოდა) ცოლს ქმარი მოუკვდებოდა, მას თუ ვაჟი ეყოლებოდა, უფლება ჰქონდა ცალკე გასულიყო. იგი მიიღებდა მცირეოდენ მიწას, უღელ ხარს, ქვაბს, ცულსა და თოკს. ისინი ისეთივე გადასახადებს იხდიდნენ, როგორსაც ადამიხატები და ხშირად მეტსაც. კუმაიაგები ფეოდალებისათვის საჭირო მუშახელის წყაროს წარმოადგენდნენ.

დამოკიდებულთა კატეგორიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ მონები (ქუსაგები). მონობის წყაროს ოსეთში ტყვეობა და ყიდვა-გაყიდვა წარმოადგენდა. მონები ჩვეულებრივ არაოსური წარმოშობის ადამიანები იყვნენ. ტყვეობ სყიდვას ოსი ფეოდალები ეწეოდნენ. ისინი იტაცებდნენ ტყვეებს მეზობლებისაგან და ქვეყნის შორეულ რაიონებში ჰყიდიდნენ. ისინი მფლობელის სრულ საკუთრებას წარმოადგენდნენ მათი გაყიდვის, გაჩუქების და ფიზიკური დასჯის უფლებით. მონები ასრულებდნენ მთელ სამუშაოებს ბატონის მეურნეობაში. ამასთან, მათ შეეძლოთ უძრავ-მოძრავი ქონება შეეძინათ.

დიგორიაში არსებობდა ე. წ. ხეხესთა კატეგორიაც. ისინი

---

[1] История СО АССР, გვ. 94—95.

სხვადასხვა ხეობებიდან იყვნენ მოსული. ხეხესები პირადად თავისუფალი იყვნენ, მაგრამ რაკი ცხოვრობდნენ მიწაზე, რომელიც ამა თუ იმ ფეოდალს ეკუთვნოდა, იხდიდნენ გადასახადებს. ისინი ძალიან გვანან ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ ხიზნებს.

ფეოდალურ ურთიერთობათა ანალოგიური სურათი იყო თაგაურშიც. ფეოდალებს (ალდარებს) აქ თაგიათებად იცნობდნენ. მათ დამოკიდებულებაში იყვნენ ფარსაგლაგები („გვერდითი კაცები", ანუ დამოკიდებულებაში მყოფნი). დიგორიის კუმაიაგს აქ ქავდასარდი (ბაგაში დაბადებული) შეესაბამებოდა. აქაც იყო ქუსაგების (მონების) კატეგორია.

თაგაურში მიწა თაგიათების საკუთრებად ითვლებოდა. თაგიათები 11 გვარს შეადგენდნენ. მოგვიანებით 9 გვარი იძულებული გამხდარა თავის მიწები ფარსაგლაგებისათვის მიეყიდა და მხოლოდ ის მიწები შეენარჩუნებინათ, რომელზეც თვითონ იდგნენ. მხოლოდ ორმა ძლიერმა ფეოდალურმა გვარმა — დუდაროვებმა და კანუკოვებმა, შეინარჩუნეს მიწები და ძველებურად ახდევინებდნენ გადასახადებს — თითოეულ ოჯახს წელიწადში ბატკანს, ცხვარს, ურემ თივას, ყველეურს, 10 გირვანქა ერბოს. საქონლის დაკვლისას ნაჭერს. ამას გარდა, ყველა ოჯახი ვალდებული იყო ხვნაზე, თიბვასა და მკაზე ეითო დღით თითო კაცი გამოეყვანათ. ფარსაგლაგებს შორის უმიწონიც იყვნენ. ისინი ალდარის მიწაზე ცხოვრობდნენ და დამატებით ვალდებულებებს ასრულებდნენ — დღესასწაულებზე, ქორწილის თუ ქელეხის დროს საჩუქრებს მიართმევდნენ ნატურით, მოგზაურობის თუ ლაშქრობების დროს ამალაში ახლდნენ. თუ სხვა ფეოდალთან გადავიდოდნენ, — მათი მთელი შენობები ძველ ფეოდალს რჩებოდა.

ქავდასარდები თაგაურში ისეთივე მდგომარეობაში იყვნენ, როგორც კუმაიაგები დიგორიაში.

ფეოდალურ ურთიერთობათა ასეთივე სურათი იყო ქურთათის ხეობაში. ფეოდალური ურთიერთობანი შედარებით სუსტად იყო განვითარებული ალაგირში. აქაური სოციალური ზედაფენა (XVIII ს. რუსული ოფიციალური დოკუმენტების ენით „სტარშინები") განაგებდა ხალხს და ეწეოდა მასების

ფეოდალურ ექსპლოატაციას. ნარ-მამისონის ხეობაში ასეთივე ფუნქციას ძლიერი გვარები ახორციელებდნენ.

სამხრეთელი ოსები ქართველ ფეოდალთა დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. მათ შესახებ ნაშრომში ცალკე გვექნება საუბარი.

ოსეთში ფეოდალიზმს გარკვეული თავისებურება ახასიათებდა: ფეოდალები ურთიერთშორის თანასწორად ითვლებოდნენ. ვასალური ურთიერთობა მათ შორის არ არსებობდა, ე. ი. არ იყო ე. წ. ფეოდალური კიბე. ვასალიტეტი ყოველთვის უცხო როდი იყო ოსური საზოგადოებისათვის. ქართული ისტორიული წყაროები XI—XIII სს. ოსეთში იხსენიებენ მეეფებს, მთავრებს, თავადებს[1]. ეპვს გარეშეა. მათი ურთიერთობა ვასალიტეტის პრინციპებზე იყო აგებული. შემდეგში, ძონღოლთა შემოსევებისა და ქვეყნის პოლიტიკური დეცენტრალიზაციის შედეგად, ფეოდალური წრეების ურთიერთდამოკიდებულებას ბოლო მოეღო და ფეოდალური ანარქია დამყარდა. დომინიკანელი ბერი იულიანე XIII ს. ოსების შესახებ წერდა, რომ იქ რამდენი ხევიცაა, იმდენი ბატონია და არც ერთი არ ფიქრობს მეორის მორჩილი იყოს[2]. ერთი სიტყვით, ობიექტური პირობების გამო, ოსურმა საზოგადოებამ ვეღარ გადალახა ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ამ გარეშოებამ მისი შემდგომი განვითარება საგრძნობლად შეაფერხა.

ვახუშტი ბაგრატიონი XVIII ს. დამდეგის ოსთა სოციალური მდგომარეობის შემდეგ სურათს იძლევა: „ხოლო ესე ოვსი განიყოფების ესოდენ გვარად: სიდამონად, ჭახილიძე, თაგაურად, ქურთაულად, ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად, და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხვათა ზედა. და ამათ გვართა იციან გვართა თჳსთა ნიჯადი, ერთმან მეორესა ზედა ლაშქრობა, შველა, მესისხლობა, რამეთუ უკჳთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გვარი შვილით შვილამდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა“[3].

XVIII ს. ქართული დოკუმენტური მასალები ოსთა სოცია-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 313, 336; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251.

[2] ЗООИД, т. V, გვ. 999.

[3] ვახუშტი, აღწერა... გვ. 111.

ლურ ზედაფენებს აზნაურებს, იშვიათ შემთხვევაში, თავადებსაც უწოდებენ. XVII ს. დამლევისათვის ოსეთში კაპუჩინელი ბერი დიონიჯიო კარლი „მთავარსაც“ იხსენიებს, რომლის პოლიტიკური მხარდაჭერის მიღების იმედით გიორგი XI თავის შვილი მის ასულზე დააქორწინა[1]. ჩვენ არ ვიცით რა ძალაუფლების პატრონი იყო ეს „მთავარი“. ფაქტი ისაა, რომ მას გარკვეული პოლიტიკური გავლენა ჰქონდა და შეეძლო მოკავშირისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაეწია. ქართველი პოლიტიკური მესვეურები XVII — XVIII სს. ოსეთის სოციალური ზედაფენების მრავალ წარმომადგენელს საჩუქრების, ჯამაგირების მიცემის გზით თავის მოკავშირეებად აქცევდნენ და საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ. ოსეთის სოციალური ზედაფენები ამით არამარტო მატერიალურ სარგებლობას ღებულობდნენ, არამედ თავის ძალასა და გავლენას ადგილზე კიდევ უფრო განამტკიცებდნენ.

ასეთად წარმოგვიდგება მოკლედ განსახილველი პერიოდის ოსეთის საზოგადოება. პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაბალი დონე, თავისთავად ცხადია, გავლენას ახდენდა გარესამყაროსთან მისი ურთიერთობის დონეზე და ამავე დროს განსაზღვრავდა ამ ურთიერთობის ხასიათს.

---

[1] დიონიჯიო კარლი, თბილისის აღწერა, ბ. გიორგაძის თარგმანითა და რედაქც. მსკი, თბ., 1951, ნაკვ. 29, გვ. 171.

თავი III

ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური ურთიერთობა XV — XVIII სს.

ამიერკავკასიის ხალხებს უძველეს ხანიდანვე ფართო საერთაშორისო ეკონომიური კავშირი ჰქონდათ გარესამყაროსთან. ამიერკავკასიის მდებარეობა მნიშვნელოვან სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებზე, რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებს დასავლეთის ქვეყნებთან, ხოლო სამხრეთისას ჩრდილოეთის ქვეყნებთან აკავშირებდნენ, განაპირობებდა გარესამყაროსთან მისი ურთიერთობის ხასიათსა და მასშტაბს. აღნიშნული გარემოება, ეჭვს გარეშეა, თავისებურ, დადებით გაკლენას ახდენდა ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ეკონომიურ მხარეზეც. საქართველო ამიერკავკასიის ძირითადი პოლიტიკური ერთეული იყო მთელი მისი ისტორიის მანძილზე. ოსეთსაც, ჩრდილო კავკასიაში თავისი ცენტრალური მდებარეობით (სამხრეთის ქვეყნების ჩრდილოეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელ გზებზე მდებარეობით) და მნიშვნელობით, შეეძლო საქართველოსათვის ეკონომიურ ურთიერთობის სფეროში ისეთივე პარტნიორი ყოფილიყო, როგორსაც იგი სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში წარმოადგენდა.

ქართველი და ოსი ხალხების, ეკონომიური ურთიერთობის საკითხზე მსჯელობისას მკვლევარი დიდი სიძნელეების წინაშე დგება. მასალა, რომლის საფუძველზეც ეს საკითხი უნდა დამუშავდეს, უაღრესად მცირეა, ფრაგმენტული და, შესაბამად, გაკეთებული დასკვნებიც არ შეიძლება ამომწურავი იყოს. თავისთავად ეს გარემოება არ იძლევა უფლებას გვერდი ავუაროდ ამ საკითხის გაშუქებას და იგი თუნდაც იმ მოცულობით არ წარმოვადგინოთ, რა მოცულობითაც მისი

წარმოდგენა შეიძლება ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით.

შრომაში „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე)“, თავი მოვუყარეთ რა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცნობებს, სათანადო არქეოლოგიურ მასალას, შევეცადეთ საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობის სქემატური სურათი წარმოგვედგინა. აღმოჩნდა, რომ ქართველ და ოს ხალხებს შორის მაშინაც საკმაოდ მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას ჰქონია ადგილი. მასალის სიმცირემ ხელი შეგვიშალა ბოლომდე გაგვერკვია ამ ურთიერთობის ხასიათი, მაგრამ თვით ამ ურთიერთობის დადასტურებასაც, თუნდაც იმ სახით, როგორც ჩვენ ეს შევძელით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ისევე, როგორც ძველად, განსახილველ პერიოდშიც, ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კავკასიის მთიანეთის გადამკვეთი უღელტეხილები, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა დაწვრილებით ლაპარაკი. ამ საუღელტეხილო გზებს დიდი სავაჭრო და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ ყოველ ეპოქაში და როგორც მოსალოდნელი იყო, მათი გამოყენების საკითხი კავკასიის ხალხთა პოლიტიკური ისტორიის მოვლენებით იყო შეპირობებული. გზებს, განსაკუთრებით ეს ეხება დარიალის გზას, დიდი სატრანზიტო მნიშვნელობის გარდა, ქართველ-ოსთა უშუალო ეკონომიური ურთიერთობისათვისაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ. ოსები ამ გზებთან იყვნენ შესისხლხორცებული და მათი მეშვეობით მჭიდროდ უკავშირდებოდნენ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისევე დასავლეთ საქართველოსაც: რაჭას, ლეჩხუმს, სვანეთსა და იმერეთს.

XV—XVIII სს. ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური ურთიერთობის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უქონლობა ოსეთში, მისი უკიდურესი დაქსაქსულობა. არ შეიძლება მხედველობაში არ ვიქონიოთ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მრავალრიცხოვანი მოსახლეობის არსებობის ფაქტი.

XV — XVIII სს. ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობის განხილვისას ჩვენ ერთ საგულისხმო შენიშვნას გავაკეთებთ: სამხრეთელ ოსების ქართველ ხალხთან (ქართლელებთან, იმერლებთან, რაჭა-ლეჩხუმელებთან, სვანებთან) ეკონომიური ურთიერთობა სავსებით დაიყვანება მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთობამდე, ე. ი. ისეთ ფორმებში ხორციელდებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს მთიანეთის ქართული მოსახლეობის ბარის მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ეთნიკური მომენტის გავლენა ამ ურთიერთობის ხასიათზე თუ ფორმებზე ანგარიშგასაწევი არაა. მასში როლს მხოლოდ პოლიტიკური მომენტი თამაშობდა, სამხრეთის ოსებთან დაკავშირებით კი მას იშვიათად უნდა ეჩინა თავი. ისინი ქართლის სამეფოში შემოდიოდნენ, ხოლო ბართან მათს ეკონომიურ ურთიერთობას განაპირობებდა განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური და სამეურნეო პირობები.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ოსეთის გარესამყაროსთან ეკონომიური ურთიერთობის სურათი, ზედმეტი არ იქნებოდა დაგვეხასიათებინა იგი როგორც განსაზღვრული სამეურნეო ერთეული და შემდეგ გვემსჯელა იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროებდა გარედან შევსებას მისი ეკონომიკა. გარესამყაროსთან ოსების ეკონომიური ურთიერთობა განსახილველ პერიოდში მის ქართულ სამყაროსთან ურთიერთობამდე უნდა დავიყვანოთ. ამ დროს მხოლოდ ქართული სამყაროს ეკონომიკა იძლეოდა ოსეთის ეკონომიკის შევსების საშუალებას. რაც შეეხება ოსების სხვა, უშუალოდ მოსაზღვრე ხალხებს — ყაბარდოელებს, ბალყარებსა და ჩეჩნურ-ინგუშურ ტომებს, ისინი არც თავის განვითარების დონით, არც სამეურნეო ხასიათით, დიდად არ განსხვავდებოდნენ ოსებისაგან, ხოლო ზოგ შემთხვევაში მასზე დაბლაც კი იდგნენ (ბალყარელები, ჩეჩენ-ინგუშები).

ვახუშტი ბაგრატიონი თავის გეოგრაფიულ თხზულებაში კავკასიის ბოტანიკურ-აგრონომიული არეების დაწვრილებით დახასიათებას იძლევა.

ვახუშტის მიხედვით, ოსეთი მწირი და მერყეე მოსავლიანი ადგილია. მხარის უმიწობა და კლდოვანება არ იძლევა საშუა-

ლებას იმ მარცვლეული კულტურების საკმაო რაოდენობით დათესვისათვის, რომლებიც ადგილობრივ ბუნებრივ პირობებში შედარებით კარგად გვარობენ. გვიანი გაზაფხული, ადრიანი შემოდგომა და სიცივეები შეუძლებელს ხდის მიწის არსებული ფართობი გამოყენებულ იქნას მეტნაკლები ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის. მთის პირობებში ხშირი სეტყვიანობა ზოგჯერ იმ ზომამდე ანადგურებდა ოსთა ისედაც სუსტ მეურნეობას, რომ მას საყოველთაო შიმშილობა მოსდევდა[1].

ვახუშტის აღნიშნული დახასიათება ძირითადად ჩრდილო ოსეთის რაიონებს ეხება. რა მდგომარეობაშია ამ მხრივ სამხრეთელ ოსებით დასახლებული ტერიტორია? ვახუშტის გეოგრაფიის ცნობების მიხედვით ისიც ისეთივე ტიპიური მთა-ადგილებია, როგორადაც ჩრდილო ოსეთია წარმოდგენილი. ქსნის ხეობის აღწერისას ვახუშტი შემდეგს აღნიშნავს: ზეპეყურის მთა „ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროებს კსანსა კლდითა“. ეს ადგილი ვახუშტის ქსნის ხეობის ორი სამეურნეო ზოლის საზღვრად აქვს მიჩნეული, რადგან „ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი... და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა“[2].

ასევე ახასიათებს ვახუშტი ქოლოთ-ქვითკირის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობებს. ქოლოთ-ქვითკირი ზახორს ზეით სავსებით არის „მთის ალაგთაებრ“, ცხრაძმა, ქარჩოხი, ჟამური არიან „მოსავლით, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“[3].

პატარა ლიახვის ხეობა ვანათს ზემოთ არის „უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ჯევნი, და სივიწროვით ესე უფროს მწირი“[4].

დიდი ლიახვის ხეობა ვახუშტით „სვერს ზეით... არს უვე-

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 108.

[2] იქვე, გვ. 68.

[3] იქვე, გვ. 69—70.

[4] იქვე, გვ. 71.

ნახო, უხილო... მოსავლით მთის ალაგებრი და პირუტყვითაც ეგრეთი"[1].

კუდაროში, მდ. ჯეჯორის ხეობის ის ნაწილი, რომლის „მოსახლენი არიან ოვსნი", არის „უვენახო, უხილო, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი"[2].

არაგვის ხეობაც სამეურნეო თვალსაზრისით ორ ზოლად იყოფა. ამ ზოლებს შორის საზღვარი ანანურთან გადის[3].

მაღრან-დვალეთიც ხასიათდება „მოსავლით, ვითარცა ამ მჯრის მთის ადგილნი დავსწერეთ"[4].

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულებიდან ჩვენ იმ ადგილების აგრობოტანიკური დახასიათებანი მოვიტანეთ, რომლებიც ვახუშტისავე ცნობებით ოსებით იყო დასახლებული. მათთვის უბრალოდ თვალის გადავლებაც ააშკარავებს, რომ კავკასიის ქედის გადმოღმა მცხოვრები ოსები XVIII ს. პირველ ნახევარში მთის ზოლის მეურნეობის პირობებში ცხოვრობდნენ, ანუ ვახუშტის ტერმინოლოგიით „უვენახო და უხილო" ზონაში მთისთვის დამახასიათებელი სიმწირითა და სივიწროვით.

ოსეთის აგრობოტანიკური თვალსაზრისით მოკლე დახასიათების შემდეგ იქმნება შესაძლებლობა გავითვალისწინოთ ოსთა წარსული ეკონომიური ისტორიის ზოგიერთი მომენტი, კერძოდ, ქართველ ხალხთან მისი ეკონომიური ურთიერთობის პირობები და ხასიათი.

ოსების საცხოვრებელი ტერიტორია თავის მთაგორიანობის გამო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს არ ჰქმნიდა. იქ არათუ ინტენსიური მეურნეობის წარმოება შეიძლებოდა, არამედ იმ შეზღუდულ შესაძლებლობათა გამოყენებაც კი, ზოგიერთი მარცვლეული კულტურის მოსაყვანად რომ არსებობდა, უაღრესად სათუო იყო მეტყევე კლიმატური პირობების გამო. შედარებით უკეთესი პირობები არსებობდა მესაქონლეობისათვის, მაგრამ არც მისი ფართოდ განვითარების შესაძლებლობა ყოფილა.

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 78.
[2] იქვე, გვ. 160.
[3] იქვე, გვ. 64.
[4] იქვე, გვ. 71.

სათიბ-საძოვრების სიმცირე ვაკე ადგილების ნაკლებობის, ადგილმდებარეობის საერთო სივიწროვე — კლდოვანობის გამო, ხანგრძლივი ზამთარი მთებში პირუტყვის დიდი რაოდენობით შენახვის საშუალებას არ იძლეოდა.

უკვე თავისთავად ის ფაქტი, რომ ოსეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები შეზღუდული იყო, რაც ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებშიც კი უაღრესად საგრძნობია, სვამდა საკითხს მეზობელ ხალხებთან გარკვეული სახის ეკონომიური ურთიერთობის დასამყარებლად. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ საქართველოს მიმართ გამოთქმული მოსაზრება, რომ „განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა“[1], ასევე თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს ოსეთის რაიონებზეც. საჭირო იყო ამ სხვადასხვა სამეურნეო პირობების მქონე რაიონებს ეკონომიურად ურთიერთის ნაკლი შეევსოთ. ცალკეული ოსური რაიონები, როგორც ძირითადად ერთნაირი სამეურნეო პირობების მქონენი, ურთიერთის ნაკლს ვერ შეავსებდნენ. ერთადერთი გამოსავალი საქართველოს რაიონებთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარებაში იყო. სამხრეთელი ოსები ქართლის ბართან მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობაში ჩართული აღმოჩნდნენ. ასეთივე პირობებში იყო ჩრდილო ოსეთიც. ოსების ეკონომიური ურთიერთობა ქართლის თუ იმერეთის ბარის რაიონებთან თამამად შეგვიძლია დავიყვანოთ მთისა და ბარის ეკონომიურ ურთიერთობამდე, ერთი ეკონომიური ერთეულის ცალკეული ნაწილების ურთიერთობამდე.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან, ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბარიან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1930, გვ. 316.

გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა"[1]. აკად. ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული დებულების დამადასტურებელია ის მრავალი გზა-ბილიკი, რომლებიც ჩრდილო ოსეთიდან გადმოლახავენ კავკასიონის მაღალ მთებს, გამოიცლიან ქართლის მთიანეთის ოსებით დასახლებულ რაიონებს და სხვადასხვა პუნქტში უკავშირდებიან ქართლ-იმერეთის ბარს.

თუ რაოდენ ძლიერად იყო დამოკიდებული ბარზე საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა (მათ შორის ოსები), კარგად ჩანს გუდამაყრელი მთიელების საჩივარში გუდოვიჩისადმი (1807 წ.). საჩივარში ისინი ეხებიან ბართან ურთიერთობის საქმეში შექმნილ დაბრკოლებებს და დასძენენ: „თუ ბარიდან არა შევიტანეთ რა, რით ვიცხოვროთ?"[2] შესანიშნავი აღიარებაა მთისა და ბარის ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობისა!

ზემოაღნიშნული პირობების გამო როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ ოსებს არ შეეძლოთ საკუთარი შრომის პროდუქციით დაკმაყოფილებულიყვნენ. საარსებო საშუალებათა უკმარობა ოსებს, გარკვეული აზრით, აქცევდა იმ ხალხთა დამოკიდებულებაში, რომელთაგანაც ისინი თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ — სურსათის დანაკლისს ივსებდნენ. ვახუშტი აღნიშნავს ოსეთში საარსებო საშუალებათა რიგი სახეების უქონლობას და ადასტურებს ფაქტს, რომ ისინი ქართლიდან, რაჭიდან და ჩერქეზიდან (ყაბარდოდან) შემოჰქონდათ. „ამისთვსცა მორჩილებენ თვსთვსთა მჯარეთა და კვალად უმეტესად საზრდელთათვსცა"[3]. ვახუშტის ეს ცნობა უაღრესად საინტერესოა. ეკონომიური ფაქტორი — საჭიროება შეივსონ თავის ეკონომიკის დანაკლისი მეზობელ ხალხებიდან, განსაკუთრებით სურსათის მიღების აუცილებლობა, განაპირობებდა მათ დამოკიდებულებას იმ ქვეყანაზე, რომელიც მათ საჭირო პროდუქციით უზრუნველჰყოფდა.

---

[1] საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 317.

[2] Акты. т. III, 1869, გვ. 108.

[3] ვახუშტი, აღწერა.... გვ. 111.

ამით ხსნიდა იგი ოსთა ნაწილის ქართლზე, ნაწილის იმერეთზე და ნაწილის ყაბარდოზე დამოკიდებულების ფაქტს.

ვახუშტის აღნიშნული მითითება საკმაოდ საფუძვლიანია. ოსებს ნატურალური, თვითკმარი მეურნეობის წარმოებისათვის ყველაფერი არ ჰქონდათ და მეზობელ ხალხებთან სისტემატური ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობის წინაშე იდგნენ. ისეთი უბრალო რამ, როგორიცაა სვია (მცენარე, რომელიც ლუდის დასაყენებლადაა საჭირო), ვახუშტის ცნობით, ქართლიდან, რაჭიდან და ჩერქეზეთიდან შეჰქონდათ ოსებს.

სურსათის მხრივ ოსთა ბარის რაიონებზე დამოკიდებულება იმდენად ძლიერი იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება ოსთა წინააღმდეგობის გასატეხად ხშირად მიმართავდა ბარიდან მათთვის მარცვლეულის მიღების შესაძლებლობის მოსპობას როგორც ეფექტურ ეკონომიურ სანქციას. მაგ., გენ. ტუჩკოვი ვახტანგ ბატონიშვილის 1802 წლის ამბოხებაში თაგაურელ ოსთა მონაწილეობის გამოსარიცხად საჭიროდ მიიჩნევდა ეკონომიური სანქციის გამოყენებას — მათთვის მარცვლეულის მიყიდვის აკრძალვას[1]. 1804 წელს თაგაურელ ოსთა თვითნებობის და რუსეთის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის პასუხად ციციანოვმა ბრძანა: «Запереть в Грузию Тагаурцам дорогу, а Моздокскому коменданту предписать, чтоб всех Тагаурцев, кроме Ларского, не пускать»[2].

1804 წლის 24 მაისს ციციანოვი აღმასრულებელ ხელისუფლებას სწერდა, რომ სომეხი ვაჭრის ზუბალოვის გაძარცვის გამო მაიორ ყაზბეგს მოსთხოვა თაგაურელი ოსები საქართველოში აღარ გამოეშვა. ამის მიუხედავად «ზუხრანელი და დუშელი ოსები მიდიან იქ (თაგაურში) და მათთვის საჭირო საქონელი მიაქვთ. ღონისძიების ეფექტურობისათვის საჭიროა არც აქედან დავუშვათ ოსები თაგაურში[3]. როგორც ვხედავთ, რუსეთის ხელისუფლები კარგად გრძნობდნენ საქართველოსთან ოსეთის ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას და მის

---

[1] Акты, I, გვ. 271.
[2] Акты, II, გვ. 552.
[3] იქვე, გვ. 552—553.

შეწყვეტას ოსთა დასჯის მნიშვნელოვან ზომად მიიჩნევდნენ. საინტერესო ის ფაქტიცაა, რომ, არამარტო თაგაურელები ჩამოდიოდნენ ქართლის ბარში საჭირო საქონლის შესაძენად, არამედ ქართლიდანაც მიდიოდნენ თაგაურში და იქ საჭირო საქონელი ჩაჰქონდათ. ციციანოვი 1804 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებაში თაგაურელებისადმი მათგან სიმშვიდესა და მორჩილებას მოითხოვს და სამაგიეროდ, აღუთქვამს დარიალის გზაზე მიმომსვლელთაგან ბაჟის აღების უფლებას განსაზღვრული ოდენობით, აგრეთვე რუსეთის ქვეშევრდომებთან გათანაბრებას და მოზდოკსა და თბილისში მარცვლეულისა და სხვა საჭირო საქონლის დაუბრკოლებლივ შეძენის უფლებას[1].

მოყვანილი ფაქტები მკაფიოდ გვიჩვენებენ ოსების დიდ მოთხოვნილებას მარცვლეულზე. XIX ს. დამდეგს რუსეთის მოხელეები თუ მკვლევარები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ საკუთარი მოსავალი ოსებს მხოლოდ 6 თვეს ყოფნიდათ. სურსათის დანაკლისი ბარიდან უნდა შეევსოთ.

ქართლის ბარის მიმართულებით წინ წამოწეული ოსები სახნავ-სათესად ვარგისი მიწების ფართობის გადიდებას ახერხებდნენ, ხშირად სავსებით სახლდებოდნენ ბარის რომელიმე რაიონში და სურსათის ნაკლებობას თავს აღწევდნენ. ოსების ასეთ გადმოსახლებას აქეზებდნენ თვით ქართველი მეფეები და ცალკეული მსხვილი ფეოდალები. უკანასკნელნი დაინტერესებული იყვნენ ბარში რიგი გაუკაცრიელებული ადგილის მოშენებით და ყმების რიცხვის ზრდით, ხოლო ოსები, თავის მხრივ, ენთუზიაზმით სტოვებდნენ მთაში თავის საცხოვრებელ ადგილს და ბარის ნაყოფიერ ადგილებში სახლდებოდნენ. ამ გზით ისინი არა მხოლოდ სურსათის ყიდვის აუცილებლობისაგან თავისუფლდებოდნენ, არამედ გარკვეული ნამატიც რჩებოდათ და მას ჰყიდიდენ. 1800 წლის 10 დეკემბერს გრაფმა Შუსინ-პუშკინმა გიორგი XII წარუდგინა პირობები საქართველოში არსებული მადნების რუსებისათვის დასამუშავებლად მიცემის შესახებ. გიორგი XII განზრახული სამთო-

---

[1] Акты, გვ. 555.

მადნო წარმოების მუშათა სურსათით შომარაგების საკითხთან დაკავშირებით აცხადებს: „შევძლებთ რომ პური ვიშოვნოთ ქართლიდამ, კახეთიდამ, ყაზახიდამ, ბორჩალოდამ და **ჩვენის ყმის ოსებიდამ** თავისის ფასითა, ოდესცა როგორ ფასობდეს“ (ხაზგასმა ჩვენია)[1].

რაც შეეხება მთებში მცხოვრებ ოსებს, ისინი კვლავ ბარიდან ღებულობდნენ საჭირო სურსათის ნაწილს. ამ მხრივ, უნდა ვიფიქროთ, ბართან მათი ეკონომიური ურთიერთობის მასშტაბი ყოველთვის ერთნაირი ვერ იქნებოდა. მოსავლიან წელს მთა ბარზე შედარებით ნაკლებად იყო დამოკიდებული, მოუსავლიან წელს კი პირიქით. და ეს მდგომარეობა გრძელდებოდა მთელ განსახილველ პერიოდში[2]. XIX ს. პირველ ნახევარშიც კი, როცა საქართველოსა და ოსეთის რუსეთთან შეერთების შედეგად სამეურნეო საქმიანობის გამოსაცოცხლებლად უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, მთის მოსახლეობის ბართან ეკონომიური კავშირის აუცილებლობა ოდნავადაც არ გამქრალა. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: არდისის შოსახლეობა თესავს ხორბალს, დიკას, ქერს, შვრიას, მაგრამ ისინი საკვებად არ ყოფნით და ქართლიდან პირუტყვზე გაცვლის გზით ღებულობენ სურსათს. ქსნის საერისთავოს რიგ სოფლებს საკუთარი მოსავალი მხოლოდ 6 თვეს ჰყოფნით, დანარჩენს მატყლზე და პირუტყვზე გაცვლით შოულობენ[3].

ოსთა მიერ ქართლის ბარიდან მიღებული მარცვლეულის ექვივალენტი პირუტყვი და მესაქონლეობის პროდუქტები იყო.

საფიქრებელია, რომ ოსთა მხრიდან პირუტყვისა და მესაქონლეობის პროდუქტების მარცვლეულზე გაცვლას თავისებურება უნდა ხლებოდა. რაკი მათ პირუტყვი ბევრი არ ჰყავ-

---

[1] А. Цагарели, Грамоты... т. II. в. I, СПб., 1838 г., გვ. 190.

[2] 1796 წელს ქართლში რუსთა 15 ათასიანი ჯარის შემოსვლას ელოდნენ. მათთვის სურსათის მარაგის შესაქმნელად ერეკლე II ქართლის სოფლებს ‹უკრძალა პური მიეყიდათ ოსების, იმერლებისა და ახალციხელებისათვის. საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 381.

[3] დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 151.

დათ (ვახუშტის მიხედვით, 20-დან 100-მდე ცხვარი, 10-დან 40-მდე ცხენი და ძროხა თითო კომლზე), ისინი, ბუნებრივია, უნდა ცდილიყვნენ მესაქონლეობის პროდუქცია გასასყიდათ თუ გასაცვლელად დამუშავებული სახით გამოეტანათ. საამისო შრომის ჩვევები და გამოცდილება ოსებს კიდეც ჰქონიათ. ვახუშტი წერს, რომ ოსებმა „უწყიან ჭელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისი, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა"[1]. ყველა ეს „ჭელოვნებანი" მესაქონლეობის პროდუქციასთანაა დაკავშირებული. ამას უნდა დავუმატოთ მეცხოველეობის ისეთი პროდუქტების დამზადებაც, როგორიცაა ყველი და ერბო.

1770—73 წწ. საქართველოსა და კავკასიაში იმოგზაურა აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა. იგი ვრცლად აღწერს ხონის (იმერეთში) იარმარკას, სადაც პარასკევობით საბაზროდ უამრავი ხალხი იყრიდა თავს. აქ უამრავი საქონელი მოდიოდა როგორც ამიერკავკასიული, ასევე ჩრდილო კავკასიური წარმოშობისა. ამ საქონელს შორის იყო „რუხი და შავი მაუდის ჩოხები, თექის მოსასხამები, რომლებიც ონის გზით ბასიანიდან და დიგორიდან მოჰქონდათ". ცნობიდან საინტერესოა ის, რომ დიგორიაში დამზადებული შალისა და თექის ნაწარმი ხონის განთქმულ ბაზრობაზე საღდებოდა. ოსები ამ ბაზრობაში სისტემატურად მონაწილეობდნენ. ოსების დასავლეთ საქართველოსთან ეკონომიურ ურთიერთობაში ონი უაღრესად დიდ როლს ასრულებდა. იმავე ავტორის ცნობით, „სომხები და ებრაელები ვაჭრობენ ონში რკინეულის ნაწარმით, რომელსაც წედისიდან იღებენ, აგრეთვე ქართლური ბამბეულის ქსოვილებით, მარილითა და ღომით. ამის გამო მოდიან აქ ოსები დვალეთიდან და დიგორიდან, ბალყარელები და სვანები"[2]. ოსური შალი (ხანდახან ონური შალის სახელწოდებით ცნობილი, რადგან ონში იყიდებოდა, ან ონის გზით შემოდიოდა) ფართოდ საღდებოდა ქართლ-იმერეთის ბაზარზე. ის ხასიათდებოდა გამძლეობით. განსაკუთრებით ძვირად ფასობდა

---

[2] ვახუშტი, აღწერა... გვ. 111.

[2] Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа акад. И. А. Гильденштедта, СПб, 1809, გვ. 317, 355; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის თარგმ. და რედაქც., ნაწ. 1, თბ., 1962, გვ. 107, 153.

დიგორული შალი. ოსური შალი და ნაბდები ბეგრის სახით მოდიოდა სამეფო, საუფლისწულო და სხვა ფეოდალთა კარზე. ქართლის ზოგიერთ სამღებროში ამ შალს სასურველი ფერი ეძლეოდა. ამას უნდა მოწმობდეს ლევან ბატონიშვილის 1780 წლის 23 ივნისის წერილი ანანურის სამღებროს იჯარადარ სულხან ყარახანაშვილისადმი სახაბაზოსათვის იჯარის ანგარიშში ოსური მსხვილი შალის მიცემის შესახებ[1]. ეს წერილი იმასაც მოწმობს, რომ მსხვილი შალის გარდა ყოფილა წმინდა შალიც.

მაგრამ მესაქონლეობის პროდუქცია ოსთა ძირითადი სავაჭრო საგანი არამარტო დასავლეთ საქართველოს ბაზარზეა, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. თრუსოს ხეობისა და არაგვის ოსები «занимаются овцеводством... из шерсти делают довольно хорошие войлоки, башлыки, бурки и горское сукно; из молока сыр, а из шкур-шубы; выделивают кожи, ремны и проч. и продают оные по Военно-Грузинской дороге, в Душети и Тифлисе».[2].

მართალია, აღნიშნული ცნობა 1827 წლით თარიღდება, მაგრამ მასში დახასიათებული თრუსოელი ოსების შრომითი საქმიანობა სავსებით ემთხვევა ოსთა საქმიანობის ვახუშტისეულ დახასიათებას. ეს გარემოება კარგად გვიჩვენებს, რომ აღნიშნული შრომა-საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქცია ოსთა ტრადიციული სავაჭრო-გასაცვლელი პროდუქცია იყო. ქართველ მეფეთა სასარგებლოდ XVIII ს-ში თრუსოს ოსებზე შეწერილი გამოსაღებები (ე. წ. სამასპინძლო) მესაქონლეობაზე დამყარებული მეურნეობის ტიპიურ გამოსაღებებს წარმოადგენენ.

XIX ს. პირველი ნახევრის ერთ აღწერაში ნათქვამია, რომ ოსები (იგულისხმებიან სამხრეთელი ოსები) საკუთარი მატყლიდან ქსოვილებს ამზადებენ. მატყლი, მაუდი, ტანსაცმელი, ყველი და ერბო ქართლში იცვლება მთიელებისათვის საჭირო საგნებზე. დიდი ლიახვის ხეობის ოსებს ქართლში

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 12398.
[2] Акты, т. VII, გვ. 349.

საქონლის გასაცვლელად მომავალთ გზაზე თავადი მაჩაბლები სძარცვავენო[1].

ამრიგად, როგორც სამხრეთელი ოსები, ასევე ჩრდილო ოსებიც საქართველოს ბარის რაიონებთან ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობის წინაშე იდგნენ. სურსათის მიღება ბარიდან მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანი იყო. თავის მხრივ ბარის რაიონებიც საჭიროებდნენ იმ პროდუქციას, რაც მთის ოსურ მოსახლეობას შეეძლო მათთვის შეეთავაზებინა. ამ ნიადაგზე იყო აღმოცენებული მათ შორის საქონლის უშუალო გაცვლა.

მარტოოდენ მესაქონლეობის პროდუქციის გაცვლა-გამოცვლით არ ამოიწურებოდა ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური ურთიერთობა. ვახუშტი ასახელებს მთელ რიგ საგნებს, რომლებსაც ოსები ქართლიდან და რაჭიდან იღებდნენ. ასეთ საგანთა შორის იგი ასახელებს მარილს[2].

ვახუშტი აღწერს ოსების ჩაცმულობას. ოსები „ცმულნი არიან ხამის პერანგით... მას ზედა ჩოხა მოკლე მუჭლამდე და პაიჭიცა შალისა. ჩოხას ზეით ნაბადი მოსხმული; ფერჭთა ზედა ტყავთაგან აცვიათ... უდიდესნი იცმენ წუღასა... არამედ უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმრიგადვე, ლეინსა, დარაიას, დარაიბაფთს, ყუთნს და რაისაც ლარს იშოვნიან ეგრეთვე მსგავსად იცმენ ქალნიცა, არამედ უგრძესად...“[3]. აღწერიდან ნათელია, რომ დაბალი და გაბატონებული ფენების ტანსაცმელი ურთიერთისაგან ძირითადად ქსოვილის სახეობით განსხვავდებოდა. დაბალი ფენები უპირატესად ადგილობრივ დამზადებული ქსოვილებისაგან შეკერილ ტანსაცმელს იცვამდნენ, წარჩინებულნი კი იცვამდნენ ისეთ ტანსაცმელს, რომლის მასალა გარედან უნდა შემოეტანათ. ასეთ შემოტანილ საქონლის კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ხამი (ტილო), დარაია, დარაიბაფთი, ყუთნი და სხვ.

მაგრამ საიდან უნდა შემოეტანათ ეს საქონელი? ვახუშტი ყოველთვის აღნიშნავს, რომ ოსთათვის საჭირო ესა თუ ის საქონელი მათ ქართლიდან, რაჭიდან და ჩერქეზეთიდან შემო-

---

[1] ЦГИА, ф. 1268, оп. 1, 1845 г., д. 45, фурц. 136, 139.

[2] ვახუშტი, აღწერა.... გვ. 111.

[3] იქვე, გვ. 109 — 110.

აქვთ. რაჭა არ უნდა გავიგოთ იმ მიკრორაიონის მნიშვნელობით, რომელიც რაჭველებით დასახლებული ტერიტორიით ამოიწურება. იგი ამ შემთხვევაში ოსების მთელ დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელ რაიონს წარმოადგენს. გიულდენშტედტის ცნობით, სწორედ რაჭის გზით ხორციელდებოდა ოსთა ხონის ბაზრობაზე მიმოსვლა. რაჭის სავაჭრო ცენტრი, ონი, წარმოადგენდა ადგილს, სადაც თავს იყრიდნენ ოსები, როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე სამხრეთიდან და აქ მოვაჭრე სომეხ-ებრაელთა თუ ადგილობრივ მკვიდრთაგან თავისთვის საჭირო საქონელს იძენდნენ. ამ საქონელში იგულისხმება ის ქსოვილები, რომლებსაც ოსთა ზედაფენები ატარებენ. გიულდენშტედტი ონში ქართლური (თბილისური სინონიმი უნდა იყოს) ქსოვილებით ვაჭრობის ფაქტზე ლაპარაკობს. საერთოდ „თბილისური საქონელი განსაკუთრებით ბევრი გაჰქონდათ კავკასიის მთიანეთში. თბილისელ ხელოსანთა ნაწარმი კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა“[1]. ეს საქონელი კავკასიის მთიანეთსა და კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ხალხებში ხვდებოდა დარიალის, სამხედრო ოსეთის, რაჭის გზებით.

ოსების მიერ საქართველოში ქსოვილების შეძენის ერთ-ერთი გზა იყო ქ. თბილისში ცალკეულ ოსთათვის მეფეთაგან დანიშნულ ჯამაგირის ანგარიშში ფარჩის მიცემა. ოსები ფულის მიღებას ფარჩის მიღებას ამჯობინებდნენ. მოვიყვანთ მრავალთაგან ერთ მაგალითს. 1785 წელს ერეკლე II თაგაურელ ადლიშვილ ბეზას წლიური ჯამაგირი — 12 მარჩილის ფარჩა დაუნიშნა (ეს წყალობა გიორგი XII დაამტკიცა 1799 წელს). საბუთის მინაწერებიდან ჩანს, რომ ბეზას ყოველწლიურად ეძლევა დასახელებული ღირებულების ფარჩა და აღნიშნულია ისიც, თუ ვის საქონლიდან ეძლევა იგი. მაგ. „ქ̃ს უოე (1787) ამ წლისა მიეცა გურგენადამ ქალაქიდამ მოკრეფილი საქონლიდამა... ქ̃ს უოდ (1790), დეკემბერს იგ (13)... ელაშვილის ნასყიდის საქონლიდამ მიეცა“[2].

---

[1] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 364.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 947.

ვახუშტის ცნობით, „ქალთა მათთა (ოსების. — გ. თ.) უწყიან კერვანი წმინდა და კეთილნი“, მაგრამ „არა არს ქვეყანათა მათთა შინა სელი, კანაფი, და ბანბა და აბრეშუმი, რათა-მცა ყონ სამოსი თჳსი. ამისთჳს უმეტესნი სცხორებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ“[1].

საქართველოში იძენდნენ ოსები რკინა-კაევეულის ნაწარმსაც. წედისში (კუდაროელ ოსთა უშუალო მეზობლად მდებარე იმერული სოფელი) დამზადებული რკინეულის ნაწარმი ონის ბაზრის მეშვეობით ფართოდ ვრცელდებოდა სავაჭროდ მოსულ ოსთა შორის.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ოსებს რკინა დაუმუშავებელი სახითაც შეეტანათ. ოსთა ძირითად სიმდიდრედ, XVIII ს. და უფრო ადრეც, საბრძოლო იარაღი: თოფი, ხმალი, ხანჯალი, ჯაჭვ-მუზარადი ითვლებოდა. ეს იარაღი თუ ყველა არა (მაგ. თოფი), ძირითადად მაინც ადგილზე მზადდებოდა (განსაკუთრებით ეს ეხება ცივ იარაღს). ვახუშტის თანახმად, ოსებმა იციან მჭედლობა. ოსებს საკუთარი რკინა არ ჰქონიათ და ამიტომაც იგი საქართველოდან, თუნდაც იმავე წედისიდან, უნდა შემოეტანათ.

XVIII ს. რუსული მასალებიდან ჩანს თუ რაოდენ დიდი გასავალი ჰქონია ოსებში სხვადასხვა სახის სამეურნეო წვრილმანს. 1769 წლით დათარიღებულ მთის ხალხთა ზნე-ჩვეულებების აღწერაში ნათქვამია, რომ დარიალის ხეობის მცხოვრებლებში დიდი მოთხოვნილებაა ტილოზე, სავარცხლებზე, ძვლის ნემსებზე, სპილენძის სათითეებზე, სხვა წვრილმან საგნებზე[2]. ეს საგნებიც საქართველოსთან ოსების ეკონომიური ურთიერთობის სისტემაში განსაზღვრულ ადგილს იკავებდნენ.

ამრიგად, იმ არასრული ცნობების მიხედვითაც, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში არსებობენ, კარგად ჩანს ქართველებსა და ოსებს შორის არსებული მნიშვნელოვანი ეკონომიური ურთიერთობა. განსახილველ პერიოდში ორივე ამ

---

[1] ვახუშტი, აღწერა.... გვ. 111.

[2] А. Цагарели, Грамоты... т. I, გვ. 93—94.

ხალხის პოლიტიკური ვითარების არახელსაყრელობა ოვისებურ გავლენას ახდენდა ამ ურთიერთობაზე, აფერხებდა მას, მაგრამ მისი აუცილებლობის განმსაზღვრელი მიზეზები იმდენად ღრმა იყვნენ, რომ ასეთ პირობებშიაც კი იგი საკმაოდ მძლავრად იჩენდა თავს.

საერთოდ ცნობილია, რომ როცა მთასა და ბარს შორის ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა ირღვევა და მთას აღარ შეუძლია ბარის მეურნეობის პროდუქციაზე თავის მოთხოვნილებანი ნორმალური გაცვლა-გამოცვლის გზით დაიკმაყოფილოს, მაშინ იგი სხვა გზებით ცდილობს ამის — ბარში დასახლებით, უპირატესად კი თავდასხმებით. ამ მოვლენებს გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე ჰქონდა ადგილი. კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა დაღესტნიდან შავი ზღვის სანაპირომდე ამოძრავდა, აზვირთდა და ძლიერად მოაწვა ბარის რაიონებს. ეს გარემოება, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად (დამპყრობლების გამუდმებული შემოსევები, ხშირი შინაგანი ბრძოლები, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის გაღრმავება და სხვ.) აფერხებდა ბარის ეკონომიურ განვითარებას და ამდენად მთასთან ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის აღდგენას. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო დაღესტნელ ფეოდალთა განუწყვეტელი თავდასხმები ქართლ-კახეთზე თავისი მძიმე შედეგებით. ბარის მიმართულებით მოწოლას ადგილი ჰქონდა ოსთა მხრიდანაც. მაგრამ თავისებურმა ისტორიულმა პირობებმა ოსთა ამ მოწოლას ბარისაკენ სავსებით განსხვავებული მიმართულება მისცა. ოსთა ბარისაკენ სწრაფვა ქართული ფეოდალური საზოგადოების მესვეურების მიერ იმთავითვე განსაზღვრულ კალაპოტში იქნა მოქცეული და ეს საინტერესო მოვლენა თავის სამსახურში ჩააყენეს. ისინი ოსებს გარკვეულ ადგილებს მიუჩენდნენ ხოლმე დასასახლებლად, ხელს უწყობდნენ იმ ახალ ადგილებში დაფუძნების საქმეში და ამით არათუ რაიმე ზიანს, არამედ დიდ სარგებლობას ნახულობდნენ — ზრდიდნენ თავის ქვეშევრდომ ყმათა რიგებს ოსების ხარჯზე. ქართველებსა და ოსებს შორის საუკუნეობრივმა მჭიდრო პოლიტიკურმა თანამშრომლობამ შექმნა საიმისო პირობები, რომ გადმოსახლებულ ოსებს ქართ-

ველ ხალხთან ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინათ და მისი ისტორიული ბედის ტრიალი ძმურად გაეზიარებინათ. ამ გარემოებამ გიულდენშტედტს საფუძველი მისცა ეთქვა, რომ ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე მოსახლე ქართველები და ოსები «весьма дружны между собою»[1].

აღნიშნულ გარემოებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ კავკასიის ქედს გადმოღმა მცხოვრები ოსები პოლიტიკურად ქართლის სახელმწიფოს ქვეშევრდომებს წარმოადგენდნენ. ამ ქვეშევრდომობის საფუძველზე მათ ქვეყნის შიგნით შედარებით თავისუფალი ადგილგადანაცვლების უფლება უნდა ჰქონოდათ (ფეოდალურ-თავადური სისტემის ბატონობის პირობებში ეს უფლება ძალზე პირობითი უნდა ყოფილიყო) და ამან არსებითად განაპირობა ბარში მათი გადმოსახლების მშვიდობიანი ხასიათი.

თვით ჩრდილო ოსებსაც საქართველოში შეუზღუდველი მიმოსვლის უფლება თავისთვის ძალიან მნიშვნელოვან უფლებად მიაჩნდათ და ყოველთვის, როცა ქართლში თუ იმერეთში პოლიტიკური ვითარების ცვლა ასეთ მიმოსვლას საფრთხეს შეუქმნიდა, დაჟინებით ცდილობდნენ მის მოპოვებას.

XVIII ს. პირველ ნახევრისათვის ჩვენ მოგვეპოვება განსაკუთრებული ნებართვის წიგნები თაგაურელ ოსებისათვის ქართლში მიმოსვლის თავისუფლების შესახებ. ეს ნებართვის წიგნები ქართლში ოსმალთა ბატონობის დამყარების (1723—1735 წწ.) დროინდელია და ოსმალთა სარდლების ხელიდანაა გამოსული. ორი ასეთი საბუთი გვაქვს ჩვენ. ორივე უთარიღოა. ერთი მათგანი გაცემულია გორის ფაშას მიერ. „გორის ფაშა გიბრძანებ ერთობით თაგაურებო. მერმე კაცები გამოგეგზავნათ და ბედნიერის ვეზირისათვის გეთხოვნათ, რომ მოვიდოდეთ, წავიდოდეთო და არავინ რას შეგვცოდოსო. ბედნიერს ვეზირთან ჩვენც კაცი გავატანეთ და ბედნიერს ვეზირსაც თქვენთვის წყალობა უქნია და ბუირულთი უბოძებია. ჩვენც წიგნი გვიბოძებია, მოხვიდოდეთ, წახვიდოდეთ.

---

[1] Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа..., გვ. 173.

ვერც ვინ გზაზედ, ვერც ვინ სოფელში და ვერც ვინ გორსა და ქალაქში ვერავინ შეგცოდებსთ და ნურაფერი ფიქრი ნურა გაქუსთრა"[1].

შემონახულია თვით ვეზირის ისაყ-ფაშას ბრძანებაც თაგაურელთადმი: „ვეზირი ისჰაყ ფაშა გიბრძანებ ერთობილნო თაგაურებო ოსნო და უფროსნო კაცნო. მერე ჩვენთან ჩამოსვლა და ჩვენი ნახვა მოგინდომებიათ და სამსახური და შიშით ვერ ჩამოსულხართ. ჩვენგან ფიქრი და რიდი ნურასი გაქვსთ — წახვიდოდეთ, მოხვიდოდეთ, ვერცავინ გზაზედ და ვერც სოფლებში და ვერც ქალაქში ვერას გაწყენენ. ნურც რამესი გეფიქრებათ და ჩვენი წყალობის მოიმედენი იყავით"[2].

საბუთებიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ ქართლში ოსმალთა ბატონობის დამყარებას ოსთა ქართლში მიმოსვლის შეფერხება გამოუწვევია. ეს მდგომარეობა თავის ეკონომიური შედეგებით ოსებისათვის უაღრესად სამძიმო ყოფილა და თურქ ხელისუფლებთან მოლაპარაკების გზით ცდილან შეზღუდვათა მოხსნას. ვეზირ ისაყ-ფაშასთან თაგაურელების მიერ წარგზავნილმა საპატიო პირებისაგან (საბუთების ენით „უფროს კაცთაგან") შემდგარმა დეპუტაციამ შიაღწია იმას, რომ თბილისში, გორში და ქართლის ყველა რაიონში შეუზღუდავი მიმოსვლის უფლება დაიბრუნა. ისაყ-ფაშას ბრძანების საფუძველზე გორის ფაშამაც სათანადო საბუთი გაუფორმა ოსებს და ამ მიმოსვლაში სრული უშიშროების გარანტია მისცა.

საბუთებში არაა ნათქვამი რა მიზნით სჭირდებოდათ თაგაურელ ოსებს ქართლის ქალაქებსა და სოფლებში მიმოსვლის უფლება. ცხადია იგი სჭიროდათ ეკონომიური მიზნებით. ასეთი მიმოსვლის გარეშე მათთვის შეუძლებელი იყო სურსათსა და მრავალ პირველი საჭიროების საგანზე თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება[3]. თურქებს ქართლში თავის გაბა-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 944.

[2] იქვე, საბ. 945.

[3] თუ რა დიდ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული ოსთა ქართლში სავაჭროდ ჩამოსვლა თურქთა ბატონობის პერიოდში, კარგად ჩანს ოსეთის სასულიერო კომისიის უფროსის არქიმანდრიტ პახომის ცნობიდან,

ტონების დასაწყისშივე, რაღაც პოლიტიკური მოსაზრებით (შეიძლება ქართველებისათვის აღმოჩენილი პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, ანდა მომავალში მის გამოსარჩცხად), ოსებისათვის ქართლში მიმოსვლა აუკრძალავთ. ამ ზომით ისინი თაგაურელი ოსების თავის დამოკიდებულებაში მოქცევასაც ვარაუდობდნენ, რამდენადაც ამით ისინი ჩრდილოეთიდან — დარიალის გზით რუსეთს გადახვეწილი ვახტანგ VI და მის მოკავშირე რუსეთისაგან მომდინარე საფრთხეს გაანეიტრალებდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ XVIII ს. 1 ნახევრის ეს ვითარება — ოსთა ქართლში მიმოსვლის თავისუფლება ახალი მოვლენა არ ყოფილა და მას წინა საუკუნეებშიაც ადგილი ჰქონია. ასეთი ვარაუდი მით უფრო დამაჯერებელია, რომ ქართველი და ოსი ხალხების მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა საამისოდ ხელშემწყობ პირობებს ჰქმნიდა. გიორგი საakაძე XVII ს. დამდეგს ცხინვალისა და დვალეთის მოურავი იყო. გიორგი XI (1676—1709) პოლიტიკური მოსაზრებით თავის ვაჟი ოსეთის მთავრის ასულზე დაუქორწინებია და ოსეთში თავშესაფარსა და მხარდაჭერას პოულობდა უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. არჩილ მეფე და ვახტანგ VI ასევე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ოსებთან და ასეთ პირობებში ქართლ-იმერეთში ოსების თავისუფალი მიმოსვლა, სავაჭრო-გაცვლითი მიზნით, სავსებით ბუნებრივ მოვლენადაა მისაჩნევი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიმოსვლა ფეოდალური აშლილობისა და გარედან მოზღვავებული მტრების განუწყვეტელი შემოსევების გამო დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მიმოსვლის აუცილებლობა რისკზე უფრო ძლიერი იყო.

რომლის თანახმადაც 1747 წელს ყიზლარში მონათლული ერთი ოსი აზნაური იოსებ თომას ძე ამაევი, თურქების ქართლში ბატონობის დროს, მამის მიერ გაიგზავნა საქართველოში (ქართლში) სავაჭროდ, სადაც წეიპყრეს და მონად გაყიდეს თბილისში. აქ ის სომხებმა გამოისყიდეს და თავის რჯულზე — გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოაქციეს. 1746 წელს მან მოახერხა ოსეთში დაბრუნება, სადაც მართლმადიდებლობა მიიღო. Материалы по истории Осетии (XVIII в.), т. I, Орджоникидзе, 1933, გვ. 54—55.

იმერეთის მმართველი წრეები, ცალკეული მსხვილი ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ ოსებთან პოლიტიკური ურთიერთობით. ოსების ლტოლვა იმერეთის ბაზართან უწყვეტი კავშირის შენარჩუნებისაკენ კარგი საფუძველი იყო მტკიცე ორმხრივი ურთიერთობისათვის. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მესვეურები ოსთა შორის ერთგულ პირებს იჩენდნენ და მათ უპირატეს შეღავათებსა და თავის ქვეყანაში თავისუფალი მიმოსვლის პირობებს უქმნიდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია შოშიტა რაჭის ერისთავის მიერ ოსი ივანე და ყამირზა ელყანაშვილებისათვის ხელუხლებლობის (შანა) წიგნის მიცემა. წიგნი უთარიღოა (XVIII ს.). „ერისთავი შოშიტა, — ნათქვამია მასში, — უზედესთა მოგახსენებ და უქვეღესთა გიამბობ. ამ ელყანას ოსს ჩვენი შანა წიგნი აქვს და ჩვენთან დაიარება და ვისაც ჩვენი თავი გინდოდესთ, ამ ელყანას და მის შვილს ყამირზას ძალა და უსამართლოთ ანა�არ აწყინოთ და ან სხვის პირობაზე არავინ გასცარცოთ. თუ ვისმე ამასთან საქმე ქონდესთ, ჩვენთან მოდით და საქართლიანის საქმით ჩვენ გაგარიგებთ“[1].

ფეოდალური პარტიკულარიზმისა და ხშირი შინაბრძოლების პერიოდში, ბუნებრივია, ოსთა რაჭასა თუ იმერეთში მიმოსვლა მრავალ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. არავინ არ იყო დაზღვეული, რომ გზაზე გაძარცული არ იქნებოდა. მათ შორის ოსებიც. ამიტომაა, რომ შოშიტა ერისთავი თავის ერთგულ პირებს ოსთა წრიდან უხიფათო მგზავრობის პირობებს უქმნის.

ერეკლე II 1782 წელს თავის სახასო ყმებს (მათ 6 წლის მანძილზე ბეგარა არ გადაუხდიათ) — ზარამაგელ ოსებს წერს: „...ამილახვრიშვილი ბეჟან გამოგვიგზავნია და ჩვენ სიტყვას ყველას ეს გიამბობსთ. ჩვენთანაც ჩამოდით, ქართლშიც იარეთ. ვერცავინ დაგიჭერთ, ვერცავინ რას გაწყენინებს“[2]. ზარამაგელი ოსების სახასო ყმების კატეგორიაში ყოფნა არ იძლეოდა ქართლში მათი თავისუფალი მიმოსვლის სრულ გარანტიას. ქართლში მათი გადმოსვლისათვის საჭირო იყო

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 933.
[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. 1375.

სამაჩაბლოსა და ქსნის ერისთავთა სამფლობელოების გამოვლა. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ ცდილობდნენ ასეთი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და ეს ოსები თავის დამოკიდებულებაში მოექციათ. ერეკლეს მიერ ზარამაგელ ოსთათვის ქართლში თავისუფალი მიმოსვლის სპეციალური ნებართვის მიცემის შემდეგ ისინი მათთვის აშკარად ხელის შეშლას ვეღარ გაბედავდნენ.

საქართველოში შეუზღუდველი მიმოსვლის უფლებას მეფეები, უფლისწულები და ცალკეული მსხვილი ფეოდალები წყალობის სახითაც ანიჭებდნენ თავის ერთგულ ოსებს. 1793 წელს ბატონიშვილი ალექსანდრე წყალობის წიგნს აძლევს აბაშვილ ილოს, რომ... „ჩვენს ქვეყანაში გევლებოდეს და შენ არავინ გაწყენინოს და ვინცა ვინ ჩვენი ბრძანების მორჩილნი იყვნეთ, ამას ნურას აწყენინებთ, თორემ დიდათ გიწყენთ და კიდეც გარდაგახდევინებთ. ამიტომ რომ ამ ჩვენს საქმეზედ ძალიან ბეჯითად გაისარჯა“...[1]

მეორე ბატონიშვილი ლეონი 1802 წელს წყალობის წიგნს აძლევს ნარელ ბოლათუყო აბაშვილს: „...ჩემს ნარას ყოფნაში ერთგულად მმსახურე და თუ ღმერთმან ჩვენი ქვეყანა მოგვცა, ყოვლისფრით შენი გული დავაჯეროთ და ყოველთვის ჩვენის ოჯახიდამ წყალობა არ მოგაკლდეს და საქართველოშიაც სიარულს ვერავინ დაგიშლის ვინც ჩვენი ოჯახის მუხანათი არ იქნება“[2].

თუ უფლისწული ალექსანდრე აბაშვილ ილოს კერძო სამსახურის სანაცვლოდ, ხოლო ლეონი ბოლათუყოს ტახტის მაძიებელ ბატონიშვილების სამსახურისათვის მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად თავის ქვეყანაში თავისუფალი მიმოსვლის უფლებას აძლევენ, ან ჰპირდებიან მომავლისათვის, ქსნის ერისთავები მიხეილ, შანშე და იოანე იმავე 1802 წელს ალხაზა აბაშვილს რუსთა ერთგულებისათვის ანიჭებენ მსგავს უფლებას. „ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ აბას შვილს ალხაზს, ასე რომ მოწყალის კელმწიფის სამსახურზე ბეჯითად გაისარჯე და ჩვენც ნება მოგეცით ჩვენს სახლში სიარულისაცა

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 9205.

[2] იქვე, საბ. 9203.

და სადაც გინდოდესთ ვაჭრობისაცა. არავისგან არ გეფიქრებოდეს, როგორც შენს სახლში მიგესვლება, ისე ჩვენს სახლში და ისე ქართლში"[1].

სამივე მოყვანილი წყალობის წიგნი ნარელ ოსებზე — აბაშვილებზეა გაცემული. რით უნდა აეხსნათ ეს გარემოება? ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ და ქართლში მიმოსვლისათვის სპეციალური ნებართვა სჭიროდათ. ამის გარეშე ქართლის გზაზე არსებულ ფეოდალურ სამფლობელოებს ისინი ვერ გაივლიდნენ დაუბრკოლებლად. ჩვენ ზევით საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ ქართლში მომავალ ოსებს მაჩაბლები სძარცვავდნენ. მიმოსვლის მიზანი ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლაა.

ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობა არ ამოიწურებოდა უკვე აღნიშნული გაცვლა-გამოცვლითა და ქართლ-იმერეთში სავაჭრო მიზნით ინტენსიური მიმოსვლით. მას ზოგ შემთხვევაში თავის გამოვლინების სხვა ფორმებიც უნდა ჰქონოდა. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი ასეთი ფორმა XVIII ს. მეორე ნახევრისათვის კიდეც ვლინდება. ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ XVIII საუკუნის რუსულ ოფიციალურ საბუთებში დაცული ცნობები ქართლის მეფეების მიერ ჩრდილო ოსეთში (ალაგირის საზოგადოება — მდ. არდონის ხეობა) არსებული ვერცხლისა და ტყვიის შემცველი მადნებით სარგებლობის შესახებ. ასტრახნის გუბერნატორის, გენ.-მაიორ ბეკეტოვის სახელზე 1767 წლის 5 დეკ. გამოცემულ რესკრიპტში ნათქვამია: «Кизлярский комендант... доносил в нашу коллегию иностранных дел от 4 декабря прошлого 1766 года, по объявлению помянутого архимандрита Григория[2], которой оные пробы снскал, а ему по сообщению от новокрещенного осетинского старшины называемого Давыда Мамшева, будто из тамошных мест уже и покойной грузинской царь Вахтанг в России скончавшийся, когда владел Грузией, серебряной руды великое количество получал,

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 9204.

[2] არქიმანდრიტ გრიგოლის შესახებ დაწვრილებით იხ. თავი VI.

но что потом никто об оной известен не был чрез долгое время и по самое минувшее лето, а тогда нынешнему грузинскому царю Ираклию удалось сыскать такого человека, которое и место ея знает и искусство в металлах имеет, почему несколько пуд и получил чрез тайное оным употребленным к тому человеком доставление, притом архимадрит Григорий от того ж слышал, что тамошняя руда состоит не только в серебре, но и в золоте»[1].

«Буде правда, ნათქვამია რესკრიპტში, — что нынешний грузинский царь Ираклий находящиеся в Осетии руды достает, то не инако, как для того самого он и делает сие тайно, чтоб и впредь сей источник для него заперт не был»[2].

ჩვენ სხვა წყაროებით არ შეგვიძლია დავადასტუროთ არქიმანდრიტ გრიგოლის მოხსენების საფუძველზე უმაღლეს რესკრიპტში მოყვანილი ცნობის სინამდვილე, რომლის თანახმადაც ვახტანგ VI თავის დროზე სარგებლობდა ოსეთში არსებული ვერცხლის მადნებით და თანაც დიდი რაოდენობით. თავისთავად ამ ცნობაში შეუძლებელი არაფერია და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ რა ძლიერი რეაქცია გამოიწვია ამან რუსეთის მმართველ წრეებში, იგი სინამდვილედ უნდა ვცნოთ. მთავრობაში მიწოდებული ცნობით, ვახტანგის ეს საქმიანობა მის რუსეთს გადასახლების შემდეგ რამდენიმე ხნით დავიწყებული აღმოჩნდა. მხოლოდ 1766 წლის ზაფხულში ერეკლე II შესძლო მადნეულის საქმის მცოდნე და აღნიშნული მადნების ადგილმდებარეობაში გარკვეული პირის გამონახვა (ოსთა წრიდან), რომლის მეშვეობითაც ამ მადნის რამდენიმე ფუთი ნიმუშად საიდუმლოდ მიიღო კიდეც.

1767 წ. 19 თებერვლის სხვა ოფიციალურ მოხსენებაში ნათქვამია: «Игумен по довольним к нему народа (ოსების— გ. თ.) откровениям прежде узнал, что грузинский царь берет из состоящих в Осетии превеликих гор отменив от протчей разных видов зблещущими искрами крепкое

---

[1] А. М. Бирзе, Попытки освоения природных богатств Осетии в XVIII столетии. Красный архив, № 4 (83), 1937, გვ. 194.

[2] იქვე, გვ. 196.

земле и камышки, употребляя за провоз того ту осетинцам, которые по простоте своей нетолько ему препятствия никакого не делает; но дивятся и непонимает на что ему то».[1]

ამ მოხსენებაში კარგად ჩანს, რომ მიღებული ინფორმაციის თანახმად, ერეკლე ოსეთის მთებში არსებულ ვერცხლის მადანს უსარგებლო მინერალებიდან გაწმენდილი სახით ღებულობდა. გადაზიდვას ოსები ეწეოდნენ, რისთვისაც გასამრჯელოს იღებდნენ ერეკლესაგან. მოხსენების ავტორი სთვლის, რომ ოსებმა არ იციან, თუ რისთვის უნდა მას ეს მადანი, რას წარმოადგენს იგი. ასეთი აზრი სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ერეკლემ მათ შორის ნახა მადნის მოპოვების სპეციალისტი და არათუ მადნის მოპოვებას. არამედ მის გაწმენდას (წინასწარ დამუშავებას) და მისი ამ სახით ჭიღებას ახერხებდა. ამის შემდეგ შეუძლებელია, რომ ოსებს არ სცოდნოდათ რას აკეთებდნენ. თავისთავადაც ეს არალოგიკურია. არქიმანდრიტ გრიგოლს ამ მადნების შესახებ ინფორმაცია სწორედ ოსებმა მიაწოდეს და, შესაბამად, უნდა სცოდნოდათ რის შესახებაც ეუბნებოდნენ. ვახუშტის უფრო ადრინდელი ცნობის თანახმად „არიან აქა (ოსეთში. — გ. თ.) ლითონნი ვერცხლისა, ბრპენისა (ტყვიის. — გ. თ.), რკინისა, გოგირდისა, გვარჯილისა და ქვის ბროლისა. არამედ არა უწყიან ჯელოვნება გამოღებისა, **რათამცა იხმარონ მრავლად**"[2]. ჩანს ვახუშტის დროსაც კარგად სცოდნიათ ასეთი მადნების არსებობა, ოღონდ მათი ფართოდ გამოყენება არ შესძლებიათ და მხოლოდ ადგილობრივი მიზნით გამოუყენებიათ.

რუსეთის ოფიციალური წრეები ქართველების მიერ ოსეთის მადნებით საიდუმლოდ სარგებლობის ფაქტს ხსნიდნენ უკანასკნელთა სიფრთხილით, რათა ამ ამბის გახმიანებით აღნიშნული მადნების გამოყენების შესაძლებლობა არ გამოსცლოდათ ხელიდან.

როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობას სრულ სიმართლედ

---

[1] ЦГАДА, ф. 19, оп. 1, д. 102, ფურც. 1.

[2] აღწერა... გვ. 109 (ხაზგასმა ჩვენია).

შიუღია ქართველების მიერ ოსეთის მადნების გამოყენების ფაქტი და იმპერატორის ბრძანებით პირდაპირ მიუთითა ასტრახნის გუბერნატორს ბეკეტოვს, რომ «буде возможно тамошными (ოსეთის. — გ. თ.) металлами пользоваться, как по скаске архимандрита Григория пользуется уже грузинский владетель Ираклий, то-есть и легко и неприметно и прибыльно, — в таком случае оставалось бы конечно на то и согласиться»[1].

თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის მთავრობის ემისრების ინტენსიურ საქმიანობას ჩრდილო კავკასიაში XVIII ს. მთელ პერიოდში, მაშინ ხსენებულ ოფიციალურ საბუთებში მოტანილ ცნობის სისწორეში ეჭვის შესატანად საფუძველი არ არსებობს. ვახტანგ VI 1711 წელს ნარ-მამისონში ილაშქრა და იქაური ოსები დაიმორჩილა[2]. ნარ-მამისონის მეშვეობით იგი უკვე უშუალოდ გაუმეზობლდა ალაგირის საზოგადოებას და ადვილად შეეძლო იქაური მადნებით სარგებლობა. რაც შეეხება ერეკლე II, იგი ცნობილია თავის საქმიანობით სამთამადნო წარმოების განვითარებისათვის. მან 60-იან წლებში, ქართლ-კახეთში სამთამადნო წარმოების აღდგენის მიზნით ანატოლიელი „ბერძნები“ გადმოასახლა და ახტალის ვერცხლისა და ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავებას შეუდგა. შესაძლებელია, ერეკლეს ამ ღონისძიებათა შორის ოსეთის ვერცხლისა და ტყვიის მადნების გამოყენების ცდებიც ყოფილიყო. ეს შით უფრო განსახორციელებელი იყო, რომ ერეკლე II ოსებთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა და ადვილად შეეძლო ისეთი პირების გამონახვა, რომელთაც ამ მადნების ავკარგიანობა კარგად ესმოდათ და ხელს შეუწყობდნენ ამ მადნებით სარგებლობის საქმეში. ასეთ პირთა შორის უნდა იგულისხმებოდეს ალაგირელი „სტარშინა“ (ასე უწოდებდნენ რუსები ოსეთის პრივილეგირებულ სოციალური ფენის წარმომადგენლებს) დავით მამიევი, რომელმაც, ბეკეტოვის ცნობით, ერეკლეს გაანდო ამ

---

[1] Красный архив, № 4 (83), გვ. 201.

[2] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 118.

მადნების საიდუმლოება. ბეკეტოვი ურჩევს იმპერატორ ეკატერინე II, რომ არქიმანდრიტის სიკვდილის გამო (მოკლულ იქნა გურიაში 1768 წელს თურქების აგენტების მიერ) ოსეთის მადნების საიდუმლოდ გამორკვევის მიზნით მათაც ხსენებული მამიევი გამოიყენონ[1].

რუსეთის მთავრობა დიდი ინტერესით მოეკიდა ოსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების შესაძლებლობის საკითხს და საგანგებო ზომები მიიღო ამ მადნების საექსპლოატაციო თვისებების შესასწავლად. 1768 წელს მოეწყო პირველი ექსპედიცია სამთო საქმის ოსტატის სტეფანე ვონიავინის ხელმძღვანელობით ოსეთის მთებში. ექსპედიცია საიდუმლო იყო და ჯიხვებზე ნადირობის მოტივით ნიღბავდნენ.

1771 წელს მეორე ასეთივე ხასიათის ექსპედიცია მოეწყო ალექსანდრე კირხნერის და როტმისტრ ბატირევის ხელმძღვანელობით, ხოლო 1774 წელს მესამე — ბატირევისავე ხელმძღვანელობით[2]. ამ ექსპედიციებმა „ოსეთის კომისიის“ (ოსებსა და კავკასიის მთიელებში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება. რომელიც ქართველ სამღვდელო პირთა ინიციატივითა და წარდგინებით შექმნა რუსეთის მთავრობამ) აქტიური მხარდაჭერით და ხელშეწყობით შეისწავლეს ალაგირისა და ქურთათის ხეობებში არსებული მადნები, შეადგინეს მათი ადგილმდებარეობის მაჩვენებელი რუკა და ამ მადნების დამუშავების დაწვრილებითი გეგმები. გარკვეული მიზეზების გამო (ჩრდ. კავკასიაში პოლიტიკური სტაბილობის უქონლობა, უგზოობის გამო ჭიმოსვლის მძიმე პირობები, მუშახელის საკითხის მოგვარების სიძნელე და უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობა) რუსეთის მთავრობამ ვერ შესძლო ამ ეტაპზე შესდგომოდა მადნების დამუშავებას.

რაც შეეხება ამ მიმართულებით რუსეთის საქმიანობის საიდუმლო ხასიათს, ეს აიხსნება რუსეთის მთავრობის მისწრაფებით არ გაემწვავებინა პოლიტიკური ურთიერთობა თურქეთთან, რომელთანაც 1739 წელს ბელგრადში დადებული ზავით ყაბარდო „ბარიერად“ იყო გამოცხადებული, ხოლო

---

[1] Красный архив, № 4 (83), გვ. 206.

[2] История Северо-Осетинской АССР, გვ. 134—135.

რამდენადაც ჩრდ. ოსეთი ყაბარდოს გავლენის სფეროში მყოფად მიაჩნდათ. რუსეთის ყოველგვარი საქმიანობა ოსეთში თურქეთთან ზავის დარღვევად იქნებოდა მიჩნეული და თურქების მხრივ პროტესტებს გამოიწვევდა. ამ გართულების თავიდან ასაცდენად რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა ამ მადნებით მასაც ისევე საიდუმლოდ და გაუხმიანებლად ესარგებლა, როგორც ერეკლე II და უფრო ადრე ვახტანგ VI სარგებლობდნენ.

ჩვენ არ ვიცით, გააგრძელა თუ არა ერეკლე II ამ მადნებით სარგებლობა შემდეგშიც. ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან არც ის ჩანს, თუ რა ზოცულობით გამოიყენა მან ეს მადნები, ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა მას ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და სხვ. მოყვანილ საბუთებიდან ერთი რამ კი ირკვევა: ქართველ პოლიტიკოსებს თავის ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ არამარტო ოსთა პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებაზე უზრუნვიათ, არამედ გარკვეული ღონისძიებებიც გაუტარებიათ ოსეთის ვერცხლითა და ტყვიით მდიდარი მადნებიდან სარგებლობის მიღებისათვის. აღნიშნული ნედლეულის ნახევრად დამუშავებული (უსარგებლო მინერალთაგან გათავისუფლებული) სახით საქართველოში მოტანა ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური ურთიერთობის ახალ მომენტს წარმოადგენს.

საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც. რომ ოსები ამიერკავკასიის ჩრდილო კავკასიასა და საერთოდ ჩრდილოეთის ქვეყნებთან სატრანზიტო ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებდნენ. XVIII ს. 50-იან წლებიდან, დარიალის გზაზე სავაჭრო-საქარავნო მოძრაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, ოსთა (თაგაურელთა) როლი ამ საქმეში იზრდება. ამ გზით საქართველოში შემოდიოდა რუსული და ევროპული წარმოების პროდუქცია, საიდანაც იგი მერე ოსეთშიც აღწევდა.

ოსეთზე გამოვლით საქართველოში მრავლად შემოჰყავდათ ყაბარდოული (ჩერქეზული) ცხენები, რომლებიც განთქმულნი იყვნენ კავკასიაში და მათზე დიდი მოთხოვნილებაც იყო. ყაბარდოული სწრაფი და ამტანი ცხენი ქართული. ფეოდა-

ლური წრეების შეიარაღების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა. ისინი იმდენად დიდი რაოდენობით შეძოჰყავდათ, რომ მათზე სპეციალური ბაჟი იყო დაწესებული. „რაც ოსეთის გზიდამ გასასყიდელი ცხენი აქ, ქალაქში (თბილისში. — გ. თ.) მოვიდეს, — ხათქვაძია ერეკლე II 1767 წლის ბრძანებაში — ვიხაც იქ იმისი მებაჟე იყოს, რაც აქ იმის ბაჟი აიღებოდეს, მესამედი კათალიკოსისა არის, იმას მიერთმეოდეს"[1]. დარიალის გზით მოტანილ თუ გატანილ საქონელზე ბაჟები იყო დაწესებული. ბაჟს დუბეთში იღებდნენ და ოაგვის საეროთავოს აზიაურ ბაბანაძვილების საგვარეულო სახელოს წარმოადგენდა. „რუსეთიდამ მომავლის ვაჭრისა და თუ აქედამ წამსვლელი ვაჭრისა და აგრეთვე ჩერქეზიდამ მოსული ცხენების ბაჟის აღება ყოველთვის ზენი ოჯახის სახელოდ ყოფილიყო... ჩვენც გიბოძეთ"[2] — ნათქვაშია ვახტანგ ბატონიშვილის 1782 წლის ბრძანებაში.

მაგრამ ამავე საქონელზე ოსებიც იღებდნენ ბაჟს. როგორც რუსეთის იმპერატორის კარზე მყოფი ქართველი ელჩები აცხადებენ, დარიალის გზით დადიან რუსი, ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების ვაჭრები. ისინი... „მოიწევიან რა ოსთა შორის, მაშინ არა თუ მხოლოდ აძლევენ მათ განწესებულთა მათთა მისაცემელთა საქონელთა ზედა, არამედ ესეცა ხშირად იქმნების, რომელ ისინი მოიწყურნეობითა ნივთ-მოყვარეობისათა მოაკლებენ მათ ყოველსავე ნაქონებსა თვისსა"[3]. ამ გზითაც ოსთა გარკვეული წრეები სხვადასხვა საქონლის მიღებას ახერხებდნენ.

ამრიგად, მთელი ზემომოყვანილი ფაქტიური მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ განსახილველ პერიოდში ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობა საკმაოდ განვითარებული იყო. ეს ურთიერთობა თავის ხასიათით მთისა და ბარის ურთიერთის შემავსებელი ტიპიური ეკონომიური ურთიერთობაა. ამ ურთიერთობის ფორმები და მოცულობა თავისთავად ცხადია, დამოკიდებული იყო ორივე მხარის

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 3042.

[2] საქართველოს სიძველენი, 1, თბ., 1920, გვ. 191.

[3] А. А. Цагарели, Грамоты..., т. II, ч. I, გვ. 199.

პოლიტიკურ ვითარებაზე ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში. მასზე დამაბრკოლებლად არ შეიძლებოდა არ ემოქმედა იმ შინაგან ფეოდალურ ბრძოლებს, ურთიერთისაგან განკერძოებულების მძლავრ ტენდენციებს, გარეშე მტრების სისტემატურ თარეშს, რომლებითაც ასე მდიდარი იყო ქართველი და ოსი ხალხების აღებული ხანის ისტორია.

მთის ეკონომიკის თავისებურება ობიექტურად განაპირობებდა ბართან მისი ეკონომიური თანამშრომლობის აუცილებლობას. ამით აიხსნება, რომ ოსები სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული საქართველოს ბართან ურთიერთობით და მის შესანარჩუნებლად ამ თანამშრომლობით ქართული საზოგადოებრიობის დასაინტერესებლად მას აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას უწევენ. თუ რაოდენ იყო დაინტერესებული ქართული საზოგადოება კავკასიის მთიანეთის მოსახლეობასთან ურთიერთობით, ნათლად დასტურდება იმ ფაქტით, რომ უკანასკნელნი საქართველოში თავის სავაჭროგაცვლითი ოპერაციებისათვის ბაქის გადახდისაგან თავისუფალნი იყვნენ. ეკონომიურად ხელმოკლე მთიელთათვის ბარში უბაჟო ვაჭრობის უფლება კარგი შეღავათი იყო.

ქსნის ერისთავის ყმები — ახალგორელები 1817 წელს გენ.-ლეიტენანტ ერმოლოვს მოახსენებდნენ: „საქართველოში რა რომ ბაჟი განწესებულა საქართველოს მეფეთაგან, არც ერთის მეფისაგან ძველადგანვე ქსნის ერისთავის ყმას და საარაგვო კაცს ბაჟი არ გამოგვრთმევია დღემდის, არც საზღვარს გარედამ შემოტანილისა, და არც საზღვარს შიგნითის ჩვენგან მოტანილის ნივთის ბაჟი... ჩვენგან არარაი არს სათქმელი შემოსავალი, რომელთაც არც სულ არ გვდებია ბაჟი დღეს გვეთხოება ღარიბთა მთის ხალხთა. გთხოვთ უმდაბლესად მოწყალება მოიღოთ და რომელიც ზემორე მოგვიხსენებია, ამა სიმძიმისაგან განგვათავისუფლოთ“[1].

თუ ამ ცნობაში ქსნის და არაგვის საერისთავოების მოსახლეობის (მათ შორის კი ოსები მრავალრიცხოვანნი არიან) ბაჟისაგან თავისუფლების შესახებაა ლაპარაკი, მოსკოვის სამხედრო ისტორიული არქივის ფონდებში დაცულია ცნობა

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 10832.

ოსების და სხვა მთის ხალხების საქართველოში უბაჟო ვაჭრობის შესახებ. „არაგვისა და ქსნის მცხოვრებნი, თუშები, ფშავები, ხევსურები და საქართველოს ოსები გათავისუფლებული იყვნენ ბაჟისაგან“[1]. ამ ცნობაში დასტურდება სამხრეთ ოსების ბაჟისაგან თავისუფლება. რა მდგომარეობაში იყვნენ ამ მხრივ ჩრდილო ოსები? 1801 წლის შემოსავლის ერთ უწყისში არის უძველეს დროიდანვე ბაჟებისაგან გათავისუფლებულ ხალხთა სია. მასში მოცემულია «список освобожденным издревле от пошлины: Арагвские жители, Ксанские... в Тифлисе Калоевы от царей Теимураза и Ираклия; туши, пшавы, хевсуры и Осетинцы, принадлежащие Грузии, а из иностранцев по древним обычаям кабардинцы, лезгины и осетинцы»[2].

საქართველოს პოლიტიკური მესვეურების მიერ ოსებისათვის უბაჟო ვაჭრობის უფლების მინიჭება უკანასკნელთ აქეზებდა მასთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებისა და უწყვეტობისაკენ. ეს გარემოება კარგი საფუძველი იყო ოსთა საქართველოს ბარის პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებისა და მასში აქტიური ჩაბმისათვის. საქართველო მთიანეთის მოსახლეობის პოლიტიკურ მხარდაჭერას ყოველთვის საჭიროებდა და გასაკვირი არაა მას თავის ეკონომიური პოლიტიკით მთიელთადმი ასეთი მხარდაჭერის გაწაღდების რეალური პირობები შეექმნა. ამ მთის ბარზე ეკონომიური დამოკიდებულება უკანასკნელს საშუალებას აძლევდა მასზე თავისი პოლიტიკური გავლენა ადვილად გაევრცელებინა. ჩვენს ხელთ არსებული წყაროები ხშირად მოვლენათა მხოლოდ პოლიტიკურ მხარეს ასახავენ, ეკონომიური და სხვა ხასიათის ასპექტები კი გვერდავლილია. ამის გამო ქართველ-ოსთა პოლიტიკური ურთიერთობის ეკონომიური მოტივები შედარებით სუსტად გვაქვს წარმოდგენილი, მაგრამ უკვე ის ფაქტები, რომ ოსები ქართველი მეფეების პოლიტიკურ წამოწყებებში მონაწილეობის საზღაურად ქირას

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 61104, ч. 1, фурц. 81.

[2] Акты, 1, გვ. 481 (ხაზგასმა ჩვენია).

ღებულობდნენ, ჯამაგირები ენიშნებოდათ და სხვა შეღავა-ოები ეძლეოდათ, იმის მოწმობას წარმოადგენენ რომ მათ ურთიერთობაში ეკონომიური მომენტი გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ესეც არ იყოს, ბარის ეკონომიკასაც სჭირდებოდა მთის ეკონომიკასთან თანამშრომლობა და ეს გარემოებაც, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია.

საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობის წარმოდგენილი მოკლე დახასიათების დასასრულს აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ საკითხზე იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე იყო დამყარებული ეს ურთიერთობა — ნატურალურ გაცვლა-გამოცვლაზე თუ ფულად მეურნეობაზე. პირდაპირი ხასიათის მასალების უქონლობის გამო ამ საკითხზე მსჯელობა გაძნელებულია, მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე გარკვეული მოსაზრებების წამოყენება მაინც შეიძლება. ვახუშტის მიერ დახასიათებული ოსეთის მეურნეობა ნატურალურია. ოსებმა „არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით"[1]. საშინაო ვაჭრობა ოსებში უბრალო გაცვლა-გამოცვლის ხასიათს ატარებდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში გაცვლის ერთეულს წარმოადგენდა ისეთი საქონელიც, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართველებთან ურთიერთობაშიც ოსები ძირითადად გაცვლა-გამოცვლას ეწეოდნენ — თავის საქონელს სცვლიდნენ საჭირო საქონელზე. მაგრამ აქ მათ ფულად ანგარიშსწორებაზე დამყარებული ვაჭრობაც უნდა ჰქონოდათ, კერძოდ, თავისი საქონელი გაეყიდათ ფულზე და ამ ფულით მაშინვე შეეძინათ ისეთი პროდუქცია, რომელსაც თვითონ არ აწარმოებდნენ. ამას გარდა ოსებს ასეთი ანგარიშსწორებისათვის საჭირო ფულადი სახსრები თუმცა ნაკლებად, მაგრამ მაინც ჰქონდათ. მრავალ ოსს ქართველ მეფეთაგან ფულადი ჯამაგირი ჰქონდა გაჩენილი. ფულს სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ქირის სახითაც ღებულობდნენ და ეს თანხები შემდეგ სავაჭრო მიზნით გამოიყენებოდა.

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 111.

ქართველ-ოსთა შეხვედრები სავაჭრო-გაცვლითი მიზნით ხდებოდა ისეთ ქალაქებსა და სავაჭრო პუნქტებში, როგორიც იყო თბილისი, გორი, ცხინვალი, დუშეთი, ანანური, ახალ-გორი (აწ. ლენინგორი) აღმოსავლეთ საქართველოში, ხონი იმერეთში, ონი რაჭაში. ჩამოთვლილ სავაჭრო ცენტრთაგან დუშეთის, ანანურისა და ახალგორის გამოცოცხლება XVIII ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო და დაკავშირებული იყო საქართ-ველოსთან რუსეთის ურთიერთობის გაფართოებასთან, ჩრდი-ლოური საქონლის მოზღვავებასთან. მაგრამ ამ დიდი სავაჭრო ცენტრების გარდა ოს-ქართველთა სავაჭრო-გაცვლითი შეხ-ვედრები ხდებოდა ყოველ ქართულ სოფელში, სადაც ოსები თავისუფლად მოდიოდნენ და თავის საქონელს სცვლიდნენ.

ასეთად წარმოგვიდგება ზოგად ხაზებში XV — XVIII სს. საქართველო-ოსეთის ეკონომიური ურთიერთობის სურათი იმ არასრული ცნობების საფუძველზე, რომლებიც სადღე-ისოდ მოგვეპოვება.

თავი IV

საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან

მონღოლების სასტიკმა შემოსევებმა, მათმა ხანგრძლივმა ბატონობამ კავკასიაში, თავის მძიმე შედეგების მიუხედავად, ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული მჭიდრო ურთიერთობა საესებით ვერ მოშალა, თუმცა სერიოზულად გააძნელა იგი. XIV ს. პირველი ნახევრიდან, კერძოდ, გიორგი V ბრწყინვალის (1314 — 1346) მეფობის დროიდან ოსეთი კვლავ საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფება და ეს მდგომარეობა გრძელდება თემურლენგის შემოსევებამდე. ბაგრატ V მეფობის დროს (1360—1393) ჩრდილოეთით დვალეთი და ოსეთი ჯერ კიდევ საქართველოს ემორჩილებოდნენ[1].

ფეოდალური დაქუცმაცებულობის გზაზე შემდგარმა საქართველომ თავისი ყოფილი მთლიანობა საესებით ვერ აღიდგინა, როცა მას კვლავ ახალი, მრისხანე დამპყრობელი მოევლინა თემურლენგის სახით. მისმა მრავალგზისმა ლაშქრობამ (1386—1403 წწ. 8-ჯერ შემოესია საქართველოს) საქართველო და ამიერკავკასია სერიოზულად დააზარალა. საქართველო სისხლისაგან დაიცალა. უწყალოდ განადგურდა ქართული სამეურნეო და კულტურული ცხოვრების შენამოქმედი.

არანაკლებ მძიმე იყო თემურის ლაშქრობათა შედეგები ოსებისათვის. მისი ბრძოლა ოქროს ურდოს ხან თოხთამიშთან ოსეთის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა და უკანასკნელთა დიდი აოხრება გამოიწვია. 1395 წელს დერბენტის გავლით

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1, 1958, გვ. 253—254.

თემური ჩრდილო კავკასიაში გადავიდა და თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე დაბანაკდა. მოწინააღმდეგენი ბდ. სუნჯაზე შეხვდნენ, სადაც თოხთამიშის ავანგარდი დამარცხდა. 1396 წლის 15 აპრილს ორი დამპყრობელის არმია გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაება. თემურმა სასტიკად დაამარცხა ოქროს ურდოს ხანის ლაშქარი და შემდეგ რუსებსა და ჩერქეზებს მიუბრუნდა. ამ ამბების შემდეგ თემური იალბუზის მიდამოებში მცხოვრები ოსების (ასების —ასე უწოდებდნენ მათ სპარსულენოვანი წყაროები) მმართველების ბურიბერდისა და ბურაკანის დასამორჩილებლად გაეშურა. ისტორიკოსი შერეფ ედ-დინ იეზდი წერს, რომ თემური «Вырубив деревья и проложив дорогу... взошел на гору Эльбурз. В горных укреплениях и защищенных ущельях у него было много стычек с врагами веры и во всех делах победоносное войско его... одержало победу: многих из тех неверных, придав мечу джихада (война за веру) отправили в огонь гиены, разорили их крепости. и милостью судьбы для победоносного войска стала несметная добыча из имущества неверных... а из врагов те. которые остались в живых, оказались бродящими, растерянными и бездомными».[1]

თემურის მიერ ოსეთის სასტიკ აოხრებას ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონი. მისი ცნობით, ბარდაეს მყოფმა თემურმა „წარავლინა სპანი ოვსეთად. განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს, მოსწყვიდნეს, ტყვე-ჰყვეს და მოიქცნენ წინაშე თემურისავე. ესე ჰყო თემურმან, რამეთუ უწყოდა, რამეთუ მეფე ძალს იცემს მუნიდამ. ხოლო კვალად იტყვიან, მიერიდგან იწოდაო ჩერქეზი და იქმნაო მაჰმედიანობა მათ შორის“[2].

ამრიგად, ვახუშტი არამარტო ოსეთის განადგურების ფაქტს გვაცნობს, არამედ იმ მიზეზებსაც გვიჩვენებს, რამაც განაპირობა თემურის აღნიშნული ლაშქრობა ოსეთზე. თე-

---

[1] В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. II, М., 1941, გვ. 181.

[2] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, ტფ., 1885, გვ. 293.

მურს სცოდნია, რომ ოსეთი სამხედრო დახმარებას უწევდა საქართველოს მის ბრძოლაში თემურის ურდოების წინააღმდეგ. თემურს აშინებდა პერსპექტივა, რომ ქართველებსა და ოსებს ოქროს ურდოსათვის დარიალის გზა არ გაეხსნათ და მისთვის თემურთან ბრძოლა არ გაეადვილებინათ. ამიტომ იყო, რომ იგი ასე დაჟინებით ცდილობდა როგორც საქართველოს, ასევე ოსეთის განადგურებას და დარიალის კარების ხელში ჩაგდებას. საინტერესოა, რომ დარიალის კარების აღებას თემური სამხრეთიდან, საქართველოს მხრიდანაც შეეცადა 1394 წელს არაგვის ხეობაში ლაშქრობის გზით. მაგრამ მოძმე ქართველი და ოსი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ მძვინვარე დამპყრობელის აღნიშნული გეგმა არარად აქცია.

თემურის ლაშქრობებს შედეგად სდევდა ქვეყნის ისეთი განადგურება-აოხრება, რომ მისი შედეგების ლიკვიდაცია, შექმნილ ისტორიულ პირობებში, კავკასიაში შეუძლებელი აღმოჩნდა. „მაინც ყველაზე მძიმე, — აცხადებს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — საქართველოსათვის (ისევე როგორც მთელი კავკასიისათვის) თემურის ლაშქრობათა პოლიტიკური შედეგი იყო. სამასწლოვანი ბრძოლა მომთაბარეთა წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს საქართველოს დამარცხებით დამთავრდა. მოძმე-მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები (სომხეთი, ალბანეთი) საქართველომ საბოლოოდ დაჰკარგა და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ მარტო აღმოჩნდა. მიწისმფლობელობისათვის მებრძოლმა მომთაბარეებმა მაჰმადიანობა თავის ალმად აღიარეს და ქრისტიან მიწისმფლობელთა წინააღმდეგ ბრძოლა „საღვთო საქმედ“ გამოაცხადეს“[1].

საქართველო მაჰმადიანურ გარემოცვაში აღმოჩნდა. ქართველობის შენარჩუნება მაჰმადიან აგრესორთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით შეიძლებოდა. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაშიც ქართული დიპლომატიის წინაშე იდგა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უზრუნველეყო თავის სამხედრო ღონისძიებებში ჩრდილოელი მეზობელი ხალხების, მათ შორის პირველ რიგში

[1] საქართველოს ისტორია, 1, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 255.

ოსები'ს, აქტიური მონაწილეობა. ქართული დიპლომატია წარმატებით სძლევდა ამ ამოცანას. ახლა როცა საქართველოს ერთიანობა წარსულს ჩაბარდა, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით ძნელ პირობებში უხდებოდა. ამიტომაც ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური თვითმყოფობის დასაცავად კავკასიის მთიელ ხალხთა (მათ შორის ძირითად ძალად კვლავ ოსები რჩებოდნენ) სამხედრო პოტენციის გამოყენების ამოცანა საქართველოსათვის კვლავ აქტუალურ საკითხად რჩებოდა.

განსახილველ პერიოდში ოსეთი ცალკეულ ხეობებად და საზოგადოებებად იყო დაქუცმაცებული კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე. სამხრეთელ ოსების ძირითადი ნაწილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა, მცირე ნაწილი იმერეთს ემორჩილებოდა. ასე რომ, ოსთა ნაწილი საერთო ტერიტორიითა და საერთო ისტორიული ბედით დაკავშირებული იყო ქართულ სამყაროსთან, ხოლო მეორე ნაწილი მასთან უშუალო მეზობლობაში იმყოფებოდა.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესის გაღრმავების პერიოდში — XV ს. მეორე ნახევარში, ქართველ მეფეებს ამ პროცესის შესაჩერებლად და ქვეყნის ერთიანობის აღსადგენად არაერთხელ მიუმართავთ კავკასიელ მთიელთა, მათ შორის ოსთა, დახმარებისათვის. ასე, მაგალითად, მთიელები აქტიურად ეხმარებოდნენ კონსტანტინე მეფეს მის ბრძოლაში ალექსანდრე ბაგრატიონის წინააღმდეგ ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად. ვახუშტის ცნობით, „შემდგომად შემოიკრიბნა სპანი კონსტანტინემ მეფემან და დაიპყრა ქართლი ქს. ჩუოთ (1479 წ.)... აღიღო ეორი და ყოველნი სხვანი ციხენი, გამოასხნა იმერნი და შეაყენა მცველნი თჳსნი; შემდგომად კვალად გამოიყვანნა კავკას-მთიულნი მეფემან და განზრახვითა დადიანისათა შთავიდა იმერეთს, ვერ წინ აღუდგა ალექსანდრე“[1].

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 19.

კონსტანტინემ კვლავ მიმართა მთიულ-კავკასთა დახმარებას სამეფოს მთლიანობის აღსადგენად. „ჟამთა ამათ კვალად ეზრახა ლიპარიტ დადიანი მეფესა კონსტანტინეს დაპყრობად იმერეთისად: ესე სთნდა მეფესა და კვალად გამოიყვანნა მთიულ-კავკასნი, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი და შთავიდა იმერეთს... კვალად დაიპყრა იმერეთი ქს. ჩუპჴ (1487 წ.)"[1].

ამრიგად, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად წარმოებულ ბრძოლაში ფართოდ იყო გამოყენებული საქართველოს მთიანეთისა („მთიულები") და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის სამხედრო ძალა.

მართალია, მოტანილ ცნობებში ოსები კონკრეტულად არ არიან დასახელებული, მაგრამ ზოგადი დასახელება „მთიულ-კავკასნი" სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხთა შორის უეჭველად გულისხმობს ოსებსაც. კონსტანტინე მეფეს ყველაზე ადვილად ოსებთან შეეძლო დაკავშირება და მათი გადმოყვანის უზრუნველყოფა.

მაგრამ, აქტიური ღონისძიებების მიუხედავად, საქართველოს მთლიანობის აღდგენა აღარ მოხერხდა. XV ს. ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში, იგი დაიშალა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. ამას მოჰყვა სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროთა ჩამოყალიბებაც. ამ, შედარებით მსხვილ, პოლიტიკურ წარმონაქმნთა შიგნით წარმოიშვა მრავალი ნახევრად დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული—სათავადოები. ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ისეთი სათავადოები, როგორიც იყო ქსნისა და არაგვის საერისთავოები, იმერეთის სამეფოში — რაჭის საერისთავო და სხვ. ამ საერისთავოებთან ოსებს უაღრესად მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ.

ბუნებრივია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ დაშლა-დაქუცმაცებას შედეგად მოჰყვა შინა ბრძოლის გამწვავება. განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის. კახთა მეფე ავ-გიორგი აოხრებდა ქართლის რაიონებს. მაშინ ბაგრატმა, ქართლის მეფე დავითის (1505 —

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 20.

1525) ძმამ, „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის ჯევნი მთიულ-მოხევითურთ თჳსსა მორჩილებასა ქვეშე“[1]...

სამუხრანბატონო შინაპოლიტიკური ბრძოლის ინტერესების ბაზაზე წარმოიშვა. იგი როგორც სამხედრო ერთეული, თავიდანვე მოიცავდა არაგვისა და ქსნის საერისთავოებს, სადაც ამ დროს მრავლად იყო ოსური მოსახლეობა. ეს გარემოება აძლიერებდა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში ოსთა მონაწილეობის მასშტაბს.

XVI საუკუნე საქართველოსათვის მძიმე საუკუნე იყო. ყიზილბაშური ირანი ამ საუკუნის 20-იან წლებიდანვე შეეცადა ქართლის დამორჩილებას. 1522 წელს შაჰ ისმაილი შემოესია ქართლს. „ქს ჩფკბ (1522), ქრ. სი (210), წარმოემართა შაჰ-ისმაილ ყეენი, რამეთუ ჰგონებდა მორჩილებასა ქართლისჳსა“. მეფე დავითმა „მოიცა ძალი მესხთა და კახ-ბატონისა ლევანისაგან. კვალად გამოიყვანნა კავკასნი და მთიულნი, განამტკიცა ტფილისი და ყოველნი ციხენი და სიმაგრენი ქართლისანი“[2]. შაჰ ისმაილმა მაინც შესძლო დავითის დამარცხება და თბილისის აღება, იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელს ფართო ღონისძიებები მიუღია ქართლის ციხე-სიმაგრეთა გასაძლიერებლად საკუთარი თუ გარედან მოშველიებული ჯარით. ჩრდილოეთიდან გამოყვანილ ჯარს ისტორიკოსი კვლავ „მთიულ-კავკასნის“ უწოდებს. ჩვენის აზრით, ეს ვითარება აიხსნება იმით, რომ იგი ყოველთვის ვერ ახერხებს მოწვეული ჯარის კონკრეტული შემადგენლობის ჩვენებას და მდგომარეობიდან გამოსავალს ზოგად სახელწოდება „მთიულ-კავკასნი“-ში ნახულობს. ეს სახელწოდება კი ცენტრალური კავკასიონის ორივე მხარეზე მცხოვრებ ხალხებს აერთიანებს და ამდენად ოსებსაც მოიცავს. ქართველ მთიელებთან ოსების უშუალო მეზობლობა კავკასიის ქედს გადმოღმა, ხოლო ქედს გადაღმელ ოსებთან დამაკავშირებელი მოხერხებული უღელტეხილები ასეთ დაშვებას სავსებით რეალურ ფაქტად აქცევენ.

ხანგრძლივმა ბრძოლებმა ქვეყანა უკიდურესად დაასუსტეს.

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 30.

ქვეყნის დასუსტებამ, რიგ საერთაშორისო ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს ურთიერთობა მის მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის ჩრდილოეთის ხალხებთან. საქართველოს ჩრდილო მეზობლებში, რომლებთანაც საქართველოს წინათ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ოსმალეთის გავლენით ეს ურთიერთობა თანდათან შეიცვალა. ოსმალური გავლენის ფორპოსტებად იქ ყირიმის ხანი და შამხალი გამოდიოდნენ. ჩრდილო ოსეთში ოსმალთა გავლენა საგრძნობი არასდროს არ ყოფილა, მაგრამ ოსმალეთის გავლენით მაჰმადიანობის გავრცელება ყაბარდოში და ყაბარდოს დაწოლა ოსებზე უარყოფით გავლენას ახდენდა საქართველოს ჩრდილო ოსეთთან ურთიერთობაზე.

თვით ქვეყნის შიგნითაც მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. მთის მოსახლეობა დაღესტნიდან შავ ზღვამდე (მათ შორის ოსებიც იყვნენ) დასუსტებულ ბარს არა მარტო არბევდა, არამედ მის ცალკეულ ადგილებსაც იჭერდა და ზედ ესახლებოდა; მთიელებს თან ჩამოჰქონდათ თავისი მეურნეობა და ყოფა — მეტწილად მეჯოგური მეურნეობა და პატრიარქალური საგვარეულო ყოფა. ეს გარემოება საქართველოში ინტენსიური მეურნეობის დაქვეითების ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო[1].

კავკასიის მთიელთა ბარის მიმართულებით გადასახლებისაკენ სწრაფვა მათივე მძიმე ეკონომიური პირობებით იყო ნაკარნახევი. მთის ეკონომიკის თავისებურება მთიელთა წინაშე გარდუვალად აყენებდა ბართან დაკავშირების მუდმივ ამოცანას. ვინაიდან ამ პერიოდში მთის ეკონომიკის ბარის ეკონომიკასთან მშვიდობიანი ურთიერთობა ქვეყნის საშინაო (ფეოდალური დაქუცმაცებულობა) და საგარეო (გარეშე მტრების შემოსევები და ქვეყნის გაპარტახება) პირობების არახელსაყრელობის გამო შეუძლებელი შეიქმნა, მთიელებს ერთი გზა დარჩათ — თავდასხმებისა და რბევის გზით (ყველგან, სადაც კი ეს შეიძლებოდა) შეევსოთ თავის საარსებო საშუალებათა დანაკლისი. აოხრებულ ქვეყანაში რბევა-თავდასხ-

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 268.

მებიც ვერ ამართლებდა მიზანს, ამიტომ მთის ვიწროებიდან ბარის მიმართულებით გადმოსახლება და უფრო ხელსაყრელ ადგილებში დამკვიდრება ცხოვრების უპირველეს მოთხოვნილებად გადაექცათ მთიელებს. ჩვენს მიერ განსახილველად აღებული პერიოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისიც არის, რომ სწორედ ამ პერიოდში, ხსენებული მიზეზების გამო, ადგილი ჰქონდა მთის მოსახლეობის მასიურ ჩამოსვლას ქართლის ბარის რაიონებში. რა ფორმებში ხორციელდებოდა ოსთა ქართლის ბარის მიმართულებით გადმოსახლება, ამაზე ამ შრომის სხვა ადგილას უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

ლუარსაბ II (1604—1614) მეფობის დროს ქართლში დეცენტრალიზაციის პროცესი უფრო გაღრმავდა. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ოსები გიორგი სააკაძის გამგებლობაში აღმოჩნდნენ და, უნდა ვიფიქროთ, მისი პოლიტიკური ძლიერების ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ისტორიკოსის ცნობით, „ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყუნენ მთავარნი და დაეპყრათ ჴევნი და ჴეობანი თვისად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქრცხინვალისა და დვალეთისა“[1].

სათანადო პირდაპირი წყაროების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს წარმოვიდგინოთ ქრცხინვალისა (ახლანდელი ცხინვალისა) და დვალეთის (ესენი ფაქტიურად მოიცავენ მთელი დიდი ლიახვის აუზს, ამ დროს უპირატესად ოსური მოსახლეობით დასახლებულს) ბ. სააკაძის დამოკიდებულებაში მოქცევა, ამ დამოკიდებულების ხასიათი, ამ რაიონების მიმართ სამეფო ხელისუფლების პოლიტიკა. ერთი რამ ცხადზე უცხადესია — სააკაძის სწრაფ აღზევება-გაძლიერებაში დიდი ლიახვის აუზის მის გამგებლობაში მოქცევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა მოურავი მთის ხალხთაგან ზურგის მომაგრებას, კარგად ჩანს არაგვის ერისთავის ნუგზარის ასულზე მისი დაქორწინების ფაქტიდანაც. ნუგზარს დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა მთის ხალხებზე და მისი მხარდაჭერა სააკაძეს ძვირად უღირდა.

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 53.

თუ გამოვალთ დიდი ლიახვის აუზის სააკაძის გამგებლობაში ყოფნის ფაქტიდან, უნდა დავუშვათ, რომ სამხრეთელი ოსებიც ქართველი ხალხის მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობდნენ ყიზილბაშ დამპყრობელთა წინააღმდეგ, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში 1625 წლის მარტსა და ივლისში მათაც ჭარბად დაღვარეს სისხლი. ამ ომებს კი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ „მარტყოფისა და მარაბდის ომებმა, — აცხადებს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — აღმოსავლეთი საქართველო იხსნა შაჰის მძიმე განაჩენისაგან — ქვეყნის გადაშენებისა და აქ ყიზილბაშური სახანოების შექმნისაგან“[1].

შაჰ აბასი (1587—1628) კარგად გრძნობდა მის წინააღმდეგ ქართველ-ოსთა ერთიანი ბრძოლის დიდ მნიშვნელობას და თავის მხრივაც ოსთა განადგურებას შეეცადა. ოსების განადგურებით და იქ განმტკიცებით შაჰი, შესაძლებელია, ვარაუდობდა კავკასიის მიმართულებით რუსეთის წინსვლის შეჩერებას და საქართველოსათვის რუსეთთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობის მოსპობას. კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში კახეთის რუსეთთან ურთიერთობის საქმეს იგი მოხერხებულად აფერხებდა საშამხლოს მეშვეობით. რომ შაჰ აბასს ასეთი განზრახვა უნდა ჰქონოდა, ამას მოწმობს ზეპირ გადმოცემებში დაცული ცნობა ოსეთზე მისი ლაშქრობის შესახებ. შაჰი კასარას გზით ალაგირში შეჭრას ლამობდა. მას ზარამაგამდე მისვლა მოუხერხებია და იქიდან, ოსთა სასტიკი წინააღმდეგობის გამო, იძულებული გამხდარა უკან დაბრუნებულიყო. ამის შესახებ ალაგირში ანდაზაც დარჩენილა: „შაჰმაც კი დაიხია უკან ზარამაგის კლდის წინაშე“. როგორც შაჰის ექსპანსიის სამწუხარო გამოძახილი, მთიან ოსეთში გზებს დიდხანს „შახნად“ („შაჰის გზა“, უფრო ზუსტად „შაჰის ნატკეპნი“) ეწოდებოდა[2].

შაჰ აბასის ქართლ-კახეთში შემოსევისას თეიმურაზ I კახთა მეფე და ლუარსაბ ქართლის მეფე იმერეთს შეეხიზნენ. შაჰი

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 298.

[2] История Северо-Осетинской АССР, გვ. 125; Б. Калоев, Осетины, М., 1967, გვ. 50.

„ნიქოზს მივიდა და იქიდან ჯარი გაუძახა და ოსეთი დაარბევინა და გიორგი მეფეს რისხვიანე წიგნი მისწერა: ჩვენი ყმანი თქვენთან მოსულანო, გამოგვიგზავნეთო, თორადა ჯარს გამოგიძახებთო“[1].

მაგრამ შაჰ აბასი საქართველოს განადგურება-მოსპობის თავის გეგმებზე ხელს არ იღებდა. უშუალო სამხედრო ღონისძიებების გარდა ცბიერმა შაჰმა მოწინააღმდეგეთა გათიშვისა და მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირების პოლიტიკა მოიშველია და მით უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე ამაოხრებელი სამხედრო შემოსევებით. მან ადვილად გადაჰკიდა ერთმანეთს გიორგი სააკაძე და თეიმურაზ I — ყიზილბაშობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურები და სისხლისმღვრელი ბრძოლა გამოიწვია მათ შორის. სააკაძეს გადაუდგა ცოლისძმა ზურაბ ერისთავიც. გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლას დაერთო არანაკლებ სასტიკი შინაბრძოლა ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის. მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. გაუარესდა სააკაძის გამგებლობაში მყოფი მოსახლეობის, მათ შორის ოსების მდგომარეობაც. გაუთავებელ სისხლისმღვრელ ომებში მონაწილეობა, უზომო ბეგარა გადასახადების გაღება სამხრეთელ ოსების (დვალების) განდგომის საფუძველი გამხდარა. დვალებმა (განსახილველ პერიოდში „დვალი“ იგივე „ოსს“ ნიშნავს) სააკაძეს ბეგარის მიცემა შეუწყვიტეს: „კვალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დვალთა ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ჰყვა კვალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“[2]. როგორც ვხედავთ, სააკაძემ დვალეთის მოსახლეობის განდგომა საშიშ მოვლენად მიიჩნია და დასაწყისშივე აღკვეთა იგი.

რომ ხსენებულ ტექსტში დვალებში სწორედ ოსები იგულისხმებიან, ამას კარგად ადასტურებს იოსებ ტფილელის ისტორიული პოემა (დაიწერა XVII ს. მეორე ნახევარში) „დიდმოურავიანი“. ავტორი სააკაძეს ალაპარაკებს თავის გარდახდილ ომების შესახებ და დვალეთის მაგივრად იგი ოსეთს იხსენიებს:

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., „საისტორიო მოამბე“, 11, 1925, გვ. 21.

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 66.

„ხმლითა გავტეხე ოსეთი, ავიღე მაგარ ციხები,
უფროსნი კაცნი გავბეგრე, გაუშვი ზავთი, რიხები“...
„მე შევაშინე, შეშინდეს სულა ქვეყანა ოსისა...
ვინ მომიყიდნენ, ხალათით აივსნენ სრულად მოსისა“[1]...

ი. ტფილელის თანახმად, საakaძის ბრძოლა ოსებთან საკმაოდ ცხარე ყოფილა. ორივე მხარე მედგრად იბრძოდა. ოსებმა თამაზ მაჩაბელი ისრით მოუკლეს საakaძეს, მაგრამ დამარცხება მათ მაინც არ ასცდენიათ. გამარჯვებულ მხარეს ოსთა წარჩინებული კაცები შეუპყრია და საბოლოოდ მორიგებით — ბეგარის გადახდის დაკისრებით გაუთავებიათ საქმე[2].

ნარ-მამისონის აუზი, ანუ ისტორიული დვალეთი, პოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხებულ ქართლ-კახეთის მესვეურთათვის იმერეთში გასახიზნ უშიშარ გზას წარმოადგენდა. უფრო გვიან იგი ქართლ-კახეთიდან გაქცეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა უშუალო თავშესაფრადაც იქცა.

1632 წელს, როცა შაჰმა ქართლში გამაჰმადიანებული როსტომი დანიშნა გამგებლად, კახეთში კი ყიზილბაში სელიმი, თეიმურაზი იმერეთს გაიხიზნა. იმერეთიდან თეიმურაზმა „მოვლო დვალეთი და მოვიდა დუშეთს ქს. ჩქლ (1636 წ.), ქრ. ტკდ. და მუნიდამ მცდელობდა ქართლს“[3]. საფიქრებელია, თეიმურაზი ამ შემთხვევაში ოსთა დახმარებითაც სარგებლობდა. მაინც მისი ბრძოლა როსტომთან უშედეგო იყო.

1658—1676 წწ. ქართლის ტახტზე ვახტანგ V შაჰ-ნავაზი იჯდა. მან განიზრახა საქართველოს სათავადოებისა და სამეფოების შემომტკიცება. ამ მიზნით მრავალი ბრძოლა აწარმოვა ერისთავთა წინააღმდეგ, ილაშქრა დასავლეთ საქართველოში და თავის შვილი არჩილი გაამეფა იქ.

შაჰ-ნავაზს ოსებმა ბეგარა შეუწყვიტეს. „არღარა მოსცეს დვალთა მეფესა ბეგარანი. ამისთვის მოვიდა სპითა ქრცხინვალს შესლვად ოსეთად, მსმენელნი დვალნი შეშინდენ და მოერთვნენ თავნი მათნი ქრცხინვალს, მოსცეს და დაემორჩი-

---

[1] ი. ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედ., თბ., 1939, სტრ. 254, 255.

[2] იქვე, სტრ. 256.

[3] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 72.

ლნენ, ვითარცა პირველ"[1]. შაჰ-ნავაზის დამსჯელი ლაშქარი ცხინვალამდე მივიდა და იქიდან ოსეთში შესაჭრელად ემზადებოდა. ოსებს (ვახუშტის ცნობით, — დვალებს) წინააღმდეგობის გაწევა უიმედოთ სჩვენებიათ, თავის თავკაცები უახლებიათ მისთვის ცხინვალში და ძველებურად ბეგარა უკისრიათ. კონკრეტულად რას გულისხმობდა ეს ბეგარა, არ ჩანს.

შაჰ-ნავაზი ქართლის ტახტზე მისმა შვილმა გიორგი XI (1676—1688, 1703—1709) შეცვალა. იგი ვერ ურიგდებოდა შაჰის ბატონობას და მისგან თავის დაღწევას ცდილობდა. შაჰმა მოსთხოვა გიორგის შეეპყრო თავის ძმა — მეფე არჩილი და მისთვის გაეგზავნა. მან გააფრთხილა თავის ძმა მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე და იმერეთს გაქცევა ურჩია. არჩილი წავიდა იმერეთში და იქაური სამეფო ტახტი დაიპყრო. 1679 წელს შაჰმა თავის სარდალი აჯი ალიხანი გამოგზავნა ჯარით გიორგისაგან ქართველების ჩამოსაშორებლად, თვით გიორგის კი უბრძანა არჩილის შეპყრობა ან გაძევება. მან ეს ამბავი კვლავ აცნობა არჩილს და ისიც ოსეთს შეეფარა. გიორგიმ არჩილის ეს ნაბიჯი შაჰის წინაშე წარადგინა როგორც მისი გაძევება. მაგრამ შაჰმა ოსეთიდანაც მოითხოვა მისი გაძევება. გიორგიმ თავის ძმა ლევანი და გივი ამილახორი გაგზავნა ოსეთს მყოფ არჩილთან და აცნობა შაჰის მოთხოვნა. არჩილი იძულებული გახდა ოსეთიდან წასულიყო[2].

შაჰი გრძნობდა გიორგი XI ქედუხრელობას და გადააყენა იგი მეფობიდან. 1688—1703 წწ. ქართლში ერეკლე I ნაზარალიხანი — თეიმურაზ I შვილიშვილი მეფობდა. გიორგი მეფე იძულებული გახდა გახიზნულიყო... „მოვიდა ქრცხინვალს და მუნიდამ წავიდა რაჭას ლიბის გზასა ზედა და მთიდან გამოუტეევა ქართველნი მცირეთაგან კიდე"[3]. აქაც ქართლიდან რაჭაში გასახიზნი გზა ოსეთზე გადის. ოსეთის გზებით ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა მიერ ხშირი სარგებლობა ოსებთან მათ კარგ ურთიერთობაზე მეტყველებს. საამისოდ ოსებთან ნათესაური ურთიერთობის ძაფებიც გაუბამთ, როგორც

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 83—84.
[2] იქვე, გვ. 86—87.
[3] იქვე, გვ. 91—92.

ამას ადგილი ჰქონდა XI—XIII სს. ამ მხრივ საინტერესოა კაპუჩინელი ბერის დიონიჯიო კარლის ცნობები გიორგი XI და არჩილ მეფის ურთიერთობის შესახებ შაჰთან და ამ ურთიერთობის სისტემაში ოსების მონაწილეობის შესახებ. დიონიჯიო თბილისში 1681 წელს მოსულა და კარგახანს დარჩენილა იქ. მისი ცნობების თანახმად, შაჰმა არჩილს მოსთხოვა სილამაზით განთქმული თავის მეუღლე მის კარზე გაეგზავნა. არჩილი ძმებს, მათ შორის გიორგის, მოეთათბირა და ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა. მაშინ შაჰმა გიორგის დაავალა, რომ არჩილის მოჭრილი თავი და მისი მეუღლე ცოცხლად წარედგინა მის წინაშე. არჩილი რომელიღაც მთის მიუვალ სიმაგრეს შეხიზვნია, ხოლო გიორგიმ შაჰს აცნობა, რომ იგი გაიქცა და გამაგრდა. მან მეორედ მოსთხოვა გიორგის სამხედრო ძალის გამოყენებით არჩილი ხელში ჩაეგდო. გიორგიმ გადასწყვიტა სპარსელთათვის გარეგნულად მაინც ეჩვენებინა, რომ მზადაა ხელმწიფის ბრძანება შეასრულოს — შეკრიბა ქართლის ჯარი და წავიდა არჩილის გამაგრებულ ციხისაკენ. ამ ჯარით მან გორზე გაიარა, მაგრამ მალე, ზამთრის მომიზეზებით ჯარი თბილისში დააბრუნა. შაჰი დაეჭვებულა გიორგის მოქმედების გულწრფელობაში და საკუთარი 6 ათასიანი ჯარი გამოუგზავნია არჩილის შესაპყრობად. მაგრამ ამ ჯარის სარდალი განჯაში გაჩერებულა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა ვერ გაუბედავს[1].

ასეთი დაძაბული მდგომარეობის დროს გიორგი XI შიშობდა, რომ შაჰის რისხვა შეიძლებოდა მას დატყდომოდა თავს. ამიტომ იგი ფრთხილობდა. როცა გაიგო, რომ არჩილი საქართველოდან გავიდა და რუსეთს შეაფარა თავი, მან ეს შაჰს აცნობა იმ იმედით, რომ ეგებ თავის ჯარი გაიწვიოს და დაწყნარდესო. შაჰს კი არც ჯარი გაუწვევია და არც გიორგის მიმართ მტრულ განწყობილებაზე აუღია ხელი. „მტკიცედ სჯერათ, — წერს დიონიჯიო კარლი, — რომ ორ ძმას შორის ამასწინანდელი შეთანხმების ამბავი გამომჟღავნდა და რომ ამის გამო გიორგი მეფის სიცოცხლე საფრთხეშია ჩავარდნი-

[1] დიონიჯიო კარლი, თბილისის აღწერა, გვ. 166—170.

ლი. მაგრამ ამ უკანასკნელს... არ სძინავს, პირიქით, მან თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი ოვსთა მთავრის ასულზე დააქორწინა. ოვსნი გულზვიადნი არიან, განმარტოებით ცხოვრობენ ტყეებში და დათვებსა და სხვა მხეცებზე ნადირობენ. ამ ქორწინება-დანათესაურების წყალობით, საჭიროებისამებრ გიორგი მეფე იქ თავშესაფარს ჰპოვებს და სპარსეთს წინააღმდეგობას გაუწევს"[1].

ქართული წყაროებით უცნობია რა პირობებში მოხდა გიორგის ერთადერთი ვაჟის ოსთა მთავრის ასულზე დაქორწინება. არც იმის შესახებ ვიცით რაიმე, თუ ვინაა ოსთა ეს „მთავარი", რა ხელისუფლების პატრონია იგი. ეჭვს გარეშეა, რომ ოსთა დასახელებული „მთავარი" ოსთა სოციალური ზედაფენის ისეთი წარმომადგენელი იყო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის თანატომელებზე და, ამდენად, მასთან დანათესაურება ოსების პოლიტიკური მხარდაჭერის მიღების რეალურ პირობებს ჰქმნიდა. დიონიჯიო კარლი სწორედ ასეთი მოსაზრებით ხსნის გიორგის ნაბიჯს ოსებთან ურთიერთობის განმტკიცებისათვის. საამისოდ მას სხვა ღონისძიებანიც გაუტარებია. ჩრდილო ოსეთში რექომისა (ცეის ხეობა) და ძივგისის (ქურთათში) სალოცავებში დღემდე შემორჩა ზარები ქართული წარწერებით, რომლებიც გიორგის მათთვის შეუწირავს (ამით ოსების კეთილგანწყობილების მოპოვებას ცდილობდა). გიორგისა და მისი ძმის არჩილის ხშირი ყოფნა ოსეთში და ოსეთის გზით რუსეთში მათი მიმოსვლა კარგად მოწმობს მათსა და ოსებს შორის ლოიალური ურთიერთობის არსებობას. ოსეთი თავის მდებარეობითა და მეომარი მოსახლეობით ქართველ მეფეთათვის გაჭირვების ჟამს კარგ თავშესაფარსა და მოკავშირეს წარმოადგენდა.

გიორგი მეფე არც ტახტიდან გადაყენების შემდეგ ისვენებდა. 1691 წ. ახლო ხანებში „კვალად ეზრახა გიორგი მეფე არჩილს, რათა დაიპყრას კახეთი, რამეთუ ეევდრებოდნენ კახნი მისთვს და არჩილ არა ინება და წარვიდა ოსეთს"[2].

ახლო ურთიერთობაში იყო არჩილ მეფე ოსებთან. იმერე-

---

[1] დიონიჯიო კარლი, თბილისის აღწერა, გვ. 171.

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 96.

თის სამეფოდან მრავალგზის გაძევებული, ყოველთვის ოსეთში პოულობდა თავშესაფარსა და მხარდაჭერას. ხანგრძლივად აფარებდა თავს ოსეთის სხვადასხვა რაიონში არჩილ მეფის ოჯახიც.

1680—81 წწ. „არჩილ წარვიდა კულბითიდამ დვალეთს და მუნ დაასადგურნა დედა-წულნი თვისნი და თვით მოვიდა ჩხერის ციხესა შინა და ეზრახოდა მუნიდამ იმერთა რვა თთუმ. არამედ ვერღა რაისაღა მყოფელი წარვიდა დვალეთსვე: მერმე მივიდა ფაიქომს და იდგა წელსა ერთსა მუნ. შემდგომად უწყებული ძმისა თვისისა გიორგი მეფისაგან წარვიდა რუსეთს ქს. ჩქპა (1681 წ.)... განვლო დედაწულით, სპითა რუსთა მეფისათა ჩერქეზეთი (ყაბარდო. — გ. თ.) და მივიდა თერგს"[1]. თვითონ არჩილი თავის მდგომარეობას „გაბაასების" 55-ე სტროფის შემდეგ ასე აგვიწერს: „როდეს კახეთით იმერეთის დასაჭერად წამოველ, სამ წელ არა მცირე სარჯელი ენახე, და მეოთხეს წელს დავიჭირე ენკენისთვეს; და თიბათვეს ხვანთქარმა სუაზს აქეთი ლაშქარი გამომისია... და დვალეთს გარდმოველ, დედოფალი იქ დავაყენე და მე იქივ იმერეთს ჩაველ და რვას თვეს ჩხერს ვიყავ და ისევ დვალეთს წამოველ, და იქიდამ ოსეთს ფაიქომში გარდმოველ, და ერთს წელიწადს იქ ვიდექ"[2].

როგორც ვხედავთ, არჩილის ოსეთში ყოფნა დღეებისა და თვეების ამბავი კი არ იყო, არამედ იგი წლების მანძილზე გრძელდებოდა. ოსეთიდან იგი აქტიურ ურთიერთობას ამყარებს რუსეთთან. იგი შემწეობასა და მოსკოვში ჩასვლის ნებართვას სთხოვს თევდორე ალექსის ძეს—რუსეთის მეფეს. თავის მხრივ, რუსებს ოსეთში მყოფ არჩილთან თავის მოხელე სიმონ დიმიტრიევი გაუგზავნიათ ზოგიერთი გარემოების გამოსარკვევად. დიმიტრიევს ოსეთში არჩილთან მისვლის შესახებ სათანადო ჩანაწერებიც შეუდგენია. ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ოსეთს მყოფ არჩილთან მოსულან მისი ძმა ლევანი, სიძე მალაქია, თავადი თეიმურაზი და სხვა წარჩინებულ-

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 316.

[2] არჩილი, თხზ., ტ. II, ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1937, გვ. 7.

ნი, რათა დაემტკიცებინათ მისთვის რუსეთს წასვლის სახიფათო ხასიათი და ხელი აეღებინებინათ ამ განზრახვაზე. არჩილი მტკიცედ დადგა თავის განზრახვაზე. და გაემგზავრა კიდეც იქ.

1687 წელს გიორგი XI მოწვევით არჩილი რუსეთიდან დაბრუნდა. თავის შვილები ალექსანდრე და მამუკა მან ოსეთში (დვალეთში) დატოვა, თვითონ კი რაჭას ჩამოვიდა და იმერ ფეოდალთა მიმხრობის გზით ცდილობდა იმერეთის ტახტის დაჭერას. მან მოახერხა კიდევაც გამეფება, მაგრამ ალექსანდრე იმერთა მეფის დაჯგუფებამ სძლია არჩილის მომხრე დაჯგუფებას და უკანასკნელს დიდი გაჭირვებით მოუხერხებია დიგორს წასვლა. ალექსანდრემ არჩილს შემდეგი მოთხოვნა წაუყენა. „უკეთუ მომცე ფიცი არღა-რა მეცილო იმერეთს განგიტევებ და წარვედ რუსეთს (არჩილს ჩრდილოეთით წასასვლელი გზა არ ჰქონდა, თუ არა იმერეთის საშეფოზე გავლით. — გ. თ.) უკეთუ არა, არა გცე გზა“. მაშინ ვინადგან არღარა იყო სხვა რაიმე ღონე, მისცა ფიცი არჩილ და წარვიდა რაჭას: მერმე მივიდა დიგორს და წარიყვანა ძმისწულნი თვისნი ძენი ლევანისანი: ქაიხოსრო, ვახტანგ, დომენტი და იყოფებოდა დიგორს“[1].

როცა ერეკლე I ნაზარალიხანი გამეფდა ქართლში, მას ურჩიეს, რომ ოსეთში, ზარამაგს (ნარ-მამისონის აუზში — მდ. არდონის სათავეში) მყოფი არჩილის შვილები შეეპყრო და ყაენთან მათი გაგზავნით შესაძლებელი მოწინააღმდეგენი თავიდან მოეცილებინა. „მემკვიდრეთა ამას უთხრეს, რამეთუ არიან ძენი არჩილ მეფისანი ზრამაგას, რათა წარავლინოს სპანი, შეიპყრას იგინი და წარუვლინოს ყეენს. მეორედ, რამეთუ მწეობა დიდი იქმნების ალექსანდრე იმერთა მეფისა, ვინათგან მეგობროდნენ ესენი გიორგის მეფის მტერობისათვს: ესე არა სთნდა ერეკლეს, რამეთუ დისწულნი იყუნენ ძენი არჩილისანი ამისნი. არამედ რათა არა დამართონ ქართველთა წინაშე ყეენისა, ამისთვს შეიკრიბა სპანი და უთავა ბარძიმ მდივანბეგი, რომელმანცა გამოითხოვა ამისი ყოფად და წარგზავნა დვალეთს. არამედ მისრულსა ზრამაგას სპითა ბარძიმს

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 323.

წინა-აღუდგა ელიყანაშვილი და წარავლინნა ძენი მეფისი არ-ჩილისანი დიგორს: ხოლო ბარძიმ ვერა რაისა მყოფი უკუ-ეოიქცა და მოვიდა წინაშე ერეკლე მეფისა"[1].

ერეკლე I იძულებული იყო ანგარიში გაეწია იმ წრეები-სათვის, რომლებიც არჩილის ძეთა შეპყრობას მოითხოვდნენ და ფორმალურად დათანხმებოდა მათ შაჰის წინაშე მისი დაბეზღების თავიდან ასაცილებლად. ამ წრეებს ოსეთში მყო-ფი არჩილის ძეთა შეპყრობა სამართლიანად რთულ საქმედ დაუსახავთ და ალექსანდრე იმერთა მეფის მხარდაჭერის იმე-დით ფიქრობდნენ განზრახულის სისრულეში მოყვანას. ალექ-სანდრეს თავის ტახტის დაკარგვის შიშით ასეთ დახმარებაზე უარის თქმა არ შეეძლო. ეს ნაბიჯი მისთვის კიდევ უფრო მე-ტად იყო საჭირო. ცნობიდან არ ჩანს, გაუწია თუ არა ალექ-სანდრემ საჭირო დახმარება არჩილის ძეთა შესაპყრობად ზარამაგს ლაშქრით წასულ ბარძიმ მდივანბეგს — ამ გეგმის ერთ-ერთ ძირითად ინიციატორს. ზარამაგთან მისულ ბარძიმს ოსმა ელიყანაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია, არ დაანება არ-ჩილის ძენი და ისინი დიგორს გაისტუმრა. ბარძიმი პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა ოსეთიდან.

ქართლის ფეოდალები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთი ბანაკი გიორგი XI, მეორე კი ერეკლე I უჭერდა მხარს. ეს ორი ბა-ნაკი ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდა. სპარსეთი აქეზებდა ამ ბრძოლას. ბოლოს გიორგის მომხრე ბანაკი, რომელშიც გივი ამილახვარი და გიორგი ერისთავი შედიოდნენ, დამარცხ-და. ეს უკანასკნელნი დვალეთს შეეხიზნენ და იმერეთს გადასვ-ლას ვარაუდობდნენ. ეს დაკავშირებული იყო ერეკლე I და სპარსეთის ჯარის სარდლის ქალბალი ხანის გორს მოსვლასთან და მისი მიდამოების დარბევასთან. „მთავარნი ვერღარა გამაგრ-დნენ სიმაგრეთა შინა თვისთა, — წერს ვახუშტი, — ყმათა თვისთა გამო და გიორგი ერისთავი და გივი ამილახორი წარ-ვიდნენ დვალეთს და მუნიდამ იმერეთს და თვით ერისთავი მოიყვანეს ყმათავე თვისთა მაღრანდვალეთიდამ წინაშე ერეკ-ლესა"[2].

---

[1] ვახუტში, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 93.

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, დ. ჩუბინიშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. 66.

გაუთავებელი საგარეო და საშინაო ბრძოლები მძიმე ტვირთად ატყდებოდა მწარმოებელ მოსახლეობას. განსაკუთრებით აუტანელი გახდა სამეფო ტახტის გარშემო ამტყდარი ფეოდალური შინაომი. გამარჯვებული მხარე მიწასთან ასწორებდა „მტრის“ სამფლობელოებს. ერეკლეს მიერ გორის მიდამოების დარბევამ იმდენად დიდი შეშფოთება გამოიწვია ამილახვრისა და ერისთავის ყმებს შორის, რომ მათ ბატონებს ყმების შიშით საკუთარ სიმაგრეებში დარჩენაც კი სახიფათოდ მიუჩნევიათ და იმერეთში გასწრება დაუპირებიათ. საქმე ისაა, რომ უკანასკნელთა ყმებსაც იგივე აოხრება და რბევა ელოდათ, რაც გორის მიდამოების მოსახლეობამ განიცადა. უკიდურესმა მძიმე მდგომარეობამ ერისთავის ყმების მოთმინების ფიალა აავსო. მათ მაღრანდვალეთს მიღწეული ერისთავი შეიპყრეს და ერეკლეს გადასცეს. ამით მათ ერეკლეს მხრივ მოსალოდნელი დარბევა თავიდან აიცილეს და შინაბრძოლისათვის დროებით ბოლოს მოღებით თავის მდგომარეობაც რამდენიმედ გაიუმჯობესეს. ცნობიდან არა ჩანს, ერისთავი მაღრანდვალელმა ყმებმა შეიპყრეს, თუ საერთოდ მისმა ყმებმა, რომლებიც მხოლოდ მაღრანდვალეთში მისწვდნენ მას. რამდენადაც მოსალოდნელი არაა, რომ საერისთავოს ყმა მოსახლეობას ამ პერიოდში შეეძლო დარაზმვა და მასობრივი ბრძოლის დაწყება ერისთავის წინააღმდეგ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მისმა მაღრანდვალელმა ყმებმა შეიპყრეს, რომლებიც ოსები იყვნენ. თუნდაც დავუშვათ, რომ ერისთავის შეპყრობა საერისთავოს ქართულ-ოსური ყმა-გლეხობის საერთო საქმე იყო, იგი მაღრანდვალელთა გარეშე მაინც ვერ მოხდებოდა. გავიხსენოთ ბარძიმ მდივანბეგის ზარამაგზე ლაშქრობის უშედეგობა.

არჩილ მეფე განაგრძობდა ბრძოლას იმერეთის ტახტისათვის. 1690 წელს იგი დიგორიდან მოსკოვს ატყობინებდა, რომ 1689 წლის იანვარში „ჩემის საბატონოს უფროსი (ე. ი. უმეტესი ნაწილი. — გ. თ.) დავიჭირეო“[1]. მაგრამ მისი ეს წარმატებაც ხანმოკლე აღმოჩნდა და აი, მას თავის ძმისწულებით დიგორში ეხედავთ. გიორგი XI ახლა ხონთქრის კარზე ცდი-

---

[1] არჩილი, თხზ., II, გვ. IX.

ლობდა არჩილისათვის იმერეთის ტახტის მოპოვებას. მან ძიალწია კიდეც ამას. ხონთქარმა იმერეთი არჩილს მისცა და ჯარიც გამოგზავნა მისი რეალიზაციისათვის. „ესე აცნობეს არჩილს, დიგორს მყოფს, ჩამოვიდა რაჭას, მიეგება ერისთავი და სრულიად რაჭველნი და წარმოვიდა იმერეთს... დაემორჩილნენ იმერნი ქს. ჩქუ (1690 წ.)... თვინიერ გიორგი აბაშიძისა"[1].

არჩილის მეფობა კვლავ ხანმოკლე იყო. ერთი წლის შემდეგ იმერეთი კვლავ ალექსანდრემ დაიკავა და არჩილიც 1691 წელს „წარვიდა დვალეთს, იქიდამ რუსეთს მცირითა სპითა". არჩილის რუსეთს წასვლას ამჯერად დიდი სიძნელეები შეხვდა. სპარსეთის შაჰის დაკვალებით შამხალმა მოიბირა „ჩერქეზ ბატონი" ყილჩიყო, რათა მას შეეპყრა არჩილი და შაჰისათვის გადაეცა. ყილჩიყომ მოჩვენებითი პატივით მიიღო არჩილი, შაგრამ გამგზავრებისას თავს დაესხა და შეპყრობა დაუპირა. არჩილი და მისი მხლებლები საფრთხეს მხნედ შეხვდნენ და გადარჩნენ. „ცოლმან ყილჩიყოსამან მასვე ღამესა წარავლინა მეფე ბასიანს და სპანი არჩილისანი დიგორს: ამისი მსმენელი მოვიდა შამხალი, რათა წარიყვანოს მეფე არამედ ვერღარა ეწია ყილჩიყო მიცემად, რამეთუ ბასიანელთა დედათა მოიხადეს საბურველნი თვისნი და ეტყოდნენ ქმართა თვისთა: „ანუ დაიბურენით ესე და ქუდნი თქვენნი ჩვენ ანუ არა მივსცეთ არჩილ ყილჩიყოს". ამისთვის გამოუტევეს მას ღამესვე არჩილ ყმითა თვისითა. ეგრეთვე დიგორელთა გამოუტევეს ყოველნი პყრობილნი და წარმოსრულნი მოვიდნენ ქართლს და იყოფებოდა არჩილ მეფე ქართლს"[2].

ბასიანი ტერიტორიულად დიგორიის დასავლეთით მდებარეობდა. იქ ბალყარელები ცხოვრობდნენ. ამდენად, ცნობიდან გამომდინარეობს, რომ არჩილ მეფეს სპარსეთის შაჰის ხელში ჩავარდნის საფრთხე ბალყარელებმა და დიგორელმა ოსებმა ააცილეს. ოსეთისავე გზით იგი გადმოვიდა ქართლს.

1695 წელს არჩილმა ერთი წლით კვლავ ჩაიგდო იმერეთის

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 324.
[2] იქვე, გვ. 326—327.

ტახტი. ფეოდალურმა აშლილობამ იგი ბოლე ისევ დვალეთში გადაისროლა[1].

იმერეთის ძლიერმა ფეოდალმა აბაშიძემ არჩილს იმერეთის ტახტი შესთავაზა იმ პირობით, რომ მის ქალს შეირთავდა. „არამედ არა-ჰყო არჩილ და წარიყვანა ვახტანგ ღედაწულით და წარვიდა ღვალეთს და იყოფებოდა ზრამაგჲს ზამთარსა-ზას. მომლოდნე სპათა რუსთასა". 1698 წელს ზარამაგიდან რაჭის გზით არჩილი იმერეთში ჩავიდა და ექვსი თვით იმერეთის ტახტი ხელთ ჩაიგდო. ხონთქარმა მის წინააღმდეგ ახალციხის ფაშა სელიმი გამოგზავნა. იგი ალექსანდრე იმერთა მეფის ძე სიმონთან ერთად შეებრძოლა არჩილს და ისიც მომხრეთაგან მიტოვებული „წარვიდა მასვე შემოდგომას რაჭას და დაუტევა ვახტანგ ძმისწული თვისი მუნ, რამეთუ კავკასი თოვლით კრულიყო და ღედაწულით ვერღარა ვიდოდა, თვით არჩილ შევლო ლიახვი, გარდავიდა თაგაურს, დაჰყო ზამთარი მუნ და გაზაფხულს წარვიდა რუსეთს სპითა რუსთ ჴელმწიფისათა"[2].

როგორც ჩანს, არჩილს არამარტო სამხრეთის ოსებთან ჰქონია მჭიდრო ურთიერთობა, არამედ ჩრდილოეთის ოსებთანაც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ რაგორც დვალეთი იყო მისი მუდმივი თავშესაფარი. ასევე დიგორიც. ხოლო როცა რაჭიდან დიგორიაში გადასვლა დიდი თოვლის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, არჩილი თავისუფლად გავიდა ლიახვის ხეობით და დარიალის კარებით თაგაურში, სადაც ოსებს შორის მთელი ზამთარი გაატარა და გაზაფხულზე რუსეთს გაემგზავრა.

XVIII ს. დასაწყისში ქართლში ვახტანგ VI მეფობდა.

ვახტანგ VI კარგად იცნობდა ოსებს. იგი თავის ბიძა არჩილთან ერთად წლების მანძილზე თავშეფარებული იყო ხან ზარამაგში. ხანაც დიგორიაში და ოსებზე თავის ბატონობის გავრცელებას ქართლში თავის მდგომარეობის განმტკიცებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. საამისოდ 1711 წელს მას ოსეთზე ულაშქრია: „აღიმხედრა სპითა შესლვად ოსეთს და შევიდა და შემუსრნა 3 (80) კოშკნი, მოწვა და მოსტყვევნა

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 328.
[2] იქვე. გვ. 330.

ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ქღელის-ხევი და გარდ-მოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქს. ჩღია (1711 წ.)... დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი"[1]...

ამ მეტად ლაკონიური ცნობიდან ძნელია იმ მიზეზების გარკვევა, რამაც ვახტანგი აიძულა ოსეთზე ლაშქრობა მოეწყო. ეუვს გარეშეა, ქართლის პოლიტიკური მესვეურები არ კმაყოფილდებოდნენ ოსებთან უბრალო კეთილმეზობლური ურთიერთობით და ამ ურთიერთობის ბატონყმობის პრინციპზე მოწყობას, ე. ი. ოსთა დამორჩილებას და დაბეგვრა-დახარკვას ცდილობდნენ. ოსთა მასები ასეთი მორჩილების სურვილს არ იჩენდნენ და ხშირად საჭირო ხდებოდა მათი კედფიცხელობის სამხედრო ძალით მოდრეკა. ვახტანგს მიუჩნევია, რომ ოსთა მრავალრიცხოვანი კოშკები იყო მათი მთავარი დასაყრდენი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამიტომ თავის მახვილი ამ კოშკების დანგრევისაკენ მიმართა. ვახუშტი ვახტანგს 80 კოშკის დანგრევას მიაწერს, რასაც შედეგად მოჰყვა ოსთა დამორჩილება და დახარკვა.

ვახტანგ VI აღნიშნულმა ლაშქრობამ პირაქეთელი ოსების მთელი საცხოვრებელი ტერიტორია მოიცვა. ლაშქრობის უკიდურესი ჩრდილო წერტილი იყო ზარამაგი. აქედან იგი კუდაროს ჩავიდა და იქ დაასრულა ოსთა მორჩილებაში მოყვანის თავის მისია.

ვახტანგ VI ამავე ღონისძიების შესახებ ცნობა მოეპოვება XVIII ს. პირველი ნახევრის ისტორიკოსს სეხნია ჩხეიძეს. მისი ცნობის თანახმად, 1711 წლის აგვისტოში ვახტანგმა „შეიყარა ქართველი ჯარი, გარდუხდა დვალეთს, გაემარჯვა, დასწვა და დააქცია ციხე ოცდაათი ძირითურთ დაიმონა ზემო ნარიდამ ქვემო კუდარომდის, დასდვა ბეგარა და მსახურობდნენ"[2].

სამხრეთელ ოსების დამორჩილებით ვახტანგის ხელისუფლება საგრძნობლად განმტკიცდა. ამან შეაფიქრიანა ცენტრა-

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 118.

[2] სეხნია ჩხეიძე. ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 324.

ლური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალები და მათ შაჰის წინაშე დაიწყეს მცდელობა ვახტანგის გადაყენებისა და მისი ძმის იესეს გამეფებისათვის. ვახუშტი ასე აგვიწერს ამ ამბებს: „რაჟამს დაიპყრა ვახტანგ ოვსეთი და განიწყო მცველნი თვისი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისათვის. ამისთჳს მიუწერეს ყეენსა: „არა გუნებაეს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე"[1]. ქსნისა და არაგვის ერისთავთა შიში, რომ ვახტანგი მათ დამორჩილებას შეეცდებოდა, სერიოზული იყო. მათი მისწრაფება განკერძოებულობისადმი საყოველთაოდ ცნობილი იყო. ოსთა დამორჩილებით ვახტანგმა მათ ზურგში დასაყრდენი გაიჩინა და ურჩ ერისთავთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის შესაძლებლობა მოიპოვა.

ვახტანგის მოწინააღმდეგე ფეოდალური დაჯგუფება მით უფრო ძლიერი იყო, რომ მას ვახტანგის ძმები — იესე და სიმონიც უპერდნენ მხარს. მათ მოახერხეს ვახტანგის საქმეების გაფუჭება შაჰის კარზე და ქართლის ტახტზე იესეს დამტკიცება. დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ, 1719 წელს ვახტანგმა კვლავ შესძლო ტახტის დაბრუნება. მან მაშინვე დაიწყო მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორება. ზოგი მათგანი ფიზიკურად მოსპო, ზოგიც ქვეყნიდან მოიშორა. „ქს. ჩლით (1719 წ.)... ვახტანგ მოვიდა ტფილისს. შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი და დახვრიტა თოფითა, კვალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზიშვილი პაპუნა, ვეშაპიძე და პლატონ, ესენი იხსნა კათალიკოზმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა"[2].

ვახტანგის მიერ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორების ჟამს შანშე ერისთავი გაიქცა თავის მამულში — ქსანზე. ვახტანგმა მისი შეპყრობა და დასჯა დაავალა თავის შვილებს— ბაქარსა და ვახუშტის. ბაქარი ქსანზე შეიჭრა, ვახუშტი ლიახვზე. ძმებმა მას საერისთავო წაართვეს, თვითონ შანშე კი ჭურთას გამაგრდა. ვახტანგმა დასახმარებლად იმერთა მეფეს მი-

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც.. გვ. 119.
[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება. დ. ჩუბინიშვილის გამოც.. გვ. 81.

მართა. მალე დამხმარედ მოუვიდნენ რაჭის ერისთავი შოშიტა, სიმონ და ლევან აბაშიძენი სათანადო ლაშქრით. გაძლიერებული ჯარით მეფე ჰურთას მიუხდა და შანშე იძულებული გახადა დამარცხების ნიშნად კისერზე ხმალკიდებული მეფის წინაშე გამოცხადებულიყო[1].

ვახტანგ VI მეფობის ბოლო წლებში რუსეთთან მისი ურთიერთობა გამოცოცხლდა. 1721 წელს განზრახული იყო ვახტანგს თავის ჯარით მონაწილეობა მიეღო პეტრე I მიერ ირანის წინააღმდეგ ორგანიზებულ ლაშქრობაში. დაისახა პერსპექტივა ირანის კლანებიდან ქართველი ხალხის გამოხსნისა. 40 ათასი ქართველი მეომარი მზად იყო რუსთა ჯართან შესაერთებლად, მაგრამ საგარეო და საშინაო მდგომარეობის გართულებამ პეტრე პირველს ლაშქრობა გადაადებინა და ვახტანგიც თავის ჯარით უკან დაბრუნდა.

ქართველთა პოლიტიკური კავშირი რუსეთთან ირანისათვის საიდუმლოდ არ დარჩენილა. შურის საძიებლად ირანის შაჰმა 1723 წელს ქართლის ტახტი ჩამოართვა ვახტანგს და იგი კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა. დაღესტნის ჯარის დახმარებით კონსტანტინე 1723 წლის გაზაფხულზე ორჯერ დაესხა თბილისს, აიღო იგი და სასტიკად გაძარცვა. ვახტანგ VI მთებს შეეხიზნა. მალე 1723 წლის ივნისში თბილისი თურქებმა დაიკავეს და ქართლის მმართველობა ვახტანგის ძე ბაქარს ჩააბარეს. ბაქარმა დიდხანს ვერ გაუძლო თურქთა ბატონობას და გაიქცა მთაში თავის მამასთან, საიდანაც თურქთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდნენ.

მთელ ამ პოლიტიკურ ჭიდილში ოსთა (ეს განსაკუთრებით ეხება სამხრეთელ ოსებს. მათში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ოსურ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობდა კავკასიონის ქედს გადმოღმა ნარ-მამისონის რაიონის ჩათვლით) აქტიური მონაწილეობა არ გამოირიცხება. ვახტანგის 40 ათასიანი ლაშქარი ქართველების გარდა ოსებსაც აერთიანებდა. 1711 წელს ოსეთზე მისი მოწყობილი ლაშქრობის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ ოსთა დამორჩილებით მათი სამხედრო ძალა თავის

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 124

პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გამოიყენებინა. გარდა ამისა, ამ ამბებიდან აშკარაა, რომ ქსნის საერისთავოების გამორიცხვა შეუძლებელია, ისინი კი ჭარბად მოიცავდნენ ოსურ მოსახლეობასაც.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები სამხრეთელ ოსთა კეთილგანწყობილებას მათდამი, კარგად ჩანს იმ ფაქტებიდან, რომ ისინი განსაზღვრულ პრივილეგიებსა და წყალობას აძლევდნენ ოსთა გავლენიანი წრეების ცალკეულ წარმომადგენლებს, რათა მათი მეშვეობით შესაძლებლობა მისცემოდათ, საჭიროების შემთხვევაში, ოსთა მხარდაჭერა მოეპოვებინათ. ასეთი საჭიროება კი, შექმნილ ისტორიულ პირობებში, მათ წინაშე ყოველთვის გარდუვალად იდგა. კონსტანტინე, ანუ მაჰმად ფაშას (1722 1733) მიერ ნარელ აზნაურის ჟიდახან ხეთაგურისათვის მიცემულ წყალობის წიგნიდან აშკარად მოჩანს, რომ ჟიდახანი ნარის ოსებში გავლენიანი პირი იყო და ამის გამო ქართველი მეფეები სწყალობდნენ. „ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ მეფეთ მეფემ პატრონმან მაჰმედ ფაშა შენ ჩვენს ერთგულს ყმასა ნარელს აზნაურს ჟიდახან ხეთაგურსა ასე ამ პირობაზედან რომე კურთხეული ბატონის მამის ჩვენისაგან წყალობის წიგნი გაქო [ნდა]... მამისა ჩვენისაგან და ან სხვა ჯელმწიფისაგან წყალობა გჭირებიათ და ჩვენ იმრიგათ თქვენი მწყალობელნი ვიყვნეთ და თქვენც ჩვენი ერთგულება და სამსახური არ მოიშალოთ და ჩვენც წყალობას გიბოძებდეთ“[1]“...

ერთი სიტყვით, საბუთიდან აშკარად ჩანს, რომ ქართლში გაბატონების მსურველნი აუცილებლად მიიჩნევდნენ ქართლის მთიანეთის ოსური მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას და საამისოდ სათანადო წყალობებს ურიგებდნენ მათ. კონსტანტინე ამ მხრივ პირველი არაა. იგი მხოლოდ განაგრძობს „სხვა ჯელმწიფეთა“ და მათ შორის თავის მამის პოლიტიკას ჟიდახანისადმი, რათა უკანასკნელი მას ერთგულად ემ-

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 5586; საქართველოს სიძველენი, III, № 265, გვ. 252.

სახუროს. ჟიდახანი ასეთ შეწყალებულთაგან მხოლოდ ერთი მრავალთაგანი იყო და არა ერთადერთი.

ჩვენ არ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ იმას, თუ კონკრეტულად რა სამსახური გაუწია ჟიდახან ხეთაგურმა კონსტანტინეს. უკანასკნელი ქართლის ტახტზე თურქთა შემოსევის გამო ვერ გამაგრდა. თურქებმა აქ ვახტანგის ძმა იესე გაამეფეს. ვახტანგს ქართლში აღარ ედგომებოდა და რუსეთში გამგზავრების თადარიგს შეუდგა. მან პეტრესთან თავის წარმომადგენლები დავით ნაზარაშვილი და ფრანგისტანი გაგზავნა. გამგზავრების ნებართვის გამოსათხოვად. ისინი სათანადო ნებართვით დაბრუნდნენ. „მსმენელი მეფე იმედებული ხელმწიფობისა მათისა აღეკაზმა, წარვიდა და მივიდა რაჭას ქს. ჩღკდ (1724 წ.). ამას გაყუნენ ქართველნი ყოვლის სახლიდამ და კახნიცა მრავალნი, ვითარ ჩუ (1400) და ზოგნი უმეტეს დედაწულითურთ, ხოლო რაჭიდამ მივიდა მეფე დიგორს, მუნ მიეგებნენ ცოლის ძმანი თვისნი ჩერქეზის ბატონი, მუნიდამ ჩერქეზეთს შთასრულს მოეგება სპანი დიდნი რუსთა და მივიდა სოლახს ახალსა ციხესა შინა“, საიდანაც მერე ასტრახანს გაემგზავრა[1].

მთელი ეს მისვლა-მოსვლა საქართველო-რუსეთს შორის, მრავალრიცხოვანი ამალით მეფის წასვლა რუსეთში, ოსეთის ტერიტორიის გავლით ხდებოდა. იმისათვის, რომ ასეთი მიმოსვლა შეუფერხებელი ყოფილიყო, ქართველ პოლიტიკოსებს დროდადრო გარკვეული ღონისძიებების გატარება უხდებოდათ, რომლებიც უპირატესად ოსებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. შედეგებიც სასურველი იყო. ოსები კეთილმოსურნედ უყურებდნენ საქართველოს სწრაფვას რუსეთთან კავშირისაკენ და ხელს უწყობდნენ მას. ეს ფაქტი აიხსნება არამარტო იმ ტრადიციული ისტორიული მეგობრობით, რომელიც ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებობდა და თავის ახალ-ახალ გამოვლინებას პოულობდა ქართველი ხალხისათვის სისტემატური მხარდაჭერის აღმოჩენაში — სამხედრო დახმარების გაწევაში მტრის

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 133—134.

თავდასხმა-შემოსევათა დროს და თავშესაფრის მიცემაში პოლიტიკური წარუმატებლობის დროს. ამ საქმეში ოსთა ხელშემწყობ როლს განსაზღვრავდა ისიც, რომ მძიმე პოლიტიკურ პირობებში ჩავარდნილი ოსეთი იმედის თვალით შეჰყურებდა რუსეთის სახელმწიფოს ძლევამოსილ წინსვლას კავკასიისაკენ და ყველა საშუალებით ხელს უწყობდა მის ამ წინსვლას, განსხვავებით იმ მუსულმანური პოლიტიკური ერთეულებისაგან, რომლებიც, თურქეთ-ყირიმისა და სპარსეთის გავლენით, შეშფოთებით შესცქეროდნენ რუსეთის ამ წინსვლას და ხელს უშლიდნენ მას.

ქართლში 1723 წელს დამყარებული ოსმალთა მძიმე ბატონობა 1735 წელს არანაკლებ მძიმე ყიზილბაშთა ბატონობამ შეცვალა. შაჰ ნადირშა ქართლი სასტიკად აოხრა და დაპეგრა. მან „დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემოქართლს, ოთხი ათასი საციციანოს. არაგვის ერისთავი ანანური და იმას აქეთ ქსნის ერისთავისა, მონასტერს ქვევით, აწერის ხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს ზემოქართლისა, ვახანიდამ დაწყებული მუხრანამდე ააოხრეს, დაატყვევეს, დასწვეს“[1].

სისხლიანმა შაჰმა ქართლის ბარის რაიონები სასტიკად ააოხრა. იგი შეეცადა მთიანეთის რაიონებში შეეჭრასაც, მაგრამ ვერ მოახერხა. მან თავის წარმომადგენლად ქართლში სეფი-ხანი დანიშნა და დაავალა ქართლის მორჩილებაში მოყვანა. მანაც გორს მიიწვია ქართლის თავკაცები და შეიპყრო მოტყუებით. შანშე ქსნის ერისთავი არ წამოვიდა ყიზილბაშთა დაგებულ ანკესზე, გაიქცა და ქსნის საერისთავო ააჯანყა, გაამაგრა თავის ციხე-სიმაგრეები და ხანგრძლივი ბრძოლისათვის მოემზადა. ამბოხებულ შანშეს ყმების დიდი ნაწილი ოსები იყვნენ და, ბუნებრივია, ცხოველი მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში, მედგრად ებრძოდნენ ყიზილბაშთა მოთარეშე ურდოებს. მტრის სასტიკი ზომები მიზანს ვერ აღწევდა, თუმცა ქვეყანა სასტიკად ოხრდებოდა.

თუ რაოდენ მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე, კარგად ჩანს ისტო-

---

[1] ს. ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, გვ. 339.

რიული წყაროების ცნობებიდან. „ქრნკ უკე (1737 წ.) აპრილს გასულს კიდევ მოვიდა სეფიხან დიდის ჯარით ქართლში, მივიდა ქსნის ერისთავს შინ შეუხდა, აიღეს ციხე იკორთისა, ციხე ვანათისა, ციხე კულბითისა, მოუხდნენ აბაშიძეს ვახუშტის, აიღეს ციხე ციხისძირისა და ციხე სურამისა, შეუხდა ქსნის ერისთავსა, აიღო ციხე აწყვერისა, ციხე ბეშო და მონასტერი: გაეცალა ქსნის ერისთვის ძმა იესე ცოლშვილით კახეთს, დახუდენ წინა, გაექცა ერისთვის შვილით, დარჩათ ცოლშვილი და საქონელი ყიზილბაშთა, წავიდა შანშე იმერეთს, იქიდამ ჩავიდა რუსეთს: ჩავიდა სეფიხან ქალაქს და დაიპირა მეფე არჩილ და აიყვანეს ციხეში. დაებარებინა ყაენს არჩილ, წავიდა გიორგობისთვესა ი (10). წავიდა, შეიყარა ქსნის ერისთვის ოსნი და საერისთო. აიღეს ციხე ანანურისა, მონასტერი და ახალგორი. გაუგზავნეს კახეთს ქსნის ერისთვის ძმას იესეს, მოვიდნენ და შეიყარნენ“[1].

შანშეს რუსეთში წასვლით ქსნის საერისთავოს მოსახლეობის ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. საერისთავოს ოსებმა, ქართულ მოსახლეობასთან ერთად, რიგი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები გამოსტაცეს მტერს და კახეთს გახიზნულ იესეს გადასცეს, რომელიც სპეციალურად მოიწვიეს. მალე შანშე დაბრუნდა რუსეთიდან და კვლავ ახალი ძალით განაგრძო სპარსელებთან ბრძოლა. უკანასკნელთ უპირდათ. შაჰ ნადირმა ცბიერი პოლიტიკით დაღუპა შანშე ერისთავი და საერისთავოს მოსახლეობის აჯანყება სისხლში ჩაახრჩო. რაკი პირდაპირი ბრძოლით ვერას გახდა, მან ქსნის საერისთავო გივი ამილახვარს გადასცა და ეს ორი ფეოდალური ერთეული ურთიერთს დაუპირისპირა. ამილახვარი დაუკავშირდა არაგვის ერისთავს ბეჟანს და ქსნის საერისთავოს დამორჩილება შესძლო[2].

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი ღია ფერებში აგვიწერს ქსნის საერისთავოს გასატეხად მოწყობილ ლაშქრობას. 1741 წლის „თთვესა აგვისტოსა, წავიდა ეს ჯარი ქსანს, რა მიეახლ-

---

[1] ს. ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, გვ. 341—342 (ხაზგასმა ჩვენია).

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 93.

ნენ მუხრანს, აბელადეს ამილახვარი გივი, ვითაცა ხელწიფეს ბელადობა მისთვის დაედვა, გაპყვეს ჯარი სამად, მისცეს ერთი ჯარი არაგვის ერისთავს და გარდუსიეს ლომისზე, მეორე ჯარი ქსანზე შევიდა და მესამე ჯარი ლიახვზე, უყვეს თარეში, ააოხრეს ქსანი, დაწვეს, დაატყვევეს და ამოწყვიტეს ურიცხვი. დააქციეს ციხეები, ან საცა კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა: გაიქცა ერისთავი შანშე, ცოლშვილიც იქა ჰყვანდა და შევიდა აწერის ციხესა შინა: მაშინვე მოვიდა ხანი და შემოადგა გარს, ველარა სძლო შანშემ და გაიპარა ციხიდამ... დააქცივა ციხე აწერისა და ანუ სადა სიმაგრენი იყვნენ სრულად ააოხრა (ხანმა. — გ. თ.). გაუშვა მარბიელი ავღნისა და საცა რამ დარჩომილი იყო დაატყვევეს, ოსეთს აქით სულ აჰყარა და მოაბარა გივს ამილახორს: ჩამოუძღვა გივი და დააყენა ფხვენისს. გაბრუნდა ხანი, მიუხდა ერთს ალაგს, ცოტა რამ საქონელი დარჩომილიყო, მთის ოსნი შემორიგებულნი იყვნეს. რა შეიტყვეს ღალატი, შეუკრეს ერთი ვიწრო ალაგი. დაუშინეს, გამოაქციეს ყიზილბაშნი, დაიჭირეს ხანი. მოკლეს პაპუა მუხრანბატონიშვილი, რომელი იყო ნასაჩბაში, ამოწყვიტეს ყიზილბაშნი, წამოვიდნენ, შემოეყარნენ გორს თავის ჯარსა და გორიდამ აიყარნენ და ჩამოვიდნენ ქალაქსა თფილისსა"[1].

როგორც ვხედავთ, მძიმე დღეები დაუდგა ქსნის საერისთავოს მოსახლეობას. მტერი, ქართველი თავადების მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით, სამი მხრიდან შეესია მას და დაარბია. მტერმა ძირფესვიანად მოთხარა ციხე-სიმაგრენი, დაანგრია ნაგებობანი, გაძარცვა და გამოზიდა რაც მოახელთა. შანშემ გაქცევით უშველა თავს, მოსახლეობა კი გამარჯვებულმა მტერმა აჰყარა და ტყვედ წამოიყვანა. მტრის სიხარბეს საზღვარი არ ჰქონდა. ფხვენისს დაბრუნებული ხანი აიყარა და ლაშქარი კვლავ შეაბრუნა უკან, რადგანაც საძარცვავი სადღაც შეიგულა კიდევ. ოსებმა ეს ღალატად ჩაუთვალეს, არ აპატიეს თავხედობა და ვიწრო ადგილას ჩასაფრებულებმა მტერს საშინელი დღე დააყარეს. ხანი შეპყრობილ იქ-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინიშვილის რედ., გვ. 346—347.

ნა, ზოგი წარჩინებული მოკლეს, მრავალი ყიზილბაში დახოცეს და დანარჩენები სირცხვილეულნი გამოაქციეს.

პაპუნა ორბელიანის ცნობას ადასტურებს და აზუსტებს ვახუშტი, რომელიც წერს: „შემდგომად მოიქცა რა შაჰ-ნადირ ინდოეთიდამ, მოვიდა და მოადგა ლეკეთს, წარმოავლინა სპანი და მოადგნენ შანშეს, გამოიყვანეს ამათ აწერის ხევის ციხიდამ ცოლშვილი შანშესი და ტყვენი მრავალნი. ხოლო შანშე ილტვოდა ახალციხეს და ალიყულიხან, რომელი იყო თავსპათა და ხანი ტფილისისა, შევიდა მაღრანდეველეთს, მოსტყვევნა იგი და მთანი შანშესანი. არამედ ჟამურის ოვსთა აოტნეს ხანი და მოსწყვიტნეს სპანი მისნი“[1].

ვახუშტი კონკრეტულად მიუთითებს, რომ ხანის ლაშქარი ჟამურის ოსებმა ამოწყვიტესო.

ამრიგად, პირდაპირი ბრძოლით რომ ვერა დააკლეს რა შანშეს, მას ამილახვარი და არაგვის ერისთავი დაუპირისპირეს და ძმათამკვლელი ომი გააჩაღეს. ამ გარემოებამ ძირფესვიანად შეცვალა აჯანყების ხასიათი. „შანშეს ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩქარა ქართლის თავადების ურთიერთშორის ბრძოლად იქცა. შანშე ლეკებით საამილახოროს აწიოკებდა, ამილახორი ყიზილბაშებით ქსნის ხეობის გლეხებსა სპობდა და ორივენი კი ქართლის გაოხრებასა ჩიოდნენ“[2].

დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის შინაფეოდალურ ბრძოლაში გადაზრდის შედეგი აჯანყების დამარცხება იყო. ზემოთ მოტანილ ცნობებიდან კარგად ჩანდა სპარსელ დამპყრობელთა სისასტიკე, რომლებიც ხოცავდნენ, ანგრევდნენ, ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ. პაპუნა ორბელიანი ასე აგვიწერს ერთ-ერთი ბრძოლის შედეგად შეპყრობილ ტყვეთა მდგომარეობას: „...იყო ტყვე დიდი და პატარა ცხრაასი, მისცეს სრულიად ჯარსა ავღანისასა, იყო ტირილი და ვაება ტყვეთაგან, ეგრეე წუხდიან ქრისტიანენი და ვისაც ძალედვა იხსნიდიან და განუტევიან. ესე გაიაფდა ტყვე, რომ თითოს ვაეკაცს ორ-ორ მინალთუნად აძლევდნენ, რომელიც არ გაუ-

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 93.

[2] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მსკი, I, 1944 გვ. 197.

ვიდისთ, ცხვრულებ ყელსა სჭრიდიან და ზოგს წყალში ყრიდიან"[1].

მიუხედავად იმისა, რომ ქსნის საერისთავოს 4 წლიანი აჯანყება (1736—1741) ყიზილბაშების წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა, იგი მაინც ჩაითვლება უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ ქართველი და ოსი ხალხების ერთობლივი ბრძოლის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად.

1741—1742 წწ. ნადირშაჰი მძიმე ბრძოლას აწარმოებდა დაღისტნელ ლეკთა წინააღმდეგ. ომის საჭიროებათა გამო დაიწყეს სოფლებისა და ქალაქების საშინელი ექსპლოატაცია. 1741 წელს სპეციალური აღწერა ჩატარდა ქართლ-კახეთში და მოსახლეობა მძიმედ დაიბეგრა. სოფელი და ნასოფლარი, ვარგისი და უვარგისი მიწა ყველგან აზომეს და დაბარკეს, ხეები და ვაზები დათვალეს და ისე შეაწერეს გადასახადი, ფულადი გამოსაღები დააკისრეს ყველა მამაკაცს 10 წლის ასაკიდან. წისქვილი, ბოსტანი თუ პირუტყვი — არაფერი არ დაურჩათ დაუბეგრავი[2].

ასეთ პირობებში ჩავარდნილი მწარმოებელი მოსახლეობა ყოველგვარ ინტერესს კარგავდა მეურნეობისადმი. იგი უაზრო ხდებოდა. მოსახლეობა გარბოდა ანდა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იწყებდა. ასეთ მძიმე ვითარებაში ადგილობრივი გაბატონებული კლასის გავლენიანი წრეების მოსყიდვის ნადირისეული პოლიტიკაც ნაკლებ ნაყოფიერი ხდებოდა. როცა შიმშილობით უკიდურესობამდე მისულ ქვეყანას ნადირშა ახალი უზომო გადასახადი შეაწერა (20 ათასი ხარვარი, ანუ 3 მლნ ლიტრა პური), ქართლში საყოველთაო აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებას გივი ამილახვარი ჩაუდგა სათავეში. 1742 წლის გაზაფხულზე მან არაგვისა და ქსნის ხეობის თავკაცები შეკრიბა და თავის გეგმები გააცნო. ამასთან „ყოველნი თავადნი ზემო ქართლისანი გაიერთა"[3].

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 347.

[2] იქვე. გვ. 345.

[3] ამბავნი ქართლისანი, გვ. 350. გ. ამილახვრის აჯანყების შესახებ უფრო ვრცლად იხ. პროფ. დ. გვრიტიშვილის ნაშრომი — „ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვრის აჯანყება)", მიმომხილველი, ტ. III, 1953, გვ. 109—131.

აჯანყება მთელ ქართლს მოედო. ამილახვარმა ქსნის და არაგვის სეობებისა და საამილახვროს ციხეები საგანგებოდ ვაამაგრა და ლეკ-ოსმალებსა და რუსეთს ურთიერთობა გაუბა მხარდაჭერისათვის. აჯანყებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ყიზილბაშებსა და აჯანყებულთა შორის. შაჰი ახალ-ახალ ჯარებს გზავნიდა აჯანყებულთა წინააღმდეგ, თანაც ზომებს იღებდა მათი ერთიანობის გასატეხად. მან მოისყიდა ზოგიერთი თავადი, გივი ამილახვარს კი თავისივე მოგვარეები დაუპირისპირა და ყველა ამათ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლა აკისრებინა.

ყიზილბაშები შეიჭრნენ არაგვის საერისთავოში. არაგველებმა მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მტერი იქიდან კვლავ ქართლს გადმოვიდა და ააოხრა.

მაგრამ რამდენადაც ქართლის ველები მტრისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო და მისი რიცხვობრივი უპირატესობა ადვილად გადადიოდა წარმატებაში, იმდენად ქართლის მთიანეთის რაიონები მტრისათვის ძნელად მისაწვდომი იყო და აჯანყებულთა ძალებიც ძირითადად სწორედ იქ იყვნენ განლაგებული.

ქსნისა და არაგვის საერისთავოების აჯანყებულმა ქართულ-ოსურმა მოსახლეობამ საამილახოროს მოსახლეობასთან ერთად არაერთხელ დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი.

აჯანყება დიდხანს გრძელდებოდა, წარმატების იმედი კი ილეოდა. მისი მონაწილე ცალკეული ფეოდალები ყიზილბაშთა დამსჯელი ექსპედიციებისაგან დიდ ზარალს ნახულობდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მწარმოებელი კლასი— გლეხობა ჩავარდა. მისი ისედაც სუსტი მეურნეობა ყიზილბაშთა გაუთავებელმა თარეშმა სრულიად მოშალა. ასეთ პირობებში აჯანყების იდეამ მათთვის თანდათან მნიშვნელობა დაჰკარგა, მით უმეტეს, აჯანყების ხელმძღვანელი თავადები მათთვის ისეთივე მტრები იყვნენ, როგორც ყიზილბაშები.

აჯანყებულთა რიგებში ანტიფეოდალური განწყობილების ზრდის მკაფიო მაჩვენებელია 1743 წელს არაგვის საერისთავოში მომხდარი აჯანყება. არაგვის საბატონო გლეხობამ ვერ გაუძლო ბეჟან ერისთავის მხრივ სასტიკ ექსპლოატაციას,

აჯანყდა და მოკლა იგი და მისი ბიძაშვილი ოტია. ამილახვარი სასტიკად მოეპყრა აჯანყებულთ. ბეჟანი მისი სიძე იყო და ერთგული მომხრე. სასასტიკის გამოჩენა ამილახვარს განსაკუთრებით იმიტომ დასჭირებია, რომ არაგვისხეობელთა მაგალითი საამილახვროსა და ქსნის ხეობის მოსახლეობასაც არ გადაეღო. პაპუნა ორბელიანი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „თუ არაგვის კაცნი უკუსდგომოდნენ, ვეღარც ქსნის კაცსა დაიმორჩილებდა“[1]. აჯანყებულმა არაგველებმა თეიმურაზი მოიწვიეს და მანაც იგი სამეფო მიწებს შემოუერთა. ამიერიდან არაგვის საერისთავო ამილახვრის მომხრეთა ბანაკიდან მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. ამან აჯანყებას სერიოზული ზიანი მიაყენა. თეიმურაზის სამფლობელო კახეთში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა, ხოლო „ვინადგან უმეტესი ჭირი იყო ქართლს ყიზილბაშთაგან და ლეკთაგან, ამისთჳს ჩამოვიდოდიან მრავალნი მთავარნი; აზნაურნი და გლეხნი კახეთს და აღშენდებოდა დაბნები“[2].

ყიზილბაშებმა გააძლიერეს საომარი ღონისძიებები ამილახვრის გასატეხად. აჯი-ხანმა ცხენოსანი და ქვეითი ჯარით დირბიდან ყორნისს (სოფელი მდ. ფრონეს ხეობაში, ოსებით დასახლებული) მდგარ ამილახვარზე გაილაშქრა. ხუთსაათიანი ბრძოლა ყიზილბაშთა დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ ბრძოლები კვლავ არანაკლები სასასტიკით გრძელდებოდა.

აჯი-ხანის დამარცხების დროისათვის ნადირ-შაჰის მდგომარეობა გართულებული იყო. აჯანყდა შირვან-შამახიის მხარე და განუდგა შაჰს. ქართლში მყოფი აჯი-ხანი გაიწვიეს უკან. დაღესტანიც ბორგავდა. გრძელდებოდა ბრძოლა ოსმალებთანაც. უკანასკნელნი ხელს უწყობდნენ გივი ამილახვრის ბრძოლას სპარსელებთან. გივის იმედი მიეცა წარმატებისა და უფრო აქტიურად შეუდგა ბრძოლას ყიზილბაშებისა და მათი მომხრე თავადების წინააღმდეგ. სცნეს რა ყიზილბაშთა მძიმე მდგომარეობა, „უმეტესად გაამაყდეს, დაუწყეს ცემა საბარათაშვილოსა (ყიზილბაშთა მხარეზე იყო. — გ. თ.), მოვიდა

---

[1] ამბავი ქართლისანი, გვ. 356.

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 220.

ჯარი ოსისა და ჩერქეზისა, რომელნი მოსულიყვნეს ამილახორთან მოსახმარად, დაესხნენ საბარათაშვილოსა, ბირთვისის გარეშემო, კუმისის გარეშემო და იმას ზეით სულ წაახდინეს... მოვიდა ამილახორი გივი, აჰყარა ქრცხილვანი და დააყენა თავის მისანდოს ალაგს: ეცადა მეფე თეიმურაზ მრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის-ხევის კაცნი ვერ შემოირიგა"[1].

როგორც ჩანს, ამილახვარს აჯანყების წარმატებისათვის ფართო ღონისძიებები ჩაუტარებია. მან გამოიყენა არა მარტო ლეკ-ოსმალთა ჯარი, არამედ ჩრდილო კავკასიიდან მოიწვია ოსთა და ჩერქეზთა ლაშქარი და თავის მოწინააღმდეგე ბარათაშვილების მიწა-წყალი ააოხრებინა. მას საპასუხო ზომების შესაძლებლობაც გაუთვალისწინებია და საგანგებო ღონისძიება მიუღია — ნაკლებად დაცული ქრცხინვალი აუყრია და საიმედო ადგილას დაუყენებია. ეს ზომები დროული ყოფილა და სათანადო შედეგიც ჰქონია — თეიმურაზ II ვერ შესძლო ქსნის ხეობის მოსახლეობის შემორიგება.

პაპუნა ორბელიანის ზემოაღნიშნულ ცნობაში დასახელებული ოსები ჩრდილო კავკასიელი ოსებია. მათი გადმოყვანა უნდა მომხდარიყო სამხედრო ოსეთის გზის ტრასით. დარიალის გზა საამისოდ არ გამოდგებოდა, რადგანაც არაგვის საერისთავო თეიმურაზის გამგებლობაში იმყოფებოდა და მოწინააღმდეგეს საშუალებას არ მისცემდა მის სამფლობელოზე გამავალი გზით მისივე ინტერესების საზიანოდ ესარგებლა. ოს-ჩერქეზთა ლაშქარი, ლეკების მსგავსად, დაქირავების ნიადაგზე უნდა ყოფილიყო გადმოყვანილი. მაშინ, როცა სამხრეთელ ოსების ძირითადი ნაწილი აჯანყებაში ქვეშევრდომობის საფუძველზე მონაწილეობდა. ქართული იმდროინდელი წყაროები სამხრეთის ოსთა მონაწილეობას ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენაში მხოლოდ მაშინ აღნიშნავდნენ, როცა მათი მოქმედება დამოუკიდებელი მოქმედების ელფერს ატარებდა. ქართველებთან ერთად მათი გამოსვლების დროს კი ოსები ცალკე არასოდეს არ იხსენებიან, თუმცა ქართლში მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის უშუალო და აქტიურ მონაწილეებს წარმოადგენენ.

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 362.

1744 წელს მეფე თეიმურაზ II და მისი შვილი ერეკლე II შეერთებული ძალებით შეიჭრნენ ქსნის ხეობაში და დაიპყრეს იგი. ამ გარემოებამ ამილახვრის სამოქმედო ასპარეზი მკვეთრად შეზღუდა და მისი ძალებიც საგრძნობლად დაასუსტა. იგი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა ოსმალეთზე, რომელიც ქართლის დაპყრობას და მის გაოსმალებას ცდილობდა. ამიტომაც იყო, რომ „ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი მისდა უნებურად ოსმალების აგენტი ხდებოდა“[1].

ხოლო როცა 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფეებად დანიშნა, აჯანყებას იდეური საფუძველი გამოეცალა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ გამიზნული აჯანყება ფეოდალურ შინაბრძოლაში გადაიზარდა. ოსმალთა დახმარების მიუხედავად ამილახვრის დამარცხება გარდუვალი აღმოჩნდა და 1745 წელს იგი თეიმურაზს დანებდა.

ქსნის საერისთავოს სამეფო ხელისუფლებისადმი დამორჩილება უმტკივნეულოდ არ მომხდარა. საერისთავოს ოსები არ დამორჩილებიან ახალ ხელისუფლებას და ზემო ქართლზე თავდასხმებიც მოუწყიათ. პაპუნას ცნობით, „უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა: გაგზავნა მეფემ ერეკლემ კაცი და დაიბარა ანწუხელნი, თებელნი და ყირაზელნი ლეკნი, რომელი მონებდეს კახს-ბატონს, აღასრულეს პრძანება და მოვიდა ჯარი ლეკისა, დააყენეს ავჭალას, მისცეს ულუფა, მცირედთა ხანთა შინა გაატანეს ბელადათ მაჩაბელი და იესე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუმდგართ ოსთა, ააოხრეს ოსეთი და გარდვიდენ იმერეთს, საწერეთლოც წაახდინეს და მრავალი ტყვეც წამოასხეს: ამ იმერეთის წახდენაში ბატონი არ ერივა. მაგრამ ოსეთის ნაშოვარი არ ეყოთ და იმერეთს მისთვის დაკრეს, ჩამოვიდნენ ნაშოვრით გორს ლეკნი“[2].

ერეკლეს აღნიშნული ღონისძიება — ლეკთა ძალებით გამდგარი ოსების დასჯა განკერძოებული მოვლენა არაა იმდროინდელი საქართველოს ისტორიისათვის. მსგავს ზომებს — მო-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 207.
[2] ამბავნი ქართლისანი, გვ. 388.

წინააღმდეგესთან ბრძოლაში ყოველგვარი შესაძლებელი ძალის გამოყენებას, თუნდაც ლეკებისას, მაშინ ყველა მიმართავდა. ხშირად ასეთ ღონისძიებებს სახიფათო შედეგები მოსდევდა. დასახმარებლად მოწვეული საგარეო ძალა აოხრებდა არამარტო მოწინააღმდეგედ მიჩნეულ პირთა მამულებს, არამედ სხვების მამულებსაც — სადამდეც ხელი მიუწვდებოდა და არც მომწვევ-დამქირავებლის ინტერესების შელახვას მოერიდებოდა, ოღონდაც რაც შეიძლებოდა მეტი ნადავლი მიეღო. ლეკებმა ამ მიზნის გასახორციელებლად არამარტო ულუფა მიიღეს, არამედ დიდი ნადავლიც ჩაიგდეს ხელთ. როცა მათ ოსეთში მოპოვებული ნადავლი ეცოტავათ, არც იმერეთი დაინდეს და ალაფითა და ტყვეებით დატვირთულნი დაბრუნდნენ. ერეკლემ და თეიმურაზმა სცადეს ნაწილობრივ მაინც გამოესწორებინათ ლეკთაგან მოყენებული ზიანი. ამისათვის როდესაც „ჩამოიტანეს ლეკთ ნაშოვარი ოსეთისა და იმერეთისა ტყვე ურიცხვი, არა ინებეს მეფეთა მორწმუნეთა ტყვეობა ქრისტიანეთა, უბოძეს ლეკთა თეთრი, რაცა ენებათ და გამოართვეს, რაცა ტყვე ჰყვანდათ და განუტევეს და განათავისუფლეს სრულიად“[1].

ოსთა წინააღმდეგ მოწყობილ ლეკთა ლაშქრობის მეგზურებად მაჩაბლისა და ამილახვრის გამოსვლას გარკვეული ახსნა მოეპოვება. სამაჩაბლო და საამილახვრო ტერიტორიულად ქსნის საერისთავოს უშუალო მეზობლები იყვნენ და, თითქმის, ისეთივე, შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა ჰყავდათ. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში საერისთავოს ოსთა ურჩობა შეიძლებოდა მაგალითი გამხდარიყო აღნიშნული სათავადოების მოსახლეობისათვის. ამის გამო აღნიშნულ სათავადოთა მესვეურებმა ოსთა წინააღმდეგ მიმართული დამსჯელი ექსპედიციის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

მაგრამ ქსნის საერისთავოს ოსთა დარბევას მათი დამორჩილება არ მოჰყოლია. ისინი არც ბეგარას იძლეოდნენ და არც მეფის მოხელეებს უშვებდნენ თავისთან. ასევე იქცეოდა არაგვის საერისთავოს მოსახლეობაც, სადაც ანტიფეოდა-

[1] ამბავნი ქართლისანი გვ. 389.

ლური ტენდენციები ძლიერი იყო. ერეკლემ და თეიმურაზმ გადაწყვიტეს მათი საბოლოო დამორჩილება. პაპუნა ორბელიანი ამის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს: „წაბძანდა კახი ბატონი კახეთის ჯარით, მიბძანდა ანანურს: ორთავ საერისთაოსნი დიაღ ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ და არც მოხელე შეუშვეს. ამათი წახდენა ინებეს. მოსწერა მამას წიგნი მეფემ ერეკლემ და დაიბარა, წაბძანდა მეფე თეიმურაზ ჯარითა ქართლისათა. მიბძანდა ვანათს, ორისავ გზის მხრები შეუკრეს, რომ მიმშველი აღარავინა ჰყვანდათ“[1].

როგორც ვხედავთ, ერეკლემ და თეიმურაზმა საგანგებო ზომები მიიღეს რათა ქსნისა და არაგვის ხეობათა მოსახლეობა არ შეერთებულიყო მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ცალ-ცალკე დაემარცხებინათ ისინი. ამ მიზანს ისახავდა თეიმურაზის ქართლის ჯარით ვანათში დაბანაკება. ასეთი წინასწარი ზომების მიღების შემდეგ „აიყარა კახი ბატონი ანანურით, წაბძანდა ოსეთზე, არაგვის ერისთავის ჯარს ჯიმშერ თუშთმოურავი უთავა და მეწინავეში მიიმძღვარა, მემარჯვენე და მემარცხენე განაწყვნა და თითონ ბატონი უკან მიჰყვა. მოეგებნენ ოსნი და შეიქმნა ომი, ვითა ხვდებოდა სიმხნე სიკეთესა მისსა ჯიმშერ ეგრე იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა. მობძანდა ბატონიც, დაერივნენ ხმალ-და-ხმალ, გააქციეს ოსნი და მიჰყვნენ, შეყარეს კოშკებში და შემოადგნენ გარს, განაძლიერა ჯარი მეფემ ერეკლემ, აღუთქვა მისაცემელი, უბძანა იერიში, რასაც კოშკს იერიში უყვეს მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს და დაწვეს, თურსი დაატყვევეს და ყოვლის გზით ყათლამი უყვეს, რომ რისხვა ღუთისა დასცეს... ჩამობძანდა (ერეკლე. — გ. თ.) გამარჯვებული ანანურს“[2]...

პაპუნას ცნობიდან ჩანს, რომ ერეკლეს არაგვის ხეობისა და თერგის სათავის რაიონში მცხოვრებ ოსთა დამორჩილების ძირითად დასაყრდენ პუნქტად ანანური გაუხდია. არაგვის ჯარს მეწინავეობა დააკისრა, ფლანგებიც გააწყო და თვით ერეკლე კი რეზერვში დარჩენილა. ოსებს ენერგიული წინააღმდეგობა გაუწევიათ და ერეკლეს თავის ძალების ზედმეტი

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 390.

[2] იქვე.

დაძაბვის შედეგად მიუღწევია წარმატებისათვის. ოსებს ამ ლაშქრობისას 40 კოშკი დაუნგრიეს, განსაკუთრებით კი ორუსოს ხეობა (თურსი წყაროს ცნობით) დაარბიეს. ოსებს სხვა გამოსავალი არ დარჩენიათ თუ არა ის, რომ მორჩილება და ბეგარა-გადასახადების გადახდა ეკისრათ.

საარაგვოს ოსთა დამორჩილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქსნის საერისთავოს ოსებზეც. არაგვის და თრუსოს ოსების დამორჩილებამ ისინიც მორჩილების გუნებაზე დააყენა და ქართლის მეფეს თეიმურაზს ნებაყოფლობით მორჩილება აღუთქვეს: „რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყეს ქსნის ერისთავის ოსთა, — გვამცნობს პაპუნა ორბელიანი, — მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მოსცეს სრული ბეგარი"[1].

არაგვისა და ქსნის საერისთავოების დამორჩილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ქართლ-კახეთში. საერისთავოთა 1769 წლის აღწერაში ნათქვამია: «Сии оба владения Арагвское Эристово и Ксан Эристово между собою так смежны, что в средине их нет ни одной такой деревни, которая бы или тому, или другому не принадлежала, и естьли бы они по своему многолюдству и по природной крепости тамошняго местоположения хлебороднаго и плодоноснаго, имея при всем том каждое в своей зависимости по нескольку тысяч Осетинцов, в Кавказских горах живущих, совокупятся в общее намерение, в таком случае всею Грузию деиствовать могут, ибо и перед сего они многократно возставали против Грузинских царей, а чрез то им и великую заботу наводили в их успокоении».[2]

ამიტომ იყო, რომ ერეკლე II დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდილოეთით თავის ზურგის სიმტკიცეს. სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მაჰმადიანური ქვეყნების მოძალე-

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 390.

[2] А. Цагарели, Грамоты... т. I, გვ. 38.

ბის პირობებში მერყეევი ზურგი ადვილად შეიძლებოდა ქვეყ-ნისათვის საბედისწერო გამხდარიყო. ერეკლემ საკმარისად არ მიიჩნია არაგვისა და ქსნის ხეობათა ოსური მოსახლეობის სამეფო ხელისუფლებისადმი მორჩილების არსებული დონე და მათი უშუალო დამორჩილებით და დაბეგვრით საგრძნობ-ლად განიმტკიცა თავის პოზიციები შემდეგდროინდელ პერიო-დისათვის. გარდა ამისა, არაგვის ხეობაში თავის ხელისუფ-ლების განმტკიცებით ერეკლე დარიალის გზის თავის ინტერესების შესაბამისად გამოყენების შესაძლებლობასაც იქმნიდა. ამ გზას კი ერეკლეს პოლიტიკური გეგმების სისტე-მაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული. დარია-ლის გზის მეშვეობით ერეკლეს საშუალება ექნებოდა ჩრდილო კავკასიიდან ოსთა, ყაბარდოელთა თუ სხვა ხალხთა სახით მაშველი ჯარების გადმოყვანისა. იგივე გზა იყო რუსეთთან საქართველოს სულ უფრო და უფრო მზარდი ურთიერთობის საწარმოებელი არტერია და, ბუნებრივია, მასზე კონტროლის დამყარება ერეკლესათვის პირველხარისხოვანი საზრუნავი იყო. ცნობილია, რომ ერეკლე სამხედრო ზომების გარდა და-რიალის გზის თავის ინტერესებისათვის გამოსაყენებლად მიმართავდა დიპლომატიურ ღონისძიებებსაც თაგაურელ ოს-თა კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად. საამისოდ იგი თაგაურელ ოსთა გავლენიან წრეებს წყალობა-ჯამაგირებით და საჩუქრებით ავსებდა.

1748—50 წწ. ქართლსა და კახეთს ბრძოლები მოუხდა მე-ზობელ სახანოებთან, რომლებიც მთელ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში გაბატონებას ცდილობდნენ. ერეკლემ და თეიმუ-რაზმა საჭიროდ დაინახეს ამ სახანოთა დამპყრობლური მის-წრაფებებისათვის ბოლო მოეღოთ. საგანგებო ღონისძიებათა შედეგად ერევნის, განჯის და ნახჭევანის სახანოები მათ მო-ხარკეებად გაიხადეს. ამ სახანოთა დამორჩილება მნიშვნელო-ვანი სამხედრო ძალის გამოყენებას მოითხოვდა და გარედან დახმარების გარეშე არ ჩატარებულა. აი როგორ აღწერს პა-პუნა ორბელიანი ხანებზე ლაშქრობის სამზადისს: „ქართველნი ყიზილბაშთა საომრად დიდად აღლესილ იყვნეს, მოიწვევნეს ჯარები ქალაქსა თბილისისასა ქართველნი სრულად, იმერნი,

ჩერქეზნი, ოსნი და კავკაზისანი, აგრეთვე კახს — ბატონს შემოეყარა კახნი სრულად, თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და ლეკნი. რომელნი მონებდენ კახს ბატონს. რა ეს ჯარები შემოკრბნენ ქალაქსა თბილისისა, გავიდა თოფხანა და გაბძანდა მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე ქალაქით თვესა თებერვალს ᲑᲐ (8), ქორონიკონს ულᲑᲐ (1750 წ.)"[1]...

ამ შეერთებული ლაშქრობის შედეგად მტერი დამარცხებულ იქნა. თბილისს გამარჯვებით დაბრუნებულმა ლაშქარმა იზეიმა გამარჯვება და მეფეებმა თავ-თავის ქვეყნებში გაისტუმრეს დიდად დასაჩუქრებულნი. „დაითხოვა ბატონმა (თეიმურაზმა. — გ. თ.) ჩერქეზის ბატონი, უბოძა მრავალი, აგრეთვე ჯარსა მათსა და ოსისა პირიქით ჯარსა, აღავსო ყოველი საბოძვრით და გაისტუმრა ქვეყანასა თვისსა"[2].

მოყვანილი ცნობიდან საყურადღებო დასკვნების გამოტანა შეიძლება. ჩრდილო კავკასიის ხალხები ქირის საფუძველზე მონაწილეობდნენ საქართველოს სამხედრო ღონისძიებებში. თეიმურაზისა და ერეკლეს დროშის ქვეშ მდგარან როგორც პირაქეთი — სამხრეთელი ოსები, ასევე პირიქითი — ჩრდილო ოსები. მეფე საბოძვარს სწორედ ჩრდილო ოსებს აძლევს, რომლებიც, ჩერქეზთა მსგავსად, ქირის პირობით ემსახურებიან ქართველ მეფეებს. რაც შეეხება სამხრეთელ ოსებს, ისინი, კავკასიის მთიანეთის სხვა მცხოვრებთა თანაბრად, ქართველ მეფეებს ქვეშევრდომობის პირობაზე ემსახურებოდნენ და ამისათვის შემთხვევითი ნადავლის გარდა სპეციალურ გასამრჯელოს ვერ მიიღებდნენ.

ქართველი პოლიტიკური მესვეურები აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდნენ ოსებზე თავის გავლენის იდეოლოგიურად განმტკიცებისათვის, რისთვისაც მათში შერყეული ქრისტიანული რელიგიის აღდგენას შეეცადნენ. XVIII ს. 40-იანი წლები ოსეთის საქრისტიანო კომისიის მოღვაწეობის პერიოდია. ეს კომისია ვახტანგ VI ამალის შემადგენლობაში რუსეთში წასული ქართველი სასულიერო პირებისაგან იყო დაკომპლექ-

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 424.

[2] იქვე, გვ. 428.

ტებული და მათი ინიციატივით შეიქმნა. ამ კომისიის მოღვაწეობაზე ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით, ახლა კი მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ მის შესახებ საქართველოში კარგად ყოფილან ინფორმირებული და ხელს უწყობდნენ მის საქმიანობას.

ქართველებსა და ოსებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა XVIII ს. მთელი მეორე ნახევრის მანძილზე განაგრძობდა არსებობას. ეს მოჩანს ამ ხალხთა პოლიტიკური ურთიერთობის არაერთი ფაქტიდან. თეიმურაზ და ერეკლე მეფეების აქტიური საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მატერიალურ დასაყრდენს ოსთა სამხედრო დახმარება წარმოადგენდა. თითქმის არაა ერეკლეს ისეთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სამხედრო წამოწყება, რომლის მონაწილეც ოსები არ ყოფილიყვნენ.

1751 წელს თავრიზის მფლობელმა აზატ-ხანმა ერევანზე გამოილაშქრა. მას მთელი ირანის დაპყრობა და იქ გახელმწიფება განეზრახა. ერევნის ხანმა დახმარება სთხოვა ქართველებს: „მოვიდა ერევნის ხანი და უფროსნი კაცნი, შემოეხვეწნენ პატრონთა ჩვენთა, სთხოვეს ჯარი და მოხმარება, გაგზავნეს კაცნი მაშინვე ჩერქეზში, ოსეთში და მთების ქვეყნებში, ჯარები დაიბარეს და აქაც მზადება შექმნეს ჯარებისა“[1].

ქართველებმა კარგად გაითვალისწინეს აზატ-ხანის ავანტიურის საშიშროება და ქართლ-კახეთის ლაშქარი ერეკლეს მეთაურობით საჩქაროდ გაემართა მტრის დასახვედრად. ამასობაში ჩრდილო ოსეთიდანაც გამოვიდა ჯარი — „მოვიდა ქალაქში ჯარი ოსეთისა პირიქითნი კაცნი, უბოძა მეფემა (თეიმურაზმა. — გ. თ.) ულუფა და გაუმძღვარა კაცნი და გაუგზავნა ძესა თვისსა, მივიდნენ, შეეყარნენ მეფეს ირაკლის ბანბაკში“[2].

ცნობა საყურადღებოა იმით, რომ დასახმარებლად მოწვეული ჯარის ორგანიზაციის შესახებ ნაწილობრივ წარმოდგენას მაინც იძლევა. სამეფო კარის გაგზავნილი პირი იწვევს ოსებს

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 435.

[2] იქვე.

თუ სხვა ხალხს ამა თუ იმ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის. გადმოსული ლაშქარი ღებულობს სურსათ-სანოვაგეს და ბრძოლაში მონაწილეობს ქართველი მეფის სარდლობის ქვეშ. იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა გადმოყვანილი ლაშქრის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა, მოგვეპოვება ერეკლე II უთარიღო ბრძანება რევაზ ამილახვრისადმი. მასში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ საიდან უნდა გაიცეს ოსთა ჯარისათვის საჭირო პროდუქტები. „...თქვენი წიგნი მოგვივიდა, — წერს ერეკლე რევაზ ამილახვარს, — ოსე[ბზე] მოგეწერა: პური ამბარდნიდამ გვიბძანებია, არაყი [გორი]დამ და ცხვარი და ძროხა ერისთავის გიორგიდამ და... (აკლია ერთი სიტყვა — გ. თ.). ამათ კაცი გაუგზავნეთ, ეს საკლავი გამო [ართვით]. ოქმები მოგვიწერია და მწერლის ძმა იოსებ მემანდრათ დაგვიყენებია. მაგას მოაბარეთ და მაგან გამოუზოგოს. თხუთმეტი ძროხაა და თხუთმეტი ცხვარი. არაყი გორელებს აქვს ჩვენი შეწერილი, აქამდის მზად ექნებათ. დღეში ექვსი თუნგი იყოს, თუ შვიდი ყაბზით გამოართოს და მისცემდეს. პური ამბარდანს გამოართოს და ამაების ყაბზს თვითონ შენ მისცემდე, მერმე ჩვენი მოჯელენი ჩაუგდებენ. სანამდის ჩვენ შევეყრებოდეთ, კარგად გააძლებინეთ და ღთით ჩვენ მომდურავს არ გავუშვებთ... ამბარდანსაც შენ მიეც ყაბზი და არაყისათვისაც შენ მიეც, გორელთაც დაისწრებდე და იმათაც ანგარიშით მისცენ, უანგარიშოთ და უბრალოთ ნურას დახარჯავენ...“[1] მოყვანილი დოკუმენტიდან კარგად დასტურდება ის დიდი ზრუნვა, რასაც დაქირავებული ჯარის შენახვას აქცევდა ერეკლე II.

ერეკლეს მცირერიცხოვანი ლაშქარი ერევნის ახლოს, ყირხბულახთან შეხვდა აზატ-ხანის 18 ათასიან ლაშქარს და მედგრად შეუტია. ერეკლეს პირადი სარდლობით ქართველოსთა ლაშქარმა მოშალა მტრის ჯარის ცენტრი და მტერი სასტიკად გაანადგურა.

სულ მალე საქართველოს წინაშე კვლავ ახალი საფრთხე აღიმართა. შაქი-შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი შეშფოთებული იყო ქართველების გაძლიერებით და მასთან უშუალო დამე-

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 1339.

ზობლებით. მან სცადა ბოლო მოეღო ამ მდგომარეობისათვის, საიდუმლოდ ჩაატარა მზადება და, ლეკთა ჯარების მოშველიებით, 1751 წლის თებერვალს ქართველთა ჯარი დაამარცხა. აზატ-ხანთან ბრძოლამ დროებით გადასდო აჯი-ჩალაბთან ანგარიშის გასწორების დრო. აჯი-ჩალაბმა სცადა მაჰმადიანური სახანოების შეკავშირება და მათი დაპირისპირება ქრისტიანული ქართლ-კახეთისათვის. ლეკების გარდა მან განჯა-ყარაბაღის და ერევნის ხანებიც გადმოიბირა. 1752 წელს ხანებმა უღალატეს ქართველებს და აჯი-ჩალაბმა განჯასთან კვლავ გაიმარჯვა. იგი შეტევაზე გადმოვიდა და ქართლში შემოიჭრა. ქართლ-კახეთის სოფლებს ლეკები მოედვნენ.

საჭირო იყო აჯი-ჩალაბის მტრული საქმიანობის აღკვეთა. დაიწყო ჯარის შეყრა. აჯი-ჩალაბი საშიში მტერი იყო და მის გასაუვნებლად საკუთარი ძალები საკმარისად არ მიიჩნიეს. ამიტომ „გაგზავნეს ზურაბ ზედგენიძე ჩერქეზში ჯარისათვის". ზურაბი ჩავიდა ჩერქეზში (ყაბარდოში), მოელაპარაკა იქაურ მფლობელებს. ისინი დაპირდნენ ჯარის მიცემას, ოღონდ ჯამაგირი მოითხოვეს. მეფეებმა „კიდევ გაგზავნეს კაცნი, დაპირდნენ ჯამაგირს". თავის მხრივ „გადმოვიდნენ ჩერქეზთ თავადნი და აზნაურნი და მოისმინეს ბრძანება მეფისა ჩვენისა და მათიცა სიტყვა ეს იყო: ჯარი რამდენი უნდოდათ, რომ იმათი ჯამაგირი იქავ გარდაკვეთილიყო და მერე ჯარი გარდმოეყვანათ". ერთი სიტყვით, ყაბარდოელებთან მოლაპარაკება ჯარის გადმოყვანის თაობაზე ძალიან გაჭიანურდა და საჭირო გახდა მისი დაჩქარება. „მტერი დიაღ მოგვეახლა, — წერს პაპუნა, — ეს ამბები დაგვიანდებოდა, ითხოვა ფარვანი მეფე თეიმურაზისაგან ძემან სასურველმან მისმა მეფემა კახეთისამან ერეკლემ და წაბძანდა თვით ჩერქეზში. მიბძანდა, ხევში დადგა, იქიდამ გაგზავნა თავადთა შვილნი ჩერქეზში, სანამდის შემოეყრებოდა ჩერქეზი, მანამდის შემოეყარა ჯარი ოსეთისა, მოვიდნენ უფროსნი კაცნი ჩერქეზისანი და მეფეს ერეკლესთან განარჩევეს ჯარის საქმე და გაურიგეს ჯარს ჯამაგირი, წავიდნენ ესენი, შეიყარეს ჯარი"[1].

როგორც ვხედავთ, ყაბარდოელთაგან ჯარის დაქირავება

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 444.

ამჯერად გაძნელდა. შესაძლებელია, მათ იცოდნენ რა ქართლ-კახეთის მძიმე მდგომარეობა, გადიდებული ჯამაგირი მოითხოვეს. ამას უნდა მოწმობდეს ისიც, რომ რამდენჯერმე გაიცვალა წარმომადგენლები მათ შორის, ვიდრე თვითონ ერეკლე ხევში არ ჩავიდა და ყაბარდოელ თავადებს ჯამაგირის ოდენობა არ შეუთანხმა. რაც შეეხება ოსებს, ისინი ყოველგვარი შეფერხების გარეშე გამოვიდნენ ჯარით და დადგნენ ერეკლეს დროშის ქვეშ.

მტერს ქართველთა ფართო სამზადისი წინააღმდეგობის გასაწევად არ გამოპარვია და უკან გაბრუნდა. მაგრამ ერეკლეს ჯარები წამოეწივნენ მას ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე და სასტიკი ბრძოლები გაუმართეს. მტერი ქართველთა ჯარის წყობაში შემოიჭრა. დიდი ჯაფა დაადგა ოსურ ნაწილს. მტერმა მას მძლავრად შემოუტია და მოახერხა კიდეც მისი მოშლა. ამ დროს ერეკლემ ძლიერად დაარტყა მტრის ძირითად ძალას და სასტიკად დაამარცხა. ამ ბრძოლაში დიდად გამოიჩინეს თავი ჩერქეზებმაც[1].

აზატ-ხანზე მოპოვებულმა გამარჯვებამ ქართლ-კახეთის მდგომარეობა გააუმჯობესა, მაგრამ დაღესტნელ ფეოდალთა მძარცველური თავდასხმები გრძელდებოდა. 1754 — 60 წწ. დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმები გახშირდა. ისინი ძირითადად წვრილ თარეშებს აწყობდნენ, რომელთა შედეგად მოსახლეობა ციხე-სიმაგრეებში იხიზნებოდა და მეურნეობას წყდებოდა. მათ მსხვილი ლაშქრობებიც მოაწყეს ქართლ-კახეთის დასარბევად. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა 1754 წელს მოაწყო ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა.

ნურსალ-ბეგმა კახეთი გაძარცვა, არაგვზე გადმოვიდა და ქართლს დაუწყო რბევა. საშიშროება იმდენად დიდი იყო, რომ „გაგზავნეს მეფეთა კაცნი ჩერქეზში, აღუთქვეს მისაცემელი ფრიადი და დაიჭირეს ჯარი, ეგრეთვე ოსისა და მთის ჯარები, კავკასიდამ მოიწვიეს ჯარები“[2].

მაგრამ ნურსალ-ბეგი აქტიურობდა. მოწვეული ჯარისათვის დაცდა აღარ შეიძლებოდა და უკვე შემოკრებილი ჯარით

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 446.

[2] იქვე, გვ. 456 — 457.

შეებნენ. ხუნძახის ბატონი დამარცხდა. მოწვეული ჯარი მაშინ მოვიდა, როცა მტერი უკვე დამარცხებული და განდევნილი იყო. „ამისა შემდგომად გარდმოვიდა ჯარები შემწედ, რომელი დაიბარეს მეფეთა ჩვენთა, ჩამოვიდნენ ანანურს ჯარი ჩერქეზისა, ყალმუხისა, ჯიქისა, ქიშტისა, ღლიღვისა, ნოღისა და ოსისა. ამა ქვეყნების ჯარები თავთავისისა უფროსითა კაცითა იყვნეს: ...გამოუძღვა ერისთავი ჯიმშერ და ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისსა მახლობელ, დააყენეს დიდუბეს, დააყენეს ზემანდარნი და უბოძეს ულუფა კმა საყოფელად მათდა“.

ასეთ ვითარებაში ლეკები აღარ გამოჩენილან. მოწვეული ჯარების უფროსებმა მოითხოვეს: „ან გვაჩვენე მტერი თქვენიო და ზედ შეგვახოცეთო და ან დასტური გვიბოძეთო ჩვენ ქვეყანაში წავიდეთო“. ქართლი მტრისაგან დიდად შეწუხებული იყო და ღარიბნი და შენახვასა დაზარდენ, რომ ხარჯი ბევრი უნდებოდათ. ბძანეს მეფეთა ჩვენთა გასტუმრება, უბოძეს უფროსთა კაცთა ოქროსა და ვერცხლის იარაღნი და ლარნი ტურფანი და ჯარისკაცთა ყოველთა მისცეს თვისთვისად შესაფერნი ლარნი და იარაღნი და ან რომელთა ოსთა ჰქონდათ ძველთავე ბაგრატიონთაგან ჯამაგირის წიგნი განუახლეს და უბოძეს ჯამაგირი. აღავსეს ეს ჯარები საბოძვრითა და გაისტუმრეს ქვეყანასა თვისსა, მისცეს პირობა მეფეთა ჩვენთა ამ ჯარების უფროსთა კაცთა: „როდესაც ბძანება თქვენი მოგვივიდეს, ვითა ყმანი ეგრე სწრაფად შეგეყარნეთო და თქვენსა სამსახურში დავიხოცნეთო“[1].

ქართლ-კახეთის მმართველი წრეების მიერ მოწვეული ჯარები მრავალ ჩრდილო კავკასიელი ხალხის წარმომადგენლებისაგან შედგებოდნენ. ამ ჯარებს ლეკებთან ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ მათ აღთქმული ჯამაგირი მიიღეს, დაჯილდოვეს და გაისტუმრეს. განსაკუთრებით ჯილდოვდებოდნენ ამ ჯარების უფროსები — გაბატონებული წრეების წარმომადგენლები. მათი გულის მოგება მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მომავალშიც. საჭიროების დროს, მათი სამხედრო მხარდაჭერა გაენაღდებინათ.

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 458.

ზემომოყვანილ ცნობიდან ჩანს, რომ ოსებს ბაგრატიონი მეფეებისაგან ჯამაგირები ჰქონიათ ადრიდანვე გაჩენილი და ამ ჯამაგირის საფუძველზე ისინი ქართველ მეფეთა სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ. ჯამაგირის წიგნები მათ პერიოდულად უახლდებოდათ. ალბათ ამის გამო იყო, რომ ოსთა დამხმარე ჯარის გადმოსაყვანად საკმარისი იყო მათთვის უბრალოდ ეცნობებინათ ასეთი ჯარის საჭიროება და ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაუყოვნებლივ მოსულიყვნენ ქართველებთან შესაყრელად.

ყოველთვის, როცა წყაროებში ლაპარაკია ოსთა ლაშქრის მოწვევაზე, მასში იგულისხმებიან კავკასიის ქედს გადაღმა მცხოვრები ოსები, ე. ი. ჩრდილო ოსები. აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ 1753 წელს მოწვეულ დამხმარე ლაშქარში XVIII ს. მეორე ნახევრის ისტორიკოსები პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე ასახელებენ ოსებს[1]. იმავე ფაქტს ეხება ბაგრატ ბატონიშვილი და აკონკრეტებს ლაშქრობაში მონაწილე ოსების სადაურობას. მისი ცნობით, აღნიშნული ოსები თაგაურელი და ქურთათელი ოსები არიან[2].

ჯამაგირის წიგნები ქართველ მეფეთაგან ძირითადად თაგაურის ოსებს ჰქონდათ მიღებული. დარიალის კარებზე გამავალი მნიშვნელოვანი გზის ჩრდილო ნაწილი მათ ხელში იმყოფებოდა და მათთან კარგი ურთიერთობა განსაზღვრავდა როგორც მათ პირად მონაწილეობას ქართლ-კახეთის სამხედრო ღონისძიებებში, ასევე სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხთაგან დაქირავებული ჯარების გადმოყვანის შესაძლებლობასაც. უნდა ითქვას, რომ ქართველ მეფეთა მიერ ოსთადმი დაყვავების პოლიტიკა გარკვეულ ეფექტს იწვევდა. ოსები მათს ყოველ მოწოდებას აქტიურად ეხმაურებოდნენ და ქართველი ხალხის მხარდამხარ ბრძოლით სისხლით იცავდნენ ქართულ მიწასა და კულტურას მაჰმადიანური აგრესიისაგან.

ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი 1755 წელს მეორედ შემოიჭრა კახეთში. მეფეებმა მოსახლეობა ციხე-სიმაგრეებში

---

[1] ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 487.

[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 49.

დახიზნეს და თანაც ჩრდილო კავკასიაში კაცი აფრინეს ჯარის მოსაწვევად: „გაგზავნეს რამაზ ენდრონიკაშვილი ამისავე წინათ ჩერქეზში ჯარისათვის, მოვიდა მცირე რამ ჯარი ჩერქეზისა, ყალმუხისა და ოსისა, შეეყარნენ შეფეთა... ანანურიდამ გაეგზავნა ქართველ ბატონს (თეიმურაზს. — გ. თ.) იასე მაჩაბელი ჩერქეზში ჯარისათვის და აღუთქვეს ფრიადი: მოვიდა იასე ქვეყანათა ჩერქეზისათა, ეცადა დიდათ და ვერ დაიმორჩილა, არავინ გამოჰყვა: „მთელი დაღისტანი წამოვიდაო და ჩვენ იმათი ომი არ შეგვიძლიაო". მოვიდა იასე მაჩაბელი თელავს, მოახსენა ესე ყოველი მეფეთა"[1].

მართლაც ლეკთა 20 ათასიანი ჯარი იყო წამოსული. მათ ყვარლის ციხეს ალყა შეუმოარტყეს. ერეკლემ ენერგიული ზომები მიიღო. ლეკებმა ყვარლის ციხე ვერ აიღეს და როდესაც ერეკლემ ჭარის, კაკისა და ნუხის მიმართულებით მარბიელი გაგზავნა, იქაურ ლეკთა ლაშქარი მაშინვე გაბრუნდა თავის სახლკარის დასაცავად. ქართლ-კახეთის აოხრების ეს კარსმომდგარი საფრთხეც აცილებულ იქნა. ოსთა და ჩერქეზთა სამხედრო რაზმებიც ქართველთა ამ უთანასწორო. შაგრამ გმირული ბრძოლის მონაწილენი იყვნენ.

ნურსალ-ბეგის დამარცხების შემდეგ „უბოძეს მეფეთა დასტური ჯარებთა მთისათა ანუ რომელნი ახლდნენ ოსნი და ჩერქეზნი, უბოძეს ლარნი კმასაყოფელნი თვისნი"[2], ე. ი. მისცეს გასამრჯელო და თავის ქვეყანაში წასვლის დასტური მისცეს.

მაგრამ დაღისტნელ ფეოდალთა წვრილ-წვრილ თარეშებს ბოლო არ ეღებოდა. მათი სუსხი არამარტო ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობას ატყდებოდა, არამედ შედარებით დაცულ მთიან რაიონებში მცხოვრებთაც, მათ შორის ქართლის მთიანეთის, ანუ სამხრეთელ ოსებს. ისტორიკოს ომან ხერხეულიძის ცნობით, „წელსა 1759, გარდმოვიდნენ კვალად დაღისტნის ბელადი კოხტა და ჩონჩოლ-მუსა დაღისტნის ჯარებით, ვიდრე რვა-ათასამდე კაცნი: ესენი გაიყვნენ. ჩონჩოლ-მუსა მოვიდა აჩაბეთს და აღიღო და მრავალნი სულნი დაატყვევნა,

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 462.

[2] იქვე, გვ. 465.

შევლო ლიახვზეგ, სამაჩაბლოს ოსები დაარბივა და მუნით წარმოსრული ავნევს სოფელს შემოადგა"[1].

ერეკლემ და თეიმურაზმა, იმერთა მეფე სოლომონის დახმარებით, მტერი ამჯერადაც სასტიკად დაამარცხეს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დაღისტნელ ფეოდალთა ეს თარეში სამხრეთელ ოსთა ტერიტორიაზე გავრცელდა, უკანასკნელთ, ისევე როგორც სხვა ბრძოლებში, აქაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ შემოსეულ მტრის განადგურებაში.

XVIII ს. 50 წლებიდან ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები რუსეთთან ურთიერთობის ახალ ფაზაში შევიდნენ. 1752 წელს ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩები რუსეთში მღვდელთმთავარი ათანასე, ამილახვარი და სვიმონ მაყაშვილი რუსეთის სამეფო კარს აცნობებდნენ, რომ ქართველი ხალხი საკმაოდ მომძლავრდა და ამიტომ ახლა უფრო ადვილი იქნებოდა რუსეთის ინტერესების შესაბამისად ქართველთა მიწაწყლის დაცვა[2].

მაგრამ რუსეთს ჯერ არ მიაჩნდა პოლიტიკური ვითარება ასეთი დახმარებისათვის ხელსაყრელად, რამდენადაც ერიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გაფუჭებას. ეს უკანასკნელი შეშფოთებით ადევნებდა თვალს რუსეთის წინსვლას კავკასიისაკენ და ყველა ღონისძიებით ცდილობდა ქართველი ხალხის რუსეთისაგან ჩამოცილებას.

1768—1774 წწ., რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. რუსეთი ამ ომში წარმატების მიღწევის საქმეში ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხებისაგან მხარდაჭერას დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ამიტომ ამ ომის დაწყების წინ რუსეთის მთავრობამ რუსეთის სამსახურში მყოფი სამღვდელო პირი, ოსეთის სასულიერო კომისიის წევრი არქიმანდრიტი გრიგოლ რომანიშვილი სპეციალური მისიით წარგზავნა საქართველოში, რათა გაერკვია ქართველ მეფე-მთავართა თურქების წინააღმდეგ ომში მონაწილეობის საკითხი.

---

[1] მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 489.

[2] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 352.

გრიგოლი ჯერ ერეკლესთან ჩამოსულა 1767 წლის დამლევისათვის, ხოლო შემდეგ იმერეთის მეფე სოლომონთან გამგზავრებულა. როგორც ერთმა, ისე მეორე მეფემ არქიმანდრიტი კარგად მიიღეს. ერეკლემ იგი 100 მანეთითაც კი დააჯილდოკა. იმერეთიდან გრიგოლი გურიის მთავართან ჩასულა. აქ იგი თურქეთის აგენტებმა მოკლეს კიდეც 1768 წ. 1 თებერვალს, ხოლო მისი მხლებლები დაატყვევეს. უკანასკნელნი სოლომონ მეფემ გამოისყიდა[1].

კარგად ჩანს, რომ თურქების აგენტები თვალყურს ადევნებდნენ გრიგოლის მოღვაწეობას, რომლის მიზანიც საქართველოს სამეფო-სამთავროთა თურქების წინააღმდეგ დარაზმვა და რუსეთთან ერთად გამოსვლა იყო. ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოებმა სცადეს რუსეთის ეს ინტერესები თავის ინტერესებთან შეეთანხმებინათ და განაცხადეს მზადყოფნა თურქეთთან ომში მონაწილეობაზე, თუ რუსეთი მათ ჯარითა და ფულით დაეხმარებოდა. ამ ფაქტით ქართველებს არამარტო თავის შინაგანი მდგომარეობის განმტკიცება ესახებოდათ, არამედ იმედი ჰქონდათ თურქთაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებისა. რუსეთის ანგარიშით საქართველოს სამეფო-სამთავროებს შეეძლოთ დაებანდებინათ თურქთა დიდი ძალები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ჯარის გამოგზავნა. 1769 წლის ზაფხულის დამლევს გენ. ტოტლებენის სარდლობით, დარიალის გზით, საქართველოში რუსთა ჯარი შემოვიდა.

რუსთა ჯარი გამოვიდა მოზდოკიდან, გამოიარა თაგაურის ოსეთზე, კერძოდ, ჩიმზე, ლარსზე და სტეფან-წმინდაში (ყაზბეგში) შემოვიდა. წყაროების ცნობებით დასტურდება, რომ საქართველოში რუსთა ჯარის შემოსვლის საქმეში თაგაურის ოსებმა გარკვეული როლი შეასრულეს. აღნიშნული ოსები მარჯვედ სარგებლობდნენ თავის ძლიერი სტრატეგიული პოზიციებით დარიალის გზაზე და ამ გზით სარგებლობის სანაცვლოდ თავისთვის განსაზღვრულ საზღაურს მოითხოვდნენ. ამიტომ იყო, რომ რუსეთის ხელისუფლები იძულებული იყვნენ ტოტლებენის ლაშქრის გადმოსვლის დროს და მის

[1] А. А. Цагарели, Грамоты... т. I, зд. 5.

შემდეგაც თაგაურელ ოსებთან ურთიერთობის საკითხები მოეგვარებინათ. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ რუსეთის სამსახურში მყოფ ქართველ სასულიერო მოღვაწეებს ოსეთის კომისიის შემადგენლობიდან. კომისიის წევრები ივანე ფიცხელაური და ნიკოლოზი მეგზურებად და თარჯიმნებად მოჰყვებოდნენ რუსთა ლაშქარს. გზის გასწვრივ მცხოვრები ოსი ფეოდალების მოსყიდვის, მათგან მძევლების აყვანისა და გზაზე რუსთა ლაშქრის უვნებლად გატარებაზე ფიცის დადების საქმე ამ მისიონერებმა მოაგვარეს[1]. საჭირო ხდებოდა მიემართათ სამხედრო ძალის გამოყენებისათვისაც, რათა უზრუნველეყოთ გზის გასწვრივ მცხოვრებ ოსთა სიმშვიდე და გზაზე მოძრაობის უსაფრთხობა. ამ მიზნით გამოუყენებიათ თავის მომხრე ყაბარდოელი თავადებიც. 1771 წლის 30 მაისით დათარიღებულ ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ნათქვამია: «Малой Кабарды владелец Арсламбек Таусултанов, находившийся добровольно при командах посланных для усмирения Осётинцов, живущих на дороге в Грузию, к преклонению их много способствовал, за что велено определить ему жалованья от 50-ти до 100 рублей в год»[2].

ემზადებოდა რა თურქთა წინააღმდეგ საომრად, ერეკლე მეორემ თავის ემისრები გაგზავნა ჩრდილო ოსეთში სამხედრო დახმარების სათხოვრად. როტმისტრი ა. კირეევი, თავის მოხსენებაში ყიზლარის კომენდანტისადმი, 1768 წლის 21 ივლისს წერდა, რომ ქურთათის ოსებში მისი ყოფნის დროს მოვიდნენ ერეკლე მეორის წარმოგზავნილები, რომელთა მეშვეობითაც იგი იწვევდა ოსებსა და მცირე ყაბარდოს მფლობელებს თითქოს საქართველოდან ქურთათზე ქარავნებისა და სხვა მგზავრთათვის უხიფათო გზის გაყვანაზე მოსალაპარაკებლად, რადგან ძველ (დარიალის) გზაზე მთის ხალხები ძარცვავენ და ატყვევებენ მგზავრებს. ნამდვილად კი, როგორც ერთმა მონათლულმა ოსმა წარჩინებულმა

---

[1] შ.ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX A და XX в, 1957, გვ. 410.

[2] Акты, ტ. I, გვ. 85.

(„სტარშინამ“) ანდრიამ (ოსურად ალეგუკა) მიამბო, სპარსეთის ვექილი ქერიმ ხანი, რუსეთიდან გასახლებულ ალექსანდრე ბაქარის ძის თანხლებით, ჯარით უახლოვდება თბილისს, რათა უკანასკნელს დაუმკვიდროს ქართლი. ერეკლე, საფრთხის მოლოდინში, ამ გზით ფიქრობს თავის ოჯახით ოსეთის ფარგლებში თავის შეფარებას. ა. კირეევი იმასაც დასძენს, რომ ოსები და მცირე ყაბარდოს მფლობელები ერეკლესთან წასასვლელად მზად არიან, ხოლო ქურთათელები უკვე დაიძრნენ[1].

ა. კირეევის მოხსენებიდან სავსებით ნათელი არაა რა მიზნით მოვიდნენ ქურთათელებთან ერეკლეს წარმომადგენლები, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი თავის ნამდვილ მიზანს ყველას არ უმხელდნენ. ეს მიზანი კი იყო ოსთა ჩაბმა თურქთა წინააღმდეგ ომში და, შეიძლება, აგრეთვე ალექსანდრე ბაქარის ძის, ქართლის ტახტის პრეტენდენტის, წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

ცოტა უფრო გვიან, 1768 წლის ნოემბერში სტეფანე ვონიავინი, ოსეთში რუსეთის სამთო ექსპედიციის უფროსი, წერდა, რომ ქურთათში, მონათლულ ოსის, ანდრია ცალიკოვის სახლში, ის შეხვდა ერეკლე მეფის წარგზავნილს, ჯარის დასაქირავებლად მოსულს. იგი ცდილობდა მიეღო, აგრეთვე, ოსეთის მთებზე თავისუფალი გასვლისა და თავშესაფრის მიცემის პირობა ერეკლესათვის, თუკი მას ასეთი აუცილებლობა შეექმნებაო. ა. კირეევის საწინააღმდეგოდ, სტ. ვონიავინი ამტკიცებს, რომ ოსები, თითქოს, არ გამოეხმაურნენ ერეკლეს მოწოდებას[2].

მოვლენათა შემდგომი განვითარება ნათლად ადასტურებს როგორც ქურთათელ, ასევე სხვა საზოგადოებათა ოსების ერეკლე II დროშის ქვეშ დადგომას და თურქთა წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობას.

ოსები ერეკლე II დროშის ქვეშ ჩაბმულ იქნენ თურქეთთან საომარ ოპერაციებში. სამხრეთელი ოსები ქვეშევრდომობის საფუძველზე ქართლის სამეფოს ყველა, ცოტად თუ ბევრად, დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ღონისძიების უეჭ-

---

[1] Материалы по истории Осетии, I, გვ. 208.

[2] იქვე, გვ. 220.

ველი მონაწილენი იყვნენ. ასპინძის ომში 1770 წლის 20 აპრილს ქართველთა მხარდამხარ ოსთა რაზმებსაც უბრძოლიათ ოსმალებთან და თავიც გამოუჩენიათ. ამ ომში მხნედ მებრძოლ ზოგიერთ ოს მეომარს ერეკლემ წყალობის სახით მამულიც უბოძა. ჩვენს ხელთ არის ერეკლე II მიერ ნარელი ოსის — სახასო ყმის დოხჩიყო ხეთაგურისათვის ცხინვალში მამულის ბოძების შესახებ 1786 წელს განახლებული წყალობის წიგნი (ადრე მიცემული და ცხინვალზე ლეკთა თავდასხმის შედეგად დაკარგული წიგნის სანაცვლოდ). ერეკლე შიმართავს დოხჩიყოს: „შენი შვილი ბოლათიყო ჩვენ გვახლდა ასპინძას ოსმალთა და ლეკზე რომ გაგვემარჯვა, იქ მკვნეთ გაისარჯა და იმ ომში მოიკლა“...[1]

ოსები მონაწილეობდნენ ხერთვისის ოპერაციაშიც, რომელიც ჩატარდა 1771 წლის 25 — 26 ოქტომბერს. აკად. გიულდენშტედტი თავის მოხსენებაში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი 1771 წლის 25 სექტემბერს წერდა, რომ „ოსეთიდან ქალაქ დუშეთამდე ვიმგზავრე ოსების საზოგადოებაში, რომელთაგან რამდენიმე 100 კაცი მეფე ერეკლემ თავისი ჯარისათვის დაიქირავა. მათი მთავარი და მეთაური... ახმეტი (დუდაროვი. — გ. თ.)... თავისი ხალხით თბილისისაკენ წავიდა“[2].

ნარელი ოსები 1783 წ. ბ. პოტიომკინს წერდნენ, რომ «когда гвардии капитан Иван Лаврентьевич Львов ходил под Хертвисом для взятия оной крепости, тогда с ними было наших осетин 800 человек, мы полонили 75 ясырей магометанских... также под Ахалкалаком когда ходили, наших было при гвардии капитана Львова 700 человек, тогда некоторых убили в сражении, а некоторые возвратились назад домой»[3].

ნარელ ოსთა ეს განცხადება მტკიცდება თვით ოფიციალური ცნობებითაც. ხერთვისის ოპერაციაში ოსებმა, ახმეტის მეთაურობით, ქართველებთან ერთად, არ დაუცადეს

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. № 1569.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გ. გელაშვილის გამოცემა, 1964, გვ. 126 — 129.

[3] ЦГАДА, ф. 23, д. 13, 4. 3/1, фурц. 164.

ციხის აღებას და ახლომდებარე სოფელს შეესივნენ. კაპიტან ლეოვს ეს არ დაუშვია, რათა არ არეულიყვნენ ციხის აღებამდე[1].

კაპიტანი ლეოვი 1773 წ. 8 ნოემბრის მოხსენებაში გრაფ პანინს აცნობებდა, რომ ერეკლე და სოლომონ მეფეებმა შეკრიბეს 5-5 ათასი კაცი და ათასამდე ოსი, მათ შორის ინგუშებიც[2].

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთი უშუალო მონაწილეობის გარდა ცალკეული ოსები გამოყენებული ყოფილან რუსეთის მიერ საქართველოს ცალკეულ ნაწილებთან კავშირის დასამყარებლად. ასტრახნის გუბერნატორი ბეკეტოვი 1770 წლის 18 სექტემბერს წერდა. რომ «посыланный в Имеретию с письмами к царю Соломону Осетинец Осип Абаев на возвратном пути был убит кабардинцами»[3].

ქართველ-ოსთა საბრძოლო კავშირი და თანამეგობრობა შემდეგშიც არ წყდება. იესე ოსეს ძე ბარათაშვილის, ერეკლე II მდივნის, ცნობით: 1778 წლის ზაფხულში ერეკლე II „იყო დიდს მზადებაში და ჰყვა ჯარი დაბარებული ლეკისა, ოსისა, ქისტისა, ქართლისა, კახეთისა და არავინ იცოდა. თუ სად ნებავს წასვლა და იყო დიდს საქმეებში შესული"[4]. როგორც ვხედავთ, ერეკლეს დიდი საიდუმლოების პირობებში შემოუკრებია საკუთარი და ჩრდილო კავკასიური ჯარი. იესე ოსეს ძე არ გვეუბნება რა მიზნით იქნა გამოყენებული ეს ლაშქარი. ცნობილია, რომ 1779 წლის აგვისტოში ერეკლემ ილაშქრა ერევნის სახანოზე და ამ ბრძოლაში ოსებსაც მიუღიათ მონაწილეობა. კერძოდ, ამ ომის მონაწილედ მოჩანს თაგაურული ოსი ალდარი ბესლან შანაშვილი თავის ხალხით.

---

[1] АВПР, Сношения России с Грузией. 1769—76 гг. 110/2, № 12, ფურც. 76.

[2] იქვე, ფ. 238.

[3] Акты, I, გვ. 85.

[4] იესე ბარათაშვილის ცხოვრება — ანდერძი, ავ. იოსელიანის გამოც., თბ., 1950, გვ. 87 — 88.

1800 წლით დათარიღებულ ჯამაგირის წიგნში, რომელიც ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ გიორგიმ ბესლან შანაშვილს უბოძა, ნათქვამია: „...შენ შანაშვილს ბეასლანს კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან ჯამაგირი გქონდა გაჩენილი და ეს ჯამაგირის წიგნი ერევნის ომში დაგკარგოდა და ახლა ჩვენ გაგიჩინეთ წელიწადში ორმოცი მარჩილის ფარჩა. როცა შენ ჩვენთან ჩამოხვალ, ეს ჩვენგნით განწესებული ჯამაგირი ჩვენის კარის მოხელენნი ჩვენის სალაროდამ უკლებრივ მოგცემდნენ და შენც უნდა ჩვენის სამსახურის მცდელი და ერთგული იქმნებოდე...“[1]

1780 წელს ქუთაისში იმყოფებოდა რუსეთიდან წამოსული და შაჰის კარზე ნამყოფი ალექსანდრე ბაქარის ძე — ვახტანგ VI შვილიშვილი. იგი ქართლის ტახტზე ეცილებოდა ერეკლეს და თავის წამოწყების რეალიზაციისათვის ცდილობდა მომხრეთა გამრავლებას. ნარელი ოსების მხარდაჭერის მოსაპოვებლად მათ გავლენიან წრეებს ყოველწლიური ჯამაგირის წიგნები დაურიგა და მომავლისათვის მეტს დაჰპირდა, თუკი მისადმი ერთგულებას და სამსახურს აჩვენებდნენ. ალექსანდრე ბაქარის ძის ოსებზე გაცემული ჯამაგირის წიგნები ორ ათეულამდე შემორჩა. შეწყალებულებს იგი აზნაურობით იხსენებს, ხოლო მათ შორის ერთს, თუაშვილს ყაისს — თავადობით. მას ყველაზე მეტი ჯამაგირი აქვს დანიშნული — წელიწადში 100 მარჩილი, სხვებს კი საშუალოდ 50 მარჩილი. შეწყალებული „აზნაურები“ არიან სამურაშვილი გაბისა, ეფხიშვილი ჯაშე. ბათაზაშვილი გოქა, თვაშვილი ბოლათუყო, შიყოშვილი ბასილი, სალვაშვილი ყანთხუ, ჯანიშვილი ჯაჩი, ელადისშვილი ქუჯანი, ფარეშვილი ყანიბათი, მამიშვილი გოქა, აბაშვილი ვახტანგი, ხურუმიშვილი ჯანალდი, გისაშვილი დოდო, ბოთრომაშვილი გოგია და სხვ.[2].

ალექსანდრე ბაქარის ძის წიგნების შინაარსი ყველა ერთნაირია: „ნებითა ღთისათა, ჩვენ საქართველოს მეფის ბაქარის ძემან ალექსანდრემ და ძის ძემან მეფის ვახტანგისამან გიბოძეთ ეს წყალობის წიგნი შენ, ოსეთის თავადს თუაშვილ ყაისს,

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 13693.

[2] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 8851—8861, 9207, 9209—9211.

ამისთვის რომ შენს მამას ჩვენის მაჭისათვის ბევრი უმსახურია და ნამსახურობისათვის ყოველთვის ჩვენ და ყოველწლივ ასი მარჩილი გაგვიჩენია. ჩვენთან ჩამოხვიდე და მოგეცემოდეს ჩვენგან შენ და შენს შვილებს და ჩვენის შვილისა და შვილისშვილისაგან შენს შვილსა და შვილიშვილს სანამდინ ჩვენი გვარი იყოს მოუშლელათ. დაიწერა ჩემის ხელითა ქუთაისის ქალაქს იმერეთს მყოფლობაშია წელს ჩღპ (1780), ივნისის ით (13) რიცხვსა"[1].

XVIII ს. 80—90-იანი წლები ქართლ-კახეთში მიჩნეულია პროგრესული და რეაქციული ძალების მკვეთრი დაპირისპირების პერიოდათ. ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკას — მიმართულს რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებისაკენ ქვეყნის შიგნით და გარეთ მრავალი მტერი გაუჩნდა. მრავალი მხრიდან მტრებით გარშემორტყმული საქართველო მოწინააღმდეგე ძალთა პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა. ასეთ პირობებში ოსებთან და ზოგ სხვა ჩრდილო კავკასიურ ხალხთან პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცება მომენტის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა. საამისოდ გარკვეული ღონისძიებები ტარდებოდა.

1785 წელს ქართლ-კახეთს ომარ-ხან ავარიელი შემოესია მრავალრიცხოვანი ჯარებით. ერეკლე II ენერგიული ზომები მიიღო მტრის დასახვედრად, შეკრიბა საკუთარი ჯარი, აგრეთვე მოიწვია ოსები და ინგუშებიც. ასე, რომ 1785 წლის 20 სექტემბრისათვის ერეკლესთან უკვე 400 ოსი და ინგუში მეომარი იყო მოსული[2].

1785 წელს ერეკლეს მიერ ოსთა ჯარის მოწვევისა და მათი გამოყენების საკითხზე შოგვეპოვება დოკუმენტური ცნობაც. ერეკლე II 1785 წლის 12 ოქტომბერს წერილს წერს ხევისთავს ფარსადან მაჩაბელს. მასში ნათქვამია: „...ყარაჯა ოსი გამოგვისტუმრებია და ოსეთში წიგნები მიგვიწერია, რომ ისინი მამაცობრივ გამოვიდნენ და თამარაშენს და იმ ადგილებში ორსაოდ კვირას დადგნენ, თუ ვინიცის იმ ლეკის ჯარმა

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 8855.

[2] Н. Дубровин. Братья Потемкины на Кавказе, Русский вестник, № 11 и 12-й, 1878 გვ. 69.

მანდეთკენ მოსვლა მოინდომონ, სროლა აუტეხონ და არ შემოუშონ, ჩვენც ყარაულები გვიყენია. ის ჯარი რომ ახალ-ქალაქიდამ აიყრება და ქართლისაკენ წამოვა, ჩვენც აქედამ რუსის ჯარით და ჩვენის ჯარით საჩქაროდ გამოვუდგებით და მოგეშველებით. თუ ქცხილვანის ხეობისაკენ წამოვიდნენ, ჩვენც უკან გამოვყვებით და თუ გორსა და იმას ზეით მივიდ-ნენ სადმე, ოსებსაც ჩვენთან დავიბარებთ და ვალაშქრებთ და წყალობასაც დავმართებთ, და თუ გორს ქვეით მივლენ სადმე. ოსებს იქ არ დავპატიჟებთ ლაშქრობას და არც გვინდა. ამ ყარაჯას თქვენი კაცები გაატანეთ და გაისტუმრეთ, რომ ოსეთიდამ ჯარი გამოიყვანონ, და თუ ვისმე ოსს ფიქრი ჰქონ-დეს, თქვენ ხათრიჯამი უნდა გახადოთ და თავდებები მისცეთ... ამაზედ დიდად მტკიცედ ბეჯითნი უნდა შეიქნათ"[1].

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მოწვეულ ოსთა ლაშქარს განსაზღვრული ტაქტიკური ამოცანის შესრულება ევალე-ბოდა -- შებრძოლებოდა ლეკთა იმ რაზმებს, რომლებიც გორს ზემოთ გაიჭრებოდნენ და არ გაეშვა ისინი დიდი ლიახ-ვის აუზში. გორს ქვევით მოსალოდნელ სამხედრო ოპერაცი-ებში ერეკლეს ოსთა მონაწილეობა საჭიროდ არ მიუჩნევია. ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად აქ იგი საკუთარი ძალებით ვარაუდობდა მტრის დახვედრას.

ცნობილია, რომ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობით შეშფოთებული თურქეთი ყველა ზომას იღებდა ევნო მის-თვის, აქეზებდა მის წინააღმდეგ ამიერკავკასიელ მფლობ-ელებს, დაღისტნელ ფეოდალებსა და სხვა ჩრდილო კავკასიელ მფლობელებს. დუბროვინის ცნობით, «посланные Порты от времени до времени появлялись в разных местах Закав-казья и Дагестане. Один из них пробрался к осетинам с поручением уговорить их портить дороги и прегра-ждать всякое сообщение России с Грузией... Осетины не согласились удовлетворить желанию Турецкого прави-тельства»...[2]

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 5607; საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, № 212, გვ. 200.

[2] Братья Потемкины на Кавказе, гг. 73.

1788 წელს ერეკლეს დაბარებული ჰყოლია თაგაურელ-ოსთა ჯარი. ჩვენ არ ვიცით რა მიზნით გამოიყენა ერეკლემ გადმოყვანილი ოსთა ჯარი, ოღონდ ამ ფაქტის დამადასტურებელ საბუთიდან ჩანს, რომ ერეკლეს ძალიან საჭიროდ მიაჩნდა მათი ყოფნა თავის სამეფოში. 1788 წელს დათარიღებულ წერილში აითეგ თაგაურისადმი ერეკლე II წერდა: „ჩვენ მაგიერად თაგაურსა აითეგს მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი ბიძაშვილი ჯანალდი რომ მოკვდა, შენვე იცი რომ ჩვენ დიდად გვეწყინა. რამდენსაც ვეცადენით, შენ აღარ იცადე და ეგ მკვდარი წაიღეე. ახლა ეს ჩვენი წიგნი საცა მოგეწიოს. შენ აქ ჩვენთან დაბრუნდი, ეგ მკვდარი სამის ოთხის კაცის ჯელით გაისტუმრე. აქ ჩვენთან უნდა ჩამოხვიდე. რომ მაგ მკვდრის საქმეც გავარიგოთ და შენი გულიც მადრიელი ვაპყოფოთ... ოთხის კაცით დაბრუნდი და სხვანი გაისტუმრე და ან მოაცდევინე“[1].

XVIII ს. 90-იან წლებში ჩრდილო ოსები მონაწილეობას ღებულობდნენ იმერეთის ტახტის გარშემო გაჩაღებულ ბრძოლაში, რამდენადაც ისინი მხარს უჭერდნენ ერეკლე II შვილიშვილს დავით არჩილის ძეს. საქმე შემდეგში იყო: 1784 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I, ტახტისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე და სოლომონისავე ძმისწული დავით არჩილის ძე, ერეკლე II ქალის შვილი. ერეკლემ მხარი თავის შვილიშვილს დაუჭირა და გარკვეული საშეველო დახმარებაც გაუწია სამეფო ტახტის დაუფლების საქმეში.

1791 წელს პრეტენდენტთა შორის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა დავით არჩილის ძის (სოლომონ II წოდებულის) გამარჯვებით დამთავრდა. ისტორიკოსი ბაგრატ ბატონიშვილი შემდეგნაირად აგვიწერს ამ ბრძოლის დასკვნით ეტაპს: „მეფე დავით მივიდა ახალციხეს, მუნ ძალი მოირთო ლეკთაგან, ჩამოვიდა იმერეთს, არჩილის შვილი გარდააგდო და თვით დაჯდა მეფეთვე. ლტოლვილი არჩილის შვილი წერეთელმან პაპუნა შეიწყნარა, მეფე ირაკლის შემწეობა სთხოვა. მეფემან ირაკლიმ თვისისა ქალის შვილობის მიერ შემწეობა

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 3640.

აღუთქვა და წარავლინა შვილიშვილი თვისი იოვანე... ეგრეთვე ქიზიყის მოურავი ზაქარია ენდრონიკაშვილი და ქალაქის მოურავი დავით ციციშვილი წარატანა სპითა თვისითა და ეგრეთვე: თ ა გ ა უ რ-ქ უ რ თ ა უ ლ ნ ი და ორი ზარბაზანი საქართველოს არტირელისა". ამ ჯარებმა 24 ნოემბერს დაამარცხეს იმერლებისა და ლეკთაგან შემდგარი დავით გიორგის ძის ჯარები, აღადგინეს ტახტზე სოლომონ II და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ უკან[1].

ზემოხსენებულ ამბებში თაგაურელ და ქურთათელ ოსთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ერეკლეს გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა ჩაუტარებია. 1791 წლის 29 ივლისს ბრძანებაში გაბრიელ ყაზიბეგიშვილისადმი ერეკლე II წერდა: „...ეს შენი ძმა ბაადურ რომელსაც საქმეზედ გამოვისტუმრეთ, ის საქმე შენ და ამან ერთად უნდა იმოქმედოთ. რომელთათვისაც ახლა ჩვენ წიგნები მოგვეწეროს ყველაყას ახლათ უნდა შეატყობინოთ და მოამზადოთ: თაგაურებიც, ანგუშტელებიც, ქისტებიც, ღლიღვებიც და სხვანიც ჩაჩანს აქეთი კაცნი. ჩვენც მაგათთვის ცალ-ცალკე წიგნები მოგვიწერია მომზადებისა და ჩვენი კაცი და წიგნი როდესაც მოუვიდესთ, მაშინ უნდა დაუაროთ და დასძრათ ის ჯარები და როგორც დაგვებარებინოს, ისე გამოისტუმროთ. მაშინ იმ დაბარების დროს თავიანთ მისაცემს ჯამაგირებსაც და ულუფასაც წერილით გამოუცხადებთ და გამოუგზავნით"[2].

გაბრიელ ყაზიბეგიშვილს ერეკლეს ამ დავალების შესრულებაში თაგაურელთა მხრიდან რაღაც სიძნელეები შეხვედრია. ეს სიძნელეები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო თაგაურელ ოსთა წინააღმდეგობასთან მათ ტერიტორიაზე გამავალი დარიალის გზით სხვა ჩრდილო კავკასიური ტომების საქართველოში გამოტარების მიმართ. გაბრიელმა ერეკლეს ურჩია, რომ ზოგიერთ გავლენიან პირს თაგაურელთა წრიდან დამატებით რასმე დაპირებოდა და ამ გზით ისინი დაეთანხმებინა თავის პირობებზე. 1791 წლის 29 აგვისტოს ერეკლე პასუხობს მას: „...შენი წიგნი მოგვივიდა, რაც ეწერა ყველა

---

[1] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 63.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 10276 დ.

შევიტყევით. შენ როგორც ჩვენი სიტყვა გაქვს, ისე ყველაფ დაუარე და შეატყობინე და მზად იყვნენ. თაგაურებისა რომ მოგეწერა ზოგიერთს კაცს ცალკე დაჰპირდი რასმეო, ჩვენგან ეგ არ იქნება, ამიტომ რომ მაგათ ჩვენი წყალობაც სჭირსთ, ჯამაგირებიც აქვსთ. მოვლენ. თავიანთ ჯამაგირსაც აიღებენ და სხვაც მიეცემათ ხოლმე. ნიადაგ ჩვენი მადრიელნი წასულან და ახლა მაგგვარი ლაპარაკები რათ უნდათ. როდის უნახავთ, რომ ჩვენ მაგათთვის გვემტყუნებინოს და თუ მაგათ არ უნდათ, ჩვენ სხვის გზასაც ვიშოვნით და იმაზე მოვიყვანთ ჯარსაც. მძევლების რომ მოგეწერა, როგორც კვლავ მომხღარა, ახლაც ისე უნდა მოხდეს"...[1]

თაგაურელთა მოთხოვნებისადმი ერეკლეს ასეთი კატეგორიული პოზიციის მიუხედავად მოლაპარაკება მაინც გაგრძელებულა. 1791 წლის 19 სექტემბერს ერეკლე გაბრიელ ყაზიბეგიშვილს წერდა: „...შენი ძმა ივანე მოვიდა და შენი წიგნი და თაგაურების წიგნი მოგვიტანა, რაც ან თაგაურებს და ან შენ მოგეწერა, ვიუწყეთ და თაგაურებსაც პასუხი მივწერეთ. როგორც ეგენი დაგვიბარებია, თუ ისე ჩამოვიდნენ და მძევლებსაც ჩამოიყვანენ ხომ ის არის და თუ ისე არ ჩამოვლენ, უფროს უფროსნი კაცნი ასეთნი ჩამოვიდნენ და მძევლებიც ჩამოიყვანონ, რომ რაც იმათთან ლაპარაკი და მორიგება მოხდეს, ის დამტკიცდეს, სხვათა წინააღმდეგობა და მოშლა აღარ შეეძლოსთ. თუ ღთის ნება არის და კარგად რიგიანათ მოვრიგდებით, ხომ ის არის და თუ რიგიანათ ვერ მოვრიგდებით, მასუკან მაგათ თავიანთი გზა დარჩებათ და ჩვენს ქარავნის კაცთ სხვას გზაზედ ვატარებთ. და აქ რომ ჩამოვლენ, თუ ვისთანმე სამართლიანი სალაპარაკო ექნებათ რამე, ხათრიჯამნი იყვნენ სამართლიანის საქმით კარგად გაურიგებთ და ვინც დაბარებულნი არიან ჯარნი, ამ ორს დღეს უკან კიდევ კაცს გამოვისტუმრებთ და ის სწორეთ მოგიტანს ჩვენს სიტყვას... თუ მზანი იყვნენ, ეს წიგნი რომ მოგვიდესთ, მაშინვე წამოვიდნენ, სხვას უკანა მომავალს ჯარს ნულარ მოუცდიან... რომელნიც ჩერქეზები იყვნენ წამოსასვლელნი, თაგაურებისათვის მიგვიწერია, რომ გზა დაანებონ..."[2].

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 10276 გ.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, 10276 ბ.

მოყვანილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თაგაურელ ოსებზე იყო დამოკიდებული საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან დამხმარე ჯარების ქირით გადმოყვანის საქმე. თაგაურელი ოსები გრძნობდნენ თავის პოზიციების სიმტკიცეს და მას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ, საზღაურს მოითხოვდნენ გზით მოსარგებლე სავაჭრო ქარავნებისა და მგზავრებისაგან. ერეკლეს მუქარა, რომ თუ თაგაურელები მის პირობებს არ დაჰყვებოდნენ, ე. ი. არ შეკვეცავდნენ თავის პრეტენზიებს, ის სხვა გზას იშოვიდა და იმ გზით გადმოიყვანდა დაქირავებულ ჯარს, ატარებდა სავაჭრო ქარავნებს, რეალური არ იყო. ამას გრძნობდა თვითონაც და მოლაპარაკების გაგრძელება ამჯობინა. ჩვენ საბუთები არა გვაქვს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორ დამთავრდა მოლაპარაკება. იგი რომ წარმატებით დამთავრებულა, ამას მოწმობს 1791 წლის ნოემბრის თვეში, ერეკლეს ინტერესების შესაბამისად თაგაურელი და ქურთათელი ოსების მონაწილეობა იმერეთის ტახტზე სოლომონ II წოდებული დავით არჩილის ძის განმტკიცების საქმეში. მოლაპარაკება დამთავრებულა ურთიერთდათმობების პირობებში.

მოყვანილ საბუთებში და სხვაგანაც, სადაც ოსთა დაქირავებული ლაშქრის გადმოყვანაზეა ლაპარაკი, ხშირად ფიგურირებს მძევლობის საკითხი. თაგაურელ ოსებს ჯარის გადმოყვანისას მძევლები უნდა მიეცათ. მძევალთა მიცემა არ ნიშნავდა ქართველ და ოს ხალხთა შორის უნდობლობის არსებობას. ფეოდალური ეპოქის პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში მძევლობის ინსტიტუტი დიდ როლს ასრულებდა. იგი იყო სახელმწიფოთა, ხალხთა თუ ცალკეულ ფეოდალთა შორის დადებული შეთანხმების სიმტკიცისა და აღსრულების ერთ-ერთი ძირითადი, თუ ერთადერთი არა, გარანტია. ამის გამო მას საყოველთაო გამოყენება ჰქონდა. ამიტომაც დამკვიდრდა ტრადიცია, რომ თაგაურელი ოსები მძევლებს იძლეოდნენ, როგორც იმის გარანტიას, რომ დარიალის გზით ისინი სხვა ხალხთაგან დაქირავებულ ჯარს დაუბრკოლებლად გამოატარებდნენ.

მძევლები იმ მხარის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ, რომელიც მათ აიყვანდა. ერეკლე II 1789 წელს ასეთ მძევლების შენახ-

ვასთან დაკავშირებით გორის მამასახლისს წერდა: „გორის მამასახლისო თორმეტ ოსის მზევალს გუშინდელი და დღევანდელი რვა ლიტრა ქერი ცხენებისათვის მიეც და დღეისათვის საში თუნგი ღვინო მოეც“...[1]

1795 წელს ქართველ ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ირანის შაჰი აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი 35 ათასი მეომრით შემოიჭრა ქართლში და თბილისს მოადგა. დრომოჭმულმა თავადურმა სისტემამ საშუალება არ მისცა ერეკლეს თავდაცვისათვის მოემზადებულიყო. 5000 მეომრით იგი გაბედულად დახვდა მტერს. 11 სექტემბერს კრწანისის ველზე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ქართველთა ჩვეულმა თავგანწირულებამ ისინი მრავალრიცხოვანი მტრის მიერ დამარცხებისაგან ვერ იხსნა. მოხუცი მეფე ერეკლე მტრის ხელში ჩავარდნისაგან მისმა შვილიშვილმა იოანემ და სხვათა თავდადებამ იხსნა.

ჩვენ პირდაპირი მითითება არა გვაქვს ამ ომში ოსთა მონაწილეობის შესახებ. ჩრდილო ოსები ამ ომის მონაწილეებად არ არიან საგულვებელნი. ომისათვის ქართველთა მზადება იმდენად სუსტად იყო ორგანიზებული, რომ მათი მოწვევა შეუძლებელი იქნებოდა. რაც შეეხება სამხრეთელ ოსებს — არაგვის, ქსნის და ლიახვის ხეობათა მცხოვრებლების სახით, მათ კი აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბრძოლაში. ცნობილია, რომ ამ ომში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბატონიშვილებმა იოანემ, დავითმა და ვახტანგმა. კრწანისის ველზე ქართველთა ლაშქარიც ძირითადად სწორედ ამ ბატონიშვილების საუფლისწულოებიდან გამოყვანილი ჯარებისაგან შედგებოდა. რამდენადაც სამივე ბატონიშვილის საუფლისწულოები შერეულ ქართულ-ოსურ მოსახლეობას შეიცავდნენ, მათგან გამოყვანილი ჯარიც ასევე შერეული ქართულ-ოსური იქნებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კრწანისის ველზე ქართველმა და ოსმა ხალხმა მტრის მრავალრიცხოვან ურდოებთან უთანასწორო ბრძოლაში საერთო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ერთად დაღვ-

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 4481.

რილი სისხლით განამტკიცეს მათ შორის საუკუნეების მანძილზე ტრადიციად ქცეული საბრძოლო თანამეგობრობა.

ოსთა მონაწილეობა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დასტურდება არაპირდაპირი დოკუმენტური მასალებითაც. ომის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და გმირი იოანე ბატონიშვილი 1796 წლის 30 სექტემბერს ტბელ ოსებს — თუაურებს წყალობის წიგნს აძლევს. „ჩვენ ბატონის შვილმა იოანემ ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულსა და ნამსახურსა, ყმას ტბელს ოსს თუაურს ორას, შვილსა შენსა ხოსროსა, ათასა და შვილის შვილსა შენსა გაბილასა, მამესეს და მამავალთა სახლისა შენისათა, ასე რომ ამ ჟამში ერდგულად გვემსახურე და ამ ერდგულად სამსახურის მაგიერად ეს სითარხნის წყალობა გვიქნია... სრულებით გაგვითარხნებიხარ და კიდევაც წყალობას მოელოდეთ“...[1]

როგორც ვხედავთ თუაურებს იოანესათვის ისეთი დიდი სამსახური გაუწევიათ, რომ ამისათვის მათ მრავალრიცხოვან ოჯახს სრული თარხნობა მისცა და სხვა წყალობის მიცემაც აღუთქვა. ამ საბუთიდან არ ჩანს, კონკრეტულად რა სამსახური გაუწიეს თუაურებმა „ამ ჟამს“ იოანეს, თუმცა ქრონოლოგიურად იგი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ახლო ხანას ემთხვევა.

იმავე თუაურებისათვის იოანეს მიერ 1796 წლის ნოემბერში შამულის წყალობის შესახებ მიცემულ წიგნში უკვე გარკვევითაა ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა სამსახური გაუწიეს მას ხსენებულმა ოსებმა, რითაც ასეთი დიდი წყალობა დაიმსახურეს. მასში ნათქვამია: „...შენ (ხოსრო თუაური. — გ. თ.) ჩვენ გვახლდი და არეულობაში [შე]გვრჩი და თავდადებით გვემსახურე... და თქვენი სამსახურის სამუქფოთ ფოსურას მამული გიბოძეთ... შენ კარგად გვემსახურე იმ აღა-მამადხანის დროს და ჩვენც ამიტომ მოგეცით“[2].

ქართველი და ოსი ხალხების პოლიტიკური ურთიერთობა ერეკლე II მემკვიდრე გიორგი XII დროსაც (1798 — 1800)

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 458.

[2] იქვე, 516.

გრძელდებოდა. მის დროს ქვეყნის შინაფეოდალურმა აშლილობამ უკიდურესობამდე მიაღწია. სამეფო ტახტისათვის გიორგისა და მის ძმებს შორის შეურიგებელი მტრობა ჩამოვარდა და ამან ქვეყნის ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ასეთ პირობებში ქვეყანას საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება არ შეეძლო და ისტორიულ წყაროებსა თუ დოკუმენტებშიც ქართველ-ოსთა პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები ამ დროისათვის სუსტადაა ასახული.

ამ პერიოდის ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა ოსებთან ურთიერთობის დასახასიათებლად საინტერესოა ვახტანგ ბატონიშვილის 1798 წლის 28 მაისის ბრძანება ზახელ და თრუსოელ ოსებისადმი. „ბატონის შვილი ვახტანგ გიბძანებ ზახელებო და თრუსოელნო, — ნათქვამია მასში, — ჩვენი ძმის წული ბატონის შვილი დავით ქურთაულზედ მობძანდება. როგორც თქვენს ერთგულობასა და ნამსახურობას შეეფერებოდეს, ისე თავდადებით გაისარჯენით და კარგად ემსახურენით რაც თქვენი სამსახური დასჭირდეს. ხომ იცით, არც იმის სიმაღლეს ჩვენს ძმის (გიორგი XII — გ. თ.) შვილებთან დაგეკარგებათ ეს სამსახური და არც ჩვენთან“...[1]

დოკუმენტიდან ჩანს, რომ ვახტანგ ბატონიშვილის ხელისუფლება თავის ყმების — თრუსოელი ოსების მიმართ შეუზღუდველი არ იყო. ასეთივე იყო იგი ზახელების მიმართაც, რომლებიც ასევე სახასო ყმების კატეგორიას ეკუთვნოდნენ. მათ მიერ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ იგი იძულებული იყო მათთვის რაღაც წყალობის დაპირება მიეცა.

თვით გიორგი XII ურთიერთობა უხდებოდა თაგაურის ოსებთან. 1800 წლის 24 იანვარს იგი თაგაურებს წერდა: „...ჩვენი ეშიკაღაბაში გარსევან და ჩვენი მდივანი ელიზბარ დიდებული კელმწიფის კარზედ გავგზავნეთ და თქვენ უნდა რომ თქვენიდამ როგორც რიგი არის მზეცლები მისცეთ სტეფანწმინდას, ყაზიბეგიშვილს ბაადურთან უნდა დააყენოთ და ესენი ისე კარგის სიფრთხილით და მშვიდობით უნდა

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 1862.

გარდააცილოთ... ამ სამსახურს დიდათ დაგიმადლებთ და ჩვენგანაც წყალობა დაგემართებათ...“[1]

გარდა აღნიშნულისა, გიორგი XII მრავალ თაგაურელ ოსს უახლებს იმ წყალობა-ჯამაგირების წიგნებს, რომელნიც მათ ადრეცვე ჰქონიათ მიღებული ქართველ მეფეთაგან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე მისი პოლიტიკური მესვეურები ოსებთან დამოკიდებულებაში თითქმის ყოველთვის ლოიალურ პოლიტიკას ატარებდნენ. ისტორიული წყაროების ცნობებიდან ისიც ჩანდა, რომ მათთვის უცხო არ იყო ოსთა სრული დამორჩილების ცდებიც, ოღონდ ქვეყნის ისტორიული ვითარება ამ ცდების წარმატებას ხელს ვერ უწყობდა. გიორგი საკაძის, ვახტანგ VI, ერეკლე II ლაშქრობები ოსებზე ძირითად მიზნად სამხრეთელ ოსთა მორჩილებაში მოყვანას ისახავდა. ამ მიზანს მეტნაკლებად ისინი კიდევაც აღწევდნენ. რაც შეეხება ცდებს, მიმართულს ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მიერ ჩრდილო ოსების დამორჩილებისადმი, განსახილველ პერიოდში ისინი არ ჩანან. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ისეთი რთული ამოცანა იყო, რომლის გადაჭრასაც ქართული ფეოდალური სამყარო ამ პერიოდში ვერ შესძლებდა. მრავალი მხრიდან მტრებით გარშემორტყმული საქართველო ჩრდილოეთის მეზობლებთან კეთილსასურველი ურთიერთობის დამყარებისა და ამ გზით მათი მხარდაჭერის მიღების პოლიტიკას ახორციელებდა. შრომის წინამდებარე თავი კარგად გვიჩვენებს, რომ ამ პოლიტიკას თავის დადებითი შედეგები ჰქონდა. მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს ჩრდილო ოსების სახით საიმედო სამხედრო მოკავშირე ჰყავდა. რაც შეეხება სამხრეთელ ოსებს, ისინი ქართული სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ და ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მონაწილეობას საგანგებო ხაზგასმა არც კი სჭირდება. ისინი იმ პოლიტიკური ცხოვრების სიავკარგის მონაწილენი და შემოქმედნი არიან, რომელიც ქართულმა სამყარომ XV — XVIII სს. გამოიარა.

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 3613.

საკითხზე მსჯელობისას მთელი საქმე თითქმის ქართლ-კახეთის ოსებთან ურთიერთობაზე იყო დაყვანილი. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლურ ქართულ სამყაროსთან ოსთა პოლიტიკური ურთიერთობა გამოირიცხება. არსებობს ცნობები, რომ ოსთა განსაზღვრული ნაწილი იმერეთის სამეფოს ემორჩილებოდა. «Стирдигорские феодалы — царгасаты находились в вассальных отношениях с имеретинскими царями; они оказывали им военную помощь, цари жаловали их верхне-рачинскими деревнями (Геби, Чиори, Гласи и др.)»[1] იმერეთის სამეფოს მორჩილებაში უნდა ჩაითვალონ კუდაროელი ოსებიც. აკად. გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ „ჯეჯოზე მდებარე მხარე დვალეთი ეკუთვნოდა რაჭის ერისთავის თავადურ გვარს, ხოლო მისი დამხობის შემდეგ არის უშუალო საკუთრება იმერეთის მეფის სოლომონისა; ერეკლე მეფესაც აქვს მასზე ძველი პრეტენზია (ადრე ეს მხარე ქართლის სამეფოში შემავალად იხსენება ბ. ეგნატაშვილის მიერ. ვახტანგ VI 1711 წელს ოსეთზე ლაშქრობისას ეს მხარეც დალაშქრა და შემოიმტკიცა. რა პირობებში დაკარგა იგი ქართლის სამეფომ, არ ჩანს. — გ. თ.), ან ყოველ შემთხვევაში სურს რომ ჰქონდეს"[2].

გარდა აღნიშნულისა, ხაზი უნდა გაესვას ნარ-მამისონის ოსების, ასევე ჩრდილო ოსეთის სხვა რაიონების მოსახლეობის ინტენსიურ ეკონომიურ ურთიერთობას დასავლეთ საქართველოს საბაზრო ადგილებთან — ონთან (რაჭაში) და ხონთან. რაჭის საერისთავოს ოსებთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობაც ჰქონდა. შემთხვევითი არ არის. რომ არჩილ მეფე და ვახტანგ VI რაჭიდან ამყარებდნენ ურთიერთობას ოსეთის ცალკეულ ნაწილებთან და მათი მეშვეობით რუსეთის სახელმწიფოსთანაც. ნარ-მამისონის მოსახლეობასთან სოლომონ I-ის ურთიერთობას მოწმობენ რუსეთის სამსახურის კაპიტან შტედერის წერილი და აქაური სოციალური ზედაფენების მიმოწერა პავლე პოტიომკინთან, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი და ამჯერად აღარ შევჩერდებით.

---

[1] История Северо-Осетинской АССР, გვ. 102.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 171—173.

სამწუხაროდ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებთან ოსი ხალხის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებზე საკმაო პირდაპირი ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება და, ამდენად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას ცალკე გამოვყოთ და დაწვრილებით განვიხილოთ იგი.

1801 წელს ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა. ამიერიდან ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა ახალ, პრინციპულად განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა. რუსეთის დახმარებით ქვეყნის წინაშე მუდმივად აღმართული საგარეო საფრთხე გაჰქრა და ქართველი და ოსი ხალხების სამხედრო-პოლიტიკურმა ურთიერთობამ ადგილი დაუთმო მათი მშვიდობიანი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. მაგრამ გარეშე მტრების წინააღმდეგ ქართველი და ოსი ხალხების ერთობლივი ბრძოლის გამოცდილება უკვალოდ არ გაქრალა. იგი გადაიზარდა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ამ ხალხთა ერთობლივ ბრძოლაში. ბრძოლაში, რომელიც წარმოადგენს მათი შემდგომი ისტორიის ძირითად შინაარსს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

თ ა ვ ი V

სამხრეთელ ოსთა სოციალური ისტორიიდან

§ 1. ქართლში ოსთა განსახლების საკითხისათვის

გვიანფეოდალური საქართველოს ისტორია სავსეა განუწყვეტელი ომებით. მტრების მიერ ქვეყნის მრავალგზისი აოხრების შედეგად მოსახლეობა კატასტროფიულად შემცირდა. ქვეყანა ნასოფლარებითა და ბეითალმანი მამულებით დაიფარა. საქართველოს პოლიტიკური მესვეურები კარგად ითვალისწინებდნენ შემცირებული მოსახლეობის შეუსაბამობას ქვეყნების შემდგომი განვითარების საქმისადმი და ცდილობდნენ ამ მავნე მოვლენის ლიკვიდაციას ქართლ-კახეთში მოახალშენეთა მოზიდვისა და დასახლების გზით.

ოს ხალხთან არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მესვეურებს საშუალებას აძლევდა გამოეყენებინათ ისინი თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის და წაექეზებინათ ქართლის რაიონებში მათი ჩამოსახლება. თავის მხრივ, კავკასიონის ქედის ვიწრო და უნაყოფო ხეობებში მოსახლე ოსების ეკონომიური ყოფის სიდუხჭირე განსაზღვრავდა ბარის მიმართულებით მათ სწრაფვას.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მასობრივი გადმოსახლების პირველი ეტაპი XIII ს. 60-იან წლებში დაიწყო და XIV ს. პირველ მეოთხედში დამთავრდა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა ოსთა ამ გადმოსახლებისათვის გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა. დავით ულუმ XIII ს. 60-იან წლებში გადმოსახლებული ოსთა დიდი ჯგუფი სამ ნაწილად გაჰყო და თბილისის, ჟინვანისა და დმანისის რაი-

ონებში დაასახლა. როდესაც ოსთა ახალ-ახალი ჯგუფების გადმოსვლა გაგრძელდა, მათი ორგანიზებული დასახლება შეუძლებელი გახდა. ამ პერიოდში მონღოლთაგან დამარცხებულმა და კავკასიის მთებს შემოხიზნულმა ოსურმა მოსახლეობამ ტალღასავით გადაუარა დიდი ლიახვის აუზს, შიდა ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს და დღევანდელი გორი — ქარელი — ხაშურის რაიონებში შეგუბდა. სოციალური თვალსაზრისით ოსთა ეს გადმოსახლება ქართველი მიწისმფლობელი კლასის — აზნაურობის ექსპროპრიაციას ნიშნავდა, რამდენადაც ოსთა დამკვიდრება ქართლში ამ აზნაურთა მამულებზე უნდა მომხდარიყო. ეს მომენტი კარგად ჰქონდა შემჩნეული ამ ამბების თანამედროვე ანონიმ ისტორიკოსს ყამთაღმწერელს როცა წერდა, რომ ოსთა მთავარი ბაყათარი „განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკვდრთა ქართლისათა"[1]. გიორგი ბრწყინვალემ (1314 — 1346 წწ.) ქართველ მიწისმფლობელთათვის ოსთაგან მომდინარე საფრთხე ენერგიული ღონისძიებებით აღკვეთა და ოსები სოციალურ-პოლიტიკურად დაიმორჩილა.

ოსთა საქართველოში გადმოსახლების პროცესის ამგვარი დასასრული, ისევე როგორც ქართული ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებანი — ოსები მცირე ჯგუფებად დაესახლებინა ქართულ მოსახლეობას შორის, განაპირობებდა ამ ოსების შემდგომ ბედს — ქართული საზოგადოების მიერ მათ ასიმილაციას. არაქართული მოსახლეობის გაზრდის ამოცანა (ამ არაქართველთა გაქართველება — ასიმილირების პირობით) ქართველი პოლიტიკოსების წინაშე ხშირად ისმებოდა.

XIII — XIV სს. საქართველოში გადმოსახლებული ოსების ქართველებთან თანაარსებობა და უკანასკნელთაგან მათი თანდათანობით შერწყმა კარგახანს უნდა გაგრძელებულიყო. ოსთა გადმოსახლება საქართველოში არც ამის შემდეგ შეწყვეტილა. იგი გრძელდებოდა, ოღონდ ისეთი ფართო მასშტაბი აღარ მიუღია.

1771 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 316.

ოსთა, ანუ სამხრეთის ოსთა შესახებ სტატისტიკური ცნობებიც გვაქვს. ამ ცნობების წყარო ერეკლე II ბრძანებით 1770 წელს ჩატარებული აღწერა ყოფილა. აღწერის თანახმად „არაგვის ოსი ზახას, თრუსოს, ჭვრივს, ხადას და ღუდეს 1200 კომლი (არაგვის დანარჩენი მოსახლეობა 2100 კომლს შეადგენდა.—გ. თ.). ქსნის ოსი კომლი 2000 (დანარჩენი მოსახლეობა 1600 კომლი. — ვ. თ.), მაჩაბლის ოსი 860 კომლი"[1]. ზ. ვანეევი, ა. ცაგარლის მასალებზე დაყრდნობით სამეფო, ანუ სახაზინო ოს გლეხთა რაოდენობას 1400 კომლით განსაზღვრავს. იგი თვლიდა, რომ 1771 წლისათვის საქართველოში მოსახლე ოსთა რაოდენობის 5400 კომლით განსაზღვრა (არაგვზე — 1200. ქსანზე — 2000, სამაჩაბლოში — 800, სახაზინო — 1400) ზუსტი არ არის, რადგან კუდაროსა და მდ. ფრონეზე მცხოვრებ ოსებს არ მოიცავსო[2]. მართლაც, ცნობებში არამარტო კუდაროს ოსები არ არიან მოხსენიებულნი, არამედ ქართლის სხვადასხვა რაიონებში გაფანტული და ქართველებთან შერეულად მცხოვრები ოსებიც. ოსები მოსახლეობდნენ ფავლენიშვილთა. ფალავანდიშვილთა. თუმანიშვილთა და სხვათა ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲖᲔ. ოსური მოსახლეობა (შეიძლება უმნიშვნელო რაოდენობით) საგულვებელია კახეთშიც. ასე, რომ 1770 წლისათვის სამხრეთელ ოსების საერთო რაოდენობა უნდა განვსაზღვროთ 6000 კომლამდე.

თუ როგორ მიმდინარეობდა ქართლის ᲑᲐᲠᲨᲘ ოსთა განსახლების პროცესი, ამაზე დოკუმენტური მასალები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურდება XVII — XVIII საუკუნეებში.

XVII ს. პირველ ნახევარში ვინმე ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაზა მაჩაბლებისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში ნათქვამია, რომ „ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო-რა. მოვყიდე ზემო ჯავას ძიგანი-

---

[1] გაზ. „კვალი", 1898, 8 მარტი. № 11, გვ. 194; დ. გერიტიშვილი. დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, I, გვ. 120.

[2] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX в., Сталинир, 1956, გვ. 18.

ძის მამული მისითა სასაფლაოთა, საკნავითა, სათიბითა, წყალითა, საძებრითა და უძებრითა. ძიგანიძე, მისი მემკუიდრე დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდია ჩუენი მკუიდრი მამული შემოუცილებელი ყოვლის მებატონისაგან, ვერც ბატონი ჩუენი შემოგეცილოს და ვერც სხვა... ასეთს დროს მოგყიდეთ, რომე ორგან, სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმა ცოლი გაყიდის და თავად დარჩის. ჩუენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა. ჩუენის მკუიდრის მამულის ნავაჭრის ფასი მივასწარით და ღუთით დავრჩით. ღმერთმან დაგიმადლოს, რომე ჩუენი მკუიდრი მამული იყიდეთ და დაგუარჩინეთ, თვარემ სრულობით ამოესწყდებოდით"...[1]

საბუთი მრავალმხრივაა საინტერესო. იგი ადასტურებს დიდი ლიახვის შუა დინებაზე ოსთა მოსახლეობას. ზემო ჯავა ოხრდება. ამას ემატება საშინელი შიმშილი, რომელმაც სულ გააუკაცურა მხარე. ბევრი ამოწყდა, ზოგმაც მკვიდრი მამულის გაყიდვის გზით არსებობა კი შეინარჩუნა, მაგრამ მძიმე ფეოდალური დამოკიდებულების უღელში გაჰყო თავი. ასეთ პირობებში მაჩაბლების ფეოდალური გვარი, რომლის აღზევება სწორედ მაშინ მიმდინარეობს, სარგებლობს სხვა წვრილი ფეოდალების თუ მიწათმფლობელების მძიმე მდგომარეობით და ჩალის ფასად ხელთ იგდებს ამოწყვეტილ მამულებს. მაგრამ მარტო ყიდვა არ იყო მაჩაბლების მიერ აღნიშნული ადგილების ხელში ჩაგდების ერთადერთი გზა. ადგილი ჰქონდა აშკარა მიტაცებასაც.

ჩვენ არ ვიცით მაჩაბლები ამ დროს პირველად იდგამდნენ ფეხს ჯავის მიდამოებში, თუ სხვა მებატონეებთან ერთად იქ განსაზღვრული ადგილ-მამული მანამდეც ჰქონდათ და მის მხოლოდ გაფართოებას ცდილობდნენ. ერთი რამ ცხადია: მაჩაბლები ჰქმნიდნენ მიწის ფონდს მთიდან ბარისაკენ დაძრული ოსების დასასახლებლად და მათ თაჯის დამოკიდებულებაში მოსაქცევად. ზემო ჯავის მიდამოებში მაჩაბლების ბატონობა ნიშნავდა ამ უკანასკნელთა ბატონობას მთიდან ქართლის ველზე გამოსასვლელ გზაზე. მათ ხელში ეს უძლი-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 363 — 364.

ერესი საშუალება იყო კავკასიის მთების სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ოსებზე ზემოქმედებისათვის.

ამრიგად, მაჩაბლები აფართოებდნენ რა თავის ადგილმამულებს დიდი ლიახვის აუზში, მათზე ასახლებდნენ ოსებს. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაუტარებია ბაადურ მაჩაბელს (XVII ს. მეორე ნახევარი). მან გააშენა ამოწყვეტილი სახასო ადგილები და სამეფო ხელისუფლება ფაქტის წინაშე დააყენა. უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, რომ მაჩაბლების მიერ უკვე მითვისებული სახასო ადგილები მაჩაბლებისათვის სამეფო კარის წყალობად გაესაღებინა და მათთვის დაემტკიცებინა. ქართლის მეფე შაჰყულიხანი 1704 წლის წყალობის წიგნით ბაადურ მაჩაბლის შვილებს ფირანს და ბორტის უდასტურებს, რომ „ამას წინათი ჩვენი სახასო მთის ადგილები მამა შენს ბადურს აეშენა, პატრონს მეფეს მამაჩვენს და პატრონს მეფეს ჩვენს ძმასაც თქვენთვის ასე წყალობა ექნა, რომა იმაში თქვენის სახლისკაცებისათვის წილი არ დ/ა/ედვა... რადგან სახასო ადგილი აგეშენა, ჯელმწიფი/თ/, თქვენთვის ებოძათ. ამაში შენს სახლის კაცთ ხელი არა ჰქონდათ. თქვენი ნაქონი მთის ალაგი ისრე ისევ თქვენ გიბოძეთ, რომ თქვენს სახლის კაცებს იმაში ხელი არავისა აქვს“[1].

მეფე ალიყულიხანის 1714 წლის 25 მაისის წყალობის წიგნით ძმებს ლევან და დავით მაჩაბლებს, აგრეთვე მათ ბიძაშვილებს — ფარსადანსა და ალხაზას მთაში ნასოფლარები მიეცათ. „რა რიგათაც სხვათ მაჩაბლებს თავისი მთის კაცნი და დვალნი ემსახურებოდნენ, თქვენც რაც დაასახლოთ, ისე გემსახურნენ“[2] — უცხადებს მწყალობელი შეწყალებულ მაჩაბლებს და აშკარად ხდის მაჩაბლების საქმიანობის ნამდვილ აზრს — ყმა-მამულის გამრავლებისადმი გაძლიერებულ სწრაფვას.

სამეფო ხელისუფლება, რომელსაც არ გააჩნდა საკმარისი ძალა მთაში თავისი სახასო ყმა-მამულის მოვლა-პატრონობისათვის, არათუ ხელს უშლიდა მაჩაბლებს იქ შეღწევადამკვიდრების საქმეში, არამედ აქეზებდა კიდეეაც მის ცალ-

---

[1] საქ. ცია, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 158.

[2] იქვე, საბ. 205.

კეულ წარმომადგენელთა ინიციატივას ნასოფლარების გაშენება-დასახლების საქმეში და პირად საკუთრებაში უმტკიცებდა მათ. სამეფო ხელისუფლება ამ შემთხვევაში მკვეთრად მიჯნავდა სახლისკაცების საკუთრებას ერთმანეთისაგან, იტოვებდა თავისთვის არბიტრის როლს მათ შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში.

უკვე 1736 წლისათვის მაჩაბლებს დიდი ლიახვის ხეობაში მნიშვნელოვნად გაუფართოებიათ თავისი სამფლობელო. 1736 წლის 15 აგვისტოს ალექსანდრე მეფის მიერ ბორტი მაჩაბლისათვის მიცემულ წყალობის წიგნში ნათქვამია: „...მოგვიდექით კარსა დარბაზისასა და თქვენისავე მკვიდრის მამულის წყალობას დაგვიჯენით... შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი მკვიდრი და ყოვლის კაცისგან უცილობელი მთის ალაგის ოსები გუფთა და ჯავას ხეობა, კოდა და კოშკის ჭალა, რაც თქვენი სამკვიდრო მამული გქონებოდათ და გქონდათ...“[1]

მოყვანილი საბუთების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდი ლიახვის აუზში მცხოვრები ოსების მაჩაბლების ფეოდალურ დამოკიდებულებაში მოქცევა XVII ს. იწყება. უფრო ადრე ეს ადგილები სხვა ფეოდალების და ნაწილობრივ. სამეფო კარის განკარგულებაში იმყოფებოდა. მაჩაბლების ფეოდალური გვარის სიახლეს ვახუშტიც ადასტურებს. მისი ცნობით, „მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას. აფხაზეთიდამ მოსვლას, გარნა ახალი არს“[2].

მაჩაბლების მამულებზე დასახლებული ოსები ტიპიური ყმა-გლეხების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი ფეოდალური ექსპლოატაციის მძიმე უღელს ატარებდნენ, იხდიდნენ ყოველგვარ ფეოდალურ გამოსაღებებს და ასრულებდნენ სამსახურს. მაჩაბლები განაგებდნენ თავის ყმა-გლეხთა ბედს — ჰყიდიდნენ, სცვლიდნენ, მოახლეს ართმევდნენ, განსაკუთრებულ შემთხვევაში ათარხნებდნენ და სხვ.

სამაჩაბლოს ოსთა ბეგარა-გადასახადებით დაბეგვრის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს სეფი-ხანის მიერ 1737

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., I, გვ. 255.

[2] აღწერა..., გვ. 25.

წელს ოთარ ამილახვრისადმი მიცემული წყალობის წიგნი. „...სხლელების და ჯავის ხეობის ოსი შენთჳს მოგჳბარებია და შენს ზავთში იყვნენ, ან თქვენ წადით და ამათი კომლი ასწერეთ და ან ერთი კაცი გაგზავნე, რომ ამათი კომლი დასწეროს. თუ თქვენ წახჳდეთ ქცხილვანს, მამასახლისიც თან იახელით, და თუ შენი წასვლა არ მოხდეს, ერთი შენი კაცი და მამასახლისი გაგზავნე, რამდონი კომლი არის დასწერონ და დავთარი შეინახე. როცა სხვას ოსებს ბეგარას გამოვართმევთ, იმ რიგათ, რაც მაგათი გაშოსაღები ბეგარა იქნება, მაგათ ბეგარასაც მაშინ აგაღებინებთ... ჯავის ხეობის ოსებო, ოთარ ამილახორის სიტყჳს მორჩილი იყავთ და რასაც ჩვენს სამსახურს გეტყოდესთ, გაუგონებდეთ“[1].

როგორც საბუთიდან ირკვევა, სპარსელმა მოხელემ სხლებისა და ჯავის ხეობის ოსები ოთარ ამილახვარს დაუქვემდებარა და დაავალა კომლთა აღწერის ჩატარება სპარსელთა სასარგებლოდ მათ დასაბეგრად. ოსებს უბრძანა სპარსელთა სამსახურის თაობაზე ამილახვარისადმი მორჩილება.

ქართლში თურქთა ბატონობის დროს (1723 — 1735 წწ.) სამაჩაბლოს ოსები სათათრო გამოსაღებს იხდიდნენ. თურქთა შემდეგ იგი სპარსელთა სასარგებლო გამოსაღებით შეიცვალა. აქედან გამომდინარე, ქართლში უცხოელ დამპყრობელთა გაბატონება მძიმე ტვირთად ატყდებოდა ოსურ მოსახლეობასაც. მძიმე ფეოდალურ გადასახადებს ემატებოდა არანაკლებ მძიმე გადასახადები უცხოელ დამპყრობელთა სასარგებლოდ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ უმაგალითო აოხრებარბევის შესახებ, რაც დამპყრობლების შემოსევას მოსდევდა შედეგად. ამით აიხსნება ქართველების მხარდამხარ ოსთა თავგანწირული ბრძოლა ქართლში შემოჭრილ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მაჩაბლების ყმა ოსების მდგომარეობას აშძიმებდა თვით ამ ფეოდალურ საგვარეულოს შიგნით არსებული წინააღმდეგობანი. ძლიერი სახლისკაცები ყოველმხრივ ავიწროებდნენ შედარებით სუსტებს, იტაცებდნენ მათ ყმა-მამულს. ოსები წინააღმდეგობას უწევდნენ მაჩაბლების თვითნებობას და

---

[1] საქართველოს სიძველენი, III, 1910, გვ. 447, სბ. 481.

სისასტიკეს. თუ რამდენად იყო დაძაბული მაჩაბლებისა და ოსების ურთიერთობა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მაჩაბლები იძულებული იყვნენ ზოგ შემთხვევაში თავდები მიეცათ ოსებისათვის თავისივე გვარიდან. ასეთი თავდებობა რომელიმე მაჩაბლისათვის უაღრესად სამძიმო იყო სოციალურ წინააღმდეგობათა უკიდურესი სიმწვავის გამო. ამას ნათლად ადასტურებს დათუა მაჩაბლის 1795 წლის არზა ერეკლე მეორისადმი. ის წერდა: „..ჩემის სახლის კაცისაგან ყმითა და მამულით აკლებული ვარ... ახლა ამ უსამართლობასაც არ მაჯერებენ. თქვენგან ღთიურის მოწყალებით რომ ვცოცხლვარ და იმ ქვეყანაშია ვარ. იქიდამაც ჩემს გამოძებასა ცდილობენ... ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ ოსებს თავდებად არავინ მიჰცეს და იმ ქვეყნიდამ სრულებით არ დავიკარგო და ჩემის ყმის და მამულის წყალობაც დამემართოს, რომ მიმძლავრებით უჭირამთ ჩემს სახლისკაცებს და სხვათაცა... ამას გარდა ჩემი წილი ოსები ბარძიმას და ზაზას უჭირამს“... არზას ერეკლეს შემდეგი ბრძანება აქვს წარწერილი: „ამ არზის პატრონს შენ რომ ასე სჩივი, შენი ოსებთან თავდებობა არავისგან იქნება, ყველამ ასე იცოდეს, ქართველმაც და ოსმაც“...[1]

მაჩაბლებს ოსებზე თავის ბატონობის განსამტკიცებლად უნდა ეცადათ ადგილობრივ დასაყრდენის შექმნა ოსთა მასაში პრივილეგირებული ფენის შექმნის გზით. ჩვენ არ ვიცით რამდენად მრავალრიცხოვანი იყო ეს ფენა, ოღონდ მისი არსებობა ეჭვს გარეშე დგას და დოკუმენტურად დასტურდება. ჩვენს ხელთაა ლევან მაჩაბლის მიერ XVIII ს. პირველ ნახევარში მელაძე მადინასა და მისი ბიძა-ძმებისათვის მიცემული სითარხნის წიგნი. „...საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, მაჩაბელმან ლევან და მომავალმან სახლისა ჩემისაგან თქვენ, ჩვენს ერთგულსა მრავალფერად თავდადებით ნამსახურს ყმას მელაძეს მადინას, მოურავს, ბიძაშენს გიორგის, ძმასა შენსა ბეკოსა და დეშეტრეს, მომავალს სახლისა შენისათა; — ასე რომე ჩემს ობლობასა და საქმის გაჭირვებაში მრავალგვარად გაისარჯე და გვმსახურე.

[1] საქ. ცია, ფ. 1450, დაეთ. 26, საბ. 220 (ხაზგასმა ჩვენია).

ჩვენ შენის ერთგულობისა და სამსახურის სანუქფოთ სხვა არა შეგვეძლო რა, სითარხნის წყალობის წიგნი გვთხოვე. პაპის ჩემისა და მამისა და ბიძისაც გქონდა. ძველადგანაც ბევრი სითარხნის და წყალობის წიგნები გქონდა და ჩვენც გაგიახლეთ. ერთის მსახურის მეტი შენ არ გეთხოვებოდეს რა. არც სეფობას გაგიყვანონ“...[1]

მაჩაბლების პრაქტიკაში თავის ყმათაგან პრივილეგირებული ფენის — თარხანთა კატეგორიის შექმნას ადრიდანვე ჰქონია ადგილი. სწორედ ეს თარხანნი ჰქმნიდნენ სათავადოს მსახურეულ პირთა რიგებს და მოურავებისა და სხვა შოხელეების სახით თავადების ძლიერების ფიზიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. თავის მხრივ, თარხანნი თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას უფრთხილდებოდნენ და თაობიდან თაობამდე, როგორც ეს მოყვანილ საბუთიდანაც ჩანს, თავადისადმი ერთგული სამსახურით ამ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ.

დიდი ლიახვის ხეობაში სამაჩაბლო ადგილ-მამულების გარდა იყო სხვა წვრილ მიწათმფლობელ მებატონეთა მამულებიც. 1723 წლის საბუთში ჯავის ხეობის სოფ. ხვწეში იხსენება ზურაბ მოურავიშვილის სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილი აყრილი მთიულის მამული, რომელიც მან ვინმე გიორგი საკაძეს მიჰყიდა[2]. თვით აჩაბეთში, რომელიც მაჩაბლების ძირითად რეზიდენციას წარმოადგენდა, მე-18 ს. 70-იან წლებში მეფის სახასო სამი საღალო მამული ყოფილა. ერეკლე II მათზე ზარამაგელი ოსები დაასახლა[3].

იმის გამო, რომ მაჩაბლების მამულები უშუალოდ ეკვროდნენ ოსებით დასახლებულ მთიან ხეობებს და ბართან მათი ურთიერთობა მაჩაბლების სამფლობელოების გამოვლით ხორციელდებოდა, აგრეთვე იმის გამო რომ აქ იყო სახასო და სხვა წვრილ ფეოდალთა მამულები, ხოლო მაჩაბლები ამ მხარის ყველაზე მსხვილი ფეოდალები იყვნენ, როგორც ჩანს, მათ ეკისრებოდათ ამ მხარეში მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულების დაცვა, ოს-ქართველთა შორის კეთილმეზობ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... II, გვ. 33—34.

[2] საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 363 — 364.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 334.

ლური ურთიერთობის შენარჩუნება. ეს აუცილებელი იყო საერთოდ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. შინაური უთანხმოებანი, რაც ასე ხშირი იყო ფეოდალურ საქართველოში, მკვეთრად ასუსტებდა ქვეყანას და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლისუნარიანობას აქვეითებდა. ამ არასასურველი, მაგრამ ფეოდალიზმისათვის გარდუვალი, მოვლენის თავიდან ასაცილებლად სამეფო ხელისუფლება მაჩაბლებს აკისრებდა შუამავლების როლს დიდი ლიახვის აუზის შერეულ ქართულ-ოსურ მოსახლეობას შორის წამოჭრილი სადავო საკითხების მშვიდობიანი გზებით გადასაწყვეტად. 1791 წელს ერეკლე II ფარსადან მაჩაბელს წერდა: „...შენი წიგნები მოგვდის და მანდაურს ამბავს არ გვაკლებ. ამისთვის შენი დიდათ მადლობელნი ვართ. შენის ერთგულებისაგან როგორც ვიცით, იმგვარად ირჯები. ახლა თუ მანდავ იყო, ღმერთს გაფიცებთ და შენს სარწმუნოებასა და ჩვენს ბატონყმობას. თუ ან შენ ჩვენი ყმა ხარ და ან ჩვენ ბატონი ვართ შენი, როგორც შენის ერდგულობისაგან ვიცოდეთ და ან კულავ მანდაურს საქმეზე ერთგულებით ხარ, ახლაც ეცადე რაოდენ შეგეძლოს მანდ ერთმანეთის მშვიდობით დაგებასა და კეთილის საქმით ერთმანეთის სიყვარულსა და ერთობასა (ხაზგასმა ჩვენია. — გ. თ.)...“[1]

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ფარსადან მაჩაბელი ერეკლეს სპეციალური დავალებით თვალყურს ადევნებდა დიდი ლიახვის აუზის მოსახლეობის საქმიანობას და მეფეს ინფორმაციას აწვდიდა მათ შესახებ. მას აქ მშვიდობიანობა უნდა უზრუნველეყო. ერეკლე დიდად აფასებდა ფარსადან მაჩაბლის ამ სამსახურს და სთხოვდა ამ მიმართულებით ღონისძიებათა გამრავლებას.

მსგავს ფუნქციებს მაჩაბლები გიორგი XII დროსაც ასრულებდნენ. დავით ბატონიშვილმა 1800 წელს ბარძიმ მაჩაბელს წყალობის წიგნით ყმა-მამული უწყალობა. „...ჩვენი ერთგულება და სამსახური შემოგიკვეთეთ, — ნათქვამია წიგნში, — ოსების შემორიგება და კეხვის ციხის აღება. თქვენც როგორც შეგეფერებოდათ, ისე გაისარჯენით, მთლად დიდის ლიახვის ოსები შემოგვარიგეთ, თქვენი ყმანი და სხვის ყმანი

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 5638; საქ. სიძველენი, III, გვ. 208, საბ. 220.

და კეხვის ციხეც აიღევით...“ რისთვისაც სახასო მამულები გვიბოძებიაო[1].

ასე, რომ XVIII საუკუნეში ოსები მაჩაბლების ფეოდალური საგვარეულოს ყმა-გლეხთა ძირითად კონტინგენტს ჰქმნიდნენ. ამ ყმა-გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაცია წარმოადგენდა მაჩაბლების ფეოდალური სახლის სოციალური და პოლიტიკური ძლიერების დასაყრდენს.

ქსნის საერისთავოს ოსი ყმა გლეხობა

ქსნის საერისთავოს ოსური მოსახლეობის, ანუ ერისთვიანთ ყმების მდგომარეობის დახასიათების დროს ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ დაწვრილებით შეეხოთ ქსნის საერისთავოსა და ერისთავთა წარმოშობის საკითხს საერთოდ. ეს საკითხი დაწვრილებით განხილულია პროფ. დ. გვრიტიშვილის მონოგრაფიაში „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“ და აგრეთვე ქართული ისტორიული ტრადიცია ამ ერისთავებს ოსური წარმოშობისად სთვლის და ქსნის ხეობაში ადრევე დამკვიდრებულად მიაჩნია. მართალია, ამ მოვლენის დათარიღების საკითხზე „ძეგლი ერისთავთა“ და ქართული ისტორიული ტრადიცია (მოგვიანო ხანაში — XVIII ს. დამლევს ფიქსირებული), გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო, სხვადასხვა აზრისანი არიან, მაგრამ ჩვენ სხვა ადგილზე შესაძლებლობა გვქონდა გვეცადა ამ გარემოების ახსნა და ოს ბიბილურთა ქსნის ხეობაში დამკვიდრებისა და გაერისთავების საქმე იმდროინდელი ისტორიული პირობების სინათლეზე განგვეხილა[2].

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“ ოსების — როსტომის, ბიბილასა და წილოსანის ქსნის ხეობაში გადმოსახლებას და გაერისთავებას იმპ. იუსტინიანეს (527 — 565 წწ.) ხანასა და პიროვნებას უკავშირებს[3].

---

[1] საქ. ცია. ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 162.

[2] გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210—222.

[3] ძეგლი ერისთავთა, მესხიას გამოც. ტექსტი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 364,

სხვა აზრისაა ამ საკითხზე ქართლ-კახეთის სამეფო კარის ინტერესების საფუძველზე შემუშავებული ოფიციალური ვერსია ქსნის საერისთავოსა და მის ერისთავთა წარმოშობის შესახებ. 1799 წელს შედგენილი იოანე ბატონიშვილის ქართველ თავადაზნაურთა გვარ-შთამომავლობით ნუსხაში ქსნის საერისთავოს შესახებ აღნიშნულია, რომ აქ იუსტინიანეს დროს ავარული წარმოშობის ხალხი დასახლდა, რომლის წარმომადგენლებმა ერისთავობა მოიპოვეს. ეს ერისთავები ამოწყვეტილან. „მაშინ მართვიდნენ ქსანსა სხუა და სხუა მოხელენი მთისანი და სხუანნი თავადნი სხუათა და სხუათა დროთა შინა. ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა რუსუდანისასა იქნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და ბრძოლაჲ ნოინთაგან, მაშინ მოვიდნენ ეს აწ წოდებულნი ერისთავთა წინაპარნი სამეფოს ხეობითგან ოსეთისა, რომელ არს ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჯიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარასა შინა გუარნი მათნი. ამათნი უკუჰ მოვიდნენ ორნი ძმანი: პირველს ეწოდა ბიბილა, ხოლო მეორესა რატი, რომელნიცა დაეშენნენ ხეობასა შინა წელსა ქ/რისტე/ს აქეთ 1235. ბიბილა უკუჰ დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენა ფსვენს, რომელი აწ იწოდების იფნევად. ხოლო რატი დაესახლა ჟამურის ხეობასა შინა და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობის ხარისხი წელსა 1412-სა შინა და იწოდნენ ბიბილურები ქვენაფნოვლებად გუარითა და იყვნენ ნაიბად ერისთავთა და მართვიდნენ ადგილთა მათ. ხოლო შემდგომად რა მიიღო მეფობა სიმონ მეფისა ძმამან დაუთხანად წოდებულმან, ამან იმოყურა ელიზბარ ქვენაფნოველი და დაუმტკიცა ერისთაობა განსამტკიცებლად თავისა თვისისა წელსა ქ/რისტე/ს აქეთ 1569 და შუნითგან იწოდებიან გუარნი ამათნი ერისთავად. ხოლო რომელიცა ამათ შთამომავლობათა შინა იქმნებოდა პირველი, იგი მიიღებდა სახელად ერისთაობასა“[1].

ქსნის ერისთავთა წარმომავლობისა და გაერისთავების

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, ფ. 7 — 8. იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფი.

საკითხზე ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსიის არსებობა აიხსნება ამ ვერსიათა ავტორების პოლიტიკური და იდეური მოტივებით. პირველი საგვარეულო მატიანეა და თავის გვარის განდიდების მიზნით ამ გვარის აღზევება-გაერისთავება შორეულ წარსულში გადააქვს და იმ დროისათვის პოპულარულ პიროვნებას უკავშირებს. არანაკლებ ტენდენციურია მეორე ვერსიაც. იგი გამოხატავს სამეფო კარის დამოკიდებულებას ქსნის ერისთავთა მიმართ. ცნობილია, რომ ერეკლემ ქსნის ერისთავებს ჩამოართვა სამფლობელოები და ჯერ სახასოდ აქცია, შემდეგ კი უფლისწულებს გადასცა. საჭირო იყო ქსნის ერისთავთათვის ანგარიშის სასტიკად გასწორებისათვის ისტორიული გამართლება მოეძებნათ. ამ მიზნით შემუშავდა ქსნის ერისთავთა წარმოშობა-გაერისთავების ოფიციალური ვერსია. ამ ვერსიით ქსნის ერისთავთა კვარს ის სიძველე არ ჰქონია, რასაც თვით მიაწერდნენ თავის თავს. მათი აღზევება-გაერისთავება მთლიანად და სავსებით ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წყალობის შედეგადაა წარმოდგენილი. აქედან ლოგიკური დასკვნა — სამეფო კარს უკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლია ერისთავთადმი მოწყალება რისხვით შეცვალოს. ამით გამართლება ეძლეოდა ქსნის ერისთავებისადმი გატარებულ რეპრესიებს.

არსებობს სხვა ხასიათის ისტორიული გადმოცემაც, რომელიც მოჰყავს XIX ს. ისტორიკოსს სულხან ბარათაშვილს. ამ გადმოცემით ოსმა თავადებმა — ძმებმა როსტომ და სიდამონ დუდარუკოვებმა მოახერხეს სამტროდ გადაკიდებული ქსნისა და არაგვის ხეობების მოსახლეობის შერიგება და მათთვის ამ შერიგების პირობების დადგენა. მადლიერმა მოსახლეობამ ისინი ამ ხეობათა მამასახლისებად მოიწვია, საქართველოს მეფემ კი ანგარიში გაუწია მათ ჩამომავლობასა და დამსახურებას და როსტომი ქსნის, სიდამონი კი არაგვის ერისთავად დაადგინა[1].

პროფ. დ. გვრიტიშვილს მიაჩნია, რომ ქსნის ერისთავთა გენეალოგიის დაწყება XIII ს-დან სწორი და მისაღები უნდა იყოს, რადგან „XIII საუკუნეში შინა-პოლიტიკური არეულო-

---

[1] С. Баратов, История Грузии, тетрадь II-III, СПб, 1871, გვ. 48.

ბისა და გარეშე ძალის (ამ შემთხვევაში მონღოლების) გავლენით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში დიდი ცვლილებები მოხდა და სხვა ამბებთან ერთად ბევრი, მანამდის ცნობილი ფეოდალური გვარი ჩამოვიდა პოლიტიკური ცხოვრების სცენიდან. მათ მაგიერ სხვები აღზევდნენ"[1]. რაც შეეხება ქსნის ერისთავთა ოსურ წარმოშობას, უჩვეულო არც ამაშია არაფერი. „ამ ხანებში საქართველოსა და ოსეთის სამეფო კარს შორის ჯერ კიდევ პატრონყმური ურთიერთობა იყო და შეიძლებოდა საქართველოს მეფეს, რომელიმე, თუნდაც წარმოშობით ოსი, მით უმეტეს, რომ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა ეროვნული განსხვავების ნიშნებს არ აქცევდა ყურადღებას, საქვეყნოდ გამრიგედ — ერისთავად დაესვა"[2].

ქსნის ერისთავთა ფეოდალურმა გვარმა დროთა განმავლობაში თავის ფეოდალურ დამოკიდებულებაში მოაქცია არამარტო ქსნის აუზის ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ კავკასიის ქედს გადმოღმა გადმოსული ოსური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. უკვე XIV ს. მათი სამფლობელო მოიცავდა ცხრაძმის ხეობას, ქარჩოხს, ქოლოთს, ისროლს, თრუსოს, გაგასძენს, მლეთეს, არახვეთს, ხანდოს, ყანჩაეთს. აბაზასძეთა მამულს, ძაგნაკორანს, დიღუამს, გავაზს, აწერის ხევს, ბეხუშეს, ჟამურის ხეობას, ქნოღოს, მაღრანდვალეთს და სხვ.[3]. საერისთავოს ტერიტორიის გაფართოება ისტორიული დვალეთის ტერიტორიის დაპყრობის ხარჯზე ხდებოდა. ამ ნიადაგზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა დვალებსა და ერისთავებს შორის. XIV ს. დამდეგის ძლიერი ერისთავი შალვა ცნობილია დვალებზე მოპოვებული სამხედრო წარმატებებით. შალვა ოსთა მეფის ასულზე ყოფილა დაქორწინებული[4].

ოსებთან მრავალმხრივ ნათესაობას შალვასათვის დვალებთან ბრძოლაც უნდა გაეადვილებინა და თავის ტერიტორიაზე ოსთა დასახლებისათვისაც ხელი შეეწყო. ეს ის პერი-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 61.

[2] იქვე.

[3] ძეგლი ერისთავთა, გვ. 348.

[4] იქვე.

ოდია, როცა კავკასიის ქედს გადაღმიდან მონღოლთა მომძლავრების შედეგად ოსები ქედს გადმოღმა გადმოდიან და ქართლში ეძიებენ დასასახლებელ ადგილს. მონღოლთა ასეთივე შემოსევები საქართველოში, გამწვავებული შინაპოლიტიკური ბრძოლა მოსახლეობის შეთხელებისა და მთელი რაიონების ამოწყვეტის მიზეზი გახდა. ამიტომ იყო, რომ ერისთაველები არა მარტო თავის სამფლობელოების გაფართოებას ცდილობდნენ, არამედ მათ დასახლებასაც. ასეთი დასახლება სწორედ ოსების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. 1470 წელს შალვა ქვენიფნეველის მიერ გაცემული გუჯარით ლარგვისის მონასტერს ებოძა სოფლები ივრეთი (მურვან ყრუს შემოსევის დროიდან — VIII საუკუნიდან დაუსახლებელი იყოო), ჰერედა და ქურთა (სოფლები ქსნის ხეობაშია). გუჯარში ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ დასახელებული სოფლები ახლად გაშენებული სოფლებია გარედან მოყვანილი მოსახლეობის ხარჯზე. „...ჩვენისა მამულისათჳს ერთი გლეხი არ დამიკლია, ყუელაჲ კაცები სხუაგნით მომისხამს და ოკერნი სოფელნი ამით აღმიშენებიან... და ამას გარეთ აღმიშენია და შემომატებია უკაცური სოფელი ჩემი მამულისათჳს“[1].

ქსნის საერისთავოს ქართულ-ოსური მოსახლეობა (ოსები აქ 2000 კომლს შეადგენდნენ 1771 წლის მასალებით) უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ყოველთვის ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის პირველ რიგებში მდგარა. ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ შაჰ-აბასის ურდოებთან ბრძოლაში XVII ს. პირველ მეოთხედში, ბახტრიონის გმირულ ეპოპეაში 1659 წელს, როცა აჯანყებულმა კახელებმა, არაგველებისა და ქსნელების დახმარებით, მუსრი გაავლეს კახეთში ჩამოთესლილ თურქმანთათრებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერისთავოს მოსახლეობის თავდადებული ბრძოლა შანშე ერისთავის მეთაურობით „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ წინააღმდეგ XVIII ს. 30 — 40-იან წლებში.

მაგრამ ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობების გამო ქვეყნის დამოუკი-

---

[1] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 558.

დებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი მშრომელი მოსახლეობა თავის მებატონეთა ვიწრო ინტერესებისათვის არაერთხელ იქნა ჩათრეული ძმათამკვლელ შინაომებში და უშინაარსოდ უღვრია სისხლი. ერისთავების ტენდენციები ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის უკანასკნელის სათანადო წინააღმდეგობას აწყდებოდა და ამ ნიადაგზე უწყალოდ იჟლიტებოდა მწარმოებელი მოსახლეობა, ნადგურდებოდა სოფლები და მძიმე შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი. წყაროებმა შემოგვინახეს არაერთი ცნობა ქსნის ერისთავთა ბრძოლისა როსტომ მეფესთან, შაჰნავაზთან, გიორგი XI-სთან (XVII ს.), ვახტანგ VI და ბაქართან (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თეიმურაზ II და ერეკლე II-სთან (XVIII ს. შუა ხანა და მეორე ნახევარი).

XIV ს-დან საერისთავოს ტერიტორიაზე ოსთა მოსახლეობა უკვე მასობრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ოსები ქსნის საერისთავოს და საერთოდ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად ვაღიაროთ.

ქსნის ერისთავებს თავის ყმა-მამულის გაზრდა-გაფართოებაზე არასოდეს არ აუღიათ ხელი. ამ მიზნით ისინი უტევდნენ როგორც მთიელებს, ასევე მეზობელ ფეოდალურ ერთეულებსაც.

ქსნის საერისთავოს ტერიტორია დავით ერისთავის (1753—1774 წლები) დროს მოიცავდა ქსნის, ალევის, საფერშეთის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობებს, მაღრანდვალეთს, ლეხურის ხეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ქოლოთქვიტკირს, ისროლის, მეჯუდის, წრომის, პატარა ლიახვის ხეობებს, გვერდისძირს[1].

რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საერისთავოს ოსური მოსახლეობა სოციალური თვალსაზრისით? ერისთავების მრავალრიცხოვანი გვარი თავის ყმა-გლეხებს, მათ შორის ოსებს, ცალკეულ წევრებზე ანაწილებდა უფროს-უმცროსობის კვალობაზე და, შემდეგ, ამ განაწილებას მეფე ამტკიცებდა. რო-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 70.

გორც საბუთებიდან ჩანს, ასეთი განაწილება ერისთავთა გვარში დიდ შეხლა-შემოხლას იწვევდა და სამეფო ხელისუფლების აქტიურ ჩარევას მოითხოვდა. 1771 წლის ერეკლე II ბრძანებაში ნათქვამია: „ჩვენი ბძანება არის, მერმე ისროლის ხევის ოსებში რომ სამართლით აღაბაბასა და შალვას დარჩა, ჩვენც ის ოსები შალვა ერისთავისათვის გვიბოძებია და ამას უნდა ეჭირნენ. სხვას საქმე არავისა აქვს და თუ გიორგი ერისთავს ერთი საბუთიანი საქმე აქვს მოვიდეს და ჩვენს სამართალში ელაპარაკოს და თუ სამართლით შეუვიდა, მაგიერს მივაცემინებთ"...[1]

არსებობდა ქსნის საერისთავოს ოსთა საკომლო მამულების ნუსხები, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა მათი განაწილება ერისთავებს შორის. XVIII საუკუნის ერთი ასეთი ნუსხა, რომლის სათაურია „ქსნის ოსთ საკომლო მამულები", იძლევა საერისთავოს რიგ სოფლებში ოსთა სარგებლობაში მყოფ 364 საკომლო მამულის განლაგების შემდეგ სურათს:

„ჲ ქ: ჭურთას საკომლო სამოცი ახალს გატეხილს მამულებს გარდა.

ი ქ: ქერდიყოანთ სოფელი და ბოსელთა საკომლო ათი.

ნგ ქ: ჟამურს საკომლო ორმოცდაცამეტი ახალ გატეხილ მამულებს გარდა.

იდ ქ: ლომისა და ოხირი საკომლო თოთხმეტი.

კ ქ: საფეშეთი საკომლო ოცი ახალს გატეხილ მამულებს გარდა.

ე ქ: გდუვი საკომლო ხუთი.

ᲣᲐ ქ: იქეთი და ხლომის წყარო საკომლო რვა მონასტრისა არის.

დ ქ: საბოდორე საკომლო ოთხი

დ ქ: ბესთავანთ სოფელი საკომლო ოთხი

ᲣᲐ ქ: არდისი და ბერძენთ კარი საკომლო რვა

გ ქ: ცხრაწყარო საკომლო სამი

სგ ქ: იქმნა ჯამი საკომლოსი ორას სამი ახალს გატეხილს მამულებს გარდა.

ჟიე ქ: ლიახვი საკომლო ოთხმოცდათხუთმეტი

კმ ქ: ფოტრიზა და ლეკოვანი ქოდოლანთითა საკომლო ოცდასამი და ნახევარი.

იბ ქ: გვიდისი საკომლო თორმეტი

იგ ქ: შუა ცხვირი საკომლო ცამეტი

ვ ქ: დვალურა საკომლო ექვსი

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 8401.

იბ ქ: ამატური და წყლები საკომლო შვიდი და ორი ძროხა.
რდა ქ: იქმნა ჯამი საკომლოებისა ასსამოცდა ერთი"[1].

ნუსხაში აღრიცხულ საკომლოთა მცირე რაოდენობა (364) გვაფიქრებინებს, რომ იგი ერისთავთა გვარის რომელიმე წარმომადგენლის პირად საკუთრებაში მყოფ ოსთა საკომლო მამულების ჯამია და არა ქსანზე არსებული ოსთა საკომლო მამულების მთლიანი ჯამი. ნუსხაში ჩამოთვლილი საკომლოები არამარტო ქსანზეა გაფანტული, არამედ ლიახვზეც და სხვა ადგილებშიც.

ერისთავთა ოსების მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს ერთი საბუთი, რომელიც შედგენილია რუსეთის მმართველობის დასაწყისში (XIX ს. დამდეგს), მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრის ოსთა ვითარებას ასახავს. ქსნის ხეობის რომელიღაც სოფლის მოსახლე ოსები ჩივიან ადგილობრივ მოხელეთა თვითნებობაზე და მისგან გამომდინარე მძიმე შედეგებზე. მოვუსმინოთ თვით საბუთს: «Шанше Эристов отдал нас Каланбегиру Халимбегову, коему, так как он и мы были Осетинцы, служили и несли все повинности: потом захотел он взять у нас дочь, которая была невеста; хотя нам было весьма неприятно, но он несмотря на нас, вытащил из дому насильно; жених ея, узнавши о сем, наложил на нас кровяной штраф, а потом, напав ночью с командою, увел у нас двух дочерей и угнал 100 волов, да еще после отнял у нас 30 волов. Таковая обида была нам сделана еще во время Эристава; когда же достались мы Багратионам, взял он у нас 4-х человек и 15 волов и до самой крайности нас разорил; мы его за сие убили и переселились оттуда. Потом царь Георгий, вызвав нас к себе, помирил нас с ними и мы по приказанию царя, отдавши им 5 волов и 1 лошадь, совершенно помирились и друг другу дали порук, но они не устояли в своем слове: напав на нас, двоих из нас убили, 1 ранили и 24 человека, поймав, отвели в Кизик, откуда мы сами бежали, а семейства наши остались там, да и имения у нас пропа-

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 5421.

ло столько, что стоило 200 волов, да еще многие мы претерпевали обиды. Царь давал им другое место, но они по самовольству своему не принимали, отчего и сделалось с нашей стороны смертоубийство»[1].

საბუთში აღწერილი ორი გვარის სასისხლოდ გადაკიდება, მკვლელობანი და ურთიერთ აკლება შედეგი იყო შანშე ერისთავის ადგილობრივი მოხელის — ოს ყალამბეგირ ხალიმბეგოვის (სხვა საბუთებში ხალიმბეგაშვილებად იხსენიებიან) მიერ დანიშნული ქალის წართმევისა. ამ გვართა ურთიერთმტრობა ათეული წლების ჭანძილზე გრძელდებოდა და ორივე გვარისათვის ახალ-ახალი უბედურებანი მოჰქონდა. მეფის ჩარევამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და გვართა შორის მტრობა ახალი ძალით გაიშალა. ცხადი ხდება, რომ ფეოდალური ექსპლოატაციის მძიმე უღელი და ფეოდალური ბიუროკრატიის თვითნებობა ყმა-გლეხობის მდგომარეობას აუტანელს ხდიდა.

1777 წელს ქსნის ერისთავები განუდგნენ ერეკლე მეფეს. უკანასკნელმა სასტიკად დაამარცხა დამოუკიდებლობის მოტრფიალე ფეოდალური საგვარეულო და მათი სამფლობელოს უმეტესი ნაწილი უფლისწულებს გადასცა — ქსანი გიორგის, პატარა ლიახვის აუზი კი იულონს[2]. 1778 წლის 20 იანვრის ბრძანებაში ერეკლე II წერდა: „...ერთობით ოსნო და ქართველნო. მერე ჩვენ ქსანი და ლიახვი ორისავ წილი ჩვენს სახასოთ დავდევით. თქვენთან სხვას არას კაცს ჯელი აღარა აქვს. ...ამას ფიცით გწერთ, რომ ქსანსა და ლიახვზე ჩვენგან ერთის კომლის კაცის სხვის მიცემა აღარ იქნება“[3].

ერეკლემ ერისთავებს მათი მამულებიდან ზოგი რამ დაუტოვა ქართლის ბარის რაიონებში, კერძოდ, როსტომს და მის ძმებს დაუტოვა ქსუისი, აპუთი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი შაქათგორი, სათემო, კუმისი, ნავთლუღი, გორსა და ცხინვალში მათი კუთვნილი ქონება[4].

---

[1] Акты, II, გვ. 549.

[2] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 15.

[3] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 457.

[4] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 329.

ქსნის საერისთავოს მწარმოებელი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა ერისთავთა მფლობელობიდან მათ ჩამორთმევას და სახასოთ დადებას. სახასო გლეხობის მდგომარეობა უკეთესი იყო საბატონო გლეხობის მდგომარეობასთან შედარებით. მარტო ის რად ღირდა, რომ ერისთვიანთ განუწყვეტელ განდგომა-შინაბრძოლებში მონაწილეობისაგან მოისვენებდნენ და რბევა-აოხრებას თავს დააღწევდნენ. ამიტომ იყო, რომ როცა ხმების გავრცელება დაიწყო, თითქოს მათ ისევ ერისთავებს დაუბრუნებდნენ, მოსახლეობამ დრტვინვა დაიწყო. ერეკლე II იძულებული გამხდარა დაერწმუნებინა ისინი, რომ ეს ხმები პროვოკაციული ხმებია და ფიცით აღეთქვა მათთვის, რომ არც ერთ კომლს არავისზე არ გასცემდა. 1779 წლის 29 ივნისს ერეკლე II ვრცლად აღწერს ერისთავთა დანაშაულს მის წინაშე, ამართლებს თავის რეპრესიებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებით, იძლევა დაპირებას, რომ ერისთვიანთ გვარის კაცს მათზე აღარ აბატონებს: „ესე მტკიცე და უცვალებელი წყალობისა და საფიცრის წიგნი გიბოძეთ თქვენ ერთობით პატარა ლიახვის ხეობის აზნაურთა, მოხელეთა, მსახურთა, გლეხთა და ოსთა და ეგრეთვე ხვიდისის და ფოტნისის ოსთა, თლელთა და ჩიფრანთა, ასე რომ, თქვენ ძველთაგან ქსნის ერისთვიანთ ყმანი იყავით. გიორგი ნაერისთვალმა ჩვენ გვიმუხანათა, უკუ გვიდგა, ლეკის ჯარი შეყარა, მიიყვანა და ციხეები გაამაგრა. ჩვენ ჯარები გაუსიეთ, ღთით ციხეებიც წაართვეს და კიდეც დაიჭირეს და რადგანაც ჩვენი მუხანათი იყო, იმის მამული სრულიად ჩვენთვის სახასოთ დავდევით... ამათის ამგვარის მუხანათობისაგან მრავალჯერ თქვენც დიდი ზიანი, აკლება და დარბევა მოგსვლიათ და ვინც ჩვენი ერთგულნი ყმანი ქართველნი და კახნი არიან, იმათაც ზიანი მოსლიათ და თავიანთ საქმეებს მოცდომილან და ნიადაგ საქართველოში შფოთის მიზეზნი ეს ქსნის ერისთვის შვილები ყოფილან... ღმერთი იყოს თქვენი თავდები, რომ ჩვენგან თქვენი გაცემა აღარ იქნება, არც ერთის კომლის კაცისა, რომ თქვენ ქსნის ერისთვიანთ ჯილაგს აღარ მიგცეთ. ამაზე ყოვლიფერათ ხათრიჯამი იყავით. ერთი ამისთანა წიგნი უწინაც გიბოძეთ, მაგრამ ზოგიერთი ავკაცისაგან თქვენ ყურში

როგორმე შემოგსმენიათ. და ამის მიზეზით კიდევ ეს მეორე წიგნი გიბოძეთ და ფიცით დაგიმტკიცეთ“...[1]

1778 წლიდან ქსანი გიორგი ბატონიშვილს ეპყრა, პატარა ლიახვი იულონს. მალე გიორგიმ თავის საუფლისწულო თავის შვილებს — იოანეს და ბაგრატს გაუნაწილა. იოანეს საკუთრად ქსნის ხეობა მიეცა, ბაგრატს კი მეჯუდისა და ისროლის ხეობები.

ერისთავები არ შერიგებიან თავის მდგომარეობას და განაგრძობდნენ ბრძოლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას როსტომი და მისი ძმებიც უჭერდნენ მხარს. ამიტომ ერეკლემ მათ 1736 წელს მეჯვრისხევი და ზოგიერთი სხვა სოფელი ჩამოართვა, 1790 წელს კი გვერდისძირიც და საბოლოოდ გამოდევნა ისინი საერისთავოს ტერიტორიიდან. მთელი საერისთავო ბატონიშვილთა ხელში აღმოჩნდა.

იოანე ბატონიშვილს ეკავა: ქსნის, საფეშეთის, ალევის, ცხრაძმის, ჭურთის, ქარჩოხის და ჟამურის ხეობები.

იულონს — პატარა ლიახვის ხეობა და გვერდისძირი.

ბაგრატს — მეჯუდისა და ისროლის ხეობა, საკორინოლო, ქოლოთ-ქვიტკირი[2].

ეს ადგილები ბატონიშვილთა მფლობელობაში დარჩა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების დრომდე. 1801 წლის დასაწყისში ქართლ-კახეთის ტახტის გარშემო ბატონიშვილების ბრძოლასთან დაკავშირებით ძმობრეების შოვნის მიზნით მათ ერისთავებს მათი მამულების დიდი ნაწილი დაუბრუნეს.

ამრიგად, 1778 წლიდან ბატონიშვილები შეიქმნენ ქსნის საერისთავოს ოსური მოსახლეობის ბედ-იღბლის გამგებლები. ისინი იმსახურებდნენ ოსებს ფეოდალური რიგის საფუძველზე. ბატონიშვილების გამგებლობის დროიდან გვხვდება ცალკეულ ოსთათვის მამულის წყალობის საბუთები. ამ შეწყალებულ ოსთა სახით ისინი, უეჭველია, ადგილზე დასაყრდენი ძალის შექმნას ისახავდნენ მიზნად.

1778 წელსვე გიორგი ბატონიშვილი თავის ყმას ტბელ

---

[1] საქ. ცია, ფ. 1449, საბ. 719.

[2] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 330.

თუაურ ფავლენას და მის მემკვიდრეებს ჯახას, ბოვლათუყოსა და ბაბათს უწყალობებს წიფორის მთას „...შეგიწყალეთ და გიბოძეთ, — ნათქვამია საბუთში, — მწიფორის მთა, რომელიც საჩვენო არის, საჯოგის მთა, საცა რომ ცხენების საბმური არის. სანგარს აქეთ ჩრდილი და ვაკე, რომელიც საჩვენო არის სალიახვოს გარდა, შენთვის გვიბოძებია“...[1]

იმავე წელს გიორგიმ თავის ყმას „ახალ ქრისტიანს“, „ნაოსარს“ ხალინბეგაშვილ თომას და მის შვილ გიორგის ნასხეპის მამული უწყალობა[2]. 1784 წელს იმავე თომას გიორგი ბატონიშვილი ახალ წყალობას აძლევს: „გიბოძე ზემო წოლთას ჩვენის ყმის მოლოზნის შვილის ბეითალმანი მამული. შენთვის გვიბოძებია ყოვლის მისის მთითა, ბარითა, სახნავის მიწითა, წყლითა და წისქვილითა ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა და შესავალ-გამოსავლით... ჩვენს ერდგულობასა და სამსახურში მოგეხმაროს...“[3]

გიორგი ბატონიშვილის ბრძანებით, 1782 წელს ქსანზე გაგზავნილმა რატიშვილმა ბეჟანმა და იასაულმა იოანე ციციშვილმა არდისელ ოსს ბაღათარს და მის ძმებს მათი სახლისკაცების ორი დღის ბეითალმანი მამული მისცეს იმ პირობით, რომ „დებულობა მის სიმაღლის მეფის ძის სარქრში უნდა მიერთმეევოდეს ყოველთვისა“[4].

თავის ოს ყმათათვის მამულების წყალობის პრაქტიკას მიმართავდნენ გიორგის შვილები — დავით და იოანე ბატონიშვილებიც. 1789 წელს დავითმა ძმებს — გიორგის, ვახტანგს და ღთისიას თომაშვილებს — უმამულო გლეხებს უწყალობა მამული სოსმალეთი (ცხრაძმაზე). „...გქონდეთ ჩვენს ერთგულებაში სამსახურსა შინა — ნათქვამია საბუთში, ...რომელიც ამ მამულის სამსახური იყოს, როდესაც დასახლდეთ და ხელი მიგართოთ, სამს წელიწადს ამისი არა გეთხოებოდეთ რა და სამს წელიწადს უკან როგორც იმ მამულის რიგი და წესი იყო, ისრე გვემსახურეთ...“[5]

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd, საბ. 2383.
[2] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 5419.
[3] იქვე, საბ. 5420.
[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 6195.
[5] საქ. ცია, ფ. 1449, საბ. 147.

როცა თომაშვილებისათვის ნაწყალობევ ბეითალმან მამულს ცხრაძმაში პატრონი გამოუჩნდა, დავითმა მათ დაუყოვნებლივ საკორინთლოში ვინმე ნაბიჭვრიშვილის ბეითალმანი მამული უწყალობა. აზნაურმა კორინთლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს თომაშვილებს. ძმებმა საჩივრით მიმართეს დავითს: „...საკორინთლოს ნაბიჭვრიშვილის ბეითალმანი მიბოძეთ — ოქვენმა ძმამაც იასაული დაგვიყენა, ხე-ტყე მამაჭრევინა. კორინთლიანი არ მანებებენ. ოქმი მქონდა თქვენი წყალობა. ის ოქმი დამეკარგა. ამდენი მოწყალება მიყავით, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, ხელი ამიმართონ, სანამ თოვლი მოვიდოდეს, სახლი ავიშენო. ბეთალმანია, საქმე არავისა აქს. დანათლულები გახლავართ. ჩემი ძმისწული თქვენ ალექსის შვილს დავითს უბოძეთ. ამილახვრიანი თავანთს მამულში აღარ გვაყენებენ, ხო ვეღარ გაურჯულოვდებით. თუ ეს მამული არ გვებოძა, უნდა დავიკარგნეთ“. საჩივრის პასუხად დავითმა ვინმე ქაიხოსროს განკარგულება მისცა: „შენ ახლავ მიდი და ის ნაბიჭვრისშვილის ბეითალმანი მამული ამ ნაოსრებს მოაბარე, ამათთვის გვიბოძებია. ახლავ უნდა სახლი ააშენონ. რაც ნაბიჭვრისშვილის მამული იყოს, ყველაზე ხელი ამართე და ამათ მოაბარე. ამათთვის სამემკვიდროდ გვიბოძებია, კორინთელებს ხელი არა აქუსთ, ასე იცოდნენ“[1].

მსგავსი წყალობებით ბატონიშვილები ადგილობრივ წრეებში სოციალურ დასაყრდენს იქმნიდნენ. ამ მიზნით განსაკუთრებული წყალობის თვალით უყურებდნენ ზოგიერთ გვარს და მათი ეკონომიური პოზიციების განმტკიცებით მათ თავის ბატონობის მატერიალურ დასაყრდენად აქცევდნენ. პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილა თუაურების გვარი. 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის პერიოდში გაწეული სამსახურისათვის იოანე ბატონიშვილმა თუაურ ორას, მის შვილებს ხოსროს, ათას, შვილიშვილებს თექთუმანს, გაბილას, მამსირასა და არჯევანს ფოსურას მამული უწყალობა. როცა ეს მამულს პატრონი გამოუჩნდა, მის სამაგიეროდ ივრეთს ფავაურის ბეითალმანი მამული მიეცათ[2].

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 4057.

[2] იქვე, საბ. 516.

მაგრამ იოანემ თუაურებს მამულის წყალობა არ აკმარა და 1796 წლის სექტემბრის წყალობის წიგნით მათ სრული თარხნობა უბოძა. „...ამ ჟამში (აღა-მაჰმად ხანის შემოსევა. — გ. თ.) ერდგულად გვემსახურე და ამ ერდგულად სამსახურის მაგიერად ეს სითარხნის წყალობა გვიქნია, ასე რომ თქვენს ჟამში ჩვენგან არა გეთხოვებოდეს რა, არა ბეგარა, არა ყალანი, არა საჩუქარი და არა სააღდგომო და არცარა სამოხელეო არაფერი ჩვენგან არა გეთხოვებოდეს რა, ასე სრულებით გაგვითარხნებიხარ და კიდევაც წყალობას მოელოდეთ ჩვენგანა“...[1]

თუაურებს სწყალობდა ერისთავთა გვარიც. 1801 წლის 21 თებერვალს, როცა ერთი თვეც არ იყო გასული ერისთავთაგან ერეკლე II მიერ ჩამორთმეული მამულების დაბრუნებიდან, თუაურ გუსის და მის ძმებს ჯანჩეს, გოგიას და ავთანდილს ისროლის ხეობის ნაცვლობას აძლევენ. „გიბოძეთ ნაცვლობა ისროლის ხევისა, მრავლისა სამსახურისა შენისა ნაცვლად“ — უცხადებენ ერისთვიანთ შვილები მიხეილ, შანშე, მირვანოზ, ელიზბარ, სოლომონ, თორნიკე და გიორგი[2].

ისროლის ხეობის ნაცვლად დანიშნული გუსი ის გუსი უნდა იყოს, რომლის შესახებ 1791 წელს აზნაური როსტომ ჟურული საჩივრით მიმართავდა იოანე ბატონიშვილს: „ისროლის ხევზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობა, მამაპაპის მემკვიდრე და ის ჩემი კაცი აიყარა და წავიდა და იმისის მამულის წყალობა დამემართა თქუმენგანა და ოსი გუსი რომ გახლავს ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული და უბძანეთ, რომ რაც რამ ერგებოდეს თავის მამულისა, ამ ჟურულს როსტომს ემსახურეო. სამი წელიწადი არის, რაც ის მამული მე მებოძა და ის კაცი სჭამს და ჩემთვის ერთი ფულისა არა მოუცია რა. წყალობას ვითხოვ... რომ ის ჩემი მამული მე მებოძოს“... იოანემ თავის მოხელეებს უბძანა: „ეგ გუსი რას ემართლება თავისს მამულსა. ახლა ეგ მამული მთლად ყოვლიფერით ამ როსტომს მოაბარეთ და რაერთი ხანიც გუსის უჭამია და ძმისათვის არა ურგია რა, ისიც სა-

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 458.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 6456.

მართლიანის საქმით გამოურთვით და მოეცით. რას ემართ-ლება, თავის მამულს როგორც უნდა ისე მოიხმარებს და ვისაც უნდა იმას მისცემს...“[1]

ამ დოკუმენტიდან გამომდინარეობს, რომ წვრილი მიწათ-მფლობელები ინდივიდუალური წესით ვერ ახერხებდნენ თ-ავის ყმა-გლეხების მორჩილებაში ყოლას და ფეოდალურ ექს-პლოატაციას. უფრო მეტიც, ცალკეულ გლეხურ ოჯახებს მათი მამულების მიტაცების შესაძლებლობაც კი გასჩენიათ. ამიტომ იყო, რომ წვრილი მიწათმფლობელი აზნაურები იძუ-ლებული იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებათა მომხრეთ გამოსულიყვნენ და ამ გზით თავის ყმა-მამულები შეენარჩუნებინათ.

პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილა ხალიმბეგა-შვილების გვარიც. ჯერ კიდევ შანშე ერისთავს ხალინბეგა-შვილისათვის სხეპის მამულის ნახევარი უბოძებია. გიორგი ბატონიშვილმა 1778 წელს თომა ხალინბეგაშვილს ეს წყა-ლობა დაუმტკიცა. 1791 წელს სხეპის მამული სადავო გამხ-დარა ხალინბეგაშვილებსა და ბუნტურებს შორის. ხალინბეგა-შვილები მთლად იჩემებდნენ სხეპს, ბუნტურები კი სათანადო საბუთით ამ მამულის ნახევარს თავისად სთვლიდნენ. იოანე ბატონიშვილის განაჩენით სხეპი შუაზე გაუყვეს მოდავეებს[2].

ქსნის ერისთავთა ბატონობის ხანაში ადგილი ჰქონია ყმათა ერთი ნაწილისათვის მამულის ჩამორთმევას და სხვისთვის გადაცემას. ამის მაგალითია წარმოდგენილი იულონ ბატონი-შვილის წყალობის წიგნში დვალურელ ფუხაშვილ შავქუჯა-სადმი, 1788 წელს: „ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ ბატონიშვილმა იულონ, თქვენ ერთობით დვალულელთ; ასე რომ, თქვენი მთა დავით ერისთავს უსამართლობით წაერთმივა გუდურგონა და ბესთავაშვილის ჯამასათვის მიეცა. თქვენ მოხვედით და ამ საქმეზე ჩვენთან ილაპარაკეთ. ჩვენ მოწმე-ები მოგთხოვეთ და დიაღ ბევრმა კაცმა იმოწმა გუდურგონის მთა დვალურისა არისო. რადგანაც უსამართლოდ გამოგრთმე-ვიათ, ჩვენ ის გუდურგონის მთა ისევ თქვენთვის წყალობა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., II, გვ. 188.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 6347.

გვიქნია, მოგეცით შენ ფუხაშვილს შავქუჯას, ფუხაშვილს ებასშვილ ქუთის, მურდალაშვილ შავქუჯას, ფუხაშვილ ბოლათიყოს და ნალიყას, ძმათა თქვენთა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა...“[1]

ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე მრავლად მოსახლე ოსები ტიპიურ ყმა-გლეხებს წარმოადგენდნენ და ფეოდალური ექსპლოატაციის მძიმე უღელს ატარებდნენ.

არაგვის საერისთავოს ოსური მოსახლეობა

სამხრეთელ ოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ისტორიული მონაცემები არ გვაძლევენ საშუალებას ქრონოლოგიური თვალსაზრისით თვალი გავადევნოთ თერგის ზემოწელსა და არაგვის ხეობის სათავეში ოსთა დამკვიდრების პროცესს. სავარაუდებელია, რომ არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე ოსთა დამკვიდრების ძირითადი გზა თრუსოს ხეობა იყო. თრუსოს ხეობა ისტორიულ დვალეთსა და ჩრდილო ოსეთის რიგ საზოგადოებებს (ალაგირს, ქურთათს) უშუალოდ უკავშირდებოდა. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, თრუსო ერთ-ერთი პირველი რაიონთაგანია, სადაც ოსები ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოსახლების საწყის სტადიაზევე დამკვიდრდნენ.

ისევე, როგორც ქსნის ერისთავთა საგვარეულო, არაგვის გვიანდელ ერისთავთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულოც ოსური წარმოშობისად იყო მიჩნეული. არაგვის საერისთავოს და ერისთავთა ისტორია დაწვრილებით შესწავლილია პრრფ. დ. გვრიტიშვილის მონოგრაფიაში „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. რამდენადაც არაგვის ერისთავთა გენეალოგიის საკითხი ოსებს უკავშირდება, მოკლედ შევჩერდებით მასზე.

იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილ ქართველ თავადაზნაურთა გენეალოგიურ ნუსხაში არაგვის ერისთავთა შესახებ ნათქვამია: „ესე არაგვის ერისთავნი არიან კავკასიის მთით მოსრულნი ოსნი კარგის გვარისანი, სიდამონის-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 1930.

ძენი. ამათნი წინაპარნი მოსახლეობდნენ ვანათსა ადგილსა შინა. ამათ პირველათ მიუბოძა მეფემან კონსტანტინემ გიორგის ძემან აზნაურობაჲ და განაწესნა მოხელედ სიდამონ წოდებული არაგვს ზედა... იქმნა აღრეულობა ურთიერთისა შორის ქართველთაგან წელსა ქრისტეს აქეთ 1407. და ამა მიზეზითა სიდამონმან შემოიყარნა მხედრობანი ოსთანი და სახლისკაცნი თვისნი და მოსწყვიტა ბაზლიძენი თავადნი მოსახლენი ვაკესა შინა არაგვისასა, რომლისა გამო დღესაც ეწოდების ძუნ ტბასა ბაზალეთის ტბაჲ... ამა სიდამონმან დაიპყრა ადგილნი იგი. გარნა ვერა იწოდა ერისთავად, არამედ მებატონედ არაგვისა. ხოლო შემდგომად ამისა ჟამსა მეფობისა სვიმონისასა, იქმნა მრავალი ბრძოლაჲ თურქთა და სპარსთაგან და ყოველგან შეიმოსა ძლევაჲ მეფემან სვიმონ ლუარსაბისძემან და უკანასკნელ ბრძოლასა შინა თურქთასა იძლიენ ქართველნი და შეიპყრეს ბრძოლასა შინა მას მეფე სვიმეონ და დაშთა ძეჲ მისი ლუარსაბ ჯერეთ ყრმა. მაშინ იწოდა ერისთავად შთამომავლობაჲ სიდამონისი სიდამონ ერისთავად, და მერეთ ამისა ძე მისი ნუგზარ, რომელმანცა დანაშთნი მუნ ბაზლისძენი ამოსწყვიტნა...“[1]

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ სტ. ჩუბინოვის ხელნაწერში „შთამომავლობისათვის გვარისა თავადთა ერისთავთა“ ნათქვამია: „ქსნის და არაგვის ერისთავნი... ოსის გვარისაგან სიდამონოვისა... XVI ს. პირველ ნახევარს იასონ მეორე შვილი ქსნის ერისთავისა, არა მექონი მამულისა, დაიპყრა ვანათის ციხე და მრავალნი სხვანი ადგილები შემდგომად სიკვდილისა უფროსისა ძმისა ეძებდა იგი ქსნის მემკვიდრეობასა (1560); ხოლო მეფე სიმონ, მოშიშარმან რათა არა უფრორე განაძლიეროს უიმისოთაც ძლიერი თავადი, მისცა ქსნის ერისთავობა უმცროსსა ძმასა იასონისასა, ხოლო მპყრობელსა ვანათისასა იასონს მისცა სრულებით არაგვის თემი და უწოდა სახელად არაგვის ერისთავი. ეს არის მიზეზი დაუცხრომელისა მტერობისა შორის ერისთავთა ქსნისა და არაგვისა, მტერობა, რომელმანცა შებღალვა ქსანი და არაგვიცა სისხლითა...“[2] ამ

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, ფურც. 6. იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფი.

[2] იქვე, ფ. S, № 3677, ფურც. 81—82.

იასონის შვილი ყოფილა ნუგზარ ერისთავი, გიორგი სააკაძის სიმამრი.

არაგვის ხეობაში ვანათელი აზნაურის გაბატონების ფაქტს ადასტურებს ვახუშტიც. „ესე ნუგზარ, — წერს იგი, — იყო ერისთავი არაგვისა, რამეთუ ამისი პაპა იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სვიმონისასა უკუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბრძანებითა მეფისათა და შეტყუვებითა აღიღო ციხე იგი, და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სვიმონ, ამანვე მოიმწო ქსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყვიტა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრა ბაზალეთი, მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრნა ძმანი თვისნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა: შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მოჰკლეს იგი და დაიპყრა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი. ხოლო მოვიდა რა სვიმონ, მისცა პაპასავე ნუგზარისასა მსახურებისათვის მისისა და იყუნეს ამ ჟამამდე ერისთავად"[1].

ნუგზარის მამა-პაპათა დროს ხევის დაპერას ეხება ბერი ეგნატაშვილიც. „ესე ნუგზარ არაგვს ერისთაკს მამა-პაპათა ამოსწტყუიტეს პატრონი ჯევისა თექთურმანის ძე და დაიჭირეს ჯევი და მიერითგან მისცა მეფემან რომელთამე ჯადა, რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური და იქმნეს ჯევისა მის ერისთავად"[2].

როგორც ცნობილია, 1743 წელს არაგვის საერისთავო გაუქმდა და ერისთავები გაძევებულ იქნენ. 1801 წელს, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ბეჟან ერისთავი შეეცადა გაუქმებული საერისთავოს აღდგენას. ამასთან დაკავშირებით არაგვის ახალმა მებატონემ ვახტანგ ბატონიშვილმა კნორინგს წარუდგინა თავის განმარტება არაგვის ერისთავთა გენეალოგიის საკითხზე. იგი წერდა: „ეს ხსენებული არაგვი ყოფილ არს ნიადაგ ბაგრატოვანთა მეფეთა სახლისა, და გუარი ხსენებულისა ამის ბეჟანისა გამოსულ არს რომლისამე ოსეთიდამა, დღესაც არიან ამათნი გვარნი ოსნი სიდამონნი და

---

[1] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 56—57.

[2] ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედ., გვ. 125.

მიუღუს მას პატივი კეთილშობილებისა, ესე იგი აზნაურობისა და თუ ვისგან და ვითარ-არა ვუწყი და ესახლნენ ესენი ქართლს, სოფელსა შინა ვანათსა, ანუ მახლობელ მისსა და შემდგომად განყოფისა სამეფოთასა უბედურებითა საქართველოჲსათა დროსა სპარსთა განძლიერებისასა და ფრიად დაჩაგრულებასა ქართლისა და კახეთისა მეფეთასა, ჰპოვა ამათგანმანცა ვინმე მზსგავსად სხუათა ვიეთთამე კეთილშობილთა, ავაზაკებრი ძალი და მოქმედება და დაიპყრა ხსენებული ვანათი და გარეშნი მისნი და შემდგომად მისსა ჰპოვა მრავალნი სხვანიცა თანახმანი თვისისა ავაზაკებისანი და ეკირთებოდა და ბრძოდა ქუჷყანასა ამას არაგვსა და დაიპყრა ამით, გარნა არა სრულიად. და შემდგომად რაოდენათმე ხანთა მზგავსად ზემოხსენებულთა მოქმედებითა დაიპყრო სრულიად"[1].

მოყვანილი ცნობების იმ თვალსაზრისით ანალიზს, თუ ოსმა სიდამონოვებმა არაგვის საერისთავოში ვინ შეცვალეს, ჩვენ არ შევუდგებით. ამ ცნობათა ჩვენებიდან ჩვენ გამოვყოფთ ყველა ავტორის მიერ თითქმის ერთხმად აღიარებულ ფაქტს, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში არაგვზე გაბატონებული ერისთავები წარმოშობით ოსთა სოციალური ზედაფენის წარმომადგენლები იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ ცნობებში გატარებულ აზრს, რომ სიდამონოვები „კარგის გვარისანი" იყვნენ (ისინი ოსეთში სოციალურად გაბატონებული წრის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ) და აქ საქართველოში კეთილშობილების, ანუ აზნაურობის პატივი ქართველ მეფეთა წინაშე გაწეული სამსახურისათვის მიიღეს, უნდა დავუშვათ, რომ საქართველოში გადმოსახლებულ ოსთა სოციალურ ზედაფენებს ქართული ფეოდალური კლასის რიგებში ჩასადგომად სჭირდებოდათ თავის წოდების აღიარება-დამტკიცება ცენტრალური ხელისუფლების მხრივ.

ვანათელ ოს აზნაურებს დიდი აქტივობით უწარმოებიათ ბრძოლა სოციალური კიბის მაღალ საფეხურზე ასასვლელად. მათი ბრძოლა ადგილობრივ ფეოდალურ გვარებთან ყმა-მამულის გასაფართოებლად განსაკუთრებით გააქტიურდა XVI საუკუნეში. მათ კარგად ისარგებლეს ქვეყნის პოლიტიკური

---

[1] Акты, I, გვ. 265—266.

ღეცენტრალიზაციით, სამეფო ხელისუფლების სისუსტით და მთელი საარაგვოს დამორჩილება შესძლეს, მის ერისთავებად იქცნენ.

მოყვანილ ცნობებში ხაზგასმული მითითება არაგვის ერისთავთა ოსური წარმოშობის შესახებ განსაზღვრული აზრით იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არაგვის აუზში მათ გაბატონებას წინ უსწრებდა ოსური მოსახლეობის გაჩენა ამ ადგილებში. რომელთაც მხარი უნდა დაეჭირათ ვანათელი აზნაურების ბრძოლისათვის. იოანე ბატონიშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ სიდამონმა ოსი მხედრობით დაამარცხა ბაზალიძენი. ვახტანგ ბატონიშვილიც ლაპარაკობს რაღაც მხარდამჭერი ძალის შესახებ, რომლის დახმარებითაც ვანათელმა აზნაურმა თანდათან მთელი არაგვი მიისაკუთრა. ზოგიერთი ავტორი (ვახუშტი) არაგვის ერისთავთა წარმატებით ბრძოლას ქსნის ერისთავთა დახმარებით ხსნის. ქსნის ერისთავთა ამ დახმარების ფაქტში უჩვეულო არაფერია. ფეოდალები ხშირად შეერთებული ძალებით ავრცელებდნენ თავის ბატონობას. შესაძლებელია, ამ დახმარებას ნათესაური მომენტიც უწყობდა ხელს. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე სიდამონს ქსანზე დამკვიდრებულ და გაერისთავებულ როსტომის ღვიძლ ძმად თვლის. სულხან ბარათაშვილის მიერ მოყვანილ გადმოცემითაც ქსნის და არაგვის ერისთავები ძმები ყოფილან, ხოლო სტ. ჩუბინოვის მიერ დაცული ცნობით არაგვის ერისთავად ქცეული იასონი ქსნის ერისთავის პირდაპირი მემკვიდრე იყო.

ამრიგად, არაგვის ერისთავთა წარმოშობის საკითხზე გაკეთებულ ჩვენს მცირე ექსკურსს დავამთავრებთ პროფ. დ. გვრიტიშვილის დასკვნით: „XVI საუკუნიდან, სარგებლობენ რა საგარეო და საშინაო პირობების გართულებით, პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აზნაურები, შესაძლებელია სიდამონისძენი, მოიშველიებენ ოსებს და ქსნის ერისთავებს, იმორჩილებენ ხევის ერისთავებს — თექთურმანისძეებს, აქ ისინი გაერისთავდებიან“, ხოლო ამის შემდეგ, თანდათან არაგვის საერისთავოსაც შეიერთებენ და ამიერიდან ორი საერისთავო ერთ საერისთავოდ — არაგვის საერისთავოდ ხდება“[1].

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან, გვ. 95.

არაგვის საერისთავოს საზღვრებს ეხება ჭილაშვილი 1827 წელს: «В древние времена Грузия разделялась на разные эриставства или округи. По сему разделению Дариал принадлежал к Арагвскому эриставству, который простираясь от сего места вверх по Тереку до последняго Трусовского сел. Сивераута и по течению Арагвы до р. Нареквави... заключает в себе: Хеви, Трусовское ущелье, Закку, Мтиулети, Гудамакари, Хандо, Чартали и весь Душетский уезд, исключая Ксанского ущелья и владений князей Мухранских, и граничит с одной стороны Тагаурами и Джерахами, с другой Кистами, Хевсурами, Пшавами и Телавским уездом, с третьей Иронистаном или Осетию и Ксанским ущельем»...[1]

დ. გვრიტიშვილი ჭილაშვილის ამ აღწერაში მოცემულ არაგვის საერისთავოს საზღვრებს სწორად მიიჩნევს, თუმცა თრუსოს და ზაკას კუთვნილების დადასტურება არაგვის ერისთაველებისადმი სხვა წყაროებით შეუძლებლად მიაჩნია[2].

ჩვენთვის ცნობილია რომ თრუსო XIV ს. ქსნის ერისთაველებმა დაიმორჩილეს. როდის დაჰკარგეს ქსნის ერისთაველებმა იგი და როდის მიისაკუთრეს არაგვის ერისთაველებმა, წყაროებში არ ჩანს. საფიქრებელია, რომ თრუსოს ხეობა არაგვის ერისთაველს მათი ძლიერების ხანაში — XVII ს. დაესაკუთრებინოთ. ფაქტი ის არის, რომ XVIII ს. თრუსო არაგვის ერისთაველების მფლობელობაში იმყოფება. 1732 წელს თრუსოელი ოსები, მთიულ-მოხეველებთან ერთად, თავდებად უდგებიან არაგვის ერისთავ ბარძიმს ოთარ და ბარძიმ ამილახვრების წინაშე. ჩვენს წინაშეა მთიულ-მოხევე-ოსთა საფიცრის წიგნი ოთარ და ბარძიმ ამილახვრებისადმი: „ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, არაგვის ერისთვის მთის კაცმა ციხიბერას ზეითმა ციხისთავმა ბერმა, ჩოფიკაშვილმა ყაზიბეგ ... ჯელი ერთპირათ მთიულთა, მოკეველთა და გუდამაყრელთა, კიდევ ჭართლიანის ნაცვალმა გივმა, ჯადას ნაცვალმა გამახარემ, პავლეურთ ციხისძირმა, თრუსოელთა, ღუდელთა, რაც ჯევს ოსნი ვართ

---

[1] Акты, т. VII, გვ. 347—348.

[2] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

იმათა ჭორვილელთ (ქვრიველთ? — გ. თ.) და ფშოელთა თქვენ, ამილახვრისშვილს ოთარსა და ბარძიმს; — ასე რომ თქვენ ჩვენს ბატონს ერისთავს ბარძიმს ოთხის ქესას თავდები დაუდექით რევაზის ვალზედ და ჩვენ ეს მთის კაცნი სულ თქვენი თავდები შევიქენით, ოთხ თვეში ეს ოთხი ქესა მოგართვათ. ამას გარდა ხუთი ქესა ბარძიმ თავისი გაიღო, რევაზის ვალი რომ ბარძიმს დაადვეს. გრიმ(?) ფაშასთან მივიდა და ერისთაობაზე ხელი აიღო. ახლა ჩვენ ამისთვის არა ვქენით, რომ ისინი სულ მთის კაცს დატყვევებას უპირებდნენ. ეს პირობა დაგვიდებია, რომ ოთხი ქესა ვადაზე მოგართვათ"[1]...

საბუთიდან ჩანს არამარტო ის, რომ ოსები არაგვის საერისთავოს მოსახლეობას შორის თვალსაჩინო ადგილს იჭერდნენ, არამედ ის მოტივებიც, თუ რატომ დაუდგნენ თავდებად ერისთავს, რომელიც იძულებული იყო ერისთავობაზე ხელი აეღო თურქთა ბატონობის მძიმე უღლის დადების გამო. თურქთა ბატონობის დამყარების შიშით არაგვის მოსახლეობამ ერისთავს მხარი დაუჭირა და ამ მხარდაჭერას იმით ასაბუთებდა, რომ „ისინი (თურქები. —გ. თ.) სულ მთის კაცს დატყვევებას უპირებდნენ".

უკვე ის ფაქტი, რომ არაგვის საერისთავოს მთლიანი მოსახლეობის მესამედზე მეტს — 1200 კომლს 3300 კომლიდან ოსები შეადგენდნენ, აშკარად მოწმობს თუ რაოდენ დიდი როლის შესრულება შეეძლოთ მათ საქართველოს ამ მხარის და ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმის მიუხედავად, რომ არაგვის ერისთავები ხშირად სეპარატისტულ ტენდენციებს ავლენდნენ და დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ, საერისთავოს შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ საგარეო პოლიტიკურ ამბებში, სადაც ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი წყდებოდა. არაგვის საერისთავოს ლაშქარმა ენერგიული მხარდაჭერა აღმოუჩინა გიორგი სააკაძეს მარტყოფის აჯანყებაში (1625 წ.) და მის ბრძოლებში სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. არაგ-

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 341; ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... I, გვ. 233.

ველები იყვნენ 1659 წლის ბახტრიონის გმირული ეპოპეის აქტიური მონაწილენი, რომლის დროსაც მოძალადე სპარსელები სასტიკად იქნენ დამარცხებული.

მაგრამ არაგვის ერისთავთა მისწრაფება განკერძოებულობისადმი, თავის მამულების გაფართოებისადმი, ხშირად ხდებოდა სამეფო ხელისუფლებასთან თუ სხვა ფეოდალურ ერთეულებთან ძმათა შორის სისხლისმღვრელი ბრძოლების მიზეზი. ასეთი ბრძოლა დამღუპველად მოქმედებდა მწარმოებელი მოსახლეობის მდგომარეობაზე, რომელიც ფიზიკურად ეწირებოდა ამ ბრძოლას და მატერიალურად ნადგურდებოდა.

1743 წლიდან, არაგვის მოსახლეობის აჯანყების შედეგად, საერისთავო ქართლის მეფე თეიმურაზს გადაეცა. ამიერიდან იგი ჯერ ვახტანგ ერეკლეს ძის საუფლისწულო მამული იყო, შემდეგ ლევან ბატონიშვილის და, ბოლოს, XVIII ს. 80-იან წლებიდან ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულოდ იქცა.

ჩვენ არ გვაქვს მასალები არაგვის ერისთავთა მმართველობის პერიოდში საერისთავოს ოსური მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ მსჯელობისათვის. საერისთავოს საუფლისწულო მამულად გადაქცევის შემდეგ ჩნდება ზოგიერთი ისეთი საბუთი, რომლებიც საარაგვოს ოსურ მოსახლეობას შეეხებიან და მის შესახებ ნაწილობრივი წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას იძლევიან.

საარაგვოშიც ბატონიშვილები ცდილობენ თავის ქვეშევრდომთა რიცხვის მომრავლებას და თარხანთა კატეგორიის შექმნით იქ სოციალური დასაყრდენის გაჩენას. ბატონიშვილები თაგაურელ ოსებს არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე გადმოსახლებისა და დამკვიდრების საშუალებას აძლევდნენ, ნასყიდობებს უმტკიცებდნენ. 1776 წელს ვახტანგ ბატონიშვილმა თაგაურელ „აზნაურს", ერეკლეს ნათლულ ქუნდუხიშვილ თომას და მის შვილს — ვახტანგის ნათლულ იოანეს აჩხოტს ქაიყუბად კობიაშვილისაგან ორნახევარი საკომლო მამულის ნასყიდობა დაუმტკიცა[1].

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 43.

თაგაურიდან ერეკლე II ხელშეწყობით არაგვზე გადმოსახლებულმა ოსმა „აზნაურმა“ ქუნდუხიშვილმა თუჯიმ იმავე აჩხოტში ბეცია კობიაშვილისაგან 1796 წელს 50 თუმნის მამული იყიდა და უკანასკნელს მისი გამოსყიდვის უფლება დაუტოვა[1].

1780 წელს ჩატარდა თრუსოს ხეობის საკომლო მამულების აღწერა: „ქკს უ^ᲂᲑ (468-1780). ამ წლის მკათათვის ე (5): თრუსოელის ოსების პირით და აზნაურ შვილების დასწრებით, თრუსოს სოფლები და იქაური საკომლოები ვის რაერთის უჭირავს, ამას ქვეით სახელდობრ დაიწერა და ასრეთვე წლის დებულობა.

რეშის სოფელში რამთენი საკომლოც არის

ა. ქ: ქაშიაშვილს ბორის უჭირავს მამული საკომლო ერთი

ა. ქ: გაბულის შვილი მარიმშას უჭირავს მამული საკომლო ერთი“.

ამ სახით აღწერილია სოფლები: რეში (5 საკომლო მამულით), ტეფი (6 საკომლო), გიმარა (11 საკომლო მამული 12 კომლზე), ყაყიდური (7 საკომლო 8 კომლზე). ყარათყავი (8,5 საკომლო 9 კომლზე), დენცე (6 საკომლო), ქვემო დენცე (4 საკომლო), ჯახაგორი (2 საკომლო), საოტი (5 საკომლო), აბანო (7 საკომლო), ქეთერი (9 საკომლო)[2].

ამრიგად, აღწერის მიხედვით თრუსოს ხეობის 11 სოფელში 73 კომლს ეჭირა 70, 5 საკომლო მამული. აქედან ორი კომლი — საოტში ელოშვილი გავდინ და აბანოში ბიზიეშვილი დათი თარხნები იყვნენ, დანარჩენი 71 კომლი 68,5 საკომლო მამულით მებეგრე გლეხები იყვნენ.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, არაგვის საერისთავოს ოსთა სოციალური მდგომარეობის შესახებ მასალები ძალიან მცირეა. ისინი ვერ იძლევიან საარაგვო ოსების ფეოდალური დამოკიდებულების სრულ სურათს, მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ეს დამოკიდებულება ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა საერთო სურათს შეესაბამებოდა.

---

[1] საქ. ცია, ფ. 1450, დავთ. 23, საბ. 187.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 3906.

* * *

გარდა ჩამოთვლილი ფეოდალური ერთეულებისა, ოსები ცხოვრობდნენ შიდა ქართლის სხვა ფეოდალთა მამულებზეც.

XVIII ს. პირველ ნახევრისათვის ძამის ხეობაში (ქარელის რაიონი, ყოფ. საციციანო) იყო სოფ. ოსი (მას ოსთუბანიც რქმევია). იმის გამო, რომ საციციანო, მტრების შემოსევებისა და შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად, სისტემატურად ჩანაგდებოდა, ფეოდალები ცდილობდნენ დაცარიელებული სოფლები და რაიონები კვლავ დაესახლებინათ. პროფ. დ. გვრიტიშვილი საციციანოს დასახლების წყაროდ ოსურ მოსახლეობას მიიჩნევს. „საციციანო, ჩენს ძირითადად მაინც ოსური მოსახლეობის ხარჯზე შევსებულა ჟამითი ჟამად და ეს პროცესი XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. ფაწის ხეობა, მაღრან-დვალეთი, როკა, თლია, ჟამური — აი ის პროვინციები, საიდანაც ოსები მოდიოდნენ საციციანოში საცხოვრებლად. ასე, რომ ქართულ ნასოფლარ-ნასახლარებში ოსური ახალშენები წარმოიქმნა“[1].

შიდა ქართლის რაიონებში ოსთა განსახლების ერთ-ერთი ფორმა იყო მათი ეროი ფეოდალის მამულიდან აყრა და უკეთესი ხვედრის საძიებლად სხვა ფეოდალის მამულში გადასახლება. ვახტანგ VI ერთ ბრძანებაში (1703—1711 წწ.) ნათქვამია, რომ „ფარემუზ ჯავახიშვილს ქსნის ერისთავის მამულიდან ოსები მოსლოდნენ და ჭვარების სახორცეშა დაესახლებინა, მერე აჰყროდეს ის ოსები და პაპუნა ციციშვილს მისლოდნენ. ფარემუზ ჩიოდა: პაპუნამ კაცი მოუკდუნაო, ჩვენი გასასვლელი გზაც წამიკდენინაო და ის ოსებიც ძალად ამიყარა, წაასხაო. მოკითხული ვქენით და იასეული გავგზავნეთ. ოსები ძალად აეყარა... პაპუნამ ის ოსები, რაც წაუყვანია, ისრევ ფარემუზს მოსცეს...“[2] ვახტანგ VI-ის ბრძანებაში აღნიშნული მოვლენა განკერძოებული არ უნდა ყოფილიყო. ქსნის ერისთავი დავითი 1771 წელს ჩიოდა, რომ მისი ყმებიდან „ზოგნი აყრილნი კახეთს არიან“[3].

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 131.

[2] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 296.

[3] საქ. ცია, ფ. 1450, დავთ. 36. საბ. 202.

ადგილი ჰქონდა ქართლის რაიონებში ოსთა განსახლებას ყიდვა-გაყიდვის გზითაც. იესე ოსეს ძე ბარათაშვილი თავის ცხოვრება-ანდერძში 1780 წელთან დაკავშირებით წერდა, რომ „ოსეთში კაცი გავგზავნე ოსების საშოვნელად, ბევრი დამეხარჯა, მეპირებიან და ჯერ არა ჩანს რა, — ეგების ყმა გაგიმრავლდესთ“. იესე თავის ნასყიდ გლეხებს შირის ასახელებს ხუთ ოს ყმა-გლეხს[1]. ამას გარდა ხშირად ერთი ფეოდალი თავის ოს ყმა გლეხებს ჰყიდდა მეორე ფეოდალზე. 1725 წელს ლევან მაჩაბელმა ნასყიდობის საბუთი მისცა გივი ამილახორს, სადაც უცხადებს, რომ „...დაგვეჭირა და სათათროც სათხოვარისგან დიაღ ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა... წაკულთას ოვსი ნარიკაშვილი ვეფხიას საკვამლო, მთასა და ბარს რაც ალაგი ჰქონდეს და დიცას რაც მამული აქუს... კიდევ შალვახაშვილი შერმაზან თავის სახლის კაცით და დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს... თავის წილის მამულით და ალაგითა“. ნასყიდობის მოწმეებად დასახელებულნი არიან „ხვწეს ფირი და ჯაბო, ჯავს თოთი ქოჩორა და გასი და ბორა, გუბთას დავითა და ბირთველა, სხლებს ჯაჭი“[2].

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ოსეთიდან ქართლში ჩამოსული მოსახლე ეკონომიური სივიწროვისა და გაჭირვების გამო იძულებული ხდებოდა მიეყიდა თავი რომელიმე ფეოდალისათვის, ანდა შეძლებული მესაკუთრისათვის. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ვინმე ოსყოფილ ივანეს თავის მიყიდვის წიგნი დავით ფორაქაშვილისადმი. მასში ნათქვამია: „...ესე უთუო დრო დაუდებელი და მიზეზ შემოუღებელი ჩემის თავის მოსყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერინე და მოგეცი მე ოსყოფილმა ივანემ და მომავალმა სახლისა ჩემისამა ყოველმა შენ, ფორაქაშვილის ადამას შვილს დავითასა, ძმასა შენსა ბეჟანსა და იოსებსა და მომავალსა სახლისა შენისასა ყოველსავე, ასე რომე მე ოსი ვიყავ, ცხინვალს ჩამოველ, მოვინათლე, ცოლი შევირთე და დავდექი და ცხინვალს ვალში ჩავარდი, მრავლის გარჯილობით ვეცადე და ჩემის ვალის გარდახდა ვეღარ შევიძელ, მოველ და ჩემის ნებით თავი მოგყიდე და ღირე-

---

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი, ავ. იოსელიანის გამოც., 1950, გვ. 94, 99.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, გვ. 215—216.

ბული ფასი ავიღე და ჩემს ვალებს მოვრჩი და ჩემი თავი ნასყიდათ მოგეცი. ღმერთმან ჩემი თავი მშვიდობაში მოგახმაროს, რაგვარათაც სხუათ ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს...“[1]

XVIII ს. პირველი ნახევრის საბუთებში ჩანს, რომ სამუხრანბატონოს ტერიტორიაზეც მოსახლეობდნენ ოსები. სეფი-ხანის 1737 წლის 12 ივლისის ბრძანებაში ნათქვამია: „ჩვენი ბრძანება არის, რაც მუხრანის ბატონისა ან აზნაური, ან გლეხი კაცი და ციხეებია მთასა თუ ბარს, შანშეს ძალათ ეჭირა ოსები, ისევ სულ მუხრან-ბატონის ლევანისთჳს წყალობა გჳქნია და ამისთჳს გჳბოძებიხართ, ყველანი მოუდექით და მასა მსახურეთ და ამისის სიტყჳს მორჩილი იყავით“[2]. როგორც ჩანს, მეთვრამეტე საუკუნეში სამუხრანბატონოში ოსების რაოდენობა საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ლეკიანობისა და თურქ-ყიზილბაშთა შემოსევების შედეგად სამუხრანბატონო ძლიერ ზიანდებოდა და შემცირებულ ყმა-გლეხობას ხიზნების მიღებითა და ყიდვის გზით ივსებდნენ.

XVIII ს. ოსები მრავლად იმყოფებოდნენ თავად ფალავანდიშვილებისა და თუმანიშვილების ყმურ დამოკიდებულებაში. თუმანიშვილების ყმების მამულების ნუსხაში (1700—1719 წწ.) დასახელებულია ყმა-გლეხი მარღიშვილი — სახლკარის, კალოსაბძლის და ორი დღის ვენახის მქონე[3]. 1738 წლის თუმანიანთ ნოქრის ხარჯის ნუსხაში მოხსენებულია ვინმე მარღიშვილი, რომელსაც 10 აბაზი გადასახადი ედვა[4]. 1782 წელს მიცემულ პირობის წიგნში იასე, ნინია და ბერუა მარღიშვილები ზურაბ თუმანიშვილს თავის ბატონად იხსენებენ და პირობას აძლევენ, რომ მის მიმართ ურჩობას არ გამოიჩენენ[5]. ერეკლე II 1786 წელს სპეციალური ოქმით ავალებდა ზურაბ თუმანიშვილს თავის ყმები ივანე და ბერი მარღიშვილები გაჰყაროს მათსავე ძმასთან — მისირში ტყვედ ნამყოფ და ტყვეობიდან დაბრუნებულ იესესთან[6].

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 1625.

[2] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 445 (ხაზგასმა ჩვენია).

[3] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... I, გვ. 284.

[4] იქვე, გვ. 284.

[5] საქ. ცია, ფ. 1450, დავთ. 37, საბ. 80.

[6] იქვე, საბ. 81.

დოკუმენტები შეიცავენ ცნობებს ფალავანდიშვილების ოსი ყმებისა და ამ ყმობის წარმოშობის გზების შესახებ. 1783 წელს ჩობა და აფა ჩიბირაშვილები ნასისხლობის ნიადაგზე ნებაყოფლობით ყმურ დამოკიდებულებაში შედიან ფალავანდიშვილ გოგიასთან. „...შენის სისხლის გარდახდა არ შეგვეძლო და ჩვენი თავი გაყმევით. ორნი ძმანი ჩვენ გახლავართ, მე ჩობა ჩემის ცოლით და ჩემი ძმა აფა და დედაჩემი — ესენი შენს სისხლში გეყმენით...“[1]

იმავე ფალავანდიშვილებს 1784 წელს თავისივე ნებით ეყმენ ოსეთიდან მოსული ფილიშვილი ქუთა და მისი შვილი კაბილა, შვილიშვილები: ყადინა, თობა, მოსე, ყაისინა და ყანისინა. „მოვედით ოსეთით და გეყმენით, — ნათქვამია ყმობის წიგნში, — ჩვენგან რაც შეიძლებოდეს თავდადებით ერთგულნი და მომსახურენი ვიყვნეთ და გაუწყვეტლად ჩვენგან მსახური გახლდესთ“[2]...

რა თქმა უნდა, ამ ორიოდე გვარით არ ამოიწურებოდა ფალაყანდიშვილების ყმა ოსთა ოდენობა, მოყვანილ საბუთებში ჩიბირაშვილებსა და ფილიშვილებს მოწმეებად დასახელებული ჰყავთ მრავალი ოსი მოსახლე, რომელნიც თუ ყველა არა, უპირატესად მაინც ფალავანდიშვილების ყმები უნდა ყოფილიყვნენ.

სამხრეთელი ოსები ყველა საბატონო ყმები არ ყოფილან. მრავალრიცხოვანი იყო სახასო (სახელმწიფო) გლეხთა კატეგორიაც. სახასო გლეხობის კატეგორიას ჰქმნიდნენ დიდი ლიახვის სათავის რაიონსა და ნარ-მამისონის აუზში მცხოვრებნი. ამ ადგილების ოსურ მოსახლეობასთან შეიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ ქართლის პოლიტიკური მესვეურები. ისინი სხვადასხვა სამსახურს ასრულებდნენ სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგრამ ამ ოსების ცენტრალური ხელისუფლებისადმი მორჩილების დონე დამოკიდებული იყო უკანასკნელის სიძლიერეზე. მისი სისუსტის პირობებში ოსები გამოდიოდნენ მორჩილებიდან და მაშინ იარაღით ხდებოდა მათი კვლავ მორჩილებაში მოყვანა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გიორგი სააკაძის, ვახტანგ VI და ერეკლე II დროს.

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 647.

[2] იქვე, საბ. 649.

იშვიათად, მაგრამ მაინც, ოსები კახეთშიც დასახლებულან. XVII ს. კახეთში ოსების მოსახლეობა დოკუმენტურად დასტურდება. 1662 წლის წყალობის წიგნით თეიმურაზ I ჩერქეზ ალადაღს გაწეული სამსახურისათვის ყმა-მამულს აძლევს. „... ურუმში რომ ვიყავით, მრავალჯერ საქმე და ომი გარდავვეკიდა და ყველგან კარგად და სახელოვანად იყავ და მისად საპასუხოდ გიბოძეთ გარდის შვილის (ს)აგანაყოფო და ან ვინცავინ ჩერქეზი და ოსი აზნაურ შვილი იყო მათი მამულით ხელ მეუ (ა) ლად სრულობით ჩერქეზი და ნაოხარი ნასოფლარები მათი სამძღვრითა...[1]“

რა პირობებში ხდება ოსთა კახეთში დასახლება და მათ მიერ მამულების შეძენა — ამაზე ცნობები არ გვაქვს. უნდა დავუშვათ, რომ კახეთის მრავალგზის აოხრებულ ტერიტორიაზე ჩერქეზი და ოსი მოსახლეობის გაჩენა სამეფო ხელისუფლების, დასახელებულ შემთხვევაში თეიმურაზ I, მოღვაწეობის შედეგი იყო.

კახეთის ტერიტორიაზე ოსური მოსახლეობის გაჩენა XVIII საუკუნეშიც შეიმჩნევა. ქსნის ერისთავის დავითის ჩივილი (1771 წ.), რომ მისი ზოგი აყრილი ყმა კახეთს არიან გადახვეწილი, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. არსებობს მოსაზრება, რომ 1771 წლის ივლისში ერეკლემ მებატონე მაჩაბლებს ღალატი შეამჩნია, ორი ძმა მაჩაბელი აჰყარა და თავის ყმა-ოსებით ლილოში გადაასახლა[2]. მართლაც, XVIII — XIX სს. მიჯნაზე ლილოში ოსური მოსახლეობა იყო[3].

ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ სამხრეთელი ოსების ერთი ნაწილი იმერეთის სამეფოს ემორჩილებოდა. იმერეთის სამეფოს მორჩილებაში იყვნენ კუდაროსა და მდ. ჯეჯორის ხეობის ოსური მოსახლეობა. მაგრამ არც ისტორიული და არც დოკუმენტური მასალები არ გვაძლევენ იმერეთის სამეფოზე ოსთა ამ ნაწილის დამოკიდებულების სრულად წარმოდგენის შესაძლებლობას და იძულებული ვართ ამ ზოგადი განცხადებით დავკმაყოფილდეთ.

XVIII ს. უკანასკნელ ათწლედის დოკუმენტური მასალები

---

[1] საქ. ცია, ფ. 1450, დაეთ. 26, საბ. 146.

[2] გიორგი ლეონიძე, ნამცვრევი, ჟურნ. მნათობი, № 9, 1960, გვ. 157.

[3] Акты, I, გვ. 461; საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 2491.

გვაძლევენ ცნობებს ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა დიდი ჯგუფების ორგანიზებული გადმოსახლების შესახებ. 1794 წელს ერეკლე II თაგაურელი ოსის ქუნდუხიშვილ თუჯის სახელზე გაცემულ წყალობის წიგნში აღნიშნავდა: „... შენ ამ ოსების გარდმოსხმაზედ დიდად გაისარჯე და ერთგულად გემსახურე და შენც შენი სახლეულით გარდმოსვლა და ამავ ოსებთან დადგომა მოინდომე... თუ შენ აქ ამ ჩვენს ქვეყანაში ამ ოსებთან დაესახლები და დასდგები, ჩვენც ეს წყალობა გვიქნია შენთვის და შენი შვილებისათვის, რომ აზნაურშვილობის პატივი გქონდესთ და თარხანნი იყვნეთ...[1]“

ასეთივე მოვლენას ადგილი ჰქონდა შემდგომშიც. 1799 წელს გიორგი XII თაგაურელ ოსებს შემდეგს სწერდა: „ჩვენ შაგიერად თ ა გ ა ურ თ ო ს ე ბ ს, რ ო მ ე ლ ნ ი ც ხ ი ზ ნ ი თ ა ქ გ ა დ მ ო ს ა ს ვ ლ ე ლ ნ ი ხ ა რ თ, ასრე გეუწყოსთ. მერმე რადგან კ ი დ ე ვ გ ა რ დ მ ო ს ვ ლ ა მ ო გ ი ნ დ ო მ ე ბ ი ა თ ხ ი ზ ნ ი თ, ჩვენც ჩვენი აზნაურშვილი გაბაშვილი ნინია გამოგვიგზავნია და ჩვენგან დაბარებულს სიტყვას ყველას ეს გიამბობსთ. თქვენც ასე ხათრიჯამნი იყავით, რომ როგორც სანატრელი ჯელმწიფე მამა ჩვენი მწყალობელი იყო თქვენი, ჩვენ კიდევ უფრო მწყალობელიც ვიქნებით და კარგათ თვალყური გვეჭირება თქვენზედ. ჩვენს სახასოდ ყმად იქნებით, რომ სხვას ვისმე თქვენთან საქმე არავისრა ექნებათ, კარგს ბინასა და ადგილს გამოგირჩევთ და ასეთს ადგილს დაგაყენებთ, რომ კარგა გაგეძლებინებოდესთ. ჯერ ხანათ ისევ დიღომს უნდა ჩამოხვიდეთ და იქ დასდგეთ და მერმე სადაც კარგს ალაგს გამოვარჩევთ, რომ თქვენიც მოსაწონი იქნება, იქ დაგაყენებთ და სიმაგრესაც გაგიკეთებთ. სანამ ხვნისა და თესვის ბინა დაგედებათ, მანამდე სულადის მოცემით ჩვენ გაგაძლებინებთ...“[2]

ქართლში ოსთა გადმოსახლების ასეთი პრაქტიკა იწვევდა ოსთა სოციალური ზედაფენების უკმაყოფილებას. ეს უკმაყოფილება იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ გიორგი XII 1800 წლის ბრძანებაში თაგაურელ ფეოდალებისადმი ერთგვარი ახსნა-განმარტების მიცემა დასჭირებია. იგი წერდა: „თქვენ კი-

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 31.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 1617 (ხაზგასმა ჩვენია).

დევ ეს გითქვამსთ, რომ მანდედამ ჩვენ კაცებსა ვყრიდეთ და აქ მოგვიდიოდეს. ჩვენ არავინ აგვიყრია და არცავის ავყრით. თითონ მოდიან და ჩვენ ხომ ვერ გავყრით.. "[1] როგორც ჩანს ოსთა გადმოსახლება თაგაურიდან ქართლში მასიური გამხდარა. გიორგი XII არ უარუყვია თაგაურელ ფეოდალთა ბრალდების ის ნაწილი, რომ მათი ქვეშევრდომი ოსები ქართლში მართლაც სახლდებოდნენ. მან მხოლოდ ამ საქმეში თავის წამქეზებლური როლის დაფარვა სცადა და ეს პროცესი თვით ოსთაგან მომდინარე ინიციატივად გამოაცხადა. თაგაურელ ფეოდალთათვის მას არც იმის გარანტია მიუცია, რომ ოსთა ასეთი გადმოსახლების ფაქტებს აღარ დაუშვებდა. მან მხოლოდ იმით ანუგეშა ეს ფეოდალები, რომ აღთქმა მისცა — გადმოსახლებულ ოსთაგან თქვენ არაფერი საწყენი არ შეგემთხვევათო. ასეთი პასუხი თაგაურის ოსების სოციალური ზედაფენებისათვის დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა, მაგრამ ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლებისა და ქართლის ბარში მათი განსახლების შემდეგი ფორმები არსებობდა. 1. ამა თუ იმ ფეოდალის მიერ უმამულო ან მცირემიწიან ოსების თავის მამულში დასახლება და მათი თავის ფეოდალურ დამოკიდებულებაში მოქცევა; 2. ოსების ერთი ფეოდალის მამულიდან აყრა და უკეთესი ხვედრის საძიებლად სხვა ფეოდალის მამულზე დასახლება; 3. ყმების ყიდვა-გაყიდვა და თავნასყიდობა; 4. ქართლ-კახეთის მმართველი წრეების მიერ ოსთა დიდი ჯგუფების გადმოსახლების ორგანიზაციის შედეგად მათთვის საცხოვრებელი ადგილის მიჩენა და ახალ ადგილზე დამკვიდრების საქმეში მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

შეიძლება დავუშვათ, რომ საქართველოში XIII — XIV სს. გადმოსახლებული ოსები გაქართველდნენ და შეერწყნენ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ქართველი ფეოდალებისადმი დამორჩილების გზით. ოსთა სოციალური ზედაფენის ზოგიერთი წარმომადგენელი საქართველოშიც ახერხებდა თავის პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებას, ზოგ შემ-

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 3613.

თხვევაში განმტკიცებასაც. ამის მაგალითად შეიძლება ქსნისა და არაგვის ერისთავთა დასახელება[1]. მაგრამ ამის უეჭველი პირობა იყო მათი სრული გაქართველება. ისინი ტიპიურ ქართველ ფეოდალებად იქცეოდნენ.

ქართლის მთიანეთის ოსური მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა ბარის ცდებს—ფეოდალური ურთიერთობანი გაევრცელებინა მთაზეც. მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ვითარების არახელსაყრელობის მიუხედავად ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ტენდენცია იქითკენ მიიმართებოდა, რომ ამ პროცესში სულ უფრო და უფრო ჩაეთრია მთიანეთის მოსახლეობაც. ეს იყო საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა სიგანეში განვითარების უკანასკნელი საფეხური.

ზემომოყვანილი მასალები ნათლად გვიჩვენებენ XVIII საუკუნეში ოსთა სამხრეთით მოძრაობის პროცესს, რომელსაც, რიგ შემთხვევებში, თანდათანობით წინ წამოწევის ხასიათი ჰქონდა. ოსები უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძიებლად სამხრეთით მოიწევდნენ და ქართველ ფეოდალთა თუ უფ-

---

[1] შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ შიდა ქართლის ფეოდალთა საგვარეულო მატიანეებში იშვიათი არაა მითითება ამა თუ იმ საგვარეულოს ოსურ წარმომავლობაზე, ან მათი აღზევების ოსებთან დაკავშირებაზე. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ფაელენიშვილებისა და თუმანიშვილების აღზევება ოსთა მხარდაჭერით ხდება (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, ფ. 12, 15—16). ხერხეულიძეთა შესახებ იგი აღნიშნავს, რომ წარმოშობით სამცხედან არიან. ერთი მათგანი თამარის დროს ნარში მოხელედ ყოფილა, სადაც დიდგვარიანი ოსის — გორჭიშვილის ქალი შეურთავს და გოჭიანებად იწოდნენ. მისმა ჩამომავალმა აღათანგიმ მარაბდის ომში თავი გამოიჩინა და მისი მემკვიდრეები ქართველმა მეფეებმა დააწინაურეს. იოანეს მოჰყავს ხერხეულიძეთა წარმოშობის მეორე ვერსიაც, რის მიხედვითაც ხერხეულიძე ნარელი ოსი იყო და სამცხეს მამული მიიღო, იქიდან კი ქართლში დაბრუნდა (იქვე, ფ. 15). ვახუშტიც აღნიშნავს, რომ „ხერხეულიძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას“ (აღწერა..., გვ. 25).

ოსური წარმოშობისანი არიან, იოანეს თანახმად, აზნაურები: ელარიშვილები. ბათიშვილები, სრესელები, გოდაბრელიძეები, გომართელები, ლომიძეები (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3729, ფ. 45—46, 49, 53, 71, 115—116). აღნიშნული გენეალოგიური ცნობები დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (1884 წ. № 68, 83, 120, 121, 125), აქედან კი გადაბეჭდა მ. ჯანაშვილმა შრომაში: «Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, СМОМГК, в 22, гз. 63—64.

ლისწულთა ბარის მამულებზე სახლდებოდნენ. იმავე მასალებიდანვე კარგად ჩანს ოსთა მამულებით შეწყალების მამოძრავებელი მოტივებიც. ასეთი შეწყალებანი განსაკუთრებით გახშირდა XVIII ს. მეორე ნახევარში და დაკავშირებული იყო ქართველ ბატონიშვილთა სახელთან. დოკუმენტებში ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ ოსს მამულის წყალობა ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ეძლევა. უმრავლეს შემთხვევებში ასეთი წყალობის საფუძველი უკვე გაწეული სამსახურია. შემწყალებელი (მეფე, უფლისწული თუ ფეოდალი) თვალყურს ადევნებს შეწყალებულის მდგომარეობას და სათანადო პირობებს უქმნის სამსახურის შესაძლებად.

საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ბარის რაიონებში ოსების მიერ მამულის მიღების და დამკვიდრების ერთ-ერთი პირობათაგანი იყო მათი ქრისტიანობა. წყალობის წიგნებში ხშირადაა ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ოსი „ახალი ქრისტიანია", „ნაოსარი" ანდა „ოსყოფილია". სამივე შემთხვევაში ეს ნიშნავს იმ ოსის ქრისტიანობას, რომელსაც ეს ცნებები ეხება. ამ გარემოებაზე მითითება იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანი ოსის (თუ ის ქრისტიანია, მაშინ „ოსი" ამ სიტყვის სრული აზრით აღარცაა და იგი ქართველად ითვლება) ცხოვრება ქრისტიანულ ქართულ მოსახლეობას შორის კანონზომიერია და ფრიად სასურველიც[1].

---

[1] არაქრისტიან ოსებთან პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას ქართველები არ ერიდებოდნენ, მაგრამ მმართველი წრეები მათ მიმართ ზოგიერთ შეზღუდვებს მაინც ახორციელებდნენ. 1782 წელს ირაგვის საერისთავოს მცხოვრებთათვის შედგენილ „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა"-ს მესამე მუხლში ნათქვამია: „თუ რომელიმე ქრისტიანე კაცი ოსს ქალს მისცემს და დამოყურდება, იმას ჩვენს მუხანათობასავით მოეკითხავთ და დიდადაც გარდავახდეინებთ. და თუ ოსმა ქალი მოგცესთ, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა მონათლოთ, მოუნათლობა არ იქნება" (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. 493).

განჩინების ეს მუხლი მოწმობს, რომ საარაგვოში ქართველ-ოსთა შორის ქორწინებებს მრავალად ჰქონიათ ადგილი. განჩინების ავტორებს ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, თუ ისინი მათი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისნი იქნებოდნენ. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩრდილოეთიდან „ოსეთის კომისია", სამხრეთიდან კი ქართული სასულიერო წრეები ოსთა მასობრივი გაქრისტიანებისათვის ენერგიულ ზომებს ღებულობდნენ. ასეთ პირობებში არაქრისტიან ოსისათვის ქრისტიანი ქალის

XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლის ბარში ჩამოსახლებული ირდილო ოსები მკვიდრდებოდნენ სახასო მიწებზე და სახასო გლეხთა რიგებს ავსებდნენ. ფეოდალთა მიწებზე დასახლებული ოსები საბატონო ყმების კატეგორიაში გადადიოდნენ. ამ გადმოსახლებულ ოსთა დასახლების ადგილი წინასწარი შეთანხმებით ზუსტდებოდა და სოფლის მეურნეობის (ხვნათესვის) საწარმოებლად ხელსაყრელი პირობების არსებობას გულისხმობდა. ისინი ყველა იმ ვალდებულებებს ასრულებდნენ და ბეგარა-გამოსაღებებს იხდიდნენ, რაც საქართველოში სათანადო კატეგორიის გლეხებს ეკისრებოდათ. გადმოსახლებული ოსები, ძველ ოსურ მოსახლეობასთან ერთად, ქართლ-კახეთის ფეოდალური წრეების სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდნენ.

§ 2. სამხრეთელ ოსთა ფეოდალური ექსპლოატაცია და კლასობრივი ბრძოლა

ოსების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობის სიმჭიდროვე ქართველ ხალხთან ერთდროულად გულისხმობდა ქართულ ფეოდალურ წრეებთან მათ ურთიერთობასაც (სოციალურ დამოკიდებულებაში ყოფნა ურთიერთობის თავისებური ფორმაა). ქვემოთ ნაჩვენები იქნება სამხრეთელ ოსების სოციალური მდგომარეობა განსახილველ ხანაში.

ქართველი გლეხობა თავის წარმოშობის, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით სხვა და სხვა კატეგორიებად არის დაყოფილი. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში „გლეხი" ზოგადად ყმის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა და ქართულ სინამდვილეში ყმა-გლეხთა ისეთი კატეგორიების სახით იყო წარმოდგენილი, როგორიცაა „მკვიდრი", „მსახური", „ნასყიდი", „ნაწყალობევი", „ნებიერი, „ბოგანო", „ხიზანი და სხვ.

სამხრეთელი ოსები ქართველ ფეოდალ-მებატონეთა და-

მიცემა ხელისუფლების ინტერესების საზიანო იყო. ოსი ქალის თხოვნას ქართველის მიერ არავითარი შეზღუდვა არ ახლდა, ოღონდ უნდა მოენათლათ იგი.

მოკიდებულებაში ყოფნის გამო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართულ სოციალურ-ეკონომიურ სინამდვილესთან და, ამდენად, გლეხთა დასახელებული კატეგორიები, მეტ-ნაკლებად, მათაც შეეხება.

დოკუმენტური მასალა, რომელსაც ჩვენ მივმართავთ, ძირითადად XVIII ს. თარიღდება და სამხრეთელ ოსი მშრომელი მოსახლეობის იმდროინდელ ვითარებას ასახავს. ამ დროს გლეხობის ექსპლოატაცია საქართველოში თავის უკიდურეს საზღვარს აღწევს. ეს გარემოება გლეხობის უფლებრივ მდგომარეობაზეც ახდენს გავლენას, კერძოდ, აღრმავებს ყმა-გლეხობის სხვადასხვა კატეგორიების ნიველირების პროცესს. XVIII ს. დოკუმენტური მასალები ოსთა შორის შემდეგი სოციალური კატეგორიების გლეხებს გვიჩვენებენ:

1. მკვიდრი
2. ხიზანი
3. ნასყიდი
4. თავნასყიდი
5. ნებიერი
6. თარხანი

„მკვიდრი“ ყმები უნდა გამხდარიყვნენ XIII—XIV სს. გადმოსახლებული ოსები. უფრო მოგვიანო ხანაში ასეთ „მკვიდრ“ ყმათა რიგები უნდა გაზრდილიყო იმ ოსთა ხარჯზე, რომლებიც სხვადასხვა გზებით (ნებაყოფლობით გადმოსახლებით, ყიდვით, ჩუქებით და სხვ.) სახლდებოდნენ ქართველ ფეოდალთა მიწებზე. ეს უკანასკნელნი დროთა განმავლობაში „მკვიდრებად“ იქცეოდნენ.

საქართველოში „ხიზანი“ ეწოდებოდა გლეხს, რომელიც ერთ მებატონეს წაუვიდოდა და მეორეს შეაფარებდა თავს. ხიზნობა ფეოდალურ ქვეყანაში ანტიფეოდალური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო და გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პროდუქტს წარმოადგენდა. რაც შეეხება ოს ხიზნებს, მათი წარმოშობის საკითხი სხვანაირად უნდა დავაყენოთ. ოსი ხიზნების წარმოშობის ძირითადი წყარო იყო ის მძიმე ეკონომიური პირობები, რომლებშიც მთიან და უნაყოფო ადგილებში მცხოვრებ ოსებს უხდებოდათ არსებობა. გამორიცხული არ არის ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ოსთა ხიზნობის საფუძველი კლასობრივი ბრძოლაც ყოფილიყო. 1800 წელს გიორგი XII

თაგაურელ ოსთა დიდი პარტია მიიღო თავის ქვეყანაში დასასახლებლად, რითაც თაგაურელ ფეოდალთა პროტესტი გამოიწვია[1]. ცხადია, ამ ოსთა გადმოსახლება მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ მომხდარა და მათ შორის კლასობრივი ურთიერთობის დაძაბულებით აიხსნება. გარდა ამისა, თუკი ქართველ ხიზანს მისი ყოფილი მებატონისაგან აყრის საშიშროება ელოდა, ოს ხიზნებს ასეთი საფრთხე არ ელოდათ. ზოგჯერ ასეთი ხიზნები სახასო მამულებზე სახლდებოდნენ და მალე მკვიდრ სახასო გლეხებად იქცეოდნენ.

ისევე როგორც საქართველოში, ოს ყმა-გლეხთა პრივილეგირებულ ფენას ჰქმნიდნენ „თარხანი" გლეხები. ისინი საბატონო თუ სახელმწიფო გამოსაღებებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებოდნენ, ოღონდ გარკვეული სამსახური მაინც უნდა შეესრულებინათ.

რაც შეეხება „ნასყიდს", თავნასყიდს", „ნებიერს" — ისინი ამა თუ იმ ოსი ყმა-გლეხის ფეოდალურ დამოკიდებულებაში მოქცევის გზაზე მიგვითითებენ მხოლოდ. სხვა მხრივ ისინი არაფრით არ განსხვავდებოდნენ სხვა კატეგორიის ყმა-გლეხებისაგან.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში გლეხის საბატონო ვალდებულება იყოფოდა ბ ე გ ა რ ა დ და ს ა მ ს ა ხ ურ ა დ. ბეგარა ეწოდებოდა მებატონისაგან მიღებულ მიწასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ნატურალურ გამოსაღებს. ბეგარა თავის მხრივ იყოფოდა „თავი ბეგარად" და „სამასპინძლოდ", ანუ „პურის ჭამად".

ყმა-გლეხობას „სამსახურიც" ეკისრებოდა, რომელიც თავის ხასიათით შრომითი ბეგარა იყო: ხვნა, თესვა, მკა, თივის და ხე-ტყის მოტანა, მშენებლობა და სხვ.

კონკრეტულად რა ხასიათის ფეოდალური გადასახადები და ვალდებულებანი აწვათ ოს ყმა-გლეხებს, ამის შესახებ XVIII ს. დოკუმენტური მასალები ზოგიერთ საინტერესო ცნობას შეიცავენ.

ტბელი (მეჯუდაზე) გლეხი თუაური ორა და მისი მემკვიდრეები თარხნობის მიღებასთან დაკავშირებით გათავისუფლ-

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 3613.

დნენ შემდეგი გამოსაღებებისაგან: ყ ა ლ ა ნ ი, ს ა ჩ უ ქ ა რ ი, ს ა ა ღ დ გ ო მ ო დ ა ს ა მ ო ხ ე ლ ე ო.[1]

თაგაურელ ქუნდუხიშვილ თუჯის გადმოსახლების შემდეგ ერეკლე II-ის მიერ თარხნობა მიეცა და გათავისუფლდა „ყოველისა ბეგარისა და გამოსაღებისაგან, თვინიერ ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე“[2].

რიგ საბუთებში აღნიშნულია, რომ ოსები თავიანთ მებატონეთ ისე უნდა ემსახურონ, როგორც „ბატონყმობის რიგია“, ან „საერთო დებულების“ მიხედვით.[3] სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ ოსი ყმა-გლეხები ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ თავიანთ მებატონეებს. როცა ქართლის ბარში ოსი გლეხი ბეითალმან მამულს მიიღებდა, იგი ამ მამულზე დაწესებულ ყოველგვარ გამოსაღებს უხდიდა მემამულეს. 1789 წელს ცხრაძმას თომაშვილები მამულს ღებულობენ. ისინი სამი წლით გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან, ხოლო „სამს წელიწადს უკან როგორც იმ მამულის რიგი და წესი იყო, ისრე გვემსახურეთო“.[4]

ხშირად მთიდან ბარში ჩამოსახლებულ ოსთა მიერ მიღებულ მამულებს, „საღალო მამულები“[5] ეწოდებოდა და აშკარად მეტყველებს, რომ მათ მფლობელთა ძირითადი გამოსაღები სწორედ ღალა იყო.

ზოგიერთ ყმა-გლეხის ოჯახიდან მებატონეს მსახური მიჰყავდა.[6]

საბუთები არ გვაძლევენ საშუალებას გამოვყოთ საბატონო გლეხების ფეოდალური ვალდებულებანი სახასო ყმათა ვალდებულებათაგან. ჩვენი აზრით, საუფლისწულო გლეხების ვალდებულებანი არაფრით არ განსხვავდებოდა საბატონო გლეხთა მოვალეობისაგან. ისინი — საუფლისწულო ყმები გუშინდელი საბატონო გლეხები იყვნენ და საუფლისწულო გლეხებად გადაქცევით მხოლოდ ბატონი შეეცვალათ. მათ

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 458.

[2] იქვე, საბ. 31.

[3] იქვე, ფ. 1450, დავთ. 37, საბ. 80; დავთ. 42, საბ. 301.

[4] იქვე, ფ. 1449, საბ. 147.

[5] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 934.

[6] იქვე, ფ. Hd, საბ. 647, 649.

მფლობელად ახლა მეფის გვარი იქცა. მაგრამ მათი ეკონომიური მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო.

ოს ყმა-გლეხთა ფეოდალურ ვალდებულებათა სრული ჩამოთვლა თვით XVIII საუკუნისათვისაც არ გაგვაჩნია. XIX ს. დასაწყისში რუსეთის ხელისუფლების მიერ ფიქსირებულ იქნა მაჩაბლებისა და ქსნის ერისთავების ყმების ბეგარა-ვალდებულებანი. 1824 წელს გენ. ერმოლოვის დავალებით გენ. ხოვენმა შეაგროვა მასალები ოსი ყმა-გლეხობის ფეოდალური გამოსაღებების შესახებ. მისი მასალების თანახმად:

1. თითოეული კომლი ვალდებული იყო ყოველწლიურად 3 ცხვარი ეძლია მებატონისათვის, თითოეული თითო მანეთის ღირებულებისა ვერცხლად.

2. თითოეული საკომლო მამულიდან (15—20 დღის სახნავი მიწა) წლიურად ერთი ძროხა (5 მანეთის ღირებულების), ან ხუთი ცხვარი. ამას ბეგარა ეწოდებოდა და აიღებოდა საკომლოზე, თუნდაც მასზე რამდენიმე კომლს ეცხოვრა.

3. ორ წელიწადში ერთხელ თითოეულ საკომლოდან საჩუქარი ერთი ხარი 10 მანეთის ღირებულებისა.

4. ჯავის ხეობის უახლოესი ოსური სოფლების ყმა-გლეხობა, დასახელებულის გარდა, მებატონეებს ყოველ წელს აძლევდა:

ა) ყველიერის კვირას თითოეული კომლიდან ერთ გირვანქა ერბოს ან ერთ ლიტრა ყველს — 40 კაპ. ღირებულებისას;

ბ) დიდმარხვას ლუდს ან სხვა პროდუქტებს — 1 მანეთისას;

გ) კომლზე წელიწადში 2 კოდ ქერს.

შრომითი ბეგარის, ანუ სამსახურის სახით ყმა-გლეხებს ევალებოდათ:

ა) წელიწადში ერთი დღე სოფლის განკარგულებაში არსებული გუთნებით მებატონის მიწის მოხვნა, მისი დათესვა, მომკა და მებატონის კარზე მიტანა;

ბ) თივის ზვინების დადგმა სოფლებთან და საჭიროებისას მათი მიტანა მებატონის კარზე;

გ) მებატონის მშენებლობაზე ხე-ტყის მოზიდვა;

დ) მებატონის სამსახური.

ოსთა შორეული სოფლების მცხოვრებნი გადასახადებს მხოლოდ პირუტყვით იხდიდნენ.[1]

ასეთივე გადასახადებს, ოღონდ მათი ვარირება ხდებოდა, იხდიდნენ სხვა მებატონეთა ყმა ოსებიც. მაგ. ქსნის ერისთავთა გლეხები იხდიდნენ ბეგარას, საჩუქარს, სააღდგომოს, სანაცვლოს, სამოურავოს და სხვ.

საბუთებიდან ჩანს, რომ ქართველ მებატონეთა მთიელი ყმების ბეგარა-გადასახადები განსხვავდებოდა მათივე ბარელი ყმების ბეგარა-გამოსაღებებისაგან.

ქართლის ბარში უმთავრეს საბატონო ბეგარას შეადგენდა ღალა (გამოსაღები მარცვლეულზე), კულუხი (ვენახზე), საბალახო და პირისთავი (გამოსაღები წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელზე), ძღვენი და სხვ. ამ ბეგარას იხდიდნენ ბარის რაიონებში დასახლებული ყმა ოსები, რომელთა მეურნეობაც მარცვლეულის მოყვანისა და მევენახეობის წარმოების შესაძლებლობას იძლეოდა.

ყველაზე მკაფიოდ მთელ ოსთა გამოსაღებების ერთი სახესამასპინძლო წარმოგვიდგება. ჩვენს ხელთ არსებობს თრუსოდან 1776 წელს შემოსული სამასპინძლო ნუსხა: „ქ. რაც თრუსოდამ სამასპინძლოში რაც მოვიდა ქკს უჲდ (464-1776)

სჲვ	(266)	ცხვარი	დ	(4)	შალვარი
მე	(45)	ძროხა	ა	(1)	ტყავი
იბ	(12)	ვირი და მუტრუკი	გ	(3)	ყისინა
ა	(1)	კვიცი	ᲦᲐ	(8)	ხმალი
ა	(1)	ცხენი	ზ	(7)	თოფი
კე	(25)	ნაბადი	ა	(1)	ფარი“[2]
		შალი			
		ჩოხა			

როგორც ჩანს, სამასპინძლო საკმაოდ მძიმე გამოსაღები ყოფილა. მას იხდიდნენ პირუტყვისა და ცხენების სახით, ნაბდების, შალის, ჩოხების, ტყავების, ყისინების (თხის ბეწვისა-

---

[1] Акты, VI, ч. I, გვ. 689; З. Н. Ванеев. Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке გვ. 92.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 3507, ასოების რიცხვობრივი მნიშვნელობა ჩვენი მიწერილია.

გან დამზადებული უხეში ქსოვილები) და საბრძოლო იარაღის (თოფი, ხმალი, ფარი) სახით.

1780 წლისათვის მოგვეპოვება თრუსოს დაბეგრილი ყმაგლეხობის საკომლოთა ნუსხა. 11 სოფელში აღრიცხულია 73 კომლი. მათ უჭირავთ 70,5 საკომლო მამული. 5 კომლს ნახევარი საკომლო მამული უჭირავს თითოეულს. 2 კომლი თარხანია და 68,5 საკომლო მამული იბეგრება[1]. ჩვენს ხელთაა 1780 წელს თრუსოზე შეწერილი სამასპინძლოს ანგარიშიც: „რაც თრუსოს სამასპინძლო შესწერდა ქკ̃ს უꙗꙋ (468-1780) ანგარიში ზაალმა უნდა მოგვცეს.

ჩპ (1080) ცხვარი

ბ (2) ცხენი

სო (270) ꙗზე (67,5) საკომლოს ორის წლის ყალანი იქნება საკომლოზე

რლე (135) ნაბადი საკომლოზე

სავახშმო და საშავარდნო ცეცხლზე რაც დადგება“[2].

საბუთის თანახმად, თრუსოს თითოეულ საკომლოს სამასპინძლოს ანგარიშში 1780 წელს 16 ცხვარი შეაწერეს, 2 ცხენი კი საერთოდ მთელ საკომლოებს. გარდა ამისა, ყალანიც უნდა გაეღოთ — თითოეულ საკომლოზე წელიწადში 2 ნაბადი და სავახშმო და საშავარდნო განსაზღვრული ოდენობით.

ღუდის ოსებს XVIII ს. „მთიულეთის დებულების“ თანახმად, „აძეს ყალანი მამულზე ცხვარი ორი. სამასპინძლო მერმე წელიწადზე კომლზე თანასწორეთ ცხვარი ერთი, თოხლი ერთი.

საკომლოზე აძეს ქვეშ საგები ნაბადი ერთი“[3].

ბატონიშვილების ქონების უწყისებში (1803 წ.) ნათქვამია, რომ არაგვის მპყრობელი ვახტანგ ერეკლეს ძე თავის ქართულოსური სოფლებიდან იღებდა ფულს, პურს, ღვინოს, ერბოს, ყველს, ცხვარს, ბატკანს, ღორს, ქათამს, თივას[4].

საბატონო გლეხობა, გარდა იმისა, რომ უშუალოდ მებატონეს უხდიდა ფეოდალურ ბეგარასა და ღალას, სხვადასხვაგვარი ბეგარა-გადასახადებით ემსახურებოდა სახელმწიფოსაც

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 3906.

[2] იქვე, საბ. 12211.

[3] იქვე, საბ. 4724.

[4] Акты, II, გვ. 82.

(მეფეს). გლეხის სახელმწიფო გადასახადებს წარმოადგენდნენ: კოდის პური, საბალახე, ნახირისთავი, პირისთავი, საბაზიერო, ლაშქარ-ნადირობა, ქეშიკი, საჯინიბო და სხვ.

კოდის პური. ქართლში თითოეულ კომლზე 3 კოდი პური და ქერი ყოფილა დაწესებული XVIII ს-ში. მთის მცხოვრებთ კოდის პური არა სდებიათ. 1771 წელს დავით ერისთავი ერეკლე II მიმართავდა საჩივრით, რომ მისი ყმები ბარის მოსახლეობასთან შედარებით კოდის პურით მეტად იყვნენ დაბეგრილი. რაც შეეხება მთის მცხოვრებთ, მათ თქვენი მამაპაპათაგან კოდის პური არა სდებიათ და ახლა დაღესტნიდან რაჭამდე მთელი მთის მცხოვრებნი თქვენი ყმანია, თუ იმათ დაკისრებთ, ჩემს ყმებსაც რაღა გზა ექნებათ — გადაიხდიანო. ერეკლემ საჩივარს სახლთუხუცესის და მდივანბეგის მისამართით შემდეგი რეზოლუცია წააწერა: „ქსნის ერისთავის მთის კაცთ, რომელთაც კოდის პური არა სდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენა ვთხოვთ და რომელთაც ვაკის კაცთ კოდის პური სდებიათ, იმათ უნდა მოგვცენ, მთის კაცს გარდა. რაც დღეს ყმა ჰყავსთ, რომელიც ალაგს კოდის პური სდებია, ეს გლეხი კაცი აღრიცხეთ და კომლზე კოდის პური როგორც ქართლში სხვას შეაწეროთ, ისე ამათ ყმას შეაწერეთ...“[1].

ამრიგად, საბატონო ოსთა ნაწილი იხდიდა კოდის პურს. ოსთა ის ნაწილი, რომელიც მთიან რაიონებში ცხოვრობდა, მისგან თავისუფალი იყო, ოღონდ სანაცვლოდ პირუტყვს ახდეინებდნენ.

ს ა ბ ა ლ ა ხ ე იყო წვრილფეხა საქონელზე სახელმწიფო საძოვრებით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი.

ნ ა ხ ი რ ი ს თ ა ვ ი — მსხვილფეხა საქონელზე დაწესებული გადასახადი. დიდ სოფელს ხარი, შუათანას ძროხა, პატარას ცხვარი უნდა გაეღოთ.

ჰ ი რ ი ს თ ა ვ ი ცხვრის ფარაზე შეწერილი გადასახადი იყო: იღებდნენ ას ცხვარზე ერთს.

ს ა ბ ა ზ ი ე რ ო — გადასახადი ქათმით მეფის ბაზიერთათვის.

---

[1] საქ. ცია, ფ. 1450, დავთ. 36, საბ. 202.

ს ა ჯ ი ნ ი ბ ო უმთავრესად სამეჯინიბო ბატკნისაგან შედგებოდა.[1]

ლ ა შ ქ ა რ - ნ ა დ ი რ ო ბ ა გულისხმობდა ყმა-გლეხის მონაწილეობას სამხედრო ღონისძიებებსა და ნადირობასთან დაკავშირებულ საქმეებში. თუ მეფე ან უფლისწული მიმართავდა ყმის გათარხნებას, ლაშქარ-ნადირობის სამსახურს მაინც ვერ ელეოდა და თარხნებს ამ ვალდებულებას უტოვებდა.

სახელმწიფო გადასახადთა კატეგორიასაა მიკუთვნებული გზების, ხიდების და ციხე-სიმაგრეების აგების სამუშაოებში მონაწილეობა. დოკუმენტური მასალები ყველა ამ გადასახადის ოსებზე გავრცელების დასადასტურებლად არ მოგვეპოვება. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოსი ყმა-გლეხობა ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა.

გარდა საბატონო და სახელმწიფო გადასახადებისა, გლეხობას აწვა უცხოელ დამპყრობელთა სასარგებლოდ შეწერილი გადასახადები. შემოსეული მტერი მძიმე ხარკით ბეგრავდა მოსახლეობას. უკანასკნელი იძულებული იყო სისტემატურად ეძლია „სათათრო“ გამოსაღებელი. ლევან მაჩაბელი თავის ნასყიდობის წიგნში გივი ამილახვარს 1725 წელს პირდაპირ ეუბნება, რომ „დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან დიდი ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა... ოესი ნარიკაშვილი... შალვახაშვილი“[2]. ცხადია, თუ სათათრო გამოსაღები ასე მძიმე იყო მებატონისათვის, ადვილი წარმოსადგენია რა მძიმედ უნდა დატყდომოდა თავს იგი მწარმოებელ მოსახლეობას.

ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII ს. მეორე ნახევარში შემოღებულ იქნა ახალი სახელმწიფო გამოსაღები ე. წ. სურსათი, რომელიც ჯარის შესანახად იყო განკუთვნილი. იმავე ხანებში დაწესდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავდაცვითი ღონისძიებების გასატარებლად საგანგებო გამოსაღები „სალეკო“. ცალკეულ შემთხვევებში სხვა, ერთდროული გადასახადებიც გაეწერებოდა მოსახლეობას.

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 224.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., 1, გვ. 215—216.

სურსათს მთიელი ოსები არ იხდიდნენ. ჩვენს წინაშეა «Правила на сбор в Грузии за 1802 год, под названием сурсат, хлебной подати:... сурсат... всегда собиралась в Грузии на необходимые нужды государственные: то и ныне подать сю на сей же предмет по прежнему положению, по которому взиманию оной подлежат все без изъятия купцы, промышленники, ремесленники, земледельцы и прочие нижние состояния всех племен обитателей Грузинских, окроме Осетинцев и других в горах живущих, о коих по малоимению земли и по скудости избытков их вообще предполагается учинить сообразно с прежними обычаями особое постановление, соразмерно способам их, взиманием от них вместо хлеба деньгами или скотом, либо другими родящимися у них произведениями»[1].

როგორც ჩანს, სურსათი მუდმივ გადასახადად ქცეულა. ბარის ოსები სურსათს მარცვლეულით იხდიდნენ, მთიელი ოსები კი მას პირუტყვით, ფულით ან სხვა რამით ფარავდნენ.

ქართველი გლეხობა იხდიდა საეკლესიო და სამოხელეო გადასახადებსაც. ქრისტიანი ოსი ყმა-გლეხობაც, ეჭვს გარეშეა, საეკლესიო გადასახადებს იხდიდა. უფრო მნიშვნელოვანი იყო სამოხელეო გადასახადები, როგორიც იყო „სამოურავო", „სამამასახლისო", „სანაცვლო", „საიასაულო".

ახალგორის მოურავი არჯევან ფიცხელაური 1782 წელს გიორგი ბატონიშვილს სწერდა: „რაც ახალგორი დაარსებულა, რაც თქვენგან ახალგორელთ შეეწერება, ხალხიდამ ათის თავი ჩემია და მამასახლისისა, — თუ ჩემი სარგო არ მებოძა, მე რიღათ უნდა დავრჩე, ან რაღა მოხელე ვიქნები"[2]. გარდა ათისთავისა მოურავი უშუალოდ გლეხებისაგან იღებდა შემოსავალს.

მოურავის შემოსავალი გლეხთაგან მცირე არ ყოფილა და სხვა გადასახადებთან ერთად იგი აუტანელ ტვირთად აწვა მწარმოებელ მოსახლეობას. საფიქრებელია რომ სამოურავოს და სხვა სამოხელეო გადასახადებს ოსი ყმა გლეხებიც დაახ-

---

[1] **Акты**, II, გვ. 7.

[2] საქ. სიძველენი, II, გვ. 459; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

ლოებით იმავე წესით იხდიდნენ. თრუსოში 1782 წლისათვის იხსენება მოურავი და ნაცვალი. ვახტანგი ბრძანებაში წერს თრუსოელ ოსებს, რომ „ამას წინათ თქვენი მოურავი გამოგიგზავნეთ", ან „თქვენი მოურავი და ნაცვალი გამოგიგზავნეთ..."[1] 1801 წელს ისროლის ხევში ნაცვლად იხსენება ვინმე გუსი თუაური[2]. XVIII ს. პირველ ნახევარში იხსენება მოურავი გიორგი მელაძე[3]. გიორგი XII დროს პატარა ლიახვზე მცხოვრებ ქართველთა და ოსთა მოურავი აზნაური გოგია ფურცელაძე იყო, ჭვრივის, მღვრივის, ვანათის და არბო-შინდისისა — აზნაური გოგია მირზაშვილი, მაღრან-დვალეთისა — ნასყიდა ზარიევი[4].

ერთი სიტყვით, ოსეთის შორეულ მთიან რაიონებში ადგილობრივი მოხელენი ოსთა წრიდან იყვნენ, ბარში კი ქართველი აზნაურები ასრულებდნენ ადგილობრივ მოხელეთა ფუნქციებს. მათი მეშვეობით მეფე თუ ფეოდალები ახორციელებდნენ ყმა-გლეხთა ექსპლოატაციას. ოსები მათ სასარგებლოდ იხდიდნენ სამოხელეო გადასახადებს. ეს ფაქტი დოკუმენტურადაც კარგად დასტურდება. თუაურმა ორამ იოანე ბატონიშვილისაგან თარხნობა მიიღო და მრავალ ფეოდალურ გადასახადთან ერთად გათავისუფლდა ყოველგვარ სამოხელეო გადასახადისაგანაც[5].

ქართლის მთიანი რაიონების ოსური მოსახლეობა ქართველ ფეოდალთა აშკარა ძალადობას და ძარცვა-გლეჯასაც განიცდიდა. ქართველ ფეოდალთა მამულებზე მდებარეობდა ამ ოსთა ქართლის ბართან დამაკავშირებელი გზები. ამ გზებზე ფეოდალები იჭერდნენ ბარში სავაჭრო-გაცვლითი მიზნით მომავალ ოსებს, ამწყვდევდნენ მათ დილეგებში და გამოსასყიდათ პირუტყვსა და ფულს მოითხოვდნენ. ასეთი დაბრკოლებანი უაღრესად მძიმე იყო ოსებისათვის და მათი მხრივ საპასუხო ღონისძიებებს იწვევდა.

---

[1] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 3526.
[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 6456.
[3] იქვე, საბ. 2898.
[4] Акты, I, გვ. 195.
[5] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 458.

როგორც ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში, შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ რაიონებშიც საზოგადოებრივი ცხოვრება მწვავე კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. მძიმე ფეოდალური გადასახადები, რომლებსაც გარეშე მტრების შემოსევებთან დაკავშირებით სხვა ხასიათის გადასახადებიც ემატებოდა (რომ აღარაფერი ვთქვათ აოხრება-განადგურების რეგულარულ შემთხვევებზე), ყმა-გლეხობას ფეოდალების წინააღმდეგ აშკარა თუ ფარული ბრძოლის გზაზე აყენებდა. სამხრეთელ ოსებს ხშირად განუცხადებიათ უარი ფეოდალებისადმი მორჩილებაზე, ბეგარა-გადასახადების გადახდაზე. ხელისუფლება ფეოდალებთან ერთად ებრძოდა ამ ტენდენციას და ხშირად იარაღსაც მიმართავდა ოსთა ხელმეორედ მორჩილებაში მოსაყვანად. 1626 წელს გიორგი საკაძემ იარაღით გატეხა გამდგარი ოსების წინააღმდეგობა და კვლავ მებეგრეობა დააკისრა. 1711 წელს ასეთივე მიზნით ნარ-მამისონის რაიონში გაილაშქრა ვახტანგ VI და გადასახადებით დაბეგრა ოსები. ერეკლე II-საც XVIII ს. 40-იან წლებში სამხედრო ძალის გამოყენება დასჭირდა ქსნისა და არაგვის საერისთავოების ოსთა დასამორჩილებლად. არაგვის ოსებთან ბრძოლაში ერეკლეს რაზმებმა „ორმოცი კოშკი აიღეს და დაწვეს, თურსი დაატყვევეს და ყოვლით გზით ყათლამი უყვეს“[1].

ოსი ყმა-გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ თავის ფეოდალ მებატონეებს, რომლებიც აფართოებდნენ ღონისძიებებს დამორჩილებული მასების ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდისა და ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი შორეული რაიონების მოსახლეობის თავის დამოკიდებულებაში მოსაქცევად.

ოსი ყმა-გლეხობის ფეოდალური კლასის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები მრავალგვარი იყო. პასიური (აყრა-გაქცევა, უარის თქმა ბეგარა-გადასახადების გადახდაზე) და აქტიური (აშკარა ურჩობა, მებატონეთა წინააღმდეგ ინდივიდუალური და კოლექტიური ბრძოლა) წინააღმდეგობის ფორმები ურთიერთს ავსებდა. XVIII საუკუნეში უკვე აშკარა გამოსვლებსაც ჰქონია ადგილი, რომელთაც მეტ-ნაკლებად მასობრივი ხასიათი მიუღიათ.

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 390.

როგორც ვახტანგ VI 1703—1711 წწ. შორის გაცემული ბრძანებიდან ჩანს, ქსნის ერისთავის მამულიდან ოსები აიყარნენ და ფარემუზ ჯავახიშვილს მიუვიდნენ, რომელმაც ისინი ჭვარების სახორცეში დაასახლა[1].

კლასობრივი ბრძოლის პასიურ ფორმებს ეკუთვნის მებატონის სამსახურზე უარის თქმა. ისროლის ხევში აზნაურ როსტომ ჟურულის მამულზე დასახლებულმა ოსმა გუსიმ სამი წლის მანძილზე თავის ბატონს არაფერი არ მისცა. უკანასკნელმა იოანე ბატონიშვილთან უჩივლა გუსის. იოანემ ბოქაულთუხუცესს უბრძანა, რომ მას ჟურულის ინტერესები დაეცვა და გუსი აეძულებინა გადაეხადა სამი წლის გადასახადები, ჩამოერთმია მისთვის მამული და ჟურულისათვის გადაეცა[2].

1782 წელს ოსი მარღიშვილები თავად ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემულ პირობის წიგნში აცხადებენ: „... ჩვენგან ცოტა რამ შეგწყენოდა, ჩამოხველ და ბატონს ამილახვარ მდივანბეგთან გვიჩივლე, და იესაულმა ჩამოგვიყვანა. მაგრამ მერე შუა კაცნი ჩამოვაგდევით და თუ რამ დანაშაული გ[ვ]ქონდა ჯერ ღ ̃თ ̃ს აპატივეთ და მერე შუა კაცებს, და ამილახვრის ბრძანებით ამ შუაკაცებმა შეგვარიგეს. დღეს და დღეის იქით პირობა მოგართვით რომ თქვენზე არა დავაშაოთ რა და რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს, იმგვარად გემსახუროთ“[3].

ხშირი ყოფილა ცალკეულ ყმათა ურჩობისა და ბატონყმური სამსახურისაგან თავის არიდების ცდები. თუმანიშვილის ქვრივი 1786 წელს საჩივრით მიმართავდა ერეკლეს თავის ყმის მარღიშვილის შესახებ. იგი წერდა: „...მარღიშვილები გახლავან ჩვენი ყმანი და ამათგან ერთი ძმა ტყვეთ დაკარგულიყო და ტყვეობიდან გიახლათ. ისევ თავი დაგვიკრა და ჩვენი ყმობა აღიარა... ეს ოცი წელიწადი არის რაც ტყვეობიდან გხლებია, ჩემს მამულზე დგომილა და ყმათ ყოფილა, ახლა თავი ავკაცობაზე დაუდვია, ხან თქვენ გაწყენს თავს, ხან ბედნიერს დედოფალს, ხან თქვენს შვილებს, ცდილობს რომ ჩემის ყმობიდან თავი მოისხლიტოს“ სხვა დოკუმენტებიდანაც

---

[1] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 296.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... II, გვ. 188.

[3] საქ. ცია, ფ. 1450, დავთ. 37, საბ. 80.

ჩანს, რომ თუმანიშვილის ყმა მარღიშვილი ტყვედ წაუყვანიათ, მისირში (ეგვიპტე) მოხვედრილა და იქიდან დაუღწევია თავი. იმდროინდელ ქართლ-კახეთში არსებობდა კანონი, რომ ტყვეობიდან თავისით დაბრუნებული ყმა თავის მებატონის ყმური დამოკიდებულებიდან თავისუფლდებოდა და უფლება ეძლეოდა ვისაც სურდა იმას დაყმობოდა. მარღიშვილს უცდია ეს კანონი ყმური დამოკიდებულებიდან თავის დასაღწევად გამოეყენებინა და ამისათვის არზებით მიმართავდა როგორც მეფეს, ასევე დედოფალს და ბატონიშვილებს. იმავდროულად იგი განაგრძობდა თუმანიშვილის მიწაზე ცხოვრებას. თუმანიშვილის ქვრივის საჩივარზე ერეკლეს მიერ დადებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ჩვენი ბრძანება არის. მერე ჩვენგან ასე არის განწესება. ტყვე რომ მოვა ერთი თვე და ანუ ორი თვე ვისთანაც დაეყმობა, იმას ყმობიდან ვერ წაუვა. ეს ამდენი წელიწადი ამ თავის მებატონესთან ყოფილა და ჰყმობია. ამისი ყმაც რომ არ ყოფილიყო, მაინც ვერ წაუვა ყმობიდამე, რადგანაც ამდენი ხანი ამისი ყმა ყოფილა"[1].

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ტყვეობიდან თავდახსნილის „ყმობიდან გათავისუფლება" ძალიან პირობითი შეღავათი იყო და ფაქტიურად მხოლოდ ახალი მებატონის არჩევის თავისუფლებაში გამოიხატებოდა. ფეოდალური საზოგადოების პირობებში, სადაც მიწა ფეოდალურ საკუთრებაში იმყოფებოდა, გლეხი მიწის მეპატრონე ფეოდალის დამოკიდებულებას ვერ ასცდებოდა, თუ საერთოდ მიწასთან კავშირს არ გაწყვეტდა. იმდროინდელ ვითარებაში კი გლეხის მიერ მიწასთან კავშირის გაწყვეტა მის დაღუპვას უდრიდა, რადგანაც მას წასასვლელი გზა არსად არ ჰქონდა. ფეოდალურ ქალაქს არ შეეძლო მისი მიღება და საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა[2].

ჭტრული დამოკიდებულება არსებულა თავად ფალავანდიშვილებსა და თავისუფალ გლეხ ჩიბირაშვილებს შორის. ჩობა და მისი ძმა ჩიბირაშვილები უჭვდებოდნენ ფალავან-

---

[1] საქ. ცია, ფ. 1450, დავთ. 37, საბ. 82.

[2] Ш. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 147.

დიშვილის მიერ გაგზავნილ კაცებს და ხოცავდნენ მათ. თვით გოგია ფალავანდიშვილსაც დასხმიან თავს და სიკვდილს გადარჩენილა. ამ ბრძოლაში ბოლოს მაინც თავადებმა სძლიეს და, როგორც 1783 წლის 10 ნოემბრის ნასისხლობის წიგნიდან ჩანს, სისხლში დაიყმევეს ჩიბირაშვილები[1].

ყმა-გლეხთა უკმაყოფილება ფეოდალებისადმი არაერთხელ გადაზრდილა უკანასკნელთა წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში. წყაროების სიმცირის მიუხედავად ასეთი შეიარაღებული ბრძოლის კონკრეტული მაგალითები საკმაოდ გვაქვს.

XVII ს. დამლევს გიორგი XI და ერეკლე I ნაზარალიხანის ბრძოლასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი გვაძლევს ცნობას, რომ გიორგი დამარცხდა და მისი მომხრენი გაიფანტნენ. „მთავარნი ვერღარა განმაგრდნენ სიმაგრეთა შინა თვისთა ყმათა თვისთა გამო და გიორგი ერისთავი (არაგვისა. —გ.თ.) და გივი ამილახორი წარვიდნენ დვალეთს და მუნიდამ იმერეთს, და თვით ერისთავი მოიყვანეს ყმათავე თვისთა მაღრანდვალეთიდამ წინაშე ერეკლესა“[2]. ცნობიდან არ ჩანს, არაგვის ერისთავი მისმა მაღრანდვალელმა ყმებმა შეიპყრეს თუ სხვა ყმებმა მაღრანდვალეთში. საფიქრებელია, რომ ერისთავის შეპყრობა მაღრანდვალელი მოსახლეობის ინიციატივა იყო, რომელიც ამ გზით ფეოდალური ექსპლოატაციისა და მუდმივი ბრძოლებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა.

1743 წელს არაგვის საერისთავოში აჯანყებამ იფეთქა. ერისთავების ყმებმა მოკლეს ერისთავი ბეჟან და მისი ძმა ოტია. მათ აღარ ისურვეს ერისთავიანთ გვარის ბატონობა და თეიმურაზ II გადასცეს საერისთავო. მალე მასაც გადაუდგნენ, არც ბეგარა მისცეს და არც მისი მოხელეები შეუშვეს არაგვზე[3].

არანაკლებ მწვავე იყო ქსნის საერისთავოს ყმა-გლეხობის ბრძოლა თავის მებატონეთა წინააღმდეგ. XVII ს. დამლევს

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 647.

[2] საქართველოს ცხოვრება; ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 66.

[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 390.

იესე ერისთავი ქვეშევრდომებმა მოკლეს. ასეთივე ბედი ეწია დათუნა ერისთავს (XVIII ს. დამდეგს). თუ როგორი თავგანწირვით ებრძოდნენ ერისთავებს მათი ყმა ოსები, კარგად ჩანს შანშე ქსნის ერისთავის მიერ 1733 წელს რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-სადმი მიწერილ წერილში: „... მღვთის მუხანათი შევიქენ, რომ ტყვეში გავერივე. ერთი არაგვის ერისთვის ნაყმევი ოსი იყო ჩემს მამულში. ის ოსი ავყარე და თათართ მივეცი და გამოეპარა, თავის სახლში მივიდა, საბრალო ჩემი ძმა რევაზ ოსებში წავიდა, გზაში ეღალატებინათ. გამიწყრა ღმერთი და დავრჩი იმისგან დაუტირალი"[1]. როგორც ჩანს, ერისთავის მიერ თათრებისათვის მიყიდულმა ოსმა ტყვეობიდან გამოპარვის შემდეგ ფეოდალზე სისხლით იძია შური.

შეუწყვეტელი ბრძოლა ერისთავების წინააღმდეგ წითელი ზოლივით გასდევს მათი ქართველი და ოსი ყმა-გლეხობის ცხოვრებას. იმდენად დიდი ყოფილა არაგვისა და ქსნის საერისთავოთა მოსახლეობის დაპირისპირებულობა ერისთავთა ბატონობისადმი, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ წინააღმდეგობების გამოყენებით ადვილად შესძლო ამ მუდმივი შინაომებისა და სეპარატიზმის ბუდეების ლიკვიდაცია და მათი სახასოდ გამოცხადებით მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავის პოზიციები. რა თქმა უნდა, ამ ადგილების სახასოდ გამოცხადებით მშრომელი მასების მდგომარეობა კარდინალურად არ გაუმჯობესებულა. მათ ამით მხოლოდ ბატონი შეეცვალათ. ასეთი ბატონები გახდნენ უფლისწულები (არაგვის ხეობაში 1743 წლიდან, ქსანზე 1777 წლიდან), მაგრამ ამ ნაბიჯმაც აღნიშნულ საერისთავოთა მოსახლეობას დიდი სარგებლობა მისცა. ბოლო მოეღო მუდმივ შინაომებს, რომლებშიც პარტიკულიარიზმის მოტრფიალე ქსნის თუ არაგვის ერისთავები თავის ყმებს ითრევდნენ. ამიტომ იყო, რომ როცა ხმა გავრცელდა, თითქოს ერეკლე II აპირებდა ერისთავებისათვის ჩამორთმეული ყმა-მამულის დაბრუნებას, მოსახლეობა შეშფოთდა. ერეკლე II იძულებული გახდა ფიცით ეკისრა, რომ „ჩვენგან თქვენი გაცემა აღარ იქნება და თქვენ

---

[1] Броссе, Переписка..., გვ. 205.

ქსნის ერისთვიანთ ჯილაგს აღარ მიგცემთ... არ იქნება ამ მამულის გაცემა და არც ქვეყანას უჯობს...“[1]

არაგვისა და ქსნის საერისთავოთა სახასოდ გამოცხადების შემდეგ იქ შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეიქმნა. როცა გიორგი XII გამეფდა (1798 წელს), თავი იჩინა მის მიმართ სხვა ბატონიშვილთა წინააღმდეგობამ და საერისთავოთა ტერიტორიებზეც სტაბილური მდგომარეობა კვლავ შეირყა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა გიორგის მეფობის უკანასკნელ პერიოდსა და მისი სიკვდილის შემდეგ. ტახტისათვის მომავალ ბრძოლაში დასაყრდენი ძალის შესაქმნელად ბატონიშვილებმა დაიწყეს ქსნის ერისთავთა თავის უფლებებში აღდგენა. ამას კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მოჰყვა. სამხრეთელი ოსები ამ ბრძოლის წინა რიგებში მდგარან. 1801 წლის დამდეგს გენ.-მაიორი ლაზარევი გენ. — ლეიტენანტ კნორინგს წერდა, რომ: «Осетины подвластные разным Грузинским князьям, делают всякие озорничества». «Осетинцы подвластные князьям здешним, не повинуясь совсем оным, делают разные грабительства и наглости»[2].

უფრო სრულად გვიხასიათებს ოსი ყმა-გლეხობის კლასობრივ ბრძოლას XVIII ს. დასასრულისათვის გენ.-ლეიტენანტი კნორინგი იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში 1802 წლის მარტში. «...Осетинские народы обитающие в ущельях гор кавказских, по рекам Паци и Большой Лиахве, находясь издревле в подданстве Грузинском и имев начальников наследственных в фамилии Грузинских князей Мачабели, в последние дни жизни царя Георгия в такое пришли неповиновение и буйство, что одного из князей оных убили»[3].

როგორც ამ მოხსენებიდან ჩანს, სამხრეთი ოსების ანტიფეოდალური გამოსვლები მიმდინარეობდა როგორც ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე, ასევე დიდი ლიახვის აუზშიც, ე. წ. სამაჩაბლო ოსეთში.

---

[1] ა. აბრამიშვილი, საბუთები და მარგინალიები, სტალინირის პედ/ინსტიტუტის შრომები, 111, 1956, გვ. 419—420.

[2] Акты, 1; док. 765, 766, გვ. 581—582.

[3] იქვე, დოკ. 772, გვ. 585.

უაღრესად საინტერესო გარემოებაა ის, რომ როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ფეოდალური საგვარეულოს სახლისშვილთა ურთიერთწინააღმდეგობანი, თავის ყმების ფეოდალური მორჩილებისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფის საქმეში ისინი ერთსულოვანნი იყვნენ და ყმების წინააღმდეგობის გასატეხად თავიანთ ღონისძიებებს აერთიანებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა რევაზ, შალვა და ელიზბარ ერისთაველების 1812 წლის პირობის წიგნი, რითაც ისინი იყოფენ მამულს და შემოსავალს. მიუხედავად იმისა, რომ პირობის წიგნი მამულის გაყოფასა და შემოსავლის განაწილების საქმეს ეხება, მასში გათვალისწინებულია ერთობლივი ღონისძიებანი ოსი ყმა-გლეხობის მორჩილებაში შესანარჩუნებლად. პირობის წიგნის მესამე მუხლში ნათქვამია: „ჩვენს ყმებს რაც დებულება აქვსთ ქრისტეანთაგან, მეტს ნურას გამოვართმევთ და ოსების კარგად დამორჩილებამდინ როგორც შევიძლოთ ისე გავსტეხოთ დაჭერითაცა, წართმევითაცა და აკლებითაცა, როგორადაც შევიძლოთ იმათი გატეხა და ჩვენგან რომელსაც შეხვდეს, ჩვენ თავათ კიდეც დავიჭიროთ და კიდეც გარდავახდევინოთ და ვინ რაც გარდაახდევინოს, სამთა ძმათა შორის სჯულისამებრ მეფის ვახტანგის გავყოთ“...

მეხუთე მუხლი ითვალისწინებს, რომ „ოსების გატეხისათვის ჯარი მოგვინდეს ანუ ხარჯი რაც დაიხარჯოს სამთა ძმათა საერთოს შემოსავლიდამ უნდა დაიხარჯოს“[1].

კარგად ჩანს, რომ ოსთა ფეოდალური ექსპლოატაცია ერისთაველებისაგან მათი ძალების დაძაბვასა და გაერთიანებას მოითხოვდა. ამ ექსპლოატაციის წარმოებისათვის მათ უნდა მიემართათ ძალადობის ისეთი ფორმებისათვის, როგორიც იყო ჯარის მეშვეობით ოსთა დაჭერა, აკლება, ქონების წართმევა. პირობის წიგნი 1812 წელს შედგა, როცა ერისთავთა ფეოდალური ინტერესების დაცვის სადარაჯოზე იდგა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო და თუ ამ დროს ოსთა დამორჩილება მათგან ასეთ ენერგიულ ზომებს მოითხოვდა, ადვილი წარმოსადგენია, რომ ქართული მმართველობის დროს ეს საკითხი უფრო მწვავედ უნდა მდგარიყო მათ წინაშე.

სამხრეთელი ოსი ყმა-გლეხობის ფეოდალური ჩაგვრის

[1] საქ. ცია, ფ. 1950, დავთ. 42, საბ. 301.

წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის მაგალითები ისტორიულ წყაროებში XVIII ს. დამლევამდე ბევრი არ შემონახულა. ბიბლიოგ ის ნაწყვეტი ცნობები, რომლებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანეთ, ეჭვს არ სტოვებენ საქართველოს ამ ნაწილში მწვავე კლასობრივ წინააღმდეგობათა არსებობაში. ფეოდალების მიერ ოსი ყმა-გლეხობის მორჩილების დონე, მათი ექსპლოატაციის მასშტაბი ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთზე ამ კონკრეტული პერიოდის კლასობრივ ძალთა თანაფარდობაზე და, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული.

ოსი ყმა-გლეხობის მწვავე ანტიფეოდალური მოძრაობა, რომელიც ქართველი მშრომელი მასების ასეთსავე მწვავე კლასობრივ ბრძოლას ერთოდა, თავის სიმწვავის მიუხედავად, დაქსაქსული და არაორგანიზებული მოძრაობა იყო. ამ მოძრაობას ფართო სოციალური მიზანი არ ჰქონია დასახული. სოციალური ჩაგვრით დაბეჩავებულ ყმა-გლეხობას არ ჰქონდა შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები, ამ ინტერესებისათვის ბრძოლის რეალური პირობები. არც ერთ გლეხურ მოძრაობას აქ საერთოდ ბატონყმობის გასაუქმებლად მიმართული ბრძოლის ხასიათი არ ჰქონია და მიმართული იყო ბეგარა-გადასახადების თავიდან აცილებისა და პირადი თავისუფლების მოპოვებისაკენ.

ასეთ პირობებში, თავისთავად ცხადია, გლეხთა ეს ბრძოლა წარმატებით ვერ დამთავრდებოდა და ისინი მარცხდებოდნენ კიდეც. ამის მიუხედავად ამ ანტიფეოდალურ გამოსვლებს მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ: ისინი აჩვევდნენ გლეხობას თავის სოციალური და კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლას, თავის ენერგიული წინააღმდეგობით აიძულებდნენ ფეოდალურ კლასს გარკვეული ზომა დაეცვა გლეხობის ექსპლოატაციის საქმეში.

თავი VI

ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობა (XV — XVIII სს.)

ოსი ხალხი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მეზობელ და მოძმე ქართველ ხალხთან. უძველესი დროიდანვე ქართული მაღალგანვითარებული კულტურა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა მეზობელი ქვეყნების ხალხებზე, მათ შორის ოსებზე. უკვე კავკასიაში ალანების — ოსების წინაპრების — დამკვიდრების დროიდან (ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან) ისინი კავკასიური კულტურის გარემოცვაში მოექცნენ, სადაც ტონის მიმცემი ქართველური ტომების კულტურა იყო. ალანურმა ტომებმა კავკასიური კულტურის ისეთი დიდი გავლენა განიცადეს, რომ ენის მხრივ ინდოევროპული მოდგმის ოსები კულტურის მხრივ ტიპიურ კავკასიელებად იქცნენ.

წერილობითი ისტორიული წყაროების სიმცირე, მათი ცალმხრივობა საშუალებას არ გვაძლევს მთელი სიგრძე-სიგანით წარმოვაჩინოთ ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის ყველა მომენტი. მაგრამ უეჭველი ფაქტია, რომ შუა საუკუნეებში საქართველო ოსეთში ქრისტიანული კულტურისა და, მასთან, იქ ქართული დამწერლობის გავრცელების წყარო იყო. საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ქართველ და ოს ხალხებს შორის დამყარებული მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა, დინასტიური ნათესაობა და ამ ქვეყნების მმართველ წრეებს შორის XI—XIII სს. მთელ მანძილზე ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ოსეთში ქართული კულტურის გავრცელებისათვის.

ცნობილია რა დიდი როლი ითამაშა დასავლეთ საქართვე-

ლომ (ე. წ. აფხაზთა სამეფომ) X ს. დამდეგს ალანთა გაქრისტიანების საქმეში. კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე მისტიკოსი აღნიშნავდა ამ საქმეში აფხაზთა მეფე გიორგის დიდ დამსახურებას[1].

გიორგი აფხაზთა მეფე ამ შემთხვევაში ალან-ოსების თავის გავლენის ქვეშ მოქცევისა და მათი თავის პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გამოყენებისათვის ალან-ოსთა გაქრისტიანების ბიზანტიური პოლიტიკის ხელშემწყობის როლში გამოვიდა[2]. სულ მალე, საქართველოს ცალკეული ნაწილების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესის დასრულებისთანავე, ბიზანტიის იდეოლოგიური გავლენა ოსებზე საქართველოს ქრისტიანული კულტურის გავლენით შეიცვალა.

ოსეთში ქრისტიანობის განმტკიცება საქართველოს მეშვეობით მომხდარა. ამაზე მეტყველებს ის, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ოსურ ენაში თითქმის ქართულია: ძუარ (ოს.) — ჯვარი (ქართ.), კუირი — კვირა, თარანჯელოს — მოთავარანგელოზი, მარხო — მარხვა, ბარისჭი — ბარასკა — პარასკევი, მიქალგაბირთა — მიქელ-გაბრიელი, ჩირისტი — ქრისტე, მაირამ — მარიამი, დეკანოზი — დეკანოზი და სხვ[3].

მაგრამ ქართული კულტურის, ქართული ენის გავლენა ოსებზე მხოლოდ რელიგიურ ტერმინოლოგიაში არ გამოვლენილა. მჭიდრო პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ურთიერთობამ ამ ხალხებს შორის განაპირობა ქართული ლექსიკის ანდა არაქართული ლექსიკის ქართული ენის მეშვეობით ოსური ენის ლექსიკაში შეღწევა. ოსური ენის ისეთ გამოჩენილ მკვლევრებს, როგორიცაა პროფ. ვ. აბაევი და აკად. გ. ახვლე-

---

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და რედაქციით, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 213—214.

[2] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძვ. დროიდან XIV ს. დამლევამდე), გვ. 115—116.

[3] Вс. Миллер. Осетинские этюды, ч. III, 1887, გვ. 14; В. Абаев. Осетинский язык и фольклор, I, 1949, გვ. 87.

დიანი, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი აქვთ დადასტურებული[1].

მაგრამ ქართული და ოსური ენების ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. სპეციალისტები აღნიშნავენ ქართულ ენაში საერთოდ და მის ზოგ კილოში, მაგ. რაჭულში, ოსთა უშუალო მეზობლების მეტყველებაში, ოსური სიტყვების შეღწევის მაგალითებს[2].

ოსური ენა და კულტურა ავლენს რიგ საერთო მომენტებს მეგრულ, სვანურ და აფხაზურ ენებსა და კულტურასთან. ვ. აბაევს ოსურ ენაში მეგრული ელემენტების გავრცელების მრავალი მაგალითი აქვს გამოვლენილი. რაც შეეხება სვანებს, ოსებს მათთან ბევრი საერთო ჰქონდათ რელიგიურ დღესასწაულებში, წეს-ჩვეულებებში, მატერიალურ კულტურასა და სოციალურ ინსტიტუტებში. ოსური სასმელი რონგი სვანებმა რანგი-ს სახით აითვისეს და ამ ფორმით გადასცეს მეგრელ-აფხაზებს[3].

მოყვანილ ლექსიკურ პარალელებზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული და ოსური ენების ფონეტიკისა და გრამატიკული წყობის სიახლოვეს. აკად. გ. ახვლედიანის აზრით, «столь обширный, как мы предполагаем, общий словарный фонд языков разного происхождения, вскрытие которого так успешно начато В. И. Абаевым, взаимодействуя со структурой как одного, так и другого языка, не мог не вызвать соответствующих изменений, особенно в грамматике и фонетике обоих языков в сторону их сближения друг с другом — при сохранении каждым из них своей индивидуальности»[4].

აღნიშნულ ენათა ფონეტიკური სიახლოვე, გრამატიკული ფორმებისა და ფრაზეოლოგიზმების დიდი ოდენობის სემან-

---

[1] В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М. Л., 1956 Г. С. Ахведиани Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тб., 1960, გვ. 142—143.

[2] В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, გვ. 86—87; Г. С. Ахведиани, დასახ. ნაშრომი, გვ. 138, 205—207; შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 201, 206—207, 252—253.

[3] Осетинский язык и фольклор, I, გვ. 306.

[4] Сборник избранных работ по осетинскому языку, I, გვ. 172.

ტიკის ერთობა იმდენად დამახასიათებელია, ისე აშკარად საგრძნობი, რომ ამან გ. ახვლედიანს ათქმევინა: «Сложность осетинско-грузинских языковых связей заключается именно в том, что мы здесь имеем продолжительное обоюдное влияние, выходящее за пределы обычного влияния. Я думаю, что взаимоотношения грузинского (картвельского) и осетинского (аланского) языков можно назвать скорее взаимопроникновением, граничащим с двуязычием, нежели взаимовлиянием»[1].

ქართველი და ოსი ხალხების ინტენსიური ურთიერთობა ამ ხალხთა კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში უნდა გამოვლენილიყო, მათ შორის მუსიკალური ხელოვნების დარგშიც. ოსური ხალხური მუსიკალური საწყისები ახლოს დგას ქართულთან. ოსური ხალხური მუსიკის მკვლევარი პ. მამულოვი დიგორელ ოსთა სიმღერების შესახებ აღნიშნავდა, რომ ისინი ქართულ მოტივებთან შორეულ მსგავსებას ამჟღავნებენ. ამ სიმღერების სინარნარე, ელასტიკურობა, სამხრეთული ელფერი მას ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის კვალად მიაჩნდა[2]. ოსური მუსიკის ცნობილი მკვლევარი კომპ. ვ. ი. დოლიძე, ასევე, აღნიშნავდა ქართული ხალხური მუსიკის გავლენას დიგორულ სიმღერებზე[3].

მონღოლთა შემოსევებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას, მათ შორის კულტურულს, დიდი ზიანი მიაყენეს. მონღოლთა ბატონობის ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. ასეთ პირობებში მისი კულტურული ურთიერთობა გარე სამყაროსთან არ შეიძლებოდა არ შეფერხებულიყო.

XV—XVIII სს. საქართველო-ოსეთს შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ იგი სავსებით შეწყდა. სამხრეთელი ოსები ამ ეპოქაში ქართველებ-

---

[1] Сборник избранных работ по осетинскому языку, 1. გვ. 172.

[2] П. Б. Мамулов, Осетинская народная музыка, Известия Осетинского н/и. Института краеведения, вып. 1, 1925, გვ. 368.

[3] В. И. Долидзе, Осетинская народная музыка, Известия Сев. Ос. НИИ, т. XXI, вып. 2, 1959, გვ. 174.

თან უშუალო მეზობლობაში იყვნენ, ხოლო რიგ ადგილებში შერეულად ცხოვრობდნენ. ეს იწვევდა ურთიერთის კულტურული ტრადიციების გაცვლას, სახელდობრ, ადგილი ჰქონდა ქართული სამეურნეო კულტურის, ქართული ზნე-ჩვეულებების ოსებში გავრცელებას.

რაც შეეხება ჩრდილო (ქედს გადაღმელ) ოსებს, ისინი პოლიტიკურად დაქუცმაცებულნი იყვნენ ცალკეული ხეობების მიხედვით. თითოეული ეს ხეობათაგანი გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდა სამეფო-სამთავროებად დანაწევრებულ საქართველოს ამ თუ იმ პოლიტიკურ ერთეულთან. ასეთ პირობებში ხორციელდებოდა მათ შორის კულტურული ურთიერთობა.

XVII ს. მეორე ნახევრიდან — ქართლის მეფე გიორგი XI დაწყებული ქართველი მმართველი წრეები ცხოველ პოლიტიკურ ურთიერთობას ამყარებენ ოს ხალხთან. გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში წარუმატებლობის შემთხვევაში ისინი თავს აფარებდნენ ოსეთს და თავისი იქ ყოფნით უეჭველად ხელს უწყობდნენ ოსთა მიერ ქართველი ხალხის ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების შეთვისებას.

ცნობილია, რომ არჩილ მეფე, ცნობილი პოეტი, თავის ოჯახით არაერთხელ ყოფილა თავშეფარებული ოსეთის სხვადასხვა რაიონში (თაგაური, დიგორი, ზარამაგი, დვალეთი) და იქ შემოქმედებითი მუშაობა — ლექსების წერა გაუგრძელებია. ასე მაგალითად, თავის ცნობილ ნაწარმოებში „გაბაასება"... იგი მიუთითებს, რომ პოემის ნაწილი ოსეთში დაწერა, ხოლო რუსეთში დაასრულა. 725-ე სტროფში მას ნათქვამი აქვს:

„ამას ზეით ოსეთს მითქვამს, ამას ქვეით ვიტყვი რუსეთს"-ო[1].

არჩილმა აღნიშნული ნაწარმოების 724 სტროფი ოსეთს ყოფნისას დაწერა; იგი სხვაგანაც მიუთითებს ოსეთში ყოფნის დროს თავის პოეტური შრომის შესახებ:

„ოდენ შემოვრჩი ოსეთსა, მათ აღარ მომიყურესა
და მარტო ლექსის თქმას დავსჯერდი, მე მისთვის მამასურესა"[2].

---

[1] არჩილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1937, გვ. 84.

[2] იქვე, გვ. 6.

იმავე ნაწარმოების 1130-ე სტროფში იგი ამბობს:

„ცხრა თვეს ყველა გავათავე, სულ ამაზედ არ მოცლილმა.
ოსეთს ვიყავ ფაიქომში, საქართველოს გამოცლილმა...“[1]

ქართველ ხალხთან მუდმივი კონტაქტები, პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებებით ოსთა საქართველოში მიმოსვლა ხელს უწყობდა ოსებში ქართული ენის გავრცელებას. ქართული ენა განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ოსეთის სოციალურ ზედაფენებში, რომელთაც უფრო ხშირად უხდებოდათ ურთიერთობა ქართლ-იმერეთთან. ვახუშტი მიუთითებს, რომ „ვიეთთა მოთავეთა (ოსთაგან. — გ. თ.)და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზსა შინა მსვლელთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჩაღათასი“[2]. ვახუშტის ამ ცნობაში ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ქართული ენა გავრცელებული იყო უპირატესად ოსთა იმ ნაწილში, რომლის ინტერესები სამხრეთით (ქართლი, რაჭა) იყო მიქცეული.

ოსთა მიერ ქართული ენის ცოდნა გარკვეულ ფარგლებში ქართული დამწერლობის ცოდნასაც გულისხმობს. მთელი, საქმიანი მიმოწერა ქართლის და იმერეთის მმართველი წრეებისა ოსებთან, თუ პირიქით, ქართულ ენაზე სრულდებოდა. XVIII ს. შექმნილია მდიდარი დოკუმენტური მასალა ოსების შესახებ ქართულ ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა და დამწერლობა საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ოსთა შორის. ის კი არა, ხშირად რუსეთის ადმინისტრაციისადმი მიმართული ოსთა წერილებიც ქართულ ენაზეა შესრულებული. 1784 წლის 10 თებერვლის წერილი ნარელი „სტარშინებისა“ პავლე პოტიომკინისადმი შესრულებულია ქართულად ონ ვასილ ყარაჯას (ყარაჯაევი) ხელით; წერილში ისინი ითხოვენ რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებას[3].

ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება ქართული წარწერიანი ზარები, რომლებიც ქართველ მეფეთა მიერ შეწირულ იქნა ოსთა ცალკეულ ეკლესია-სალოცავებისათვის. მოვიყვანთ

---

[1] არჩილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1937, გვ. 129.
[2] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 110.
[3] ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. 3, фурц. 6.

რამდენიმე ასეთ წარწერას. მდ. არდონის შენაკად ცეის ხეობაში (ჩრდილო ოსეთი — ალაგირის საზოგადოება) არსებობს რექომის სალოცავი. ამ სალოცავისადმი გიორგი XI მიერ შეწირულ ზარს შემდეგი წარწერა აქვს: „ქ. ჩვენ ბაგრატონიანმან ხელმწიფემ დიდისა მეფის შანავაზის შვილმან მეფემ გიორგიმ შემოგწირეთ ზარი ესე მამა წმიდას ქუეყანასა ოსეთისასა, სალოცავსა დიგორისასა და დვალეთისასა ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად. ქკს ტნიᲂ (368—1680 წ. — გ. თ.)"[1].

ასეთივე წარწერიანი ზარია ძივგისის (ქურთათის ხეობა, ჩრდილო ოსეთი) ტაძარში. წარწერა მრავალგანაა გამოქვეყნებული სხვადასხვა რედაქციებით (პაფფი, მ. ჯანაშვილი, ზ. ვანეევი და სხვ.). წარწერა—აკად. ა. შანიძის მიერ ასე იკითხება (რუსული თარგმანის მიხედვით): «Мы, государь, Грузии, царь царей, господин Георгий в хроникон 371 (1683 г.) пожертвовали колокол сей тебе, святому Георгию Дзывгисскому, для нашего успеха»[2]. ქართულად ორიგინალის ენაზე იგი გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა: „ჩუენ ხელმწიფემან ქართლისა, მეფემან გიორგი მცირემან შემოგწირეთ ზარი ეს ზღვინისა წმინდა გიორგის ძლევისა მოცემად ჩვენდა, ქორონიკონსა ტᲯა". (Мы, государь карталинский, царь Георгий Малый жертвуем сей колокол тебе, згвинскому святому Георгию, в дарование нам победы Год коронпкона 361 (=1673 г.)[3].

ძივგისის ტაძარში არის მეორე ზარიც, რომელსაც ქართული წარწერა აქვს, ოღონდ არა გიორგი XI შეწირული, როგორც წინა ორი წარწერის მქონე ზარები, არამედ ვინმე მუჰამედის (ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ — ადგილობრივი ოსის), შეწირული: «Я, Махмед, Арнальдека сын, пожертвовал колокол сей Дзивгисскому святому месту:

---

[1] ზარი ინახება ქ. ორჯონიკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. წარწერა კარგად იკითხება.

[2] В. Бигулаев, Краткая история Осетинского письма, Дзауджикау, 1959, გვ. 8.

[3] СМОМПК, вып. 22, გვ. 60.

Дай бог, чтобы на звуки его приходили на поклонение тебе и прославление»[1].

ამ უკანასკნელ ხანს კავკასიის მთებში, სოფ. ზარამაგში აღმოჩენილ იქნა ქართული ფსალმუნი XIII ს-სა. აკად. გ. ახვლედიანის დასკვნით, ეს ფსალმუნი ოსეთში XVII ს. დასაწყისში მოხვედრილა და გარკვეულ სინათლეს ფენს ქართველ—ოსთა ურთიერთობებს[2].

აღნიშნული ზარების ქართული წარწერები მოწმობენ იმას, რომ ოსეთში ამ დროისათვის სცოდნიათ ქართული ენა, ქართული დამწერლობა და მათი შემწირველნი ამ ფაქტიდან გამომდინარე, ზარებს ქართულ წარწერებს უკეთებდნენ. გიორგი XI მიერ რექომის და ძივგისის სალოცავებისადმი შეწირული ზარები XVII ს. 80-იანი წლებით თარიღდება. ეს ისეთი პერიოდია, როდესაც ქართველ-ოსთა პოლიტიკური ურთიერთობა საგრძნობლად გამოცოცხლდა (გიორგი XI, არჩილ მეფე). ეს ურთიერთობა გარკვეული მიწერ-მოწერის არსებობას გულისხმობდა და ამ მიწერ-მოწერის ენა კი როგორც ძველად, ისე ახლაც, ქართული ენა იყო. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ალაგირის ხეობაში ნუზალის საყდრის ქართული წარწერების ფრაგმენტები და გადმოცემა ვრცელი წარწერის შესახებ, რომელიც თითქოს ნუზალის საყდრის კედელზე არსებობდა დ რომლის სინამდვილეშიც ეჭვი შეჰქონდათ იმ მოსაზრებით, რომ კედელზე ასეთი ვრცელი წარწერის ადგილი არ იყო[3].

---

[1] Сборник сведений о Кавказе, I, გვ. 160; Вс. Миллер, Терская область. Археологические экскурсии. Материалы по археологии Кавказа, т. I, М. 1888, გვ. 49; З. Н. Ванеев, Средневековая Алания, Сталинир. 1959, გვ. 168.

[2] По поводу обнаружения заромагской псалтыри. Сборник избранных работ по осетинскому языку, I, გვ. 167.

[3] „ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი, ჩარჯონიძე — ჭარხილანი;
ოს — ბაყათარ, დავით სოსლან, ოთხ სამეფოთ მებრძოლანი;
ფიდაროს, ჯადაროს, საყურ, მტერთა რისხვით შემხედვარნი;
გიორგი, ისაკ, რომანოზ იქმნენ ქრისტეს კარგი ყმანი,
ჩვენ გვიპირავს მიმავალთა ოთხის კუთხის ვიწრო გზანი.
კასარს სიმაგრე მაქვს საბაჟო, აქ მიპირავს ხიდის კარი,
საიქიოს მოიმედე, საიქაოს კარგა მდგარი.
ოქროსა და ვერცხლის მიწა იმდენი მაქვს, ვითა წყალი,

ქართლის პოლიტიკურ მესვეურთა ნაბიჯები ოსთა თავის გავლენის ორბიტაში მოსაქცევად უეჭველად უნდა გულისხმობდეს მათ შორის გარკვეულ სამისიონერო მოღვაწეობასაც. ჩვენს ხელთ არსებული მასალები არ იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ ამ მოღვაწეობის პროცესს და თავისებურებას XVIII ს-მდე; XVIII საუკუნისათვის კი უკვე პირდაპირი მითითებანი გვაქვს ასეთი საქმიანობის შესახებ. ვახუშტი აღნიშნავს, რომ ოსთა შორის არიან ქრისტიანები, რომელთაც ნათლისღება ქართლსა და რაჭაში აქვთ მიღებული[1]. ამას გარდა ცნობილია, რომ ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში გახიზნულ სასულიერო პირებს შორის ბევრს სცოდნია ოსური ენა და, ამდენად, მოულოდნელი არაა ის ფაქტი რომ ოსთა შორის ქრისტიანობის მასობრივი გავრცელებისათვის სპეციალური სასულიერო კომისიის შექმნის იდეა მათ წამოაყენეს.

XVIII ს. 30-იან წლებიდან ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობას ქადაგებდა ეამთა სიავის შედეგად სამშობლოდან გადახვეწილი მანგლისის არქიეპისკოპოსი იოანე, ქართული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე. 1737 წელს ის დაღესტნიდან ასტრახანში ჩავიდა და ტროიცკის მონასტერში დამკვიდრდა. აქ იგი კავკასიელ მთიელებს აქრისტიანებდა, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით მოდიოდნენ მასთან. ასტრახანიდან იოანე ყიზლარში ჩავიდა. აქაურ ქართველთა მიერ აშენებულ ეკლესიაში მან სასწავლებელი გახსნა და ქრისტიანობის ქადა-

---

კავკასიონი დავიპყარ, ოთხ სამეფოთ გაეუმკლავდი,
ქართველ მეფეს და მოვტაცე, არ დავაგდე ჩემი გვარი.
მომწვდა, ფიცით მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი.
ბაყათარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი.
ვინცა ეს ლექსი იხილოთ, მცირედ ბრძანეთ შენდობანი".

М. Джанашвили, Картлис-Цховреба..., СМОМПК, вып. 35, 1905, გვ. 181—182. რუს ენაზე იგივე. СМОМПК, вып. 22, გვ. 43—44. დოქტ. პაფფი კატეგორიულად უარყოფდა წარწერის არსებობას კედელზე ადგილის უქონლობით (ССКГ, V, გვ. 34—35). ზ. ვანეევი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და დაუშვა შესაძლებლობა, რომ იგი ქაღალდზე ან პერგამენტზე შეიძლებოდა არსებულიყოო (Народное предание осетин, 1956, გვ. 15).

[1] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 110.

გებას შეუდგა. მაგრამ მისი სამქადაგებლო მოღვაწეობა შეზღუდული ყოფილა. «На первых порах он не мог отправить миссионеров в достаточном количестве в Осетию, так как не располагал никакими средствами для содержания проповедников. Таким образом ему оставалось проповедывать тем осетинам, которые жили близ Кизляра; а в самом Кизляре в деле проповеди усердными сотрудниками арх. Иоанна были архимандрит Крестовоздвиженского монастыря и другие находящиеся в том же монастыре иноки — все грузины родом»[1].

ამ პირველ ცდებს იოანე მიუყვანია დასკვნამდე, რომ, «при правильной организации миссии и при достаточных средствах, дело обращения горцев в христианство не будет сопряжено особенно с большими препятствиями»[2].

რამდენადაც ქართველი სასულიერო პირები იყვნენ ოსეთის კომისიის შექმნის ინიციატორები და პირველ ხანებში იგივე ქართველები ეწეოდნენ სამისიონერო საქმიანობას ოსთა შორის ქართულ და ოსურ ენებზე, იმდენად აუცილებლად მიგვაჩნია ამ კომისიის საქმიანობაზე შეჩერება.

XVIII ს. რუსეთის ცარიზმი უშუალოდ მოადგა კავკასიის მთებს. ამიერკავკასიასთან დასაკავშირებლად რუსეთს უხდებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან (მაგ. ოსებთან) ურთიერთობის დამყარება საუღელტეხილო გზების გამოყენების მიზნით. ქრისტიანული რელიგია ოსებს ამ დროისათვის უკვე დავიწყებული ჰქონდათ. მათში ქრისტიანობის აღდგენას კი ხელი უნდა შეეწყო რუსეთთან მათი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, საქართველოსთან რუსეთის დაკავშირებისათვის. საქართველოს გამოხსნისა და აღდგომის იდეის ერთგული ქართველი მოღვაწეები ითვალისწინებდნენ ოსთა გაქრისტიანების დადებით შედეგებს მტრულ გარემოცვაში მყოფი

---

[1] М. Илуридзе, Исторический очерк деятельности православного миссионерства на Кавказе в XVIII и XIX ст.; причины ея успехов и неудач, «Пастырь», 1888, № 6, გვ. 7.

[2] იქვე.

თავის ქვეყნის რუსეთთან დაახლოების საქმეში და ამ მიმართულებით გარკვეულ ღონისძიებათა გატარებას შეუდგნენ.

1742 წლის ნოემბერში მოსკოვში მყოფმა ქართველმა მღვდელ-მთავრებმა — მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის წინამძღვარმა არქიეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (ვახტანგ VI ამალიდან) და არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა რუსეთის იმპერატორს წარუდგინეს მოხსენება ოსეთში შერყეული ქრისტიანობის აღსადგენად ქართველი სასულიერო პირების გაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ. ისინი მოახსენებდნენ, რომ ყიზლართან ახლოს ცხოვრობენ ოსები, რომლებიც 200 ათას სულს შეადგენენ, რომ ისინი ადრე მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ. მათი ქრისტიანობის მაჩვენებელია ქვითკირით ნაგები ეკლესიების ნაშთები. ისინი ახლაც იცავენ მარხვას და ამყღავნებენ დიდ სურვილს ქრისტიანობის აღსადგენად[1].

ქართველი სასულიერო პირები არწმუნებდნენ რუსეთის იმპერატორს, რომ ოსები პოლიტიკურად დამოუკიდებლები იყვნენ და რუსეთის ხაზით იქ სამისიონერო მუშაობის წარმოება საგარეო პოლიტიკურ გართულებებს არ გამოიწვევდა. განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს ოსეთის წიაღისეულ სიმდიდრეებს — ოქროსა და ვერცხლის, აგრეთვე სხვა მინერალების შემცველი მადნების არსებობას. ოსები თავის ქვეყანაში ქრისტიან ხალხთა გარდა არავის არ უშვებენო. ამ ცნობებით მათ სურდათ რუსეთის პოლიტიკური წრეების ინტერესები გაემახვილებინათ ოსებისადმი და ქართველი სასულიერო პირებისათვის მიენდოთ სამისიონერო მუშაობის წარმოება მათ შორის. ამ სამღვდელო პირებმა ეს საქმე იციანო (ჩანს, ადრეც ეწეოდნენ მსგავს საქმიანობას, რასაც მოწმობს ცნობა იმის შესახებ, რომ მათ შორის ოსური ენის მცოდნენი იყვნენ) და მოკლე ხანში ამ ხალხს ქრისტიანობის მეშვეობით რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომებად აქცევენო.

ქართველ მღვდელმთავართა 1742 წლის ნოემბერს წარდგენილი ეს მოხსენება გახდა მიჯნა, საიდანაც რუსეთის მთავრობის წინაშე უშუალოდ დაისვა ოსეთის საკითხი. 1739

---

[1] ЦГАДА, ф. 139, портфель 184, ч. 2, д. 17, фурц. 1—2.

წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ბელგრადში დადებული ზავით უაბარდო ამ ორ ქვეყანას შორის ბარიერად — ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. რამდენადაც ოსეთი ნომინალურად უაბარდოზე დამოკიდებულ ქვეყნად ითვლებოდა, ისიც ამ ნეიტრალურ ზონაში მოჰყვა. ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, თავს იკავებდა ოსეთში უშუალო საქმიანობის გაჩაღებისაგან და გადაწყვიტა ქართველი სამღვდელოების ხელით გაეკეთებინა ოსთა გაქრისტიანების საქმე.

ჩრდილო კავკასიის ხალხებში ოსმალეთი მაჰმადიანობის გაძლიერებულ პროპაგანდას ეწეოდა. ეს გარემოება საფრთხეს უქმნიდა ამ მხარეში რუსეთის პოზიციებს და აძნელებდა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას მათ შორის მაჰმადიანური კორდონის აღმართვით.

რუსეთს გადახვეწილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს ამ საშიში შედეგების თავიდან ასაცდენად საჭიროდ მიუჩნევიათ კონტრპროპაგანდის წარმოება ჩრდილო კავკასიის ხალხებში ქრისტიანობის ქადაგების დროშით. თავის ამ განზრახვას ისინი ისტორიულ დასაბუთებას აძლევდნენ: ოსთა ადრინდელ ქრისტიანობას და მის საქართველოს გავლენაში ყოფნას წარსულში.

რუსეთის მთავრობა დადებითად მოეკიდა ოსთა გაქრისტიანების წარდგენილ გეგმას. მან შეისწავლა ოსეთის პოლიტიკური მდგომარეობა, ბუნება, იქ ქრისტიანობის ქადაგების მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგები[1]. მხოლოდ ამის შემდეგ განუცხადა სენატმა თანხმობა სინოდს, რომ ქართველი მისიონერები გაიგზავნონ ოსთა შორის ქრისტიანობის საქადაგებლად. რათა თურქეთსა და სპარსეთთან ურთიერთობა არ გაემწვავებინათ, გადაწყვეტილ იქნა კომისიაში რუსი სასულიერო თუ საერო პირი არ ყოფილიყო, არც ინსტრუქციები მიეცათ.

რუსეთის ეს სიფრთხილე აიხსნება იმით, რომ თურქეთი და სპარსეთი თვალყურს ადევნებდნენ რუსთა პოლიტიკას და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მისთვის კავკა-

---

[1] ЦГАДА, ф. 18, ед. хр. 173, ფურც. 2, 4, 6.

სიაში დამკვიდრების საქმეში. კომისიის მხოლოდ ქართველი სასულიერო პირებით დაკომპლექტებით რუსეთი ცდილობდა გაეფანტა თურქეთ-სპარსეთის ეჭვები მისადმი, ხოლო კომისიის საქმიანობა წარმოეჩინა ქართველი მისიონერების კერძო ინიციატივად[1].

პოლიტიკური ხასიათის ამ მოსაზრების გარდა რუსეთის მთავრობა, შ. ხანთაძის სამართლიანი აზრით, ანგარიშს უწევდა საკითხის პრაქტიკულ მხარესაც. მისთვის ცნობილი იყო, რომ ქართველები ოსეთში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდნენ და რომ ოსები „К грузинцам от большой части по закону склонны"[2]. ქართველ სასულიერო მოღვაწეთადმი ოსთა ეს კეთილგანწყობილება საგარეო საქმეთა კოლეგიას საფუძველს აძლევდა ისინი მცველთა გარეშე გაეგზავნა ოსეთში საქადაგებლად.

1744 წელს დაზუსტდა ოსეთის სასულიერო კომისიის შემადგენლობა. ქართველ არქიეპისკოპოს იოსების და არქიმანდრიტ ნიკოლოზის წარდგენით კომისიაში შევიდნენ: არქიმანდრიტი პახომი, იღუმენები ქრისტეფორე (დავით გურამიშვილის ძმა) და ნიკოლოზი; ყაზანის ეპარქიაში მოსამსახურე დეკანოზი გიორგი დავიდოვი (!), არქიელი ბატონიშვილ ბაქარის ამალიდან ივანე სემენოვი (!), მნათე — გიორგი ბორისოვი[3]. ყველა ესენი ქართველები იყვნენ (გვარები რუსული გვარების მიხედვითაა გადაკეთებული და ხშირად მათი ნამდვილი გვარების გარკვევა ძნელი ხდება). ყველა ამათ წლიური ჯამაგირი და ულუფა დაენიშნათ. საეკლესიო სამსახური და სასულიერო წიგნები ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო.

ოსეთის სასულიერო კომისია 1745 წლის დამდეგიდან ოსეთში იმყოფებოდა. ქართული შემადგენლობით კომისიამ 1771 წლამდე იარსება, ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომში რუსე-

---

[1] ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული შ. ხანთაძეს სტატიაში „ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში XVIII საუკუნეში", ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX —A და XX — B. 1957, გვ. 406.

[2] შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 406; Материалы по истории Осетии (XVIII в.). Орджоникидзе, 1. 1933, გვ. 33.

[3] ЦГАДА, ф. 18. ед. хр. 173, ფურც., 5.

ბის გამარჯვებათა შედეგად თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების ამოცანა არ მოიხსნა. მაშინ რუსეთის მთავრობამ კომისიის რეორგანიზაცია მოახდინა და ქართველი სასულიერო პირები რუსი სამღვდელო პირებით შეცვალა.

კომისიის ამოცანა მდგომარეობდა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების გზით ოსებისა და სხვა მთიელების რუსეთის სახელმწიფოსადმი დამორჩილებაში, რათა მტკიცედ „приобрести их в здешнюю сторону".

ოსეთის კომისიის საქმიანობა ჩრდილო კავკასიაში სასარგებლო იყო რუსეთისათვის. ეს საქმიანობა მოსახლეობის გაქრისტიანებით არ ამოიწურებოდა. კომისია ოს ხალხს უვითარებდა აზრს რუსეთთან დაახლოებისაკენ, ამტკიცებდა რუსეთის პოლიტიკურ გავლენას ამ მხარეში. მათი საქმიანობის შედეგი იყო ისიც, რომ ოსეთის სოციალურ ზედაფენებში რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში შესვლის აზრი მომწიფდა. 1749 წელს ოსეთის კომისიის ინიციატივით პეტერბურგს ჩავიდა ოსთა ელჩობა ორი ალაგირელი და ერთი ქურთათელი „სტარშინის" შემადგენლობით. ელჩობის ხელმძღვანელი — ალაგირელი „სტარშინა" ზურაბ იაგორის ძე ელიხანოვი, პახომის ცნობით, ქართველი მეფის კარზე ყოფილა აღზრდილი. საქართველოშივე მიუღია დაბალი სასულიერო განათლება ელჩობის წევრს, ელისეი ხეთაგოვს[1].

ოსეთის კომისიის წევრები ცარიზმის სასარგებლოდ სხვადასხვა პოლიტიკურ დავალებებსაც ასრულებდნენ. ისინი ასრულებდნენ რუსეთის პოლიტიკური აგენტების როლს კავკასიაში, აწოდებდნენ ცნობებს ოსეთის წიაღისეულის შესახებ. მაგრამ მათი როლი არ ამოიწურებოდა იმით, რომ ისინი ოსური მოსახლეობის რუსული ორიენტაციის გამომუშავებას უწყობდნენ ხელს.

დიდი იყო კომისიის დამსახურება ოს ხალხში ქართული დამწერლობის გავრცელების საქმეში. საქმე ის იყო, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით მათ ქართული საეკლესიო წიგნე-

---

[1] История Северо-Осетинской АССР, გვ. 130; М. М. Блиев, Осетинское посольство в Петербурге 1749—52 гг. Орджоникидзе, 1961, стр. 43—44.

ბი უნდა ჰქონოდათ და ქართულ და ოსურ ენებზე ემოღვაწეავთ. კომისიას მიაჩნდა, რომ ქრისტიანობის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად საჭირო იყო ადგილობრივი სასულიერო კადრის შექმნა. ამ მიზნით კომისიის წევრები იყვანდნენ ოს ბავშვებს და თავის ხარჯზე ასწავლიდნენ. თვით კომისიის ხელმძღვანელს პახომს 2 ოსის ბავშვისათვის უსწავლებია წერა-კითხვა, ხოლო იღუმენ გრიგოლს — 3 ბავშვისათვის. ამათგან ერთი მღვდლადაც უკურთხებიათ და ოსეთში გაუგზავნიათ. პახომი სინოდს ატყობინებდა, რომ მის მიერ ქართულ დამწერლობაზე აღზრდილი ოსები „в крещение своего народа великое вспомоществование чинят»[1].

უფრო მნიშვნელოვანი იყო ქართველ მისიონერთა ზრუნვა ოსეთის მოსახლეობაში განათლების შეტანის შესახებ. 1751 წელს არქიმანდრიტმა პახომმა სინოდის წინაშე დააყენა საკითხი ოსებისათვის სკოლის გახსნის შესახებ. სინოდმა უპასუხა, რომ «сие дело зело нужно», ოღონდ ურჩიეს თავი შეეკავებინა სკოლის გახსნისაგან, ვიდრე შეისწავლიდა სკოლის შენახვის ფინანსიურ მხარეს, დაარსების ადგილს, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემადგენლობის საკითხს, ოსთა დამოკიდებულებას სკოლაში თავის ბავშვების ნებაყოფლობით შეყვანისადმი[2].

სინოდის დავალების პასუხად 1753 წელს პახომმა სკოლის გახსნის შესახებ დაწვრილებითი პროექტი წარადგინა. პროექტით ნავარაუდევი იყო სკოლის გახსნა სახაზინო ხარჯზე 30 მოსწავლისათვის ქურთათის ხეობაში. სწავლება ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო[3]. ქართულ ენაზე სწავლების დაყენება, გარდა იმისა, რომ რუსეთის მთავრობის პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა, გაპირობებული იყო იმითაც, რომ 1746 წლიდან სინოდისავე დავალებით კომისიის წევრები ქართულიდან ოსურ ენაზე ქართული შრიფტის საფუძველზე საეკლესიო ხასიათის წიგნების თარგმნას შეუდგნენ. პახომი წერდა, რომ ამ დროისათვის (1753 წ.) «Некоторые уже стихи из божественных писаний

---

[1] Материалы по Осетии, т. V, док. 4.

[2] იქვე, I, გვ. 61, 64; V, გვ. 31, 32.

[3] იქვე, გვ. 66.

нами на осетинский язык и переведены». პახომი დარწმუნებული იყო, რომ ოსები ნებაყოფლობით მისცემდნენ თავიანთ ბავშვებს სასწავლებლად.

პახომის ცდების მიუხედავად ქუთაითში სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა. რუსეთის მთავრობა ყოყმანობდა, არ ჩქარობდა სკოლის გახსნას და მხოლოდ 1764 წელს გახსნა სკოლა ახლად დაარსებულ ციხე-სიმაგრე მოზდოკში. ეს იყო პირველი სკოლა ოსი ხალხის ისტორიაში, რომლის გახსნის ინიციატივა ქართველ სამღვდელო პირთაგან მომდინარეობდა. რუსეთის მთავრობა ცდილობდა სკოლაში ოსთა სოციალური ზედაფენების წარმომადგენლები მიეზიდა და მათი სახით თავისი პოლიტიკის ერთგული დამცველები და გამტარებლები მოემზადებინა. 1766 წელს ყიზლარის კომენდანტი, რომელსაც ოფიციალურად ევალებოდა ამ საქმეების ხელმძღვანელობა, მოახსენებდა ცენტრს, რომ სკოლაში ნარელ, მამისონელ და ზახელ „სტარშინათა“ 4 ბავშვია ჩარიცხული და მიღებულია ღონისძიებანი, რათა «содержать их во всяком и лучшем довольствии, дабы тем возбудить и в простых желание на отдачу своих детей»[1].

1767 წელს სკოლაში სწავლობდა აგრეთვე დიგორელი „სტარშინას“ შვილი თეოფანე ყარაბუგაევი. მოსწავლეთა შორის იხსენებიან მამისონელი ივანე ელიხანოვი, ზახელი „სტარშინას შვილი“ ანდრია ბიტაროვი, ნარის „უეზდიდან“ ხარიტონ ხეთაგუროვი, პეტრე პარიევი, პავლე დავიდოვი. უწყისში, სადაც ეს პირები იხსენებიან, ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ამ მოსწავლეთა მამები ქართლისა და იმერეთის მეფეთაგან ყოველწლიურ ჯამაგირებს იღებდნენ[2].

აღნიშნული სკოლა დახურული პანსიონის ტიპის ყოფილა. მოსწავლეები ხაზინის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. „სტარშინების“ შვილები თვეში 4-ს, ხოლო „უბრალო“ ხალხის შვილები 2 მანეთს ღებულობდნენ.

სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ქართველი დიაკონი

---

[1] Материалы по истории Осетии, т. V, док. 6.

[2] Б. В. Скитский, Хрестоматия по истории Осетии, 1, Орджоникидзе, 1956, зз. 172.

რომანოვი (რომანიშვილი)[1]. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ერთადერთი იყო მთელ ოსეთში და შეიძლება ითქვას, მთელ ჩრდილო კავკასიაშიც, რომ იგი სასულიერო ხასიათის იყო, მოსწავლეთა მცირე რაოდენობით, სწავლების არასრულყოფილი მეთოდებით და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით, მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსური კულტურის ახალ, აღმავალ გზაზე შეყენებისათვის. მას თან მოჰქონდა დამწერლობის, ცოდნის დანერგვა ადგილობრივ მოსახლეობაში.

ამ სკოლის შესახებ როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ პროგრესული იდეის ავტორები ქართველი მოღვაწენი იყვნენ. იმის მიუხედავად, რომ ისინი სამღვდელო პირები იყვნენ და მათი მოღვაწეობა ოსთა გაქრისტიანება-განათლებისათვის გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, მას ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სკოლაში აღზრდილმა ოსებმა, დაასრულეს რა სწავლა სხვა სასწავლებლებში, XIX ს. დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ოსეთის კომისიას საგანმანათლებლო-სამისიონერო ფუნქციების გარდა ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად მაინც პოლიტიკური ამოცანა ეკისრებოდა. XVIII საუკუნე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაფართოების პერიოდი იყო. რუსეთის მთავრობის ანგარიშით მას ხელი უნდა შეეწყო ჩრდილო კავკასიაში მისი გავლენის განმტკიცებისათვის.

ოსეთის კომისიის საქმიანობის ის მხარე, რომ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებისათვის ხელი შეეწყო, არანაკლებ აინტერესებდა საქართველოს მმართველ წრეებსაც. საფიქრებელია, რომ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ზემოაღნიშნული იდეის შემუშავებაში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც გარკვეული მონაწილეობა მიეღოთ. ვახტანგის ამალის წევრებს, რომელთაგანაც ოსეთის კომისიის შტატი შედგა, სამშობლოსთან საბოლოოდ კავშირი არ გაუწ-

[1] Материалы... т. V, док. 15.

ყვეტიათ და თვალყურს ადევნებდნენ მოვლენათა განვითარებას. მათ შორის პატრიოტულად განწყობილ პირებს სამშობლოს ბედის შემსუბუქებისათვის უნდა ეზრუნათ და ამ მიზნით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაფართოებას ცდილიყვნენ. ასეთმა ინტერესებმა ამოატივტივეს ოსები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ჰორიზონტზე. ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი მიესალმნენ ამ ფაქტს. XVIII ს. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს, თუ რა დიდი ინტერესით შეეგებნენ ქართლ-კახეთის საერო და საეკლესიო წრეები ოსეთში ქრისტიანული რელიგიის გამავრცელებელი კომისიის ორგანიზაციას. პაპუნას ცნობით, ოსეთის კომისიის ერთ-ერთი წევრი თბილისს ჩამოვიდა და ეახლა ქართლის მეფე თეიმურაზს. „მეფე თეიმურაზ, ვითა მოისმინა ბერისა მიერ ესე ამბავი ქრისტიანობისა:... ფრიადსა სიხარულსა მიეცა, აგრეთვე პატრიარქმა ანტონიმ განაძლიერეს ბერი, ნუგეშ-სცეს ფრიად და კვალადვე წარავლინეს კავკასსა შინა“[1].

ოსეთის კომისიის ერთ-ერთი წევრის საქართველოში ჩამოსვლა რუსული დოკუმენტებითაც დასტურდება. 1747 წელს სინოდის ნებართვით პახომის საქართველოში გამოუგზავნია ბერი ეფრემ ჯანდიერი. იგი ჩამოსულა ოფიციალური დავალებით — წაეყვანა აქედან ოსური წარმოშობის მღვდელი პართენი, ქართული მწიგნობრობის კარგი მცოდნე და გადამწერი. კომისიას მაშინ დავალებული ჰქონდა ქართული საღვთისმეტყველო წიგნები ოსურ ენაზე ეთარგმნა და, ჩანს, პართენი ამ საქმეში მონაწილეობისათვის შესაფერ კანდიდატად იქნა მიჩნეული. პართენს, როგორც ჩანს, უარი უთქვია წასვლაზე და ეფრემის მისია ვერ შესრულდა. სამაგიეროდ, ანტონ კათალიკოსს პახომისა და რუსეთის მთავრობასთან დაუბარებია, რომ იგი ოსეთის კომისიას ყოველგვარ სამსახურს გაუწევდა[2].

ამრიგად, სამისიონერო და საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი ოსეთის კომისია მხოლოდ რუსეთის მთავრობის

---

[1] ამბავნი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, II, სპბ., 1854, გვ. 386—387.

[2] Материалы... 1, გვ. 56; შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 409.

პოლიტიკის იარაღი არ ყოფილა. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთკავშირისადმი სწრაფვის ტენდენცია ამ კომისიას ორივე ქვეყნის საერთო პოლიტიკური იარაღის სახეს აძლევდა. ქართველი პოლიტიკოსები, ჩანს, ცდილან იგი წმინდა ქართული მიზნებისათვისაც გამოეყენებინათ რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გვერდის აცლით. მსედველობაში გვაქვს ოსეთის კომისიის წევრთა შორის უთანხმოების წარმოშობა და მისი მიზეზები.

1743 წელს კომისიის ხელმძღვანელ პახომისა და რიგით წევრებს ნიკოლოზ და ქაიხოსრო მახათელაშვილებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. უკანასკნელებმა პახომის შესახებ საჩივარი წარადგინეს სინოდში და ბრალად დასდეს მოლაპარაკების წარმოება იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებთან ოსების მათ ქვემევრდომობაში მოქცევის შესახებ. ამ მიზნით მან ამ ქვეყნების მეფეებს ჯარი სთხოვა[1]. მახათელაშვილებმა პახომს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ სინოდს გამოურკვევია, რომ ასეთი მოლაპარაკება ძას მართლაც უწარმოებია ქართველ მეფეებთან. სინოდი შეეკითხა საგარეო საქმეთა კოლეგიას იმის შესახებ — არის თუ არა საზიანო რუსეთის ინტერესებისათვის ის ფაქტი, რომ ქართველი ბერები ოსებს აქრისტიანებენ და ამავე დროს სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომობაში შესვლას ურჩევენ[2]. კოლეგიამ დაადასტურა, რომ ეს რუსეთის ინტერესების საზიანო საქმიანობაა და დაისვა საკითხი პახომის უკან გასაწვევად. აღნიშნული კონფლიქტი დასრულდა იმით, რომ კომისიის წევრებს რუსეთის ერთგულებაზე ხელმეორედ დაადებინეს ფიცი[3].

საქართველოს პოლიტიკური მესვეურების მიერ ოსეთის კომისიის თავის ინტერესებისათვის გამოყენების სხვა მაგალითიც გვაქვს. 1759 წელს ყაბარდოელებმა ფეოდალებმა გაძარცვეს პახომი და პირადი ქონების გარდა წაიღეს ის ფულიც. რომელიც საქართველოდან ტყვეების გამოსასყიდათ ჰქონია მიღებული. ეს ფული საკმაოდ დიდი ყოფილა — 800 თუმანი («присланные к нему, архимандриту от знатных из Грузии персон на выкуп пленных восемьсот червонцев

---

[1] Материалы..., т. II, გვ. 54, 60.

[2] იქვე.

[3] შ. ხანთაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 409.

взяли»)[1]. პახომი დიდი ნდობით სარგებლობდა საქართველოში და ქართველ ტყვეთა გამოსყიდვის საქმეებს აწყობდა ჩრდილო კავკასიაში. ესეც ერთგვარი სამსახური იყო ქართველობისათვის.

ოსეთის კომისიის აქტიური წევრი იყო არქიმანდრიტი გრიგოლი, გვარად რომანიშვილი. ის კომისიაში მუშაობდა 1745 წლიდან ჯერ დიაკვნის თანამდებობაზე, შემდეგ კი იღუმენად. პახომის სიკვდილის შემდეგ, 1764 წელს იგი არქიმანდრიტად დაინიშნა. ყიზლარის კომენდანტი პოტაპოვი 1765 წლის 4 აპრილს მის შესახებ საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა, რომ იღუმენი გრიგოლი «там (в Осетии. — გ. თ) в народе лучший кредит имеет, нежели бывший архимандрит (Пахомий — გ. თ.)... без посредства толмачей с ними говорит, да и старшины тамошние все к нему усердные и во всяком послушании»[2]. სწორედ ეს გრიგოლი რუსეთის მთავრობის მიერ გამოყენებულ იქნა ქართულ სამეფოებთან კავშირ-ურთიერთობის განსამტკიცებლად. რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის წინ სპეციალური მისიით იგი წარგზავნილ იქნა საქართველოში, რათა გაერკვია თურქთა წინააღმდეგ ომში ქართველი მეფეების მონაწილეობის საკითხი. გრიგოლი ყიზლარიდან წამოსულ ქართველთა ჯგუფს მიეკედლა და ჩამოვიდა ერეკლე II-თან. ერეკლემ მას გამცილებლები გააყოლა და იმერეთის მეფე სოლომონთან გაისტუმრა. «Как Ираклий, так и Соломон принимали архимандрита весьма ласково, и первой подарил ему сто рублев». იმერეთიდან გრიგოლი გურიაში გაემგზავრა, სადაც 1768 წლის 1 თებერვალს თურქების აგენტებმა მოჰკლეს. მისი მხლებლები სოლომონ მეფემ გამოისყიდა[3].

ოსეთის კომისიის სხვა წევრებიც ასრულებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ დავალებებს. 1769 წლის დამდეგს სოლომონ მეფე ყიზლარის კომენდანტს ატყობინებდა, რომ მის მიერ შეპყრობილი რაჭის ერისთავის ძე ეგორი (გიორგი) ყაბარდო-

---

[1] Материалы..., I, გვ. 43.

[2] Красный архив, № 4 (83), 1937, გვ. 185—196.

[3] А. Цагарели, Грамоты... т. I, გვ. 4—5.

ში გაიქცა და იქ მომხრეების შემოკრებას ცდილობს. ამაში ხელი შეუშალეთო. ოსეთში მყოფმა კომისიის თარჯიმანმა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ ეგორი ყაბარდოელ თავად ნავრუზ მისოსტოვის თანხლებით მართლაც ეძებდა მომხრეებს და დიგორიის სოფ. კუბატიევოში მივიდა ამ მიზნით. ფიცხელაურის მიერ მიღებული ზომების შედეგად მათ ვერ მოახერხეს მომხრეთა შეგროვება და როგორც კი გაიგეს ფიცხელაურის ოსეთში ყოფნა, დაუყოვნებლივ გაეცალნენ იქაურობას[1].

ქართველ მისიონერებს ხელი შეუწყიათ ტოტლებენის მეთაურობით რუსეთის საექსპედიციო კორპუსის საქართველოში გადმოყვანისათვის. ამ კორპუსს მეგზურებად და თარჯიმნებად გამოჰყოლიან ივანე ფიცხელაური და ნიკოლოზი. ამათ მოაგვარეს დარიალის გზის გასწვრივ მცხოვრები ოსი ფეოდალებისაგან მძევლების აყვანისა და გზის უვნებლობაზე ფიცის დადების საქმე[2].

XVIII ს. 80-იან წლებიდან ოსეთის გაქრისტიანების და ოსური ანბანის შექმნის საქმეში დიდათ იღვაწა გაიოზმა(შემდეგში მოზდოკის ეპისკოპოსი, ქართველი სოფ. მაღაროდან). იგი ერეკლე II და სოლომონ II ნდობით აღჭურვილი პირი იყო და მათ დავალებებს რუსეთში დიდი გულმოდგინებით ასრულებდა. 1792 წელს რუსული ოფიციალური მიმოწერის თანახმად «Архимандрит Ганоз, управляющий политическими и духовными делами е. в. царя Карталинского Ираклия, употребленный при заключении с Грузией всемилостивейше изданного трактата и замеченный его светлостию (Потемкиным—გ. თ.) полезным к устройству Осетинской духовной коммисии... изъявляет откровенно... царскую доверенность, каковую не укрывал от его светлости и от Имеретинского царя... Соломона II. Известно было его светлости, что оный царь Имеретинский воспитан сим архимандритом[3].

---

[1] А. Цагарели, Грамоты..., т. I გვ. 418—419.

[2] Материалы по истории Осетии, I, გვ. 119, 329; II, გვ. 91; შ. ხანთაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 410.

[3] А. Цагарели, Грамоты..., т. II вып. 2. СПБ, 1902, გვ. 71—72.

რა იყო მიზეზი გაიოზისადმი ერეკლესა და სოლომონ II დიდი ნდობისა? გაიოზი ყოფილა ერეკლე II შვილიშვილის, შემდეგში იმერეთის მეფე სოლომონ II აღმზრდელი. იგივე გაიოზი თელავის სემინარიის რექტორიც ყოფილა და ქართულ წყაროებში გაიოზ რექტორის სახელითაა ცნობილი. მას მონაწილეობა მიუღია 1783 წელს რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის დადებაში. პოტიომკინს სასარგებლოდ მიუჩნევია ოსეთის კომისიის მუშაობის გარდაქმნის საქმეში გაიოზის მონაწილეობა და კიდეც მოუხერხებია მისი გაწვევა საქართველოდან. ერეკლე II იმ ანგარიშით უნდა დათანხმებულიყო ასეთი მოღვაწის საქართველოს ფარგლებიდან გასვლას, რომ ჩრდილო კავკასიაში და რუსეთში იგი საქართველოსათვის სასარგებლო საქმეს გააკეთებდა. გაიოზი მართლაც თავდადებით ემსახურებოდა თავის ქვეყნის ინტერესებს უცხოობაშიც.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ოსეთის კომისიის წინაშე წამოიჭრა ქართული ენიდან ოსურზე სასულიერო ხასიათის წიგნების თარგმნის ამოცანა. 1747 — 1753 წწ. იღუმენმა გრიგოლმა ზოგიერთი ქართული სასულიერო წიგნი ოსურ ენაზე კიდევ გადათარგმნა ქართული საეკლესიო გრაფიკის (ხუცურის) საფუძველზე. ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი აღნიშნავდა, რომ ერეკლე II მეფობაში ქართული საეკლესიო შრიფტით ოსურ ენაზე გამოიცა სასულიერო წიგნები, და რომ მას საკუთარი თვალით უნახავს 1753 წელს დაბეჭდილი ასეთი წიგნი[1].

რუსეთის მთავრობა რუსეთ-თურქეთის 1768-74 წწ. ომამდე თავს აჩვენებდა ოსეთის კომისიის საქმიანობისაგან განზე მდგარად. 1771 წლიდან კი, თურქეთთან ომში მოპოვებულ წარმატებათა შედეგად, რუსეთმა ხელი აიღო ჩრდილო კავკასიაში თავის საქმიანობის შენიღბვის პოლიტიკაზე და ოსეთის კომისია ოფიციალურად თავის კავკასიური პოლიტიკის იარაღად გაიხადა. მან კომისიაში რუსი სამღვდელო პირები შეიყვანა და განკარგულება გასცა ოსურ ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნა-გამოცემას. ქართულის ნაცვლად რუსული გრაფიკა დასდებოდა საფუძვლად.

ამ ახალი მითითების საფუძველზე ქართული ენიდან ოსურ

---

[1] СМОМПК, вып. 22, გვ. 64.

ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნის საქმეს აგრძელებდა მოზდოკის ეპისკოპოსი, ზემოხსენებული გაიოზი. მან ოს მღვდელ პავლე გენცაროვთან (ცესაევთან) ერთად, 1785 წელს საეკლესიო-სლავური ანბანის საფუძველზე შეაღგინა ოსური ანბანი და ქართულიდან ოსურ ენაზე გადათარგმნა «Начальное учение человеком, хотящим учится книг божественного писания». ეს წიგნი 1798 წელს დაიბეჭდა მოსკოვის სინოდალურ სტამბაში[1].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წიგნი სასულიერო ხასიათისა იყო, მას ოსი ხალხის კულტურის ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. XIX ს. ცნობილმა ოსმა პუბლიცისტმა გ. ცაგოლოვმა მას სამართლიანად უწოდა «первенец осетинской книжной литературы». ეს იყო საფუძვლის ჩაყრა ოსური დამწერლობისათვის რუსული გრაფიკის ბაზაზე. მართალია, ამ ახალ მოვლენას წინ უსწრებდა ქართული კულტურისა და გრაფიკის ბაზაზე ოსური დამწერლობის შექმნის ცდები, მაგრამ შექმნილ ისტორიულ პირობებში, როცა რუსეთი ძლევამოსილად მოიწევდა კავკასიაში დასამკვიდრებლად, ოსური დამწერლობის რუსული გრაფიკის ბაზაზე შექმნას პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა. ამ მოვლენას ოსური მასების საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრორუსული მიმართულებაც ედვა საფუძვლად და რუსეთის სალანადო წრეებში ამ ორიენტაციის განმტკიცების საშუალებად იყო მიჩნეული.

ოსი ისტორიკოსები დადებით შეფასებას აძლევენ გაიოზ რექტორის საქმიანობას ოსური კულტურის სარბიელზე: «Говоря о значении этой первой печатной осетинской книги, — წერს პროფ. მ. ტოტოევი, — следует также подчеркнуть известную положительную роль Гайоза («Токаова»), который, являясь для того времени человеком больших знаний, способствовал своей деятельностью появлению в Осетии письменности и элементов просвещения. Разумеется, вся его миссионерская деятельность, в том числе и просветительная, была подчинена захватнической политике царского правительства, но в деятель-

---

[1] Б. Бигулаев. Краткая история осетинского письма, გვ. 20.

ности Гайоза («Токаова») объективно имелись и положительные черты. Он — создатель осетинского алфавита, правда несовершенного и мало научного, но запечатлевшего впервые осетинскую речь на страницах первой печатной книги, заложивший основу осетинской письменности»[1].

ოსურ დამწერლობაში ოფიციალურად რუსულ გრაფიკაზე გადასვლა არ ნიშნავდა ქართული გრაფიკის სავსებით გამოდევნას. ამ უკანასკნელს საკმაოდ ჰქონდა გადგმული ფესვები ოსთა შორის და რუსეთის მთავრობა XIX ს. 30-იან წლებამდე, თავის კოლონიზატორული პოლიტიკის მიუხედავად, იძულებული იყო დაეშვა ქართული გრაფიკის ბაზაზე ოსური ანბანის არსებობა და ამ ანბანის მიხედვით ოსურ ენაზე ქართული საეკლესიო წიგნების თარგმნა და ბეჭდვა. მხოლოდ 1836 წელს მიეცა განკარგულება ვლადიკავკაზის ოსური სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურე შიო დვალიშვილს, რომ «Обучение детей горцев грузинским буквам, как вовсе ненужное, совершенно отменить". ამის შემდეგ შიო დვალიშვილმა, ოსური ენის კარგმა მცოდნემ, საეკლესიო წიგნების ოსურ ენაზე თარგმნა აკად. ა. შეგრენის მიერ 1844 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილ ანბანით გააგრძელა.

ოსეთის კომისიის მიერ ჩრდილო კავკასიაში, განსაკუთრებით ოსებში, ქრისტიანობის გავრცელების საქმე ნელა მიდიოდა წინ. მაგრამ კომისიის საქმიანობა, ოსი ხალხის კულტურის განვითარების თვალსაზრისით, თავის ობიექტური შედეგებით პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ საქმიანობას შედეგად მოჰყვა ოსებში დამწერლობისა და სასკოლო განათლების გავრცელება, ქრისტიანული კულტურის ქვეყნებთან — საქართველოსა და რუსეთთან ოსების დაახლოება. ჩვენ კომისიის საქმიანობის იმ პერიოდზე ვლაპარაკობდით, როცა მასში ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ. მართალია, ეს უკანასკნელნი რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში იყვნენ, მაგრამ საქართველოსთან კავშირს არ წყვეტდნენ და შეძლებისდაგვარად ემსახურებოდნენ კიდეც.

---

[1] История Северо-Осетинской АССР, გვ. 159—160.

ოსეთის კომისიის საქმიანობის ზოგიერთი მომენტის ასეთი ოკალე მიმოხილვის შემდეგ ზედმეტი არ იქნება ვუჩვენოთ ქართული ენისა და დამწერლობის, ქართული კულტურის ბაზაზე აღზრდილი და ამ კულტურის ასპარეზზე მოღვაწე ოსები. XVIII ს. ცნობილია ოსყოფილი პართენი, ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის შესანიშნავი მცოდნე. ეს ის პართენია, რომლის გადაბირებასაც ოსურ ენაზე წიგნების სათარგმნელად უშედეგოდ ცდილობდა ოსეთის კომისია. იკორთის ტაძრის 1761 წლის ხელნაწერში პართენი ამ ტაძრის არქიმანდრიტად იხსენიება: „ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე ც(ოდვილ)ი არქიმანდრიტი (იკორთისა) პართენ ოს-ყოფილი ქ(რისტ)ეს აქეთ ჩღდა (1761)[1]“. იკორთა ქსნის საერისთავოს გვერდისძირულ სამფლობელოში მდებარეობდა, სადაც ქართული და ოსური მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა. პოლიტიკური მოსაზრებებით აქაური არქიმანდრიტი ხშირად ოსთა წრიდან ინიშნებოდა.

არქიმანდრიტმა პახომმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რამღენიმე ოს ბავშვს ასწავლა წერა-კითხვა. ერთი მათგანი, ქურთათელი ბახტა, ქრისტიანობაში ბაგრატი, იმდენად დახელოვნდა, რომ ქართული წიგნების გადმოწერას მიჰყო ხელი და ლექსების წერაშიც ვარჯიშობდა. მის მიერ გადაწერილ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს (1760 წ.) აქვს შემდეგ მინაწერი: „ლექსიკონისა ამის პირველად გარდმომწერელი ოსის შვილი გვრივიძე, ბახტა ყოფილი, ბაგრატ. გეევედრები მკურვალითა გულითა უფალნო: უკეთუ შეცდომილი რამე იხილოთ, ნუ მწყევთ, და თუ უკეთუ თქვენდა არად დასაკლის იყოს, შენდობის წყალობას ვითხოვ, ხოლო აღიწერა წელსა ჩღდ, მაისის გ“.

იმავე ფურცლის მეორე გვერდზე არის საანდერძო ლექსი:

„შამამან პახუმ აღმზარდა, სულით არს განათლულია,
ოსნი მიწოდნენ ბახთასა, ბაგრატ ვარ მონათლულია,

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 25.

[2] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 300, ფურც. 259, ალ. ღლონტი, ნარკვევები, 1955, გვ. 130—131; ტ. სარიშვილი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, 1965. გვ. 12.

ბაზაზაშვილი გვრიგიძე. სოფლით ვარ ქურთაულია;
წიგნი და კითხვა მასწავა, წერა თან შენართულია...[2]"

XVIII ს. მეორე ნახევარში ცნობილია მღვდელ-მონაზონი გამალიელი. ოსი, იკორთის არქიმანდრიტად დადგენილი. იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" მის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „ვამალიელი ოს-ყოფილი არქიმანდრიტი. ესეცა იყო კათალიკოზისავე ანტონისაგან აღზრდილი, წერილთა და გალობათა შინა გამოცდილი და არიხმატიკოსი და მონოზონებითაცა კარგი. მ წ ე რ ა ლ ი უ ც ხ ო (საუცხოო — გ. თ.). რ ო მ ე ლ მ ა ნ ც ა მ რ ა ვ ა ლ ნ ი წ ე რ ი ლ ნ ი ს ა ღ მ რ თ ო ნ ი დ ა ს ა ე რ ო ნ ი გ ა რ დ ა ს წ ე რ ნ ა, ვ ი დ რ ე ს ა მ ა ს ა მ დ ი ს ი ნ. ამან კეთილად იღვაწა იკორთის მონასტრისა მთავარ-ანგელოსთ ეკლესიისათვის და ესრეთ შრომითა ეტარებს დროსა თვისსა"[1]. (ბაზგასმა ჩვენია).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია გამალიელის გადაწერილი ხელნაწერი წიგნები: ბაუმეისტერის ლოღიკა (1778 წ.), კარაბადინი (1790 წ. დაკრული აქვს ბეჭედი ლეგენდით „გამალიელი"), ხელნაწერი წიგნი, შესრულებული გიორგი ბატონიშვილის, შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII დაკვალებით[2]. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულია სიბუთების პირები, რომლებიც შეეხებიან გამალიელ არქიმანდრიტს მიერ ფეოდალ ფაალენიშვილებისა (1792 წ.) და ამილახვრიანთაგან (1800 წ.) მამულების ყიდვას[3].

გამალიელი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII მხრივ პატრიოტიზმით სარგებლობდა. 1800 წლის 7 თებერვალს გიორგი მეფე თავის ძეს იოანეს წერდა: „წინამძღვარი იკორთის მონასტრისა ჩივის მეზობლებზედ ეკკლესიისა მამულებს არ გვანებებენო. მიბძანდი და შეიტყე სადაო: გამამძიებელიც მანდ მობრძანდება და ოქმებსაცა და მეფეთა წერილებსაც განაახლებს. გალავანიც დაქცეულია. უბრძანე სახასო გლეხთა შენობაზედ გაისარჯენ, რადგანაც მათი სალოცავი არის. გამალიელ შეუწუხებიათ და წინამძღვრობაზედ

---

[1] კალმასობა, ტ. II, თბ., 1948, გვ. 193.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 8; ფ. H. № 1318; ფ. H. № 284.

[3] საქ. ცია, ფ. 1450, დავთარი 36, საბ. 1948, 163.

ხელს იღებს. გ ა მ ო ც ვ ლ ა ა მ ი ს ი ა რ ი ქ მ ნ ე ბ ა. ს ა ჯ ი-
რ ო კ ა ც ი ა რ ი ს დ ა დ ი დ ა დ მ ც დ ე ლ ი. ე ც ა დ ე
დ ა ა მ შ ვ ი დ ო". მეფის ძემან იოანე სრულ ჰყო ესე საქმე და განუსვენა წინამძღვარსა. მადლობითა აღვსილმან გამალიელ-მან მოართვა მეფეს ხატი ღვთისმშობლისა..."[1].

XVIII ს. დამლევს მიიღო ქართული სწავლა-განათლება ე.წ. „ოსთა-მყოფელმა" გიორგი ჯათიშვილმა. ეს უკანასკნელი იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დედოფალ ანას პეტერბურგში გაჰყოლია და იქ ქართულად წიგნების გადაწერა ვაუგრძელებია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მის მიერ გადაწერილ არისტოტელის კატეგორიის ანდერძში იგი წერს: „აღიწერა წიგნი ესე კატიღორია და სრულ იქმნა ბრძანებითა მათის უმაღლესობის იმერეთის დედოფლის ანნასითა, სამეუფოსა ქალაქსა სკტპეტბურღს (!) წელსა 1814 მაისის 5 დღესა ჭელითა ოსთა მყოფელ გიორგი ჯათთიშვილისათა"[2]. მასვე პეტერბურგში იმავე ბანებში სხვა წიგნებიც გადაუწერია[3]. უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი ჯათთიშვილი საქართველოში ყოფნის დროსაც ეწეოდა ამგვარ საქმიანობას.

ხელნაწერთა ინსტიტუტის XV ს. ერთ-ერთი ხელნაწერი წიგნის გვიანდელ მინაწერში ვკითხულობთ: „ახლად საოწმუნოებად მოსული ოსყოფილი ვანისშვილი ჯვანის ძე დიაკვანი"[4]. ესეც ქართული წიგნების ერთ-ერთი გადამწერთაგანი იყო.

XVIII ს. მეორე ნახევარშივე ცნობილია ნეოფიტე, წარმოშობით ოსი. იოანე ბატონიშვილის ცნობით, „ესე ნეოფიტე ოს-ყოფილი აღზარდა ყრმა მთავარეპისკოპოსმან წერილთა შინა და მერე მიიღო რიცხვსა შინა ბერებთასა ანტონი კათალიკოზმან". ნეოფიტე ცნობილი იყო „მოქამნობითა, ეგრეთვე ეკლესიის წერილთა წარკითხვითა, მწერლობითა ქებული და მონოზონებითაცა სრული. ამან მიიღო მეორე ანტონი კა-

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედ., 1936, გვ. 166—167. (ხაზგასმა ჩვენია).

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 2365.

[3] იქვე, ფ. H, № 328.

[4] იქვე, ფ. H, № 218.

თალიკოზისაგან არქიმანდრიტობა და აწ მსახურებს მას და სცხოვრებს მასთანა განუშორებლად"[1].

იოანე ბატონიშვილის მიერ ოსი გამალიელისა და ნეოფიტეს მოხსენება XVIII ს. დამლევისა და XIX ს. დამდეგის ცნობილ სასულიერო მოღვაწეთა რიგებში შემთხვევითი არ არის. ორივე ამ მოღვაწეს თავის დროისათვის კარგი განათლება მიუღიათ და შემდეგ ენერგიულად მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის ასპარეზზე. გამალიელი თავის დროისათვის არამარტო მნიშვნელოვანი სასულიერო ფუნქციების შესრულებით არის ცნობილი, არამედ პოლიტიკური ხასიათის ფუნქციებითაც. იგი ქსნის საერისთავოს გვერდისძირის სამფლობელოში მდებარე იკორთის მონასტრის წინამძღვრობით გარშემო მოსახლე ქართველი და ოსი ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობის სადარაჯოზე მდგარა, ამ ურთიერთობის განსახიერებას წარმოადგენდა.

მაგრამ XVIII ს. დამლევისა და XIX ს. დამდეგის ოს კულტურულ მოღვაწეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა იოანე იალღუზიძე. ზემოთხსენებულმა ოსმა მოღვაწეებმა ქართული კულტურის ასპარეზზე იმოღვაწეეს და, ამდენად, ქართული კულტურის მოღვაწეებად უნდა ჩაითვალონ. მათ ოსი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ისტორიაში თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ.

ამ მხრივ გამონაკლისს ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან წარმოადგენს იოანე იალღუზიძე (1775—1830). მისი საქმიანობა ქართველი და ოსი ხალხების კულტურული ურთიერთობის სადემონსტრაციოდ კარგ მაგალითს წარმოადგენს და ამიტომაც მოკლედ შევჩერდებით მასზე.

იოანე იალღუზიძის შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს[2]. თანახმად მისი ავტობიოგრაფიისა, იგი დაბადებულა

---

[1] კალმასობა, II, გვ. 194.

[2] გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, 1926, გვ. 339—346; მისივე, 1802 წლის ოსური A ხელნაწერი, თბ. სახ. უნ. მოამბე, ტ. VII, 1926, გვ. 90—99; ორივე სტატია რუსულად იხ. „Сборник избранных работ по осетинскому языку, 1, Тб., 1960, გვ. 80—90, 91—106; მისივე, იოანე იალღუზიძის გარშემო. ჟურნ. „ფიდიოგი" № 2, 1928. (ოსურ ენაზე); Б. Бигулаев,

1775 წელს და მომდინარეობდა „из природных осетинских дворян"[1]. ამჟამად აღიარებულია, რომ იგი პირაქეთი ოსეთის სოფ. ზალდადან იყო და გაბარაევების გვარს ეკუთვნოდა. მცირეწლოვანი იოანე ოსეთიდან საქართველოში ჩამოუყვანიათ და ერეკლე II ბრძანებით იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტისათვის ჩაუბარებიათ ქართული საეკლესიო წიგნების კითხვის შესასწავლად. აქ უსწავლია მას ქართული წერა-კითხვა. აქედან ერეკლესავე ბრძანებით იგი დავით გარეჯის მონასტრის (ორივე მონასტერი გარეჯის უდაბნოში, დღ. საგარეჯოს რაიონში მდებარეობენ) მღვდელმთავარს იოანე ქარუმიძეს ჩაბარეს სიტყვიერების შესასწავლად. იოანე იალღუძიზის მეცადინეობა ფილოსოფიის კარგ მცოდნე იოანე ქარუმიძესთან გრძელდებოდა მაშინაც, როცა იგი (ქარუმიძე) წილკნის ეპარქიის სათავეში ჩაუყენეს. ნიჭიერი ოსი ახალგაზრდის წარმატება სწავლაში ახარებდა იოანეს და სულ უფრო და უფრო მეტ დროს უთმობდა მას. იალღუზიძე მასთან სწავლობდა გრამატიკას, რიტორიკას, ფიზიკას, კატეგორიას, მეტაფიზიკას, ლიტერატურას[2].

იოანე ქარუმიძის 1800 წლის მოხსენებაში ნათქვამია: «Блаженной памяти царь Ираклий еще в бытность мою в монастыре, пожаловал мне Осетинского мальчика, лет 8-ми, повелев указом, чтобы я его обучил чтению, письму и всей учености, каковое повеление государя моего и было мною исполнено; по посвящении меня во архиерея, тот юноша был пожалован мне же и я определил его в местечко Душет, собрав под его ведение 30 душ детей местных прихожан, для обучения их чтению и письму, так как я видел немалый недостаток в лицах, которые

Краткая история осетинского письма. 1952, გვ. 25—29; ყველაზე სრული შრომა იოანე იალღუზიძის შესახებ ეკუთვნის ძ. გუგკაევს— «О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе». Известия Юго-Осетинского н/и. института, вып. VII, 1955; вып. VIII. 1957; ა. შანიძე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობიდან, მაცნე, 1964, № 1.

[1] საქ. ცია, ფ. 488, საქმე 488, ფ. 110 — 111.

[2] Дз. А. Гугкаев, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Известия Ю/О НИИ, вып. VII, გვ. 282.

были бы способны быть священниками в горах Кавказских. Учитель содержится на мой счет, а ученики на счет своих домашних»[1].

იოანე ქარუმიძის ამ ცნობიდან აშკარად ჩანს ის, თუ რატომ იყო დაინტერესებული ერეკლე II იალღუზიძის ქართული მწიგნობრობის საფუძველზე აღზრდით, ხოლო თვით იოანე წერა-კითხვის მცოდნე კადრების მომზადებით კავკასიის ბიბლიოთეკაში საღვთისმსახურო საქმიანობისათვის. მათ უნდა შეესრულებინათ კავკასიის მთის ხალხებში ქრისტიანობის განმტკიცების ამოცანა, რადგანაც იგი, საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ანგარიშით, სამართლიანად მიჩნეული იყო ამ ხალხთა თავის პოლიტიკურ გავლენაში მოქცევის იარაღად. მათ კარგად ესმოდათ, რომ ამ საქმეში მეტ წარმატებას მოაღწევდნენ, თუკი ამ ამოცანის განხორციელების საქმეში ჩააბამდნენ ქართულ კულტურას ზიარებულ და საქართველოს პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად მოქმედ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს. ოს ხალხთან დაკავშირებით, ასეთ პირებს ეკისრებოდათ ამოცანა კულტურულ-იდეოლოგიურად დაეახლოვებინათ ისინი ქართველ ხალხთან და გაეადვილებინათ მათი შეზრდა ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში.

ეს საქმიანობა იმასაც ნიშნავს, რომ, ოსეთის კომისიის გარდა, ოსების გაქრისტიანების მიზნით გარკვეული სამისიონერო მუშაობა წარმოებდა საქართველოს მხრიდანაც. ამასთან საქართველოდან წარმოებული სამისიონერო მუშაობა არამარტო პირაქეთ ოსებს მოიცავდა, არამედ ჩრდილო ოსებსაც. იოანე წილკნელის მოხსენების თანახმად, «На втором году всемилостивый государь повелел мне отправиться... к Осетинам и Пшавам, для назидания их в христианской вере, при чем мне было пожаловано и нужное пособие... В Гуде и Трусо также обратились многие»[2].

წილკნელის აღნიშნული სამისიონერო საქმიანობა გამონაკლისი არ ყოფილა. ჯერ კიდევ 1750 წელს თეიმურაზ II და ერეკ-

---

[1] Акты, I, გვ. 533.
[2] Акты, I, გვ. 532.

ლე II „ნათელჰსცეს ოსთა“[1]. ერეკლე და მისი შვილები შემდეგშიც ყოველთვის ცდილობდნენ წაექეზებინათ ოსთა გაქრისტიანების საქმე და პირად ინიციატივასაც იჩენდნენ ამ მხრივ. 1776 წელს გაცემულ სიმტკიცის წიგნში თაგაურელ ოს ქუნდუხიშვილ თომასადმი ვახტანგ ბატონიშვილი ხაზს უსვამს თომას „აზნაურიშვილობას“, „ოსყოფილობას“ და მას „ბატონის (ერეკლე II. — გ. თ.) ნათლულს“ უწოდებს. თომას შვილი იოანე ვახტანგის „ნათლულია“[2]. მე-18 ს. საბუთებში ასევე „ოს-ყოფილები“ ხშირად იხსენებიან[3] და იმის მაჩვენებელი არიან, რომ ოსთა გაქრისტიანების ცდები საქართველოს მხრიდანაც ენერგიულად ტარდებოდა.

იოანე იალღუზიძეც ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა. სწავლის დამთავრებისას იგი წარუდგინეს ერეკლეს. ერეკლემ აღუთქვა დახმარება, მაგრამ მისი გარდაცვალების შედეგად ეს დაპირება არ შესრულებულა.

იოანე იალღუზიძე სწავლის პერიოდშივე ეწეოდა მუშაობას ქართულ წიგნების გადასაწერად. 1794 წელს მას გადაუწერია „კატეგორიაჲ სიმეცნეჲ“[4], ხოლო 1796 წელს დაუმთავრებია „მეტაფიზიკისა და ლოგიკის“ გადაწერა. 1797 წელს გადაწერა ბაუმეისტერის მეტაფიზიკა[5]. ამ პერიოდის მისი საქმიანობიდან აღსანიშნავია მისი მასწავლებლობა ღუშეთში, სადაც იგი 30-მდე ბავშვს ადგილობრივი მოსახლეობის წრიდან ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება შეუდგა თავის ქვეშევრდომობაში კავკასიელი ხალხების შემომტკიცებას. იოანე იალღუზიძე, როგორც რუსული, ოსური და ქართული ენების მცოდნე, დაუყოვნებლივ იქნა ჩაბმული ოსების რუსეთის ქვეშევრდომობაში მშვიდობიანი გზით შეყვანის საქმეში.

XIX ს. პირველ ათეულ წლებში იგი იოანე ბატონიშვილის

---

[1] ამბავნი ქართლისანი, გვ. 428.
[2] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 43.
[3] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 1625, 4057.
[4] იქვე, ფ. 1446, № 205.
[5] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 280; ფ. Q. № 97.

ძის აღმზრდელად ყოფილა მოწვეული. 1815 წელს ახლად აღდგენილ ოსეთის სასულიერო კომისიაში თარჯიმნად შევიდა, საიდანაც, თავის კეთილსინდისიერი მუშაობის გამო, დაწინაურდა და ეგზარხოს ფეოფილაქტეს წარდგინებით, 1821 წელს საგუბერნიო მდივნის ჩინი მიუღია[1]. 1820 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ოს ბავშვებს ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა.

ი. იალღუზიძემ დიდი მუშაობა ჩაატარა ოსური ანბანის შესაქმნელად. იგი ცნობილია აგრეთვე ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებებითაც (მათ შორის დიდი პოემა „ალღუზიანი"), რომელთაც ის ქართულ ენაზე ჰქმნიდა. იგი ინტენსიურად აგრძელებდა ქართული ხელნაწერი წიგნების გადაწერას, ქართული ენიდან ოსურ ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნას. მაგრამ რადგანაც იოანე იალღუზიძის მოღვაწეობა ძირითადად XIX ს-ის პირველ მეოთხედში მიმდინარეობდა, ჩვენ აქ მასზე დაწვრილებით ვერ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მან დიდი ღვაწლი დასდო ოსი ხალხის ქართულ კულტურასთან, ქართველ ხალხთან დაახლოების საქმეს. მისი ანბანით, ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებებით დაიწყო ოსური დამწერლობის ნამდვილი ისტორია.

ქართველი და ოსი ხალხების კულტურული ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ამ ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაში შენიშნული რიგი საერთო მოტივები. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ორივე ამ ხალხში ფართოდ გავრცელებული თქმულებანი ამირანზე, აგრეთვე ტარიელზე (ოსებში „ვეფხისტყაოსნის" პოპულარობის უდავო მაჩვენებელი) და სხვ. სამწუხაროდ, ეს მასალა ჯერ იმ ზომით არაა სისტემატიზირებული, რომ მის საფუძველზე ჩვენს თემასთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნები გავაკეთოთ.

მოტანილი მასალების სრული უეჭველობით მოწმობენ, რომ განსახილველ პერიოდში ოსი ხალხის კულტურა ქართველი ხალხის კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა, ამ უკანასკნელის ცხოველმყოფელ გავლენას განიცდიდა.

---

[1] Дз. Гугкаев Известия..., VII, зз. 284.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

თავი I

ოსთა ტერიტორიული განსახლება და საქართველოსთან დამაკავშირებელი გზები 5

თავი II

XV—XVIII სს. ოსეთის სოციალურ-ეკონომიური. და პოლიტიკური სტრუქტურის მოკლე დახასიათება 53

თავი III

ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური ურთიერთობა XV—XVIII სს. 66

თავი IV

საქართველო-ოსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან 98

თავი V

სამხრეთელ ოსთა სოციალური ისტორიიდან . 163

§ 1. ქართლში ოსთა განსახლების საკითხისათვის 163

§ 2. სამხრეთელ ოსთა ფეოდალური ექსპლოატაცია და კლასობრივი ბრძოლა 206

თავი VI

ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობა XV—XVIII სს. 225

რედაქტორი უ. ბახტაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ე. მესხი

გადაეცა წარმოებას 2/VII-68 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VI-69 წ.
ქაღალდის ზომა 81×108 1/32. პირობითი ფორმათა რაოდენობა 13,65.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,14.
უე 01715. ტირაჟი 1.000 შეკვეთა № 598.

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,
ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета
Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, Орджоникидзе № 50.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ გამოსცა:

1. **გ. მეფისაშვილი** — „ძველი და ახალი ტრადიციები“.
2. **მ. ფელიძე** — „ძველი ბერძნების გულუბრყვილო დიალექტიკიდან მარქსისტული დიალექტიკის ჩამოყალიბებამდე“.

მალე გამოვა:

1. **დ. კაკაბაძე** — „გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი)“.
2. **ე. გვათაძე** — „წითელწყარო“.